

მ ა ტ ი ა ნ ე

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის
კვლევის ცენტრის კრებული

ЛЕТОПИСЬ

Сборник центра исследований историй, этнографий и фольклора
Ванского района

Chronicle

The Collection of Vani History, Ethnography and Folklore
Research Centre

3560
Вани
Vani
2016 წ.

№7

მილოცვა

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“ ახალ 2017 წლის შემობრძანებას ულოცავს:

– რაიონის ყველა ოჯახს და მაცხოვრებელს.

– ვანისა და ხონის ახლადარჩეულ მაჟორიტარ დეპუტატს, საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ გრიგოლ ლილუაშვილს, ვუსურვებთ მას წარმატებულ საქმიანობას ქვეყნისა და მითითებული რაიონების საკეთილდღეოდ.

– „კვლევის ცენტრის“ კონსულტანტებსა და მეგობრებს, სახელოვან მეცნიერებს, პროფესორებს, ბატონებს: თეიმურაზ სურგულაძეს, ავთანდილ ნიკოლეიშვილს, თეიმურაზ ადეიშვილს, გურამ ყიფიანს, ომარ ძაგნიძეს, ანზორ შარაშენიძეს, უჩა დვალიშვილს, ქრისტიანე მეძველიას, დარეჯან კაჭარავას, გურამ კვიციანიას, მერაბ კეზევაძეს, ლუკა დვალიშვილს, რენიკო საკანდელიძეს, გურამ ბელთაძეს, გურამ ლორთქიფანიძეს, ოლეგ ალავიძეს, სერგო ვარდოსანიძეს, ნანა ვალიშვილს.

– ყველა იმ მეცნიერსა და მოღვაწეს, რომლებიც სიტყვითა და საქმით გვერდით უდგანან „კვლევის ცენტრს“.

– ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ხელმძღვანელობას, მათ ცალკეულ სამსახურებსა და თანამშრომლებს.

– ვანი-ბაღდათის ეპარქიის მღვდელთმთავარს, ვანის ოლქის სამღვდლო და სამონაზვნო დასს, რომლებიც გულწრფელად იღწვიან ქრისტიანული რწმენის გაძლიერებისთვის და ალაველენენ ლოცვებს ერისა და რაიონის უკეთესი მომავლისათვის.

– კრებულ „მატიანეში“ გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებელი სტატიების, ნარკვევების, წერილების ავტორებს, მათ მკითხველებს.

– ვანის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, ყველა საჯარო სკოლას და მათ ხელმძღვანელებს, რომლებიც გვერდით უდგანან „კვლევის ცენტრის“ საქმიანობას.

– კრებულ „მატიანეს“ გამოცემათა მხარდამჭერებს, მეცენატებს, ბატონებს – ბეჟან ნაქაძეს, ძმებს ზაურ და რომან თათვიძეებს.

– ვანის ტერიტორიულ ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ყველა ვანელს, რომლებიც გულწრფელად ცდილობენ საკმაოდ რთულ პროცესებში დაუდგნენ ვანს გვერდით.

– შპს „მბმ-პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობას და ყველა თანამშრომელს.

ბედნიერება იყოს თითოეული მათგანის, მათი ოჯახების გზამკვლევი!

ბედნიერება და გამთლიანება, ვუსურვოთ სრულიად საქართველოს!

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისა“ და კრებულ „მატიანეს“ სახელით, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, დოქტურანტურის განყოფილების უფროსს, „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ თანადამფუძნებელსა და ამჟვე ცენტრის კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრს, ბატონ **თეიმურაზ სურგულაძეს**, ვულოცავთ მეცნიერის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სიგელის გადაცემას-მათემატიკაში მიღწეული წარმატებებისათვის. ინტელექტის მაღალი განზომილებით დამაშვრალს, ვუსურვებთ ჩვეული, უღვევი ენერგიით ევლოს იმ უმაღლესი მწვერვალისაკენ, რასაც ქართული მეცნიერების განვითარების პიკი ჰქვია. უფლისაგან ბოძებულ ნიჭიერებასთან ერთად, არ მოკლებოდეს ჯვანის სიმრთელე და წელთა სიუხვე. დაე, კიდევ უფრო ღირსეული ადგილი დაეკავებინოს როგორც ქართულ, ისე მსოფლიო სამეცნიერო სივრცეში.

სარჩევი

1. მაია ჭლიძე	4
მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისაგან იშვა?	
2. ლუკა დვალისვილი	30
შოთა რუსთაველი 850	
3. შალვა შარაშენიძე	35
ოდიშ-იმერეთის ურთიერთობათა ისტორიიდან (XVI — XVIII სს.)	
4. თამილა მჟავანაძე	38
ინტერვიუ ქალბატონ დარეჯან კაჭარავასთან	
5. მმარ კაპანაძე	42
ვანის რაიონის ეკონომიკა XX საუკუნის 80-იანი წლების II ნახევრიდან 2010 წლის ჩათვლით	
6. ზონა ცხადია	53
ტიციან ტაბიძის პოეტური გარდასახვები	
7. აკაკი თევზაძე	61
ერთი ოცნების ტყუპისცალი	
8. ქრისტინე მამკელია, გივი დევიძე	75
ქართველ ებრაელთა ისტორიის ამსახველი ფონდები ქუთაისის ცენტრალურ არქივში	
9. ინდირა გომოძე	83
ინტერვიუ ბატონ უჩა დვალისვილთან	
10. თეიმურაზ ადგიმჭილი	87
გენერალი ბიქტორ სულაქველიძე – გამოჩენილი მეცნიერი და სამხედრო მოღვაწე	
11. რენიკო საკანდელიძე	90
ღირსეული მამულიშვილნი	
12. მმარ კახნიძე	98
ექსპედიცია იალბუზზე	

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისაგან იშვა?

ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

წინამდებარე წერილობითი საუბარი მხოლოდ მოკლე ვერსიას საქართველოს გაყალბებულ-მიჩქმალული ისტორიის შეძლებისდაგვარად ამეტყველებისა და შესაბამისად, საინფორმაციო-შემეცნებით ხასიათს ატარებს. ზღვაში წვეთადაც კი ვერ ჩაითვლება ის გაბნეულ-დანანევრებული ინფორმაცია, რის შეკრებასაც შევეცადეთ. ამდენად, ცალკეულ მოსაზრებებს, მტიციტებულებებს, ვერსიებს, მიგნებებს და ა. შ. რომელიც გამოყენებული იქნა თხრობისას, არ ჰქონდა სქოლიოები. დაინტერესებულ მკითხველს ამავე თემაზე ვრცელი ინფორმაცია შეუძლია მოიძიოს ინტერნეტსა და ბეჭდური მედიით გავრცელებულ საშუალებებში, კონკრეტული ავტორების წიგნებში, ნაშრომებში, ბროშურებში, ინტერვიუებსა და ა. შ. მიზანი გახლავთ მათი შემკრების ე. წ. „პოპულარული ენით“ თხრობა და არა პრეტენზია მოცემული მასალების ავტორობაზე, თუმცა, შესაძლოა, ზოგიერთი თემის ახსნის ვერსია კონკრეტულად შემკრებს ეკუთვნოდეს.

თხრობისას, ზოგჯერ, მითითებულია წყაროც და ავტორიც, მაგრამ ყველა იმ ლიტერატურის ჩამოთვლა, რაც აღნიშნულ თემას ეხება ან მასთან ერთად განსახილველია, ვთქვათ ჰეროდოტედან დღემდე, მოქმედი მკვლევარების (არქეოლოგები, ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, მოგზაურები, გეოგრაფები, ზღვაოსნები და ა. შ.) ჩათვლით, წარმოუდგენელი და არაფრის მომცემი შრომაა როგორც რიგითი ადამიანისთვის, ასევე კრებულის შეზღუდული სივრცისათვის, ამდენად, მოგვიტევეთ თუ ეს შრომა არ გავწიეთ.

ვიღაც თვლის, რომ დროებამ მოიტანა, ვიღაც – უფლის ნებად მიიჩნევს; ვიღაცას, ბოლო ჟამის მოსვლასა და იბერიის გაბრწყინების მიახლოებასთან უნდა დაკავშირება იმ ინტერესთა გამოვლინებისა, რაც საქართველოს ისტორიას ეხება. რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში მისასალმებელია საკუთარი ქვეყნის ისტორიის დალაგების, წარმოჩენის მსოფლიო დონეზე გაცნობისა და მისი დაცვის მცდელობები, მაგრამ არსებობს ერთი დიდი „მაგრამ“ – საქართველოს ისტორია, საუკუნეებია, ისეა არეულიც, „თეთრ ლაქებად“ დატოვებულიც, მოპარულიც, მიჩქმალულიც, რომ „დიდი დამლაგებლები“ სჭირდება.

ვიღაცას, შეგნებულად თუ შეუგნებლად, არ სურს და არ უნდა დაიჯეროს ბევრი რამ, განსაკუთრებით, თუ საიდუმლოებებით მოცული საქართველო უძველესი კოლხური ცივილიზაციის პირდაპირ და ერთადერთ მემკვიდრედ, ძველი – ქრისტემდელი კოლხების უახლოეს პირდაპირ შთამომავლებად მოიხსენიება. მაგრამ ლეგენდები, მეცნიერული კვლევები სხვადასხვა მიმართულებით და შემორჩენილი თვალსაჩინო ფაქტები ამბობენ სათქმელს...

ერთი ვინმე რიგითი ქართველი ხომ არ ჰყვება სიზმრად ნანახს, ან აკვიატება ხომ არ აქვს ერთ კონკრეტულ პირს (ან პირთა ჯგუფს), მსოფლიო დონის ფრანგი, გერმანელი, ამერიკელი, რუსი, ინგლისელი, და ა.შ. მეცნიერები გამოთქვამენ მოსაზრებებს, ფაქტებს დებენ, ასაბუთებენ, რომ მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისაგან იშვა.

ჯერ მხოლოდ რაც ჩანს, საქართველოს ისტორია ახლიდან დასაწერია, რადგან ქართველი ერის ისტორიიდან დღემდე აღმოჩენილი და კვლევების დადასტურებული შედეგებით, ყველაზე მცირე, ქრისტეს მოსვლამდე 4 000 წელია სხვათა მიერ მითვისებული.

რაგინდ დამახინჯებული იყოს ისტორია, ლოგიკური ფაქტია, რომ სამყარო ქრისტეს მოსვლამდეც არსებობდა, ანუ ქრისტეს შობამდე და ამ დროს ეთაყვანებოდნენ „ვიღაცას“ (ან „რალაცას“) ჩვენი წინაპრები. შესაბამისად, არსებობდა „რალაც“ ენაც, „რალაც“ ისტორიაც, „რალაც“ ამბებიც...

სანამ კონკრეტულად გადავიდოდეთ საკითხზე, რის მოპარვაზეა საუბარი და რანაირად ებმის მითოლოგიასა და ზეპირ გადმოცემებში „რალაც ამბები“, ის ვიკითხოთ და გავიხსენოთ, რატომ აიკრძალა ის და იმ „საქართველოს ისტორია“ 1953 წელს, რომლის ავტორები ივანე

ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი იყვნენ. ეს იყო სახელმძღვანელო, სადაც თვალნათლივ ჩანდა თანამედროვე „ქართველის“ წარმომავლობა, საიდან მოვდივართ და მთლიანად მსოფლიოსთვის რამხელა მნიშვნელობის ისტორია გვაქვს. საუბარია ქრისტეს მოსვლამდე 4 000 წელზე, რომელიც დალაგების შემთხვევაში 7-8 ათასი წელიც გამოვა და 25 000 -იც.

იმდენად არეულია ისტორიები, მითები და სინამდვილე, მკითხველისთვის ამბების შემკრებ-მთხრობელიც კი დაიბნევი საიდან დაიწყო უფრო გასაგები რომ იყოს. რატომ გაჩნდა კითხვა: „იესო ქრისტემ თავისი უკანასკნელი სიტყვები ქალდეურ, ანუ წინარე ქართულ ენაზე წარმოთქვა?“ თუ „რა მოხდა ქრისტეს შობამდე კოლხეთში, რისი მოპარვა და რატომ ბრალდებათ ბერძნებს?“

ბატონი კლიმენტი შელია (2011 წელი) – „საქართველოს ისტორია გაყალბებულია! როგორ შეიძლება, საქართველოს ისტორიაზე სომხების¹ მიერ დაწერილი „ქართლის ცხოვრებით“ ვმსჯელობდეთ? ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორია“, სახელმძღვანელომ, რომელიც სამჯერ გამოიცა ქართულად (1943 წ, 1946 წ და 1948 წ), ორჯერ რუსულად (1946 და 1948 წელი) და სტალინური პრემია მიიღო სსრკ-ის მეცნიერები ალაფრთოვანა, ახმაურდა მსოფლიო, მაგრამ როგორც კი სტალინი გარდაიცვალა, მოსკოვმა წიგნი აკრძალა, მოძველდა და 1958 წელს, ნებსით თუ უნებლიედ აღარ აქვს მნიშვნელობა, გამოიცა სრულიად გაყალბებული საქართველოს ისტორია.

ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ზ. რატიანი წერდა, სახელმძღვანელოს, რომელშიც სულ მცირე, 2500 წელი აქვს მოპარული საქართველოს ისტორიას, არ შეიძლება რაიმე მეცნიერული ღირებულება ჰქონდეს. მთლიანად გაყალბებული და შეთითხნილია ქართველი ერისა და უძველეს ქართველურ სახელმწიფოთა წარმოშობის ისტორიაო... „ქართლის ცხოვრების“ მსჯელობის ზოგიერთი მიმართულებაც სადაოა და არ შეესაბამება ქართულ ისტორიულ რეალობას, მაგრამ რად გინდა, ყველა ისტორიკოსი „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოდის. ტერიტორიები წაგვართვეს მტრებმა, მაგრამ უბედურება კიდევ სხვა რამეშია – კოლხეთს, დღეს რომ მხოლოდ სამეგრელოდ მოიაზრება, უამრავი მონინაალმდევე ჰყავს, რადგან ძალიან დიდ წარსულზე და დიდ კულტურაზეა საუბარი – ამის ატანა უჭირთ. მოდით, ასე შევთანხმდეთ, როდესაც კოლხეთზე ვსაუბრობთ, იგულისხმეთ საქართველო, რადგან კოლხეთი და საქართველო ერთია, მერე გაითიშნენ ისტორიის ბედუკუღმართობით...

დროთა განმავლობაში საქართველომ დაკარგა ტერიტორიები, რომელზედაც განსახლებულნი იყვნენ პროტოქართული კოლხური ტომები. „კოლხუა“ ერქვა ერაციის დედაქალაქს, ანმარე („ღვთის კაცი“) ერქვა მეფეს, ძვ.წ.აღ-ით 3185 წლიდან 3120 წლებში მეფობდა და ეს დასტურდება სათანადო წყაროებით.

ინგლისელი არქეოლოგის ლეონიდ ვულის მიერ აღმოჩენილი წარწერებით ქალდეურ ქალაქ ურში, რომელსაც ბიბლიაში „ერეხი“ ეწოდება, „მელქასდუკი“ (ანუ მელქისედეკი) იყო ურის მეფეც და ქალდეველთა უპირველესი ქალღვთაების „ნანას“ ტაძრის უზენაესი ქურუმიც. (გავიხსენოთ ათონის მთის ბერძენი ბერების იბერიის ღვთისმშობლის ხატთან „ნანას“ საგალობლის შესრულების ტრადიციაც). ბიბლიაში „იბერი“ მოხსენიებულია მისი წინარე სახელით „ხალდეველით“, კოლხები – ფუტიელებით. ამ დასახელების სოფლები „ხალდეს“ და „ფუტიეთის“ სახით დღემდე არსებობს ედენას თეოკულტურულ რეგიონში, რომელიც XIX საუკუნეში მიზანმიმართულად დაანგრია რუსულმა იმპერიულმა ინტერესმა.

კაზრეთში – აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ 6 000 წლის წინათ ადნობდნენ ოქროს – დანადგარების მთელი სისტემა... სვანეთში, სოფელ ლახამში არქეოლოგებმა რკინის უძველეს საწარმოს მიაკვლიეს. ეს არის არა მცირე მოცულობის საწარმო, არამედ 60 ჰექტარზე გაშლილი მეტალურგიული ცენტრი, რომელიც ათასობით ქურასა თუ ლითონის ნარჩენს აერთიანებს

¹ ავტორი გულისხმობს ლეონტი მროველის ქართლის ცხოვრებას, რომელშიც საფუძვლიანად იკითხება არმენოფილური ტენდენცია, ამ საკითხზე არაერთი ავტორი ამახვილებს ყურადღებას. ათეული წლის წინ დასაბუთებულად შეეხო პროფესორი გოილაძე (რედ).

და ჩვ.წ.ალ-მდე მე-8-7 საუკუნეებით თარიღდება. როგორც არქეოლოგები ამბობენ, 28 საუკუნის წინათ ისეთი ტომები, რომლებიც რკინის ასე დამუშავებას შეძლებდნენ, თითზე ჩამოსათვლელად იქნებოდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ მასშტაბების რკინის ნაკეთობები, მხოლოდ ამ რეგიონს არ დასჭირდებოდა, ანუ არსებობს ვარაუდი, რომ ეს იყო მსოფლიო მნიშვნელობის მეტალურგიული ცენტრი.

გერმანე გობეჯიშვილის არქეოლოგიურმა გათხრებმა ბრილში (რაჭა) აჩვენა ის კავშირები, რომელიც არსებობდა ძველ ეგვიპტესა და ძველ კოლხეთს (საქართველო) შორის. არტეფაქტები იმასაც ადასტურებენ, რასაც ედენას თეოკულტურული ფუნქცია, რომ მსოფლიო ცივილიზაციის აკვნის თეოსაცავი აქ მდებარეობს.

ედენას თეომისტიკურ არეალს ძველი ეგვიპტელები „ფუნტის“ ანუ „ღმერთების ქვეყანას“ უწოდებდნენ, შუამდინარელები კი „ცოცხალი კაცის ქვეყანას“ – ასეთი თეომისტიკური ეპითეტები შემთხვევითი რომ არ იქნება, ამის ეჭვი კიდევ უფრო გაგვიძლიერდება, რაც უფრო ნავიწვევით წარსულისკენ.

მრავალი ფაქტია, რომ ძველი მსოფლიო ასე ჩაკეტილი არ იყო. ბრილის გათხრების დროს ეგვიპტური სკარაბეები, 12 კილოიანი შუშის მძივები და სანელებლები რომ ნახეს, რა უნდოდა რაჭაში ეგვიპტურ ნივთებს? როგორც ჩანს, კავშირები იყო წარმოუდგენლად დიდი. რაჭაში საბადოებია: სპილენძი, მოლიბდენი, ოქრო, ვერცხლი, რკინა – თითქმის ყველაფერია. რაჭველ მამაკაცებს „რკინის კაცები“ შემთხვევით არ ერქვათ. XIX საუკუნეშიც კი, საგულდაგულოდ ინახავდნენ რაჭული სოფლები მადნის გამოდნობის ტექნოლოგიის საიდუმლოს. რაჭა-ლეჩხუმში ძალიან უცნაური და საინტერესოა, მაგრამ შეუსწავლელი, მაგალითად, დღნორისას განძი ცნობილია, იქვეა, დერჩის თავზე, სადაც უამრავი კოლხური თეთრია ნაპოვნი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ რალაც დიდი და მნიშვნელოვანი ცენტრი იყო იქაც ოდესღაც...

სტრაბონი ძველ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ მეტალურგიისა და მჭედლობის მფარველი ღვთაებები – კორიბანტები (კირბანტები), ჰელიოსის (მზის) ვაჭიშვილები და კოლხეთის მეფის, აიეტის ნახევარძმები კრეტაზე, ევბეაზე, სამოთრაკეზე, ხმელთაშუა ზღვის სხვა კუნძულსა და ფრიგიაში კოლხეთიდან იყვნენ მისულები.

წმინდა კლიმენტ ალექსანდრიელი უძველესი წყაროების მიხედვით წერს, რომ ქურუმ-ღვთაებებმა-დაქტილებმა შექმნეს დამწერლობა და აღმოაჩინეს მუსიკის რიტმი (ზოგიერთი მითის მიხედვით, მათ ჩაუყარეს საფუძველი არითმეტიკასაც). დაქტილებს მიეწერებათ ბრინჯაოს გამოდნობა, რკინის აღმოჩენა და დამუშავება.

თეოპომპე ქიოსელის, თეოფრასტე ერესოსელის, აპოლოდორე ათენელის, წმ. ფოტიოსისა და სვიდას ლექსიკონის ცნობათა მიხედვით, კორიბანტებს კირბების საკრალური, სასულიერო სახის წარწერების შექმნა მიეწერებათ, რომელიც სრულდებოდა თიხის ან სპილენძის ფირფიტებზე, სტელებსა და სვეტებზე.

ძველი ბერძნული წყაროებიდან ასევე ცნობილია, რომ პელასგ-კოლხთა დედა-ღვთაების რეა-კიბელეს (ფასიანეს) ქურუმებს, კორიბანტებს, ძველთაგანვე ჰქონდათ დამწერლობა, რომელსაც საიდუმლოდ ინახავდნენ. ხარაქს პეგამონიელი ამ დამწერლობას „ხრისოგრაფიას“, ანუ „ოქროდამწერლობას“ (ოქროთი წერას) უწოდებდა. ამ ცნობას იმონებს წმ. ევსტათიოს თესალონიკელი „ოქროს სანმისის“ განმარტებისას და წერს „ოქროდამწერლობის“ მეთოდის გამო „არგოს ლაშქრობა მოეწყო...“

გია კვაშილავას სამეცნიერო კვლევებით მიღებულია შემდეგი ძირითადი შედეგები: 1. ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში ხმელთაშუაზღვისპირეთის, პელოპონესის ანუ პელასგიის ნახევარკუნძულის, ეგეოსის ზღვის აუზის კუნძულების, მცირე აზიისა და შავი ზღვისპირეთის უძველესი ადგილობრივი მოსახლეობა იყო პროტოქართველური (სამხრეთკავკასიური) მოსახლეობა, სანამ ამ ადგილებში ინდოევროპული ტომების (მაგ, ბერძნების) მიგრაცია დაიწყებოდა. ძვ.წ. XX-XV საუკუნეებში ამ არეალში ისევ დომინანტობს პელასგურ-კოლხური (მინოსური) კულტურა და ენა, სანამ გავრცელდებოდა ინდოევროპული (მაგ, ბერძნული) კულტურა და ენა.

2. პელასგურ-კოლხური (მინოსური) კულტურის უძველესი წერიტი ნიმუშების, კირბების —

ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი ნარწერების ლინგვისტურ-ფილოლოგიური და ისტორიულ-ტიპოლოგიური შესწავლა ნათლად აჩვენებს, რომ არსებობდა კონტაქტები პროტოქართველურ, პროტონდოევროპულ და პროტოქამიტურ-სემიტურ ენებსა და კულტურებს შორის. ამ მასალით შესაძლებელი ხდება უფრო ზუსტად განისაზღვროს საერთო ქართველური ენის გავრცელების ტერიტორია.

3. საერთო ქართველურმა ენამ შექმნა მნიშვნელოვანი სუბსტრატი ბერძნული დიალექტებისთვის, როდესაც ძველბერძნებმა დალაშქრეს პელოპონესის, ანუ პელასგიის ნახევარკუნძული. დასტურდება, რომ ბერძნულში გაურკვეველი ეტიმოლოგიის ტოპონიმები საერთო ქართველური წარმოშობისაა.

4. ფესტოს დისკოსა და A კლასის ხაზოვან ტექსტებში დასტურდება თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მიერ შედარებითი და შინაგანი კონსტრუქციის გზით აღდგენილი საერთო ქართველური ენობრივი სისტემის სტრუქტურული მოდელები.

5. ფესტოს დისკოსა და A კლასის ხაზოვანი საერთო ქართველური ტექსტების ლინგვისტური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, რელიგიური, სასოფლო-სამეურნეო და არითმეტიკული მასალისა და მრავალი არქეოლოგიური არტეფაქტის შესწავლით ირკვევა, რომ პელასგ-კოლხების (მინოსელების) მიერ შექმნილი ორმოცი საუკუნის წინანდელი საერთო ქართველური კულტურა იყო საძირკველი პროტობერძნული ცივილიზაციისა, რომელმაც დასაბამი მისცა ევროპულ ცივილიზაციას.

თუ ერის ერთიანობას განსაზღვრავს ხალხის ისტორიული მეხსიერება, მსოფლიოს ბევრ ხალხს შემორჩა კოლხეთის სამეფოს ეპოქიდან ბევრი რამ, რაც მხოლოდ კოლხურია და რატომ არ ვთქვათ ხმამაღლა, რომ მსოფლიო ცივილიზაციის სათავე მართლაც კოლხეთია?!

ჰოლანდიელმა ენათმეცნიერმა იოჰანეს ფურნიემ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე 5 000 პროტოქართული ანუ კოლხური სიტყვა იპოვა, რომლებიც სხვადასხვა ენებშია შესული, მაგალითად, ბერძნულში, იტალიურში, ჩრდილოეთ ეგვიპტურში...

1908 წლიდან, მას შემდეგ, რაც კუნძულ კრეტაზე, ქალაქ ფესტოში არქელოგმა ლუიჯი პერნიემ თიხის დისკო აღმოაჩინა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა მსოფლიოს 36 ენაზე სცადეს მისი ამოკითხვა, მაგრამ ამაოდ. მეცნიერთაგან მხოლოდ ერთი, ავსტრიელი მკვლევარი წარმოთქვამდა ჰიპოთეზას, რომ შესაძლებელი იყო დისკო ღმერთების ენაზე, იბერიულად ყოფილიყო დაწერილი („ღმერთების ენა“ რატომ ჰქვია, ამაზე ვარაუდები მოგვიანებით შევიტყვოთ). და აი, 100 წლის შემდეგ დისკო ამოიკითხა იმ ხალხის შთამომავალმა, რომლებიც „ღმერთების ენაზე“, ძველკოლხურად მეტყველებდნენ.

რაც შეეხება „ფესტოს დისკოს“ წარმომავლობას. თიხის შემცველობა შემონმებულია და დადასტურებულია, რომ იგი ფრიგიიდან არის წაღებული – თიხა ფრიგიულია. ფრიგია კოლხმესხთა ქვეყანა იყო. დედა-ღვთაება, ნანა, იგივე რეა-კიბელე, ფრიგიული ღვთაებაა. ფრიგია ძველი კოლხეთის ერთ-ერთი კუთხე იყო. ერთი ცივილიზაცია ჰქონდა დღევანდელ სამეგრელოს, გურიას, ლაზეთს, მთელ თურქეთის ტერიტორიას, ჩრდილოეთ ეგვიპტეს, კრეტის ხალხებს (ბერძნებს)... ისიც დამტკიცებულია, რომ მეფე აიეტს თესალიის (დღეს საბერძნეთის) ტერიტორიაზე ჰქონდა სამეფო და შემდეგ გადმოიტანა კოლხეთში...

აღსანიშნავია, რომ დისკოზე დაწერილს თავის დროზეც ვერ წაიკითხავდა ყველა, რადგან იგი დაწერილია ქურუმების, იგივე საღვთო დამწერლობით, „ღმერთის ენით“, რადგან მასში განსაკუთრებული საიდუმლოებანი იმალებოდა.

მაგალითად, დისკზე არის ამოკითხული ნარწერა „ჰქმენით დაფარული ტაძარი“, „გარდაქმენით აიას სიცოცხლე ყველანაირად“, „დედის ქვეყანა მუდამ დაიფარეთ“ და ა. შ. რაც დღესაც საიდუმლოა. „ჩხოფაი ორონე ნანა“ – „გასხივოსნებული დედაღმერთი“...

„დედის ქვეყანა“ კოლხეთია, მაგრამ ვისი? ან რა უნდა იყოს მუდამ დაფარული „დედის ქვეყანაში“, კოლხეთში, ანუ საქართველოში, რა საიდუმლო იცოდნენ „ღმერთის ენის“ მცოდნე ძველმა კოლხმა ქურუმებმა? (რატომ იწოდება იბერია ღვთისმშობლის წილხვედრად; ქართველები – განსაკუთრებულ ხალხად; ქართული ენა – ღმერთის ენად, იქნებ როგორმე მივიდეთ კიდევ ამის ახსნამდე?)

გია კვაშილავა – „ეს ამბები ქრისტიანობამდე 1800 წლის წინანდელია, საოცარია, როგორ შეიქმნა დედა-ღვთაებაზე ამდენი საგალობელი? იოანე ზოსიმეს სიტყვები „დამარხულ არს ენაი ქართული... და ამას ენასა სახარებასა შინა ლაზარე ჰქვიან“... „ოთხი დღისა მკვდარი...“ და ა. შ. და როგორც დავით წინასწარმეტყველმა თქვა: – „ათასი წელი ვითარცა ერთი დღე“ – შემიძლია, სხვა საინტერესო და მნიშვნელოვან დამთხვევებზეც ვისაუბრო, მაგრამ არ არის ამის დრო. ყველაფერი რომ ვთქვა, ხალხს ზღაპარი ეგონება, არადა, ზღაპარი კი არა, რეალურია ყველაფერი. მსოფლიომ ამის შესახებ უკვე იცის. ეს არის საოცარი რამ არა მხოლოდ საქართველოსთვის, მაგრამ ქართველები რატომღაც ძალიან გულგრილად ვეკიდებით ასეთ აღმოჩენებს...“

რადგან „დედის ქვეყანა“ ახსენა ბატონმა კვაშილავამ, ერთი განსხვავებული „მამის“ რუკის შესახებ ვთქვათ. ეს არის 1710 წლის ჰენსელიუსის რუკა, რომელიც ინახება პარიზში და სრულიად კავკასიას აწერია „IBERI-GEORGIA“.

ვისაც თურქული სერიალი „დიდებული საუკუნე“ აქვს ნანახი, აუცილებლად ემახსოვრება ფაშა, ადმირალი პირის (ხიზირ) რეისი (ჰაჯი მუჰიდინ პირი იბნ ჰაჯი მეჰმედ, „რეისი“ – ადმირალის ნოდებაა), რომელიც თავდაპირველად მეკობრე იყო, შემდეგ ჩადგა სულთან სულეიმანის სამსახურში. (ფილმში მას რუსტემ ფაშა წამლავს თავლით, მაგრამ რეალურად 90 წელი იცოცხლა და სრულიად ჯანმრთელი კიდეც რამდენ ხანს იცოცხლებდა სულთანს რომ თავი არ მოეკვეთა მისთვის 1554 წელს, არავინ იცის. სხვათა შორის, ასეთ ასაკამდე მიღწევა იშვიათობა იყო იმ ეპოქისთვის).

1929 წელს, როდესაც თოფქაფის სასახლე მუზეუმად გადაკეთდა და გადაიხედა სამუზეუმო ექსპონანტები, ვილაცის მახვილმა თვალმა შენიშნა, რომ ადმირალის მიერ 1513 წელს შედგენილ ერთ-ერთ რუკაზე (იგი მოყვარული კარტოგრაფიც იყო) გამოსახული იყო ამერიკის კონტინენტი და ანტარქტიდა, მატერიკის დღესდღეისობით ყინულით დაფარული ნაწილი. ეს არის პირველი ცნობილი თანამედროვე უტყუარი რუკა. რუკაზე უკიდურესი სიზუსტით და დაწვრილებით არის აღნიშნული ხმელთაშუა ზღვის მნიშვნელოვანი ქალაქებისა და პორტების სანავიგაციო სქემები; ასევე უდიდესი სიზუსტით მოცემულია აფრიკისა და დასავლეთ ევროპის სანაპირო ზოლი. რუკაზეა ბრაზილიის სანაპირო და მთლიანად სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთ ოკეანე. რუკა შეიცავს ატლანტის ოკეანის კუნძულებს, აზორის კუნძულებისა და ლანარის კუნძულების ჩათვლით; მდინარე ამაზონი, ანდები, ფოლკლენდის კუნძულები, ვენესუელის ყურე...

ნავიგაციის კუთხით იმდენად ზუსტად არის შესრულებული „პირისის რუკა“, რომ ათეულობით წლობის შემდეგაც კი შეუძლებელი ჩანს პროპორციების დაცვა. (ზოგადად, პირველ რუკად ითვლება ხუან დე ლა კოსას რუკა, რომელიც მადრიდის სამხედრო-საზღვაო მუზეუმში ინახება).

მეცნიერები დღემდე ვერაფრით ხსნიან, საიდან უნდა სცოდნოდა მეკობრე ადმირალს (ან ვინმე სხვას) განვლილ ეპოქებში და უკვე მისი სახით მე-16 საუკუნის დასაწყისში ის, რაც არავის და არანაირად არ შეიძლებოდა სცოდნოდა. კოლუმბის ამერიკის კონტინენტზე გამგზავრებიდან მხოლოდ 21 წელი იყო გასული, ანტარქტიდა კი, სულაც სამი საუკუნის შემდეგ 1820 წელს იქნა აღმოჩენილი.

საქმე რაშია – როგორც დღეს, ისე 10 000 წელია, სამხრეთ ამერიკის კონტინენტსა და ანტარქტიდას შორის 1000 კმ-იანი წყლის გამყოფი ზოლია, ადმირალის რუკაზე კი მატერიკებს შორის ხმელეთია გამოსახული. მართლაც, 10 000 წლის წინ ანტარქტიდა არ იყო ყინულოვანი საფარველით მოცული და მართლაც, უკავშირდებოდა სამხრეთ ამერიკას ხმელეთით!

1953 წელს რუკის ასლი გადააგზავნეს აშშ-ის საზღვაო ფლოტის ჰიდროგრაფიულ ბიუროში, სადაც შეამოწმეს რუკის სიზუსტე და უარესი თავსატეხი გაჩნდა, რუკა ზედმინვნით ემთხვევა თანამედროვე რუკას. კიდეც უფრო მეტი თავსატეხი გააჩინა იმან, რომ ასეთი სიზუსტისთვის აეროგადაღება საჭირო. სხვაგვარად, უბრალოდ, წარმოუდგენლად შეუძლებელია. პირველი აეროგადაღება კი დაფიქსირდა მხოლოდ 1858 წელს დიდი ფრანგი გამომგონებ-

ლისა და „ფოტომემატიანეს“ სახელით ცნობილ გასპარ ფელიქს ტურნაშორის (ფსევდონიმით „ნადარი“) მიერ. მან პირველი აეროფოტო საჰაერო ბურთიდან გადაუღო პარიზს.

ამერიკელი სამხედროების დასკვნა რეისის რუკაზე: – „რუკის ქვედა ნაწილში გამოსახული გეოგრაფიული ელემენტები საგრძნობ მსგავსებას ამჟღავნებენ 1959 წლის შვედურ-ბრიტანული ექსპედიციის მიერ გაკეთებულ, ყინულოვანი საფარველის ქვეშ მყოფ გეოლოგიური რელიეფის სეისმოლოგიური სკანერების მონაცემებთან. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ სანაპიროს კარტოგრაფირება მოხდა მანამ, სანამ ის ყინულით დაიფარებოდა. ყინულის სისქე ამ რეგიონში ამჟამად ერთ მილს შეადგენს.

ჰაროლდ ზ. ოლმეერი აშშ-ის საჰაერო სამხედრო ძალების სარდალი – ჩვენ არ გვაქვს იდეები იმასთან დაკავშირებით, როგორ შეიძლება რუკაზე ასახული მონაცემების კორექცია 1513 წლის გეოგრაფიული ცოდნის სავარაუდო დონესთან.

კიდევ უფრო საკვირველი – ადმირალი რეისი წერს, რომ ამ რუკის შესადგენად მან რამდენიმე რუკა გამოიყენა, მათ შორის ალექსანდრე მაკედონელის ეპოქის რუკები (რომლებიც, სავარაუდოდ, ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში ინახებოდა და იმ დროს ეგვიპტე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო). ადმირალი ახსენებს „კოლუმბის რუკასაც“, მაგრამ არა კოლუმბის მიერ შედგენილს, არამედ რუკას, რომელსაც კოლუმბი იყენებდა, როდესაც ამერიკის აღმოსაჩენად გაემგზავრა. ადმირალის ჩანაწერების გარდა „კოლუმბის რუკის“ არსებობა არანაირად არ მტკიცდება.

განსაკუთრებული გაუგებრობისა და აქედან გამომდინარე, კამათის მიზეზი რეისის რუკაზე გამოსახული ანტარქტიდაა, რადგან მისი გამოსახულება გასაოცრად ემთხვევა თანამედროვე ტექნოლოგიებით კოსმოსიდან გადაღებულ სურათს.

ბუნებრივად დაისმის კითხვა: ვის შეეძლო ასეთი რუკის შექმნა?

პასუხი მხოლოდ ვერსიის დონეზე გაიცემა – თურქი ადმირალის რუკას საფუძვლად უდევს წინარეისტორიული ეპოქის ცივილიზაციების რუკები, თუმცა, სადამდეც ისტორია წვდება, ვერაფერს იძლევა ათასწლეულების გადასახედი. ვთქვათ, თვით ალექსანდრე მაკედონელს (ან სხვას) საიდანღა შეიძლებოდა ჰქონოდა რაიმე ისეთი რუკა, რომელიც ციდან იქნებოდა გადაღებული და მასზე ისეთი კონტინენტები იქნებოდა დატანებული, რომლის წარმოდგენა ყველაზე თამამ ფანტაზიებშიც კი წარმოუდგენელი იყო იმ დროს? სავარაუდოდ პასუხიც ერთია – „ციდან დაშვებულებისგან“ („აუნაკის“ „ანუნაკის“) უნდა ჰქონოდათ...

ჯერ კიდევ აპოლონიოს როდოსელი წერს: – „...კოლხებმა შემოინახეს თავიანთ მამათა ნაწერები, ამოკვეთილი კირბეზე, რომლებზედაც ირგვლივ, ყოველ მხარეს, მოგზაურთათვის დაბეჭდილია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი... კირბები იყო ფირფიტები და მათ კოლხები იყენებდნენ.

ადმირალ პირისის რუკა თოფქაფის სასახლის მუზეუმშია დაცული და თურქულ ათ ლირაზე გამოსახეს...

რაც შეეხება საუბარს იდუმალებით მოცული ანტარქტიდის შესახებ, „ციდან დაშვებულებზე“ და სხვა წამოჭრილ კითხვებზე, რაც ძველ კოლხურ ცივილიზაციასთან და შესაბამისად, საქართველოსთან პირდაპირ კავშირშია, თანდათანობით მივყვეთ. ვისაც ყოველივე ზემოთქმულის არ სჯერა, მან ზღაპრად ჩათვალოს ყველაფერი.

კარტოგრაფი მეკობრე ადმირალის, „ამბავი პირისის რუკისა“, პასუხგაუცემელია.

რა ინფორმაცია ჩვენამდეა მოღწეული, მის მიხედვით, პირველი გეოგრაფიული რუკა და კოსმოსის გეოცენტრული მოდელი შექმნა-შეადგინა თალეს მილეტელის მონაფემ ანაქსიმანდრემ (ძვ.წ. 610-546).

ყველა ძველ ხალხებს ჰქონდათ რუკის მსგავსი ჩანახაზები, მაგრამ ეს რუკები მოკლებული იყო მეცნიერულ საფუძველს, რადგან რუკა რომ გამოიხატოს, როგორც რეალობის სწორი ამსახველი დოკუმენტი, იგი აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს მათემატიკურ მეთოდებს. ამდენად, გეოგრაფიაში მათემატიკურ-კარტოგრაფიული მიმდინარეობის პირველი შემქმნელია ერასტოსტენე კირენელი (ძვ.წ. 276-194), რომელიც გეოგრაფიული მათემატიკის ფუძემდებელია, მან პირველმა გაზომა დედამიწის მერიდიანის სიგრძე.

კარტოგრაფიული აზროვნების მწვერვალს წარმოადგენს კლავდიოს პტოლემეუსის (დაახლოებით 90-168 წწ) შრომები. მისი მთავარი გეოგრაფიული შრომაა „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“ 8 წიგნად. ერთის მხრივ, პტოლემეუსი გეოგრაფიას ასტრონომიული თვალსაზრისით მიუდგა, მეორე მხრივ, ცდილობდა მისთვის ცნობილი სამყარო დაეტანა რუკაზე. ნაშრომს ახლავს დედამიწის ზედაპირის 27 რუკა. ცხადია, პტოლემეოს კლავდიოსის შედგენილ რუკაზე კარგად ჩანს კოლხეთი...

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ კოლხები მამაცი ზღვაოსანი, გემთმშენებლები და კარტოგრაფები იყვნენ. მათ კაცობრიობის ისტორიაში პირველებმა დაიწყეს ვეშაპზე ნადირობა და მისი ხორცისა თუ ქონის გამოყენება. კოლხების ხომალდები დიდი არ იყო, მაგრამ სწრაფმავალები იყო და თავისუფლად დაცურავდნენ ზღვებსა და ოკეანეებზე. კოლხები შესანიშნავად ფლობდნენ ასტრონომიას, იცოდნენ ციური სხეულების გადაადგილების ურთულესი კანონები და მათი საშუალებით კარგად იკვლევდნენ გზებს წყალზე.

ცნობილი გერმანელი გეოგრაფი კარლ რიხტერი (რიტერი) წერს: „კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივდება სრულებით არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს, ვინაიდან ბევრად უფრო დიდი ხნით ადრე ხმარებაში იყო კოლხ მოგზაურთა შორის“.

რაც შეეხება თვით ანტარქტიდას – ბოლო დროის კვლევებისას აღმოაჩინეს 3 წაგრძელებული თავისქალიანი ჩონჩხი და ცხოველების გენეტიკური მასალები. ასევე, ბრიტანელებმა აღმოაჩინეს დიდი, 100 კმ-იანი გვირაბი ყინულის საფარველის ქვეშ („იუთუბიზეც“ გავრცელდა). გამოითქვა ვარაუდი, რომ ყინულქვეშ გვირაბების ქსელია გამოჭრილი. ეს აღმოჩენა სატელიტური ფოტოსესიისა და თვითმფრინავების რადარული სკანირებით მოხდა. ექსპერტების აზრით, გვირაბის ტექნიკური პარამეტრები გამორიცხავს მათ ბუნებრიობას – მკვეთრად გამოჭრილი კონტურები მიაჩნევენ მათ ხელოვნურ შექმნაზე, მაგრამ თავსატეხი ის არის, რომ მათი შესაქმნელი ტექნოლოგიები ჯერ არ აქვს დედამიწას...

აზრის შემოწმება, რომ ყველაზე დიდი გვირაბი მიდის ყინულქვეშ არსებულ უძველეს მითოვებულ ქალაქთან, შეუძლებელი აღმოჩნდა – ყოველ შემთხვევაში, ასე გაავრცელეს ინფორმაცია, თუმცა, იმდენი ექსპედიცია ჩატარდა და ისეთი ინფორმაციული ვაკუუმი, პირიქით, სხვაგვარ ეჭვებს ბადებს. ფაქტია რომ, ანტარქტიდაზე დროდადრო ყინულის ფენა იმდენად იკლებს სხვადასხვა ადგილზე, მიწის ზედა ფენაც კი ჩნდება. მართალია, შემდეგ ისევ იფარება და სურათი რადიკალურად იცვლება, მაგრამ სატელიტიდან გადაღებულ რამდენიმე ფოტოზე უხარისხო, მაგრამ ერთგვარად საეჭვო კონტურები გამოჩნდა, თითქოს სვასტიკის (თუ ბორჯღალის?) მსგავსი დიდი ნაგებობისა და შენობების ნარჩენებისა.

ცნობილია, რომ ჰიტლერი მისტიკით იყო გატაცებული და იმდენად სჯეროდა მისტიკური ამბების, „ფაუ-2-ის“ წარმოებაც კი შეაჩერა დროებით, რათა „მარადიული ყინულის სამეფოს“ განრისხება არ გამოენჯია. „ნაცისტების“ ერთ-ერთი საიდუმლო მიმართულება სწორედ ანტარქტიდის კვლევა-ათვისება იყო, რადგან მაგებით გარშემორტყმულ „უფროსობას“ სჯეროდა, რომ უძველეს არიელებს ანტარქტიდაზე მიაგნებდნენ, ანუ უძველესი ცივილიზაციის კვალს. გავრცელებული ინფორმაციით, ანტარქტიდის გამიზნული კვლევებისთვის მსვლელობები ჯერ კიდევ 1935 წელს დაიწყო. როდესაც აღდგომის კუნძულების ქანდაკებები (ამის შესახებ მოგვიანებით ვთქვათ) იხილეს და მიიღეს ვერსია, რომ ისინი „თეთრი რასის“ დატოვებული იყო, ანტარქტიდის მიმართულებით გაუყვნენ და დააარსეს ერთ-ერთი პირველი სადგური, რომელიც, ამჟამად „სან მარტინის“ სახელითაა ცნობილი, გემებმა კი გზა განაგრძეს. ამ სადგურიდან გამუდმებით ფრენდნენ მათი მზვერავი თვითმფრინავები და ასე იპოვეს „ოაზისი“. სურათების გამჟღავნებამ გამოაჩინა რალაც ნაგებობების კვალი და მიჰყვნენ აღმოჩენას. ეს იყო მკვდარი ქალაქი, სადაც დარჩენილი იყო შენობის ნანგრევები, საფეხურები, შავი ობელისკები. მიწა, რაზეც იდგნენ, ვერ დაადგინეს ხელოვნურად დამუშავებული კლდე იყო თუ ერთმანეთთან იდეალურად მიზჯენილი ქვის ბლოკები. ქალაქში ჩანდა საფეხურიანი ტაძარიც, აცტეკების პირამიდის მსგავსი. ობელისკზე, რომელიც დაფარული იყო ნახატებით და წარწერებით, მეცნიერები იეროგლიფებს ელოდნენ, თუმცა, გაურკვეველი ანბანი აღმოჩნდა, რომელიც გერ-

მანელებმა რუნებს მიაღმგავსეს, მაგრამ ვერაფერი გაუგეს. მოედნის კიდეებში ოთხი გოლიათური ზომის სკულპტურა იდგა. ტაძარს შესასვლელი ვერ უპოვეს. ე.წ. ცენტრალურ ქუჩას პერპენდიკულარულად მიყვებოდა მეორე ქუჩა, რომელიც ბოლოში გვირაბით ბოლოვდებოდა და ორი ობელისკი იდგა. გვირაბში ნახეს რომ ორი არხი მიუყვებოდა სიღრმეში, თითქოს სარელსე, კედლებს კი გადახლართული ხაზების უცნაური ორნამენტები გასდევდა. გვირაბი გაუვალი იყო და გამოსაკვლევად დაბრუნება გადანყვიტეს. ქალაქის დათარიღება ვერ შეძლეს, პირობითად კი „ეაროდრომი“ უწოდეს.

ამ დროს გემებმა, რომლებიც კონტინენტის ნაპირს მიუყვებოდნენ, მალევე აღმოაჩინეს თბილი დინება, რომელიც ყინულების ქვეშიდან გამოდიოდა და იქვე, შორიახლოს, ჩამქრალი ვულკანი. აქვე იპოვეს გიგანტური ყინულქვეშა გვირაბები, რომლის შიგნით იყო დიდი ტბები, ხოლო ტბების ქვეშ მღვიმეების კიდევ ერთი საფეხური, ცარიელი ადგილები, სადაც დასახლება შეიძლებოდა, ანუ იდეალური ადგილი ბაზის მოსაწყობად. მოაწყვეს კიდეც და ამ ადგილს „ვალჰალა“ დაარქვეს. (ბოლო წლებში რუსებმაც აღმოაჩინეს ანტარქტიდაზე მინისქვეშა ტბა, რომლის ქვეშ დინებაა და უკავშირდება ქვედა მღვიმეებს, ანუ იგივენაირი სისტემა). მღვიმეების ბოლოში იპოვეს სიღრმეში ჩამავალი შახტა, რომლის შესასვლელთან ქვის სტატუა იდგა, ფრთებიანი ლომის მსგავსი. ამ პერიოდში მთელი ექსპედიცია გრიპის ვირუსმა შეაყოვნა. გარკვეული პერიოდის შემდეგ შახტაში კვლავ ჩავიდნენ მკვლევარები, მაგრამ რომ აღარ დაბრუნდნენ, მეორე ჯგუფი გაგზავნეს, რომელმაც ისინი გაურკვეველი მიზეზით გარდაცვლილები ნახა. მეორე ჯგუფის გაგზავნის შემდეგ, როდესაც ისინი დაიკარგნენ (მთლიანობაში 17 ადამიანი დაიკარგა და დაიღუპა გაურკვეველი მიზეზით), შეწყვიტეს შახტას კვლევა. არა ერთი გვირაბი ნახეს და კიდევ ერთი მიტოვებული ქალაქი, მაგრამ ამასთანავე შენიშნეს, რომ რაღაც უცნაურ მოვლენებს და ამოუხსნელ ფაქტებს აწყდებოდნენ, მათ შორის, გაურკვეველი მიზეზით კვდებოდნენ ადამიანები და იკარგებოდნენ თვითმფრინავები. „ნაცისტებს“ ეს არ აღეგებდათ, კვლევა გრძელდებოდა. ასე აღმოაჩინეს ზემოთ აღწერილი ადგილები, სადაც შემდგომში თავიანთი ბაზები განათავსეს და ფუნქციონირებდა ნახევარი საუკუნის წინ. იმ ადგილებს „ახალი შვაბია“ უწოდეს. (ადმირალ ბერდის ექსპედიციას დავალებული ჰქონდა გერმანელების ბაზების პოვნა და განადგურება, მაგრამ „ნაცისტები“ მომზადებულები დახვდნენ).

ჟაკ-ივ კუსტოსაც (საფრანგეთის დაზვერვასთან თანამშრომლობდა) ჰქონდა დავალება, რომ ეპოვნა გერმანელების ბაზები ანტარქტიდაზე, მაგრამ სანამ ბაზების კვალს დაადგებოდა, დიდი მინისქვეშა გვირაბი იპოვა, რომელიც ასევე კარსტულ მღვიმეებთან შედიოდა, სადაც სიცარიელე და ისეთი იდეალურობით მოცული დიდი ტბა იყო, რომ ეშინოდათ კიდეც მისი. ერთ დღეს ტბამ ნათება დაიწყო, რომელიც ვერაფრით ახსნეს. ტბის პირასაც იდგა 2 ობელისკი. ერთი მათგანის საფრანგეთში წაღების ბრძანება გასცა კუსტომ, მაგრამ ვერანაირი იქ არსებული ტექნიკით ვერ შეძლეს მისი ადგილიდან მოხსნა და თავი დაანებეს.

გვირაბების ქსელში კუსტომაც იპოვა გვირაბი, რომელიც სიღრმეში შედიოდა, მის წინ კი ფრთებიანი ლომის მსგავსი ცხოველის ქვის სტატუა იდგა, მაგრამ როდესაც პირველი ჯგუფი აღარ დაბრუნდა და მეორე ჯგუფმა ისინი გარდაცვლილები ნახა (მათი გამოტანაც კი ვერ მოახერხეს. 5 ადამიანი დაიკარგა და გარდაიცვალა გაურკვეველ ვითარებაში), კუსტოს იქ აღარავინ გაუგზავნია.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ამჯერად ანტარქტიდის „ოაზისის“ საკვლევად წასულ რუსებს გვირაბის შესასვლელი თავზე აუფეთქდათ და 3 კაცი მოუკვდათ. ექსპედიცია მცირე ხნით გადადეს, შეიარაღდნენ ტექნიკით, მაგრამ უკან მიბრუნებულებს აღარც ტბა დახვდათ, აღარც „ოაზისი“ და სულაც ველარც იპოვეს ის ადგილი, თოვლმა გადაფარა.

რუსულმა დაზვერვამ, როდესაც მიიღო ინფორმაცია კუსტოს ექსპედიციაზე, 3 გემით მიადგა ანტარქტიდას. მიაკვლიეს კუსტოს ექსპედიციის ადგილსაც და მისი ნევრების ჩონჩხებსაც, მაგრამ გვირაბის ჩახერგილ შესასვლელს ვერაფერი მოუხერხეს, დინამიტმა ძვრა ვერ უყო ქვის ბლოკს. საბოლოოდ, ჩათვალეს, რომ ეს ქვის ბლოკი კი არა, გაურკვეველი შემადგენლობის მასალაა, რომელსაც ვერაფრით მოერევიან და ხელცარიელები გამობრუნდნენ.

ყველა ეს ექსპედიცია დაფარული იყო თავის დროზე, შესაბამისად, ახლაც არაფერი იცის ხალხმა რა ხდება ანტარქტიდასთან დაკავშირებით, რა ღონეზება მისი კვლევა, შეუძლია თუ არა ვინმეს იმის თქმა, რა ცივილიზაციის კვალია ნაპოვნი ყინულოვან კონტინენტზე, რომელიც ოდესღაც განვითარებული და სიცოცხლით სავსე ხმელეთი იყო.

შემთხვევით არ ჩავძიებვიართ ანტარქტიდას! საუბრის დასაწყისში ვახსენეთ, რომ სვასტიკის მსგავსი ფორმის შენობის კონტურები გამოისახა სატელიტიდან გადაღებულ ფოტოზე. ეს შენობა, მოქმედი თუ უკვე „მკვდარი“, ფაშისტური გერმანიის მიერ სიმბოლოდ აღებულ სვასტიკამდე ათასწლეულების წინ არსებობდა ამ ფორმით.

საინტერესო ფაქტია – ლალიბელა პატარა ქალაქია ჩრდილოეთ ეთიოპიაში, რომელიც მსოფლიოში განთქმულია მონოლითური ტაძრებით. ლალიბელას მოსახლეობა მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. ლალიბელაში 13 ტაძარია და ყველა მონოლითი კლდეშია გამოკვეთილი. გამოითვალა, რომ ტაძრების აგებას ასობით ათასი კუბმეტრი ქვის გამოჭრა დასჭირდებოდა.

ეთიოპიის ისტორიის მიხედვით, მეფე ლალიბელამ მე-12 საუკუნეში მოინახულა იერუსალიმი და მუსლიმანთა იერუსალიმის დაპყრობის საპასუხოდ (1187 წ) გადანყვიტა მშობლიურ ქალაქ როჰაში აეგო ახალი იერუსალიმი. როჰას ლალიბელა ეწოდა და ქვეყნის დედაქალაქი იყო XII-XIII საუკუნეებში. ამდენად, ბევრ ნაგებობას ბიბლიური სახელი ჰქვია, მდინარესაც კი, რომელიც ქალაქში მიედინება იორდანე ჰქვია. გადმოცემის მიხედვით, როგორი უნდა ყოფილიყო ლალიბელას კლდეში ნაკვეთი ეკლესია, მეფე ლალიბელას მითითებას აძლევდნენ წმინდა გიორგი და უფალი ღმერთი. მართლმადიდებლური ტაძრის სარკმელი რომ ჯვარს გამოსახავდეს, გასაკვირი არ არის, მაგრამ ლალიბელას ტაძრის სარკმელები ჯვრის გვერდზე იმეორებენ სვასტიკას... საინტერესოა, რატომ?

„სვასტიკა“ (სანსკრიტზე – „კეთილად ყოფადი“) აბნევს ადამიანთა კატეგორიას, რადგან იგი ფაშისტურ გერმანიასთან ასოცირდება, მაგრამ „სვასტიკა“ ის გრაფიკული სიმბოლოა, რომლის მკლავებმოხრილი ჯვრის ვარიანტს, თითქმის ყველა უძველეს კულტურასა და ცივილიზაციაში საკრალული მნიშვნელობა ჰქონდა. სვასტიკა არის ძველ კოლხურ ცივილიზაციაში, შუმერებთან, ეგვიპტეში, ინდოეთში, საბერძნეთში, ირანში (ზოროასტრიზმში), სკანდინავიასა და ძველ გერმანულ მითოლოგიაში. მაიასა და ცენტრალურ, სამხრეთ და ჩრდილო ამერიკის სხვა ცივილიზაციებში, სემიტურ კულტურაში და ა. შ. ცნობილი ატლანტოლოგი ზაიდლერი ვარაუდობდა, რომ სვასტიკა „ატლანტიდის ცივილიზაციიდან შემორჩენილი ნაშთი“ არის...

სვასტიკა არსებობს ოთხმხრიანი, სამმხრიანი (ე.წ. „ტრიკრესტი“) და მრავალმხრივიანი, ამასთანავე, მომრგვალებული მხრებით, რომელსაც ქართულად „ბორჟღალა“ ჰქვია. ერთი ვერსიით სვასტიკის სიმბოლოდ აღება გიორგი გურჯიევმა უკარნახა ნაციზმის ერთ-ერთ იდეოლოგს, კარლ შაუსპოფერს ჯერ კიდევ ოკულტურ-პოლიტიკური ორგანიზაცია თულეს საზოგადოების“ დაარსებამდე. ამ სიმბოლომ, რატომღაც, იმთავითვე ისეთი დიდი პოპულარობა მოიპოვა ხალხში, რომ მოგვიანებით ჰიტლერმა დაწერა: „ეფექტი იმდენად დიდი იყო, რომ ყუმბარის აფეთქებას ჯობდა“.

სვასტიკამ არაერთგვაროვანი მნიშვნელობა შეიძინა, მაგრამ, როგორც ჩანს, პირდაპირი კოსმიური, კოსმიური მოძრაობის, შემოქმედი ძალის, ნაყოფიერების, კეთილდღეობის, აღორძინების, კოსმიური სიბრძნის და ა. შ. ყოველგვარი დადებითის გამომსახველი ნიშანია.

სვასტიკის ყველაზე ძველი ფრაგმენტები ნაპოვნია შუამდინარეთში (შუმერი) და დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ძვ.წ. IV ათასწლეულით თარიღდება. სვასტიკა ამოჩუქურთმებულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამ უძველეს და თავისთავად, მტკვარ-არაქსის, თრიალეთის და კოლხური კულტურის ნიმუშებზე (კერამიკა, სამკაულები, საყოფაცხოვრებო ნივთები, დედაბოძები); მცხეთაში – სამეფო ბეჭდები; რაჭაში – ცული ძვ.წ. II ათასწლეულისა; სვასტიკა არის ქართულ ასომთავრულ ანბანშიც ასომთავრულ ძეგლებში „ქანის“ ასო-ნიშნად.

ფაქტია, სვასტიკა და ბორჟღალა ქართულ (კოლხურ) რეალობაში, საკრალური მნიშვნელო-

ბიდან გამომდინარე, უდიდესი დატვირთვის ყოფილა. ეს ორნამენტული კომპოზიცია მზის შვილის აიეტის ქვეყანაში მიიჩნეოდა მზის მისტერიად, სიცოცხლის უკვდავობის, საიდუმლო ცოდნის, ძალაუფლების, შემოქმედი ძალის, კეთილდღეობის, ნაცოფიერების სიმბოლოდ.

„ბორჯღალის“ ყველაზე საკრალური ლოგოგრამის შესატყვისია მეგრული (კოლხური) „ბარჩხალი“ (თვალისმომჭრელი) ნათება, ელვარება, კაშკაში. დღევანდელ სალაპარაკო მეგრულში „ბჟაბარჩხალია“ – იტყვიან მცხუნვარე, მოკაშკაშე სხივებდაფენილ მზეზე... მნათობებზე...

ზოგი მკვლევარი „ბორჯღალის“ სხვა ინტერპრეტაციას იძლევა, თუმცა დიდად არაფერი იცვლება, პირიქით მეტ დატვირთვას იღებს. „ბორჯ“ მეგრულად „დრო“ არის, ჟამი, „ლალ(ა)“ – ნალება, სვლა, ამავდროულად – მდინარე.

სხვა ვერსიით „ბორჯღალი“ ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს „ფესვს“, „საძირკველს“, აქედან არის ნაწარმოები მისი გვიანდელი ფორმა „ბურჯი“. სიტყვა „ლალ“ ნიშნავს „წმინდა (ჯანსაღ) ნაყოფს“, „მოსავალს“, „გამოსავალს“, „ბარაქას“...

„ბორჯღალი“ ჰქვია ასევე, ირმის რქასა და ხის ისეთ ტოტს, რომელიც დატოტვილია შედარებით წვრილი ტოტებით (აქედან ნაწარმოები „გაბარჯღული“, რომელიც ფესვებგანტოტვილზეც ითქმის და მყარად მდგომ ადამიანზეც რაჭულ დიალექტზე). ირმის რქა ოდითგანვე მიიჩნეოდა სიცოცხლის ხის სიმბოლოდ, ხოლო მისი ცვლა ქართულ მითოლოგიაში უკვდავების მინიშნება იყო.

საქართველოში ყველაზე გავრცელებული იყო 7-ქიმიანი ბორჯღალა, კოსმოსის სიმბოლური განსახიერება, ქრისტიანობამდელ ქართულ პანთეონში არსებული შვიდი წმინდა მნათობის ხატოვანი ნიმუში. კონცენტრაციის ცენტრი, „ბურჯი“, საიდანაც თითოეული „ლალა“ (მნათობი) გამოედინება, ღმერთის სავანეს სიმბოლოდ მიიჩნეოდა, ყოველივე ხილულისა და უხილავის შემოქმედად. (მთოვარე – ყამარ – მთვარე; ჯუმა – ერმი, ოტარიდი – მერკური, მთიები – ცისკრის ვარსკვლავი – ვენერა, აფროდიტე, იშტარი; მარიხი – არიან, თახა – მარსი; დია – მუშთარი – იუპიტერი; ზუალი სატურნი; ჰელიო – არდი – მზე).

ყველაზე თამამი ვერსიით, „პირისის რუკა“ იმ გამქრალი (თუ მიმალული?) ცივილიზაციის ცოდნის შედეგია, რომელიც ფლობდა მაღალ ტექნოლოგიებს, ფრენდა ცაშიც და კიდევ ვინ იცის, რა საშუალებით, მაგრამ უსწრაფესად გადაადგილდებოდა სამყაროში. ამ უცნობი ცივილიზაციის კვალი დღევანდელი მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მრავლად გვხვდება, მაგრამ ჯერ მაინც რომ ვერ წვდება ადამიანის გონი რა და როგორ იყო? იქნებ ამის მიზეზი სწორედ ის არის, რომ „ეფუთის“ დაკარგვიდან (ქურდობიდან) დაწყებული, დღემდე ჩვენი (კოლხეთის) ისტორიის გაყალბებამ, შესაბამისად მსოფლიო ისტორია გააყალბა და სრულიად არი-დარია „გორგალი“, რომლიდანაც წვერი უნდა გამოიღოს მის გასახსნელად?

ამერიკელი უფოლოგები ამტკიცებენ, რომ კაცობრიობამ „ცხოვრება ისწავლა“ ძველი შუმერებისაგან, რომლებიც ჩვ.წ.აღ-მდე 5 500 წლის წინ ცხოვრობდნენ, რომ მათ თიხის ფირფიტებზე ყველაფერი წერია ჩვენი წარმოშობის შესახებ და ისინი ყველაფერზე ამომწურავ ცნობებს ფლობდნენ, რომ შუმერთა ნახატებში ჩანს ობიექტი, რომელიც უცხოპლანეტელთა ხომალდია და სწორედ, ეს უცხოპლანეტელები მართავდნენ შუმერს, სწორედ, მათი ასო-ნახატებისაგან ირკვევა ის „ამბავი“, რომ შუმერებმა „აუნაკის“, „ანუნაკის“ – „ციდან დაშვებულ(ებ)ისაგან“ ისწავლეს ყველაფერი და მთელ მსოფლიოს გაუზიარეს, რომ სწორედ, ქალაქ ერედუში დაეშვა ციდან პირველი სამეფო ხელისუფლება...

ბადია სოფია: – „სწორედ იმ პერიოდში, 5 500 წლის წინ და კიდევ უფრო ადრეც, აღნიშნულ ტერიტორიებზე მეგრულ-ლაზურ (ქართულ) ენაზე მოლაპარაკე ხალხები ცხოვრობდნენ. სწორედ ქალაქ ურისტან მდებარეობს მსოფლიოს უძველესი ძველი მთვარის ღმერთის „ნანას“ (მეგრელთა ღმერთის) ტაძარი, რომელიც აგებულია ჩვ.წ.აღ-მდე ოცი საუკუნით ადრე...“

მეცნიერებს გარკვეული აქვთ, რომ ეგვიპტურ ცივილიზაციას დიდი ხნით უსწრებდა შუამდინარეთის ცივილიზაცია, ხოლო ქალღმერთი ნანას ქანდაკება (შუამდინარეთი) ეგვიპტურ ქალღმერთ ისიდას (შვილით) ქანდაკებას. ასევე, „მადონა“, როგორც „ნანა“, უძველესი მეგრული (კოლხური) სახელია.

წარღვნის შესახებ ლეგენდის რამდენიმე ვარიანტი არსებობს, მათგან ერთ-ერთი უძველესია გილგამეშის ეპოსი, სადაც წარღვნის გმირებად ნახსენები სუმბაბა, ენაიდუ, უთუ, არარუ, მაშის მთა — თვით გილგამეშიც (გულ-კამეჩი) იხსნებიან მხოლოდ მეგრულ (კოლხურ) ენაზე. შუმერული მითოსის კუნძულის სახელწოდება „დილმუნი“ ასევე ლაზურ-მეგრული წარმოშობისაა; ალაპა და შვიდი აფქალი დღესაც იხმარება მეგრულად და ა. შ. უამრავი სიტყვები დღევანდელ ლაზურ-მეგრულ (ჭანურ) სალაპარაკო ენაში. შუმერული „ნანა“ იგივე მეგრული (კოლხური) „ნანაა“. ამ ღვთაებრივ „ნანას“ უმღეროდნენ დაახლოებით ოთხი-ხუთი ათასი წლის წინ ისეთ ულამაზეს სიმღერებს, როგორიცაა: „ნანაია ნანა“, „ნანასქუა“, „დიდოვ ნანა“, „ვოვ ნანა“. ასევე, თავიანთი სახელმწიფო „აიას“ სადიდებლად შეუქმნიათ „ოდოია“, სიმღერა მთვარის ღვთაება „ნანაზე“, იგივე დედაზე. ეს სიმღერები შექმნილია ეგეოსის ზღვის კუნძულ ევბეზე.

„შუმერებსაც“ ჰქონიათ სიმღერები თავიანთ ქალაქ ერეხეთსა და მთვარის ღვთაება „ნანაზე“ და მეგრელები დღემდე მღერიან ქალაქ ერეხეთზე – ათი მეფის შემდგომ მოვიდა მერეხი (ძლიერი წვიმა სეტყვით) და დატბორა ის კუთხე, სადაც იყო ქალაქი ერეხი... „ერეხელი ვარ-და, მერეხელი, ელიზბარი ამისთანა სარკო, მიქელიო ვარ-და მიქელიო ძღაბ მეურს გაჯათური ბოშ გეთხოზ გაჯათური ქვერ... ქვერი ვარ-და ახალ ქვერი იმ ქვირიას იმ ქვირია თუ დო ხორცი ხაშმიერი დაფარული ერი-ერი ქუმ, ქუმ ვარ-და, ქუმ ურძლარი ნება სქანი სახსოვარი, ჰო,ჰო, ჰოი მიქელო“.

ვისაც მოსმენილი აქვს პლასიდო დომენიგოს შესრულებული „ვა გიორქუ“, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტის შინაარსი, შესაძლოა, არ ესმოდეს, ვერ უარყოფს, რომ უცხო ენაზე უსმენდა ზეჰარმონიულ საგალობელს...

პელაზგ მაკრონებს – მეგრელებსა და ჭანებს, ისევე როგორც შუმერებს ძვ.წ.ად დაახლოებით II ათასწლეულის მეორე ნახევარში ეგეოსის კუნძულ ევბეაზე ჰქონდა ქალაქ-სახელმწიფო, რომლის სახელწოდება „ია“ ყოფილა და ჰყოლიათ მეფეები – ჰიბერიონი და ჰელიოსი. იმდროინდელ კოლხურ ხალხურ სიმღერებად ითვლება ის სიმღერები, რომლებმაც ათასწლეულებს გაუძლეს და დღემდე ვმღერიოთ: „ოდოია“, მთვარის ღვთაება ნანაზე, ფინიკიელების მიერ მოტაცებულ იოზე და შუმერების ქალაქად ცნობილ ერეხეთზე (და სხვა).

რატომღაც, მივივინწყეთ (თუ მიგვავინწყეს?!) სიმღერა „იოზე“, რომელიც ასე იწყებოდა „ჰოჰო იო მუშენ ვა მორთიო“. იო არგუსის მეფის ასული იყო, რომელიც ფინიკიელებმა მოიტაცეს და ეგვიპტეში ჩაიყვანეს...

ვის შეუძლია უარყოს, რომ დღემდე არსებობს ერთი ცოცხალი პატარა ერი, რომელსაც ლექსიკურ საგანძურში შემონახული აქვს არა მხოლოდ სხვა ცოცხალი ერების სიტყვა-ზმანები, არამედ უკვე გამქრალი ცივილიზაციებისაც – ეს არის ქართული ენა. ენა, იდეალური ანბანით, რომელშიც ყველა ბგერა ერთ ასოს შეესაბამება და ყოველი ასო ცალკეულ ბგერას; არავითარი გრძელი ბგერა, მუნჯი ასო, დიფთონგი ან არტიკლი – ანყობილი გრამატიკული წესრიგით.

„ქართული ენის ცოდნამ მე ძლიერ მიშველა ჰამ-ურ-აბის კანონების თარგმნა-წაკითხვაში“ (სავარაუდოდ, აქედანაა შექმნილი მოგვიანებით მოსეს 10 მცნება) – გაიხსენა ექვთიმე თაყაიშვილმა (დაცულია ლუვრში, საფრანგეთი).

ქრისტეშობამდე დაახლოებით 3 000 წლის წინ, ოთხ ზღვას (შავი, კასპიის, სპარსეთის უბე და ხმელთაშუა ზღვა – ტერიტორია ინდოეთის დასავლეთიდან იბერიის ნახევარკუნძულამდე – ესპანეთი და კავკასიიდან ქვევით, სპარსეთის ყურემდე) შუა მდებარეობდა ღმერთ „ქალდუს“ გეოგრაფიულად და პოლიტიკურად განვითარებული სახელმწიფო. ყოველივეს ამის სანყისი და მემკვიდრე არიან ქართველები, რადგან სხვა არავინ დარჩა, რაც მტკიცდება მრავალი ლინგვისტური გამოკვლევებითა და არქეოლოგიური მასალებით – ეს მოსაზრება აქვს გატარებული ბატონ რევაზ გაბაშვილს თავის ნაშრომში. საუბარია ქრისტეშობამდე ცივილიზაციაზე, რომელიც ბევრად უსწრებდა წინ ყველა სხვა უძველეს ცნობილ ცივილიზაციებს.

„მდინარე რიონს (ფაზისს) ძველი ბერძნული წყაროები „ამარანტოსს“, ხოლო რიონის ზემო ნელის მკვიდრებს „ამარანტებს“ უწოდებდნენ. თუ ამ სახელს თეომეცნიერული არსით შევხე-

დავთ, ეს ხსნის იმ თეოკანონებს, რომლითაც ძველი ხალხები ცხოვრობდნენ. ამ კანონით „თაკირიე“ (თაკვერი), ანუ რაჭა-ლეჩხუმი, ისტორიული კოლხეთის „საღვთო მამული“ იყო და სახელწოდება „ამარანტები“ ასე უნდა წარმოვსახოთ „ამონ+რა+ატონ“, რაც სავსებით კანონზომიერია მზის თაყვანისმცემელთა იმ დროს გაბატონებულ რელიგიაში. „ამონ“ – დილის მზეა, „რა“ – შუადღის, „ატონი“ – საღამოს მზე. არსებითად, დასახელება „რაჭა“, „ლეჩხუმი“ და „სვანეთი“ – თეოტოპონიმებია და ასახავს ძველი რელიგიების ფუნდამენტალურ არსს, რომელიც „მსოფლიო ცივილიზაციის აკვნად“ აღიარებული ხალხების რწმენა იყო და ედენას თეოკულტურამ დღემდე მოიტანა.

ეს თეოკულტურა ისტორიულად მოიცავს დიდი კავკასიონის ორივე ფერდობს, საქართველოს მხრიდან რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთს და ჩრდილოეთის მხრიდან ისტორიულ ჩერქეზეთს, რომლის ტერიტორიაზე დღეს განფენილია ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ყაბარდო-ბალყარეთი და ოსეთის ის ნაწილი, რომელსაც დიგორი ეწოდება.

თუ ჩვენ უარს ვიტყვით ედენას თეოკულტურაზე, მაშინ ყოველგვარ ფუნდამენტს გამოვაცლით იბერიულ-მელქისედეკიანური მართლმადიდებლური ცნობიერების აღდგენას, რაც „იბერიის გაბრწყინების“ მეცნიერული საფუძველია და რომელმაც კაცობრიობას უნდა განუცხადოს უფლის სიტყვები: – „ნუ გაგიკვირდებათ რომ გითხარით, ხელახლა უნდა დაიბადოთ-მეთქი“ (იოანე 3.7).

შუმერების მემკვიდრეობა ქართულ ეროვნულ წიაღში დღემდე არსებობს „ედენას თეოკულტურის“ სახით, რასაც მეცნიერული შესწავლა, დაცვა და გამომზეურება სჭირდება. თუ როგორ არის ჩვენს ეროვნულ სინამდვილეში შუმერული თეომემკვიდრეობა „ედენას თეოკულტურის“ სახით წარმოდგენილი, იმ მცირედითაც დარწმუნდებით, რასაც ფაქტებად წარმოგიდგინებ. (ალარაფერი რომ აღარ ვთქვათ სხვა იმ თეომეცნიერულ ფაქტებზე, რომელიც აუარებაა ედენას თეოგეოგრაფიულ რეგიონში, რომელიც ემთხვევა რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის ტერიტორიას).

კოსმოსიდან გადაღებულ ფოტოს თუ დავაკვირდებით, გამოკვეთილად ჩანს კავკასიონის მთავარი ქედი, რომლის ერთი ბოლო კასპიის ზღვის, აფსერონის ნახევარკუნძულით და მეორე ბოლო – აზოვის ზღვის, ტამანის ნახევარკუნძულის სანაპიროებით არის განსაზღვრული. კავკასიონის ქედის მთლიანი სიგრძე 1 200 კმ-ია. კავკასიონის ზუსტად შუა წერტილში მდებარეობს ედენას მწვერვალი, რომლის ორივე ბოლოდან დაშორება 600 კმ-ია. იმისათვის, რომ გავერკვეთ რითია მნიშვნელოვანი ეს მწვერვალი, მოგანვდით შემდეგ მონაცემებს „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან“:

„ედემი“ – ძვ. ებრაული, წარმოდგება ედენასგან. ბიბლიური ტრადიციით ადამიანის პირველსამყოფელი – სამოთხე. აქ იღებდა სათავეს 4 მდინარე. რეალურად, ედენას, როგორც გეოგრაფიული პუნქტის, ლოკალიზება შეუძლებელია. ძველ ქართულ წყაროებში, ჩვეულებრივ, ედენას აღსანიშნად იხმარება „სამოთხე“. ედენა, სავარაუდებელია, ნასესხებია ბერძნულიდან და გადატანით ნიშნავს „მადლით მოსილ ადგილს დედამიწაზე“ (ქართ.საბჭ. ენც. ტ IV გვ. 27).

„ედენა“ – მწვერვალი ცენტრალურ კავკასიონზე რიონის სათავეში. სიმაღლე 3 951 მეტრი; „ედენა“ – ხეობის ტიპის მყინვარი რაჭის კავკასიონზე. სიგრძე 4 კმ. ფართ. 5 კვ/კმ.

[ს] ხუვავა – ედენას ტევრის წმინდა კედრების მცველი (ს. კრამერი „ისტორია იწყება შუმერიდან თბ. 1988 წ. გვ. 22).

„სხუვავა – სოფელი ამბროლაურის რაიონში (ქართ. საბჭ. ენც. ტ. IX. გვ.629).

ედენას მთა-მყინვართა რეგიონი სათავეს აძლევს ოთხ მდინარეს: რიონს, ცხენისწყალს, ურუქს და ბალყარეთის ჩერეკს. ასევე, საღვთო ისტორია ედენას მთას მიიჩნევს „ქვეყნიერების შუაგულად“ (1874 წელს კავკასიას ცნობილი ალპინისტი ფლორენს კროუფორდ გროუვი ესტუმრა. მან პირველმა აღნიშნა, რომ კავკასიის ერთ-ერთი მთა სწორი კონუსისებური ფორმით გამოირჩევა. ეს მთა ჩერეკის ხეობაშია. დღეს უკვე ცნობილია, რომ ეს დაფარული პირამიდაა, რომელიც გვირაბებს მალავს).

მთა „შოდა“ მოხსენიებულია გილგამეშის მოგზაურობისას „ედენას ტევრში“, სადაც მან მზის ამოსვლა ორჯერ იხილა. „შოდის“ (შედუ) ქედის მწვერვალზე, ლოღორაზე, მართლაც

აქვს მზის ორჯერ ამოსვლის მოვლენას ადგილი, სადაც გაემგზავრა მეფე გილგამეში (მუხამეში) ენქიდუსთან (ოჩოპინტრესთან) ერთად „წმინდა წითელი და თეთრი კედარის“ წასაღებად.

„ედენას ტევრს“ აღწერილობის მიხედვით, „ვერცხლისფერი მთები“ ამშვენებდა და იცავდა გოლიათი აგებულების (ს)ხუვავა. როდესაც ბრძოლა გაუმართეს (ს)ხუვავს, რომელიც შეიარაღებული იყო მეღამებით (ჭეჭა-ქუხილის მსგავსი იარაღით), მან შვიდი მეღამე სტყორცნა, მაგრამ გმირებმა მანინც დაამარცხეს, შეიპყრეს, თავი მოჰკვეთეს და წაიღეს მათთვის საჭირო „წმინდა თეთრი და წითელი კედრები“.

მეცნიერები ამაოდ დაშვრნენ ედენას თეოკულტურული არეალის ძებნით და სავარაუდოდ, ედენას არეალად ურარტუს მთიანეთი (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე) მიიჩნიეს, მაგრამ იქ, რომ არც „ვერცხლისფერი მთები“ არ იყო, არც „წმინდა წითელი და თეთრი კედარი“ და არც ედენას მთა და მყინვარი, საიდანაც ოთხი მდინარე იღებს სათავეს, თავიანთი ვარაუდი თვითონვე დააყენეს ეჭვქვეშ. ეს სურათი ნათლად ასახავს 5 200 წლის წინ აღწერილს „ედენას ტევრს“, ანუ „ცოცხალი კაცის ქვეყანას“, იგივე „ღმერთების ქვეყანას“, „ამარანტების ქვეყანას“ და ა. შ.

რაც შეეხება „წმინდა კედრებს“ – თეთრი კედარი ეს არის კავკასიური სოჭი, რომლითაც დღესაც მდიდარია „ედენას ტევრი“, ანუ რაჭა და დიდი მოთხოვნაა მასზე უცხოეთში. წითელი კედარი – ეს არის უთხოვარია (წუთული), რომელიც მენშევიკების დროს ინგლისელებმა მილიონი კუბომეტრებით მოჭრეს და დაამზადეს „ედენას ტევრშივე“. ჩვენდა სავალალოდ, დღეს „ედენას ტევრის“ დატბორვა იმ „რალაც ძალების“ ინტერესებშია, რომელიც ცდილობს საკაცობრიო ფასეულობის „ედენას თეოკულტურა“ არ გამომზეურდეს?!

გაყალბებულმა, იმპერიული ინტერესების განმახორციელებელმა მეცნიერთა ჯგუფმა და საუკუნეთა მიღმა რიგ სასულიერო მოღვაწეთა მიერ წარმართული კულტურის შეუფასებლობამ, წარმოუდგენლად დიდი ზიანი მოუტანა ჩვენ ეროვნულ ცნობიერებას და მთლიანად, ამოძირკვა ეთნოყოფითი თვითშეგნება. ჩაგვიბეჭდეს აზროვნებაში დამღუპველ სიყალბეზე დაფუძნებული თვითშეგნება და დაგვაჯერეს, რომ „ღები“ „ამოღებულს“ ნიშნავს, ჭიორა – მწიორს, გლოლა – დაქანებულს, უწერა – აღუწერელს, ონი – ცხენის დრუნჩს ოსურად, მამისონი – დედის სიზმარს, შქმერი – მცენარე შქერს, ბარი – ვაკე ადგილს, ფუტიეთი – ფუტუროს, სხუვავა – სხვა ჰავას, ურავი – ურას, ველევი – ველს, ამბროლაური – ამბროლა ურიას და ა. შ. ამ ცრუ-პენტელეობის უმთავრესი მიზანი იყო ის, რომ აქ მკვიდრებს არ შეეცნოთ ის ფასდაუდებელი თეოკულტურა, რომელსაც „ედენას თეოკულტურა“ წამოადგენს.

სამწუხაროდ, ეს დამღუპველი „სწავლებანი“ დღემდე შეუფერხებლად აგრძელებს თავის მზაკვრულ საქმეს. დღეს წარმოდგენა არავის აქვს აქ მკვიდრებიდან რა ფასდაუდებელი სულიერი საკაცობრიო მნიშვნელობის არის „ედენას თეოკულტურა“. აქ ყოველი სოფელი და ხევი უდიდეს თეოკულტურულ მემკვიდრეობებს ინახავს, რომელსაც სწორი, ჭეშმარიტი თეომეცნიერული ახსნით უნდა მივუდგეთ და ვასწავლოთ მრევლს ის ეროვნული თეოკულტურა, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო.

ვითომ, რა მიზნით დგას ედენას თეოკულტურული რეგიონის ცენტრში ღვინის ბოთლის ძეგლი?

რატომ არავის სურს დღეს, სულიერი მკვდრეთიდან გააღვიძოს „ედენას ტევრელები“?

რატომ არის, რომ მსოფლიოში სწორუბოვარი „ედენას თეოკულტურის“ განძის მფლობელი მხარის სოფლები მიტოვებულ-გაპარტახებული და დაცლილია?

რას აკეთებს ხელისუფლება, ეკლესია და საზოგადოება იმისათვის, რომ ასეთი მნიშვნელოვანი მემკვიდრეობის ცნობიერი აღქმა, გაგება და სწავლება მოხდეს დღევანდელ ქართველებში?

„უწერა“ – სადღეისოდ გვატყუებენ, რომ თამარ მეფემ თუ რომელიმე ბოქაულმა გაიარა რა ამ სოფელზე, აღმოჩნდა რომ აქ მცხოვრები ხალხი აღწერის დავთარში არ იყვნენ გატარებული და ამიტომ ამ სოფელს დაერქვა „უწერა“?! სინამდვილეში, ქალდეურ-შუმერულად „უწერა“ „სალოცავს“ ნიშნავს. შოდა-რუბოძალის (შედუ-რაბუ) მთების გულში მდებარე

სოფელს ჩამოუდის მუშაანის ხევი (მამუ). აქვეა [ხ]ურუმის სახელით მოხსენიებული ადგილი. ყველა ეს დასახელება შუმერულ-ქალდეურია და მოხსენიებულია მათ უძველეს წყაროებში.

საკაურას მთა, საიდანაც ეს მდინარე იღებს სათავეს, სოფელ ღების ტერიტორიაა, „ღები“ (გები „ღ“ – „გ“) კი ძველევგვიპტური მიწის ღმერთის სახელია. ხშირად, ამ ღვთაებას თავზე ბატის მსგავსი ფრინველი აზის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იგი მისი ტოტემა იყო. „საკაურა“ – „აკაურა“, სულხან-საბას განმარტებით – დიდი, ბატის მსგავსი ფრინველია. თეოსოფიკურად „საკაურე იგივე „საღებოს“ ნიშნავს, ანუ გულისხმობს, რომ ეს ადგილი ღვთაება „ღების“ კუთვნილება. ამრიგად, ჩამოყალიბდა თეოტოპონიმი „საკაურა“. „ედენას ტევრის“ ყველა ტოპონიმი შეგნებულად არის გაყალბებული“. მამა ავთანდილი (გიორგობიანი).

ეგვიპტეში მზის კულტის ქალაქი იყო ჰელიოპოლისი, მზის ქალაქი, ეგვიპტურად „ონი“, რაც რაჭაში მეორდება. რაჭაში მდებარეობს საკაურას მთა და რიონის ერთ-ერთი შენაკადი საკაურა, რაც ზუსტად იმეორებს სესოტრიქსის ეგვიპტურ სახელს, რაჭაში, ბრილის გათხრებისას კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეგვიპტური სკარაბეები და სხვა „უცნაური“ ეგვიპტური კავშირები გამოჩნდა. საინტერესოა, რას უნდა ნიშნავდეს?

„ღ(გ)ები“ (Geb – მიწა) დედამიწის ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში. ეგვიპტელები მას მიწის, ნაყოფიერების, ერთიანობისა და სტაბილურობის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. „ბატისთავიანი ღმერთი“, რომელიც წითელი პარიკით გამოისახებოდა, თვალნათლივ გამოირჩევა ეგვიპტურ პანთეონში საკუთარი ვიზუალით.

ბერძნული მითოლოგიით, ბერძენი ქალღმერთის, გეა-ს ორეული, ნუტის („ცის“) ქმარი, რომლის წიაღიდანაც ადიან მზე და ვარსკვლავები, შემდეგ კი ისევ მას უბრუნდებიან დასავლეთში. „გ (ღ)ების“ ზურგზე დგას „შესნიშნავი ღმერთი“ (მაგიური პაპირუსი ჰარისი) შუ და ხელებით აკავებს ცის თალს, ღმერთების პანთეონშია და დასაბამს აძლევს ფარაონთა მეუფეებს („გ(ღ)ების მემკვიდრეები“). გ(ღ)ების და ნუტის შვილები არიან: სეთი, ოსირისი, ისიდა და ნეფთისი (გესია – ჰოროსი). ის არის მიწის, როგორც პლანეტის პერსონიფიცირება. მისი ნიშნის ბატის გამო, ისიდა „ბატის კვერცხად“ იხსენიება.

ეგვიპტურად „გებ“, ბერძნულად – „გე“, სვანურად – „გიმ“, „გაიმ“ – შედარებისთვის: (ა)გებ(ა) – შენება, ცისკენ მისწრაფება.

კოლხურ-ეგვიპტურ კავშირებზე მოგვითხრობენ თუნდაც ძვ.წ. XX საუკუნისა და ძვ.წ. XVI საუკუნის პაპირუსები „ხომალდის დაღუპვას გადარჩენილი კაცის ამბავი“ და „ფუნტის ექსპედიცია“ – ორივე შემთხვევაში „ედენას ტევრის“ თეოკულტურულ რეგიონთან, მასთან კავშირ-ურთიერთობასთან გვაქვს საქმე ძვ. ეგვიპტელთა უმთავრესი მზის ღვთაების ქალაქის „ონი“, „პატარა ონი“ და „ღების“ სახელით.

ეგვიპტური და ქართველური სამყაროს კავშირებზე პირველი ცნობები „ისტორიის მამად“ წოდებულ ჰეროდოტეს ეკუთვნის, რომლისთვისაც კოლხთა და ეგვიპტელთა მსგავსება ეჭვს არ იწვევდა. აღნიშნული მოსაზრება თავის მხრივ გაამყარა უკრაინელმა ენათმეცნიერმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა იური მოსენკისიმ. ძველევგვიპტური და პროტოქართველური ენების შედარებით ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე იგი მივიდა დასკვნამდე, რომ ორი უმთავრესი ეგვიპტური ღმერთი, რომელიც ეგვიპტისთვის უცხოდ ითვლებოდა, ქართველური სამყაროდან არის შესული – თოთი და ოსორისი.

თოთი, რომლის უძველესი ფორმაა „ჯეხუთი“, ითვლებოდა „უცხო ქვეყნის მბრძანებლად“ და მთელი ეგვიპტის ინტელექტუალური ცოდნის შემქმნელად. ის მართავდა დროს, შექმნა დამწერლობა და ანგარიში. მისი ასტრონომიული სახეა მთვარე. ძველ ეგვიპტურად „თოთი“, ქართულად – „თუთა“, თთუე (თვე) – მთვარე. მეორე არაეგვიპტური ღმერთი, ოსორისი – ისიდას მეუღლე, რომელმაც ეგვიპტე გადააჩვია ველურ ცხოვრებას, ასწავლა ხვან-თესვა, ვენახის გაშენება, პურის გამოცხობა, ლუდისა და ღვინის დაყენება, სპილენძისა და ოქროს მოპოვება-დამუშავება, მკურნალობა, ქალაქების შენება და დაუნესა ღმერთების თაყვანისცემა. მისი სახელი შეესაბამება ქართულ „ზრდას“, გამოხატულება ცაზე ორიონის თანავარსკვლავედია.

ოსორისის ისტორია შინაარსობრივ მსგავსებას ამჟღავნებს „ამირანის მითთან“. ამასთანავე,

გასათვალისწინებელია, რომ ამირანის მამას რაჭულ ვერსიაში „სირ(რ)ა“ ჰქვია. სახელი „სირა“ გაურკვეველი შინაარსის ცნებას წარმოადგენდა, თუმცა, ახლა უკვე ამკარა კავშირი ჩანს ძველ ეგვიპტურ „სირ-თან“, რომელიც ორი+ონის სახელია.

საქართველოს მთაში აგებულ ციხე-სიმაგრეებზე გაუშიფრავმა პიქტოგრაფიულმა გამო-სახულებებმა მიიქცია ყურადღება, რომელიც თითქმის ყველა მათგანზეა, თვით რესტავრი-რებულ ციხეებზეც კი. რა ინფორმაცია ინახება ამ ქვებზე, რომლის სიმბოლოები ძირითადად ხმელთაშუა ზღვისპირეთის სიმბოლოების იდენტიურია და ზოგი სიმბოლო ეტრუსკულ ანბან-შიც გვხვდება? ვარაუდობენ, რომ ინფორმაცია, რომელსაც ქვები ინახავდნენ, დაკარგული იყო საუკუნეების განმავლობაში, რაც კოსმოგონიურ ცოდნას შეიცავდა. დაუჯერებელს ჰგავს, მაგრამ ორიონის, თოთის და ეგვიპტის „თემას“ დამამტიკციბელი არგუმენტი მოე-ძებნა ხევსურეთში. ის რომ, ხევსურეთის სულეთის ღმერთი საოცრად მსგავსია ღვთაება თოთისა, ერთია და ხევსურთა მთავარ სალოცავში, „გუდანის ჯვარში“ დევს ქვა, რომელზეც გამოსახულია ხელი (აქ – ღვთის ნება), ოთხკუთხედში ჩახატული ჯვარი (პირამიდა ზემოდან), შუაში ადამიანის ფიგურა – ორიონის თანავარსკვლავედი, რომელიც სიმბოლიკაში სწორედ ასე გამოისახებოდა.

ბუნებრივია იზადება კითხვა: რატომ ანიჭებდნენ ძველ სამყაროში ორიონს (ორი+ონს) ასეთ დიდ მნიშვნელობას?

„ასტრონომებმა დაადგინეს, რომ მხოლოდ ორიონის თანავარსკვლავედზე დაკვირვებით შეიძლება დედამიწის პრეცესიის გამოთვლა, რომლის სრული ციკლი 25 920 წელია. როგორც ვხედავთ, პრეცესიის შესახებ იცოდნენ შუმერებმაც და ეგვიპტელებმაც, მაგრამ დაზუსტებით ვერავინ ამბობს, საიდან იცოდნენ.

ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წარღვნამდე არსებობდა უძველესი განვითარებული ცივილიზაცია, რომელთა გადარჩენილმა ქურუმებმა ხვამლის მთას შეაფარეს თავი და აქვე საიდუმლოდ ინახავდნენ ცოდნას. ამ ცოდნას ემყარებოდა შუმერებისა და ეგვიპტელების უდიდესი ცივილიზაციებიც. აქედან წაიღეს არგონავტებმა „ოქროს საწმისი“ და სათავე დაუდეს ახალ ბერძნულ ცივილიზაციას. აქ გაზარდა ზევსი კავკასია და აქვეა მიჯაჭვული პრომეთე, რომელმაც ადამიანებს მოუტანა ცოდნის „ღვთაებრივი ცეცხლი“ – დავით გოგუაძე.

ჩინელი არქეოლოგი ამბობს, რომ პირამიდები განლაგებულია ასტრონომიული ასპექტების გათვალისწინებით და წარმოადგენს გეომეტრიისა და მათემატიკის გასაოცარი ცოდნის ნიმუშს, მხოლოდ ის არის გასარკვევი, საიდან ჰქონდათ ძველ ადამიანებს ასეთი ცოდნა. მკვლევართა ვერსიების მიხედვით ეს არის „ნათელი ზოლების“ გიგანტური სისტემის ნაწილი, რომელსაც ჩინეთში „ფენშიუს“ უწოდებენ.

ძველ ხუთიათასწლოვან მანუსკრიპტებში მკვლევარები პოულობენ ინფორმაციას, რომ გრანდიოზული „პროექტების“ ავტორები, რომლის ნაწილსაც პირამიდები წარმოადგენენ, იყვნენ „ცის შვილები“, რომლებიც რამდენიმე ათასწლეულის უკან ჩამოფრინდნენ „ცეცხლისმფრქვეველი დრაკონებით“.

როგორც მეცნიერთა დასკვნები მეტყველებენ ყველა გიგანტური ნაგებობის შემქმნელები არიან არა მონები და მათი მონური შრომა, არამედ ძალზე განვითარებული ცივილიზაციის წარმომადგენლები. თანამედროვე, პროფესიონალი მშენებლების გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ პირამიდების მშენებლებს გააჩნდათ თანამედროვეობისთვის წარმოუდგენელი ინსტრუ-მენტები. მაგალითად, როდესაც იკვლევდნენ ნასვრეტებს გრანიტის ბლოკებში, სპეციალი-სტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პირამიდის მშენებელთა საბურღი თავისი სიძლიერით, 500-ჯერ აღემატებოდა ყველაზე თანამედროვე სახვრეტს. პირამიდის მშენებლებს შეეძლოთ გასაოცარი სისწრაფით არა მხოლოდ გამოეჭრათ უზარმაზარი ქვის ბლოკები, არამედ თვალის დახამხამებაში ჩამოეჭრათ ქანები. მკვლევარებმა ტერმინიც კი შეიმუშავეს – „პლასტილი-ნის ტექნოლოგია“. არსებობს ვარაუდიც, რომ პირამიდების მშენებლებს შეეძლოთ გადაე-ადგილებინათ სიმძიმეები ლევიტაციური უნარით, რომ პირამიდის მშენებლებს გრავიტაციის საწინააღმდეგოდ, შეეძლოთ ზეგავლენა მოეხდინათ ქვის ტალღურ ბუნებაზე. თანამედროვე

მეცნიერება იძულებულია აღიაროს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებით შეუძლებელია იმ შედეგის მიღწევა, რაც უძველეს დროში შესაძლებელი იყო.

გვინდა თუ არ გვინდა, გვჯერა თუ არ გვჯერა, დედამინის ყველა კუთხეში ინფორმაციას ვაწყდებით „ციდან მოსულების“, „ცის შვილების“ შესახებ...

პრაქტიკულად, ყველა კულტურაში არის ლეგენდა წყალში ჩაძირულ ქალაქებსა და კონტინენტებზე, რალაც ძველ, განვითარებულ ცივილიზაციებზე, ზეადამიანებზე, „ღმერთების სამყოფელზე“, მსოფლიო წარღვნაზე – რაც მთლიანობაში ერთ ძველ და უცნობ ცივილიზაციაზე საუბარია. წარღვნამდელი ცივილიზაციის ნარჩენები მთელ მსოფლიოშია მიმოხვეული არა მხოლოდ პირამიდების სახით, ეს არის მრავალრიცხოვანი მონუმენტები, ობელისკები, მეგალიტები, გაურკვეველი წარმოშობის დამწერლობები, გიგანტური, ამოუცნობი მიწისზედა გეომეტრიული ფიგურები და ზოლები, გამოსახულებები და საგნები...

დღეს ეგვიპტის პირამიდების თავზე კრისტალები აღარ არის, მაგრამ შიგნით მაინც ძლიერი მაგნიტური ფონია. სწორედ, ამიტომ, პირამიდების თავზე თვითმფრინავების ჩამოვარდნის დიდი ალბათობის გამო, ფრენა აკრძალულია. იმის მტკიცებულებად, რომ პირამიდების შიგნით ელექტროდენი იყო, ისიც კი გამოდგება, რომ არსად ჩანს ზეთის (ან სხვა რამის) წვის კვალი, შიდა კედლებზე კი ნათურების მნიშვნელობებია დახატული. (აუხსნელ მოვლენად ითვლებოდა რა ემართებოდათ ადამიანებს ტიბეტში, რომლებიც კაილაშის მთის ზედაგვერდს გაცნობას მოინდომებდნენ. როგორც ბოლო მონაცემები გვამცნობენ, მეცნიერებსა თუ ალპინისტებს ეჭვიც აღარ ეპარებათ, რომ ეს პირამიდების კომპლექსია თავისი სარკეებით. თავდაპირველად ყურადღება იმან მიიპყრო, რომ მთების ფორმა არაბუნებრივი იყო, ხელოვნური კონტურები აშკარად შეიმჩნეოდა. დღეს დადასტურებულად ამბობენ, რომ მთელი კომპლექსი კოსმოგონიური წარმოშობისაა. ის ვილაცეებმა უხსოვარ დროში ააგეს, თუმცა ვინ იყვნენ ის „ვილაცეები“? ისიც გაურკვეველია, „ვილაცეებმა“ ააგეს თუ დედამინაზე მცხოვრებლებმა, რომელთაც კავშირი ჰქონდათ იმ „ვილაცეებთან“ – ყველა შემთხვევაში ერთხმად თანხმდებიან, რომ ის კოსმოგონიური წარმოშობისაა. საინტერესოა ისიც, რომ მზის სხივების დაცემისას კაილაშზე ისახება სვასტიკა (ისევ სვასტიკა!), რასაც მარტივი ახსნა მოუძებნეს, ეს მხოლოდ წყლის ნადენი ღარებიაო – სვასტიკის ფორმა ხომ უცვლელია, რა მნიშვნელობა აქვს?

კაილაშზე (ჰიმალაის მთათა სისტემას ეკუთვნის) ფეხი არ აქვს დადგმული არც ერთ თანამედროვე ადამიანს. საქმე იმაში არ გახლავთ, რომ ჩინეთმა და გაერომ ვეტო დაადეს მასზე ასვლას, ვეტომდეც ვერავის შეეძლო მასზე ასვლა, რადგან ადამიანები ცუდად ხდებიან მიზეზთა გამო და სხვადასხვა ჩვენებებით (მათ შორის უეცარი დაბერებით).

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ერნსტ მულდასევი, რომელიც ტიბეტს იკვლევდა, მიიჩნევს, რომ ოდესღაც ჩრდილოეთ პოლუსი იყო მთა კაილაში, რომელიც წააგავს ხელოვნურ 7 კმ-იან პირამიდას, ხოლო პლანეტის მეორე კუთხეში მდებარეობდა ალდგომის კუნძული, რომლის შესახებაც მოგვიანებით ვისაუბროთ. გონებაში ერთი ხაზით რომ შევაერთოთ მთა კაილაში ეგვიპტურ პირამიდებთან, გავიაროთ მერიდიანზე, პირდაპირ ალდგომის კუნძულებზე გავალთ, ხოლო თუ ალდგომის კუნძულებს მექსიკურ პირამიდებთან შევაერთებთ გონების ხაზით, პირდაპირ გავალთ კაილაშზე. (საგნის თემის მცირედმცოდნე ურწმუნოებისთვის, ალბათ ესეც დამთხვევა იქნება...) 1996 წელს მულდასევმა მოაწყო საერთაშორისო ტრანსჰიმალაური ექსპედიცია და შეკრიბა უნიკალური მასალა, რომელიც წარღვნამდელი დიდი ცივილიზაციის არსებობას ადასტურებს. საგნის (თემის) მცირედმცოდნე ურწმუნოებისთვის, ალბათ, ესეც დამთხვევა იქნება... (სხვათაშორის ტეოტიუკანი თარგმანით ნიშნავს „ადგილს, სადაც ღმერთები დედამინას შეეხნენ“. ინდიელების ლეგენდების მიხედვით პირამიდები ააშენეს ადამიანებმა, რომლებიც ჯადოსნურ უნარებს ფლობდნენ).

ვინაიდან სხვა ახსნა არ მოეძებნება იმ შედეგს, რაც პირამიდების მოცულობით მიიღება, ახლა საკითხავი ის რჩება, რისთვის იყო საჭირო ეს ენერგია?

ძველი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის მტკიცებით ჰერკულესის სვეტების გადაღმა (იგულისხმება გიბრალტარის სრუტე), ატლანტის ოკეანეში, წარღვნამდე კიდევ ერთი კონ-

ტინენტი არსებობდა, რომელზეც მაღალგანვითარებული ცივილიზაციის წარმომადგენლები, ატლანტები ცხოვრობდნენ. მათ ნავებისა და გემების გარდა სხვადასხვა სახის გადაადგილების საშუალება ჰქონდა, მათ შორის საფრენი აპარატებიც და მთელ პლანეტაზე დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ. სავარაუდოდ, სწორედ ამ საფრენი აპარატებისთვის იყო საჭირო პირამიდებში გამომუშავებული ელექტროენერგია. ეგვიპტეში, დენდერის ჰატჰორის ტაძრის გარე კედელზე იეროგლიფებთან ერთად ამოტვიფრულია მფრინავი ობიექტის ფორმის ფიგურები, რაც პლატონის სიტყვებს ადასტურებს საფრენი აპარატების შესახებ.

პლატონის მტკიცებიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ატლანტებმა დედამიწის სხვადასხვა რეგიონების კოლონიზაცია მოახდინეს, იქ მინათმოქმედების ცენტრები დააარსეს და კოლონიების გასაკონტროლებლად სწრაფი და მარტივი კომუნიკაციისათვის პირამიდები ააგეს. ეს ყველაფერი 12 000 წლის წინ, ანუ ჩვენს ერამდე 10 000 წლის წინ ხდებოდა და რატომ უგებდნენ კოლხები ენერჯის წყაროებს ვისაც უგებდნენ, საიდან ჰქონდათ ეს ცოდნა. რატომ? რა აკავშირებდა ძველ კოლხებს რაღაც სხვა ცივილიზაციასთან, ან ისინი მაინც სულაც ვინ იყვნენ, საიდან მოვიდა, ციდან დაეშვა, კოსმოსიდან, რომელიც უსასრულოდ მიიჩნევა?

ჰეროდოტეს, „ისტორიის მამას“ (ძვ. წ.აღ. 490-425წ.წ.) გვერდს ვერ ავუვლით ამ საკითხთან დაკავშირებითაც. მისი ავტორიტეტიდან გამომდინარე, მის მიერ ნათქვამი ყველა სიტყვა დამაჯერებელია, მაგრამ მოხდა ისე, რომ მასაც არ დაუჯერეს, როდესაც განაცხადა, რომ თავისი თვალთ ნახა მეტალისგან დამზადებული ნავი, რომელიც დიდი სიჩქარით შევიდა ჰერაკლეს სვეტებიდან გიბრალტარის სრუტეში და ხმელთაშუა ზღვაში გაუჩინარდა. ძვ. წ V საუკუნეში ჰეროდოტე ამტკიცებდა, რომ დიდი სიჩქარით შემოცურებულ ნავს არც აფრები ჰქონდა და არც ნიჩბები – ბუნებრივია, მასზე მყოფ ადამიანებზე საუბარი არაა. დღეს დაუჯერებდნენ წყალქვეშა ნავის დანახვას...

ძვ. წ. აღ. XV საუკუნეში 1468 წელს ნილოსის სანაპიროსთან, როდესაც მფრინავი ობიექტი გამოჩნდა, როგორც ჩანს იმდროინდელი ეგვიპტელები არც დაზაფრულან და არც ალტკინებულან, ფარაონ თუთმოს III-ის ბრძანებით „ქრონიკებში“ მხოლოდ ფაქტი დააფიქსირეს, რომ „ზამთრის მესამე თვეში ცაში გამოჩნდა სწორი ფორმის მქონე, დიდი ობიექტი, რომელიც ნელა გადაადგილდებოდა სამხრეთისკენ“.

რას ერჩოდა რუსეთის უზარმაზარი იმპერია საქართველოს მიყრუებულ მთაში არსებულ ამ ორ პატარა სოფელს, მართლაც რომ საინტერესოა... ერჩოდა კი არა, მართლაც რომ პირისაგან მიწისა აღგავა?

ხალდე – სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთში, კალას თემში. მას შემდეგ რაც რუსეთის იმპერიამ აკრძალა ხალდეში დასახლება და თვით „ხალდეს“ ხსენებაც კი, მას „ახალი იფრარი“ დაარქვა. ხალდეს გმირებს დღესაც დიდი პატივით მოიხსენიებენ სვანები. მათზეა შექმნილი შესანიშნავი სიმღერა-ფერხული „გაულ-გავხე.“ (წელს, 2016 წლის 26 აგვისტოს შესრულდა ხალდეს დაქცევის 140 წელი).

ფუტიეთი – სოფელი ამბროლაურის რაიონში, სხვაგვას თემში. დღემდე ადიდებენ ფუტიეთის სახელსა და დანიშნულებას ფუტიურები (არა – ფუტიელები, ფუტიეთელები ან ფუტელები), როგორც გრაალის მცველებს იბერთა შტოდან, სადაც იმალება კაცობრიობის საიდუმლოს ფესვები, საიდანაც „ეფუტი“ გამოძვრავს „მელქისედეკი, ქრისტეს სამღვდელო მარადი ძალა.“ (მელქისედეკის შესახებ მოკლედ, მაგრამ ოდნავ მოგვიანებით განვმარტოთ).

კოლხეთში არგონავტების შემოსვლის ეპოქაში, როცა გაბატონებული იყო მზის თაყვანისცემა, ამ რელიგიის კანონიკით, ფუტიეთი, სიხამის „ნაეკლესიავით“ კოლხთა ქვეყნის უმთავრეს საკულტო ცენტრს წარმოადგენდა. აქ იყო უმაღლესი ქალ-ღვთაების, ფუტის (ფასიანეს) ტაძარი, სადაც ქურუმი იყო თვით მზის შვილი, მეფე აიეტის გრძნეული ქალიშვილი მედეა.

ბიბლიის ძველ აღთქმაში, ახლო აღმოსავლეთის ყველა ერები იხსენიება, თუმცა გაკვრითაც კი არაფერია ნათქვამი იბერებზე ან კოლხებზე, არადა, ბიბლიაში აღწერილ ისტორიულ პერიოდში, გნებავთ იბერია, გნებავთ — კოლხეთი, მყარი ეთნოკულტურები იყო ახლო აღ-

მოსავლეთში... ისიც ფაქტია, რომ ხალდეველებს და ფუტიელებს სისტემატურად ვხვდებით ბიბლიის ძველი აღთქმის ანალებში...

სწორედ რომ გონივრული ეჭვი ჩნდება – რუსეთის იმპერიის სამხედრო პირებმა არაფერი იცოდნენ, ასრულებდნენ საბრძოლო დავალებას, მაგრამ იქნებ ვიღაცამ დროულად „იზრუნა“ XX საუკუნის გარიჟრაჟზე, რომ არ მომხდარიყო ედენას თეოკულტურული „არქივის“ საკაცობრიო გამომზეურება და მაქსიმალურად დამარხა მინისქვეშეთში? რატომაც არა? თუ მეცნიერულად საფუძვლიანია იბერთა გაიგივება ხალდეველებთან, ხოლო კოლხებისა – ფუტიელებთან, იბერ-კოლხთა ისტორია იგივე ხალდე-ფუტიელთა ისტორია ყოფილა. ეს ხომ თეოგასალება ედენას საკაცობრიო თეოკულტურაში შემონახული, რომელსაც შეუძლია ბიბლიური ისტორიების უცნობ ფაქტებში ნათელის შესატანად? რაც ზუსტად ერთი საუკუნის წინ რუსეთის იმპერიის სამხედრო ექსპედიციების საეჭვო მიზნად ჩანს „ედენას ტევრში“, სწორედ საუკუნენახევრის თავზე იმავე მიზანს ხომ არ ემსახურება ამჟერად ამ მხარის დატბორვის იდეა?

რატომ სურთ ვიღაცეებს, რომ მოისპოს კითხვები და შესაბამისად ინტერესი:

რატომ ეწოდება შუმერულ ედენას ებრაულად ედემი (სამოთხე) და სად მდებარეობს ეს ადგილი დედამიწაზე?

რა არის და სად არის „ეფუთი“?

რატომ განისვენა წმინდა ნინომ ბუდეში (ბოდბეში)?

რატომ არის მთელ ისტორიულ კოლხეთში მრავალძალის წმინდა გიორგი უპირველესი მადლი ძლიერების?

რატომ ერქვათ იბერებს ხალდეველები და კოლხებს – ფუტიელები?

რატომ არ იხსენიებიან ბიბლიაში არც კოლხები და არც იბერები?

რატომ ეწოდებოდა „ოქროს სანმისის“ კოლხეთის უმთავრეს „უზენაეს საყდარს“ – „ბარა“ და სად მდებარეობს იგი?

რატომ იხსენიებიან ბიბლიაში სისტემატურად ხალდეველი და ფუტიელი?

რატომ არის რაჭა თეოისტორიული თვალსაზრისით აბსოლუტურად თეთრ ლაქად ქცეული?

რატომ უწოდებდნენ ძველი ბერძნები რაჭას „ამარანტებს“ – ამონ-რა-ატონ! ძველი ეგვიპტელები კი „ფუნტის“ ანუ „ღმერთების ქვეყნად“ მოიხსენიებდნენ; შუამდინარელები „ედენას ტევრად“ და „ცოცხალი კაცის ქვეყნად“?

კითხვები უთვალავია და ნაცვლად იმისა, რომ პასუხებს ვეძებდეთ, ისეა საქმე „გამონყობილი“, რომ საკუთარი მინა-წყლიდან სხვაგან, ყველგან, გარდა საქართველოსი, სახეციალოდ გვერეკება თითქოს ვიღაც და ამავედროულად, ტვინსაც გვიგლეს... (ანდრია პირველწოდებულმა, რა თქმა უნდა, ლაზეთიდან (არა – აჭარიდან, ისტორიის კიდეც ერთი დამახინჯება) შემოდგა ფეხი. გასათვალისწინებელია პირველ ქრისტიან განმანათლებელთა მეთოდი – ისინი ცდილობდნენ უპირველესად ეღვანათ იქ, სადაც იყო მოსაქცევი ქვეყნის უზენაესი საყდარი, ანუ „ბარა“, ამიტომ არის მოხსენიებული წყაროებში მის მიერ განათლულ მხარეთა შორის ფუსტელებიც, ანუ დასავლეთ საქართველოს დიდი კავკასიონის მცხოვრებნიც.

ასტრალურ ღვთაებათა კანონიკით, კოლხეთის ქვეყნის „უზენაესი საყდარი“ ანუ ბარა“, მდებარეობდა ხიხამთის მასივზე, მრავალძალის ზონაში. ცხადია, ამ პირველი განმანათლებლის ისტორიული ნაკვალევი დღემდე აშკარად იკვეთება მრავალძალი-ბარი-ფუტიეთის საღვთო ისტორიულ ზონაში).

ფუტიეთის პირველი ხსენება ასურეთის მეფის ტიგლათ ფილესერის წარწერაში გვხვდება, ხოლო ამაზე გაცილებით ადრე, პროტოქართველთა წინარე სახელი ფუტი გვხვდება ძველ ეგვიპტურ და ძველი აღთქმის ძეგლებში. მოგვიანებით, ბერძნული წყაროები იხსენიებენ კოლხეთის კავკასიონის მთიანეთში (რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი) მობინადრე ფუ(ს)ტელებსაც. ბიბლიის ძველი აღთქმა განსაკუთრებით ხშირად იხსენიებს ბიბლიური ნოეს უკანასკნელი შვილიშვილის შთამომავლებს – ფუტიელებს.

ბერძნული ფასიანეს იდენტური კოლხური ფუტი დღემდე შემოინახა მეგრულმა, სვანურმა და რაჭულმა მეტყველებამ – ფუტი – ეფუტი – ფუტიეთი...

ფუტიეთი (ფუტი) უძველესი, მზის თაყვანისმცემელ პროტოქართველთა ეთნოტოპონიმია, ფუ(ს)ტი კი სამხედრო-სარწმუნოებრივი ორდენის დასახელება. სოფელ ფუტიეთის ფუნქცია იყო კოლხთა გრაალის, იგივე ეფუთის, ანუ ბერძენთა მიერ „ოქროს საწმისად“ მონათლული მისტიური ცოდნის წიგნის შენახვა და გარეშეთა ხელყოფისაგან დაცვა. სოფელ ფუტიეთის სახით იმ დროს კოლხეთის მთავარ საკულტო ტაძარს მცველი გარნიზონი ჰყავდა. ღამე სამხედრო დაცვა „ტალები“ ანუ ტავრები რჩებოდნენ. (სულხან-საბას განმარტებით „ტალა არს, რომელ მოგზაურსა ღამე უდარაჯებს“).

ფუსტელთა საიდუმლო ორდენის ფუნქცია არ გამოჰპარვია იტალიელ მისიონერს დონ ქრისტეფორე დე კასტელს (აღმოსავლეთმცოდნე, თატიუნელთა ორდენის წევრი, პატრი. საქართველოში ჩამოვიდა პატრ ანტონიო ჯარდინასა და ბერ კლაუდიოსთან ერთად) როდესაც კოლხ მთიელთა მხარეს აღწერდა. მათ შორის ნიშანდობლივია, რომ ამ ორდენის წევრებს ის „იანის“ სახელით მოიხსენიებს. ეს კი ის „იანია“, რომელიც სამხედრო-სარწმუნოებრივი ორდენის კუთვნილების დამახასიათებელი ტიტული იყო და გვარების დაბოლოების სახით კოლხეთის დიდი კავკასიონის მთიანეთის მკვიდრმა მოსახლეობამ დღემდე მოიტანა.

სხვათაშორის, ფუ(ს)ტელთა თეოგეოგრაფიული მხარე, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც ინარჩუნებდა ძველ ფუნქციას და გარე მტრების შემოსევების დროს საეკლესიო-სამონასტრო ქონების დაცვა-გადარჩენაზე ზრუნავდა მთაში გახიზვნით. 1819-1820 წლებში საეკლესიო აჯანყების დროს ფუ(ს)ტის რაინდთა გამირული თავგანწირვით სვანეთში გაიხიზნა 280 ჯორკიდებული საეკლესიო განძი. 1820 წლის 30 მაისს სოფელ ზემო საზანოში განძის გადატანას შეეწირა 700 ფუტის რაინდი, ხოლო 1820 წლის 3 ივნისს სოფელ ფუტიეთში – 2000 ფუტის რაინდი.

სკანდეს ციხიდან მიემართება უძველესი სამხედრო-საქარავნო გზა სვანეთისა და რაჭა მთიანეთში. სწორედ სკანდეს კარიბჭე ფუსტელთა საევაკუაციო გზისა. ციხეზე გადიოდა სამეფო შარა, რომელსაც „თამარის შარასაც“ უწოდებენ. იგი იწყება ზემო იმერეთში სოფელ საზანოს გავლით, გაივლიდა საჩხერეს და მთავრდება სვანეთში. საზანო ისტორიულ წყაროებში XVIII საუკუნიდან ჩნდება როგორც საეკლესიო სოფელი, რომელიც გელათის მონასტერს ეკუთვნოდა. სვანეთში დღემდეა ქრისტიანული კანონიკით აგებული და უძველესი ქრისტიანული ხატებით, ჯვრებითა და ფრესკებით შემკული ფუ(ს)ტის ტაძრები, ტერმინი „ფუსტი“ კი „უფლის“ სინონიმად მოაზრება...

აკრძალულში ცალ-ცალკეა გამოყოფილი ძველი და ახალი წელთაღრიცხვის თარიღები დასათაურებით: „ძველი წელთაღრიცხვით“ და „ახალი წელთაღრიცხვით“, ხოლო მონონებულში ძველი და ახალი წელთაღრიცხვის თარიღები არანაირად არ არის გამოყოფილი.

აკრძალულში დამონმებულია ძველი წელთაღრიცხვის 11 თარიღი, მონონებულში – 3.

აკრძალულ სახელმძღვანელოში დამონმებულია:

XIII საუკუნის ძველი ხეთის სამეფოს ძლიერების პერიოდი, XIII — XI საუკუნეების მითანის სამეფოს ძლიერების პერიოდი, XIII-XII საუკუნეების ახალი ხეთის სამეფოს ძლიერების პერიოდი.

1287 წელს ხეთის მეფის ხატუშვილ III -ის ხელშეკრულება ფარაონთან (ეს შესანიშნავი დოკუმენტი მოღწეულია ჩვენამდე და საერთაშორისო სამართლის ფუძემდებელ ძეგლად ითვლება).

XII—XI საუკუნეებში თრიალეთის მაღალი კულტურული ცენტრი, XI - III საუკუნეების აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული ბრინჯაოს კულტურის აყვავების პერიოდი, XI-X საუკუნეების სუბარული ტომების ბრძოლა ასურეთთან, IX-III საუკუნეების ურარტუს სამეფოს ძლიერების პერიოდი, II საუკუნის პირველი ცნობების გაჩენა ბერძნულ მწერლობაში იბერიასა და კოლხეთის სამეფოების შესახებ, 190 წლის ახალი ხანები, სომხური სამეფოების წარმოშობა, 65 წელს რომაული გავლენის დამყარება ამიერკავკასიაში.

მონონებულშია:

ძვ.წ. II საუკუნის ეგრისის (კოლხეთის) ადრემონათმფლობელური სახელმწიფოს წარმოშობა, ძვ.წ. III საუკ. ქართლის (იბერიის) ადრემონათმფლობელური სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ძვ.წ. 65 წელს რომაელების ლაშქრობა და მათი გავლენის დამყარება საქართველოში.

მხოლოდ ამ ორი შედარების ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია იმის დასაწახად, რომ 1 200 წლის ისტორიაა მოპარული, თუმცა ნაქურდალი ბევრად მეტი და დიდია, რადგან XIII საუკუნე ძველი ხეთის სამეფოს ძლიერების ხანაა, ხოლო თვით სამეფოს წარმოშობა და განვითარება 10 საუკუნით უკან მოხდა, III ათასწლეულში.

მოკლედ რომ ვთქვათ იმ სახელმძღვანელოში, რომელშიც სულ მცირე ისტორიის 2 500 წელიწადია მოპარული არ შეიძლება რაიმე მეცნიერებისთვის ღირებული იყოს.

მაინც რა იყო მასში ასე საგულდაგულოდ დასამალი და დასაწავი?

ვთქვათ ის, რომ აღნიშნული სახელმძღვანელოს ავტორები ქართველების წარმომავლობას იწყებენ ძველი შუმერებიდან. ფართო საზოგადოებას არ უნდა გაეგო, რომ ველურმა ინდოევროპული წარმოშობის ბერძნებმა დაიპყრეს პელაზგების ქვეყანა, ანუ პროტოქართველები და მთლიანად მითვისეს მათი კულტურა. სახელმძღვანელოს მოჰყვებოდა რუკებიც. სახელმძღვანელო გამოსული იყო ქართულად, რუსულად, ინგლისურად და თურქულად – მსოფლიოს გასაგონად! ფართო წრეებში ვის უნდა დღესაც კი, რომ ქართველი დადასტურებულად აღმოჩნდეს წინარებერძული, წინარერომაული და წინარეეგვიპტური კულტურის კი არა, ცივილიზაციის მქონე ხალხის შთამომავალი!

თავისთავად ხდება უკვე ქრისტიანობამდე მისვლა, ანუ ბიბლიამდე, სადაც ვხვდებით: მამა აბრამ – ქალდეველი, ქალაქი ური-დან. მისით დაწყებული ყველა ერის ან ქალდეველი ან ხეთელი („თალმუდში“ წერია, რომ ებრაელების ღმერთი, იაჰვე ეუბნება ებრაელობას, თუ გინდათ მე გავიგო ქალდეურ ენაზე მომმართეთ და ილოცეთო) რა თქმა უნდა, დასამალი იყო და არის ის ყველაფერი დამამტკიცებელი, რომ ამ ჯიშის მატარებელი არის ქართველი!

(ბუნებრივია, აღნიშნული სახელმძღვანელო დღეს გადასახალისებელია მცირედით იმ მხრივ, რომ 1943 წლის შემდეგ დღემდე ჯერ მხოლოდ არქეოლოგიამ დადო გასაოცარი მასალები, მაგრამ იმ მხრივ კი შეუცვლელია, საიდანაც ისტორია იწყება და მოჰყვება).

საკვირველი ის კი არ არის, რომ „ვილაციები“ ისტორიას უყალბებენ საქართველოს, არამედ ის არის საკვირველი, რომ ახლა მაინც არ ყვირიან ხმის ჩახლეჩამდე ამაზე სხვადასხვა სპეციალობის ქართველი სწავლულები და არც არავინ ფიქრობს საკუთარი ქვეყნის ისტორიის გამოსწორებას...

სანამ ქართველები ყურმიდებულები არიან, სოციალურმა ქსელმა „ფეისბუქმა“ კიდევ ერთხელ გააქრო ინფორმაცია რომ ქართველი კინოდოკუმენტალისტი და რეჟისორი ბუბა ხოტივარი ქართული ცივილიზაციის უძველესი ფესვების შესახებ სამეცნიერო-პოპულარული სერიალის გადაღებას გეგმავს. გეგმავს, ჯერ ხომ არ გადაუღია, მაგრამ მონახაზი რაც არის, ნამდვილად გულშემოსაყრელია მავანთათვის, მითუმეტეს, რომ ეს „მავანნი“ ძალზე ბევრნი არიან, რადგან მთელი მსოფლიოს ისტორია თავდაყირა დადგება და ახლიდან დასაწერი გახდება.

მოკლედ ვთქვათ რაშია საქმე, კიდევ რა ინფორმაცია გააქრეს და გადააკეთეს – დავინწყით იმ საყოველთაო აღიარებული ფაქტით, რომ ძველი ელინური ცივილიზაცია ამჟამინდელი საბერძნეთის ტერიტორიაზე მას შემდეგ აყვავდა, რაც მან უმოწყალოდ გაანადგურა და შთანთქა მისი წინამორბედი პროტოქართული, იგივე პელაზგური ცივილიზაცია. იმაზე არავინ და ვერავინ კამათობს, რომ ინდოევროპული წარმომავლობის ბერძნულ ცივილიზაციამდე აღნიშნულ სივრცეში არსებობდა მართლაც უნიკალური პროტოქართული ანუ პელაზგური ცივილიზაცია.

ახლა კი მივყვეთ სიცრუის კასკადის ერთ ეპიზოდს.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, აღმოსავლეთ ქორთუ ხალხი დასავლეთ სპერულ-კოლხური ერთეულის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა და დროთა განმავლობაში ერთ ოჯახად გაერთიანდა ქართველის სახელწოდებით. სიტყვა „ქართი“ შექმნილია ორი სიტყვის შეერთებით „ქიანა ართი“ და ორივე სიტყვა კოლხურია (მეგრული), „ქიანა“ – ქვეყანა, მინა-წყალი, სახელმწიფო და „ართი“ – ერთი, ერთიანი.

ჩვენს უძველეს დამწერლობას (ლურსმნულს) მისი შემქმნელები „ემეგრულს“ უწოდებენ წერილობით წყაროებში და ასეა განმარტებული ბრიტანეთის, კოლუმბიის და სხვა ენციკლოპედიებშიც, ლურსმნული დამწერლობის სახელმძღვანელოებში...

იშვიათი გამონაკლისების გარდა დღემდე საჯაროდ არავინ (ვერავინ) ამბობდა, რომ საქართველოს ისტორია გაყალბებულია და ახლიდან არის დასაწერი, არადა დღემდე აღმოჩენილი

და კვლევებით დადასტურებული შედეგებით ყველაზე მცირე, ხოლო რეალურად რამდენი საუკუნე, რამდენი წელი აქვს „გადათეთრებული“ საქართველოს ისტორიას, ვინ გათვლის...

ისეთი ხილული ფაქტები დევს უბრალოდ, დაკვირვებული ადამიანიც რომ კითხვას დასვამს, ამდენად დღემდე კვლევის საგნად დარჩენილ „ოქროს საწმისზე“ ვთქვათ. აღვნიშნოთ, რომ ლევან სანიკიძეს „უქარქაშო ხმლების“ კლავდიუს ელიანუსის წყაროებზე დაყრდნობით უნერია, რომ ეს იყო „შეკვეთილი ისტორია“ და მივყვეთ სიმართლეს.

აიეტი — კოლხეთის მეფეა!

პერსი — აიეტის ძმა, ტავრიელების მეფეა ყირიმში!

ალოიე — აიეტის კიდევ ერთი ძმა, მოიხსენიება როგორც „დაფქვილი პურის ღმერთი“!

აიეტის დები:

ქალიფსო (კალიფსო) — ანუ „ქალი ფსოუდან“, მოიხსენიება როგორც ქალღმერთთა ღმერთი, რომელიც ფლობდა კუნძულ ოგიგიას ხმელთაშუა ზღვის დასავლეთში!

ფაცია (ფასოფეა) — მინოსის მეუღლე და კრეტას დედოფალი, ლეგენდარული არიადნას დედაა!

ცირა (ცირცეა) — კუნძულ ეას (აიას) ოქროსფერთმიანი დედოფალი, რომელიც თითქმის ყველა ევროპელი ხალხის მითიურ დედად ითვლება! (ცირა ითვლება იტალიის პირველი მეფის ავსონის დედად; ასევე დედად იტალიისა, რომლის სახელითაც აპენინის ნახევარკუნძულს დღეს მთელი მსოფლიო „იტალიას“ უწოდებს და ა. შ.).

და ვინ იყვნენ ამ დროს „არგონავტები“, უძველესი ბერძნული ცივილიზაციის წარმომადგენლები რაც დასტურდება უპირველეს ყოვლისა მარტივი ქრონოლოგიით?

მარტივად ავხსნათ — ზუსტად ვიცით, რომ ბერძნებმა ტროას უძველესი პროტოქართული ცივილიზაცია ჩვ.წ.აღ-მდე მე-13 საუკუნეში დაამხეს, „არგონავტები“ კი ამ მოვლენამდე, სულ ცოტა რამდენიმე ასეული წლით ადრე ეწვივნენ კოლხეთს. ანუ ეს ის პერიოდია, როდესაც ბერძნებს ჯერ არ ჰყავდათ არც „ისტორიის მამად“ აღიარებული ჰეროდოტე, არც უდიდესი მოაზროვნე პლატონი და არც „ილიადას“ ავტორი ჰომეროსი.

ბერძნები ძალიან იყვნენ დაინტერესებული „ოქროს საწმისით“, რაც ბუნებრივია, უბრალოდ, ოქროსფრად მოელვარე ცხვრის ტყავი კი არა, ისეთი განსაკუთრებული რამ იყო, რის გარეშეც ბერძნებს აღარ შეეძლოთ არსებობა!

ახლა ვნახოთ, კონკრეტულად ვინ არიან არგონავტები:

უფლისწული იაზონი, ჰერაკლე (ზევის შვილი), თეზევსი (ასევე ზევსის შვილი და ატენის დამაარსებელი), პროკრუსტე, სიზიფე, ლაერტი, პოლიდევეკი, ავგეა (ცნობილი თავლების მეპატრონე), ავთოლიკე (ელინებს შორის უეშმაკესი და უფლიდესი ღმერთის, ჰერმესის შვილი), ასკლეპიოსი (მედიცინის ღმერთი), ანთეოსი, ორფეოსი (პოეტა პოეტი), კენეუსი (რომელიც ქალად იყო გარდასახული) და ათობით ასეთი ღმერთი თუ ნახევრად ღმერთი — ზევსის, პოსეიდონის, აპოლონისა და დიონისეს შვილები.

მოკლედ რომ ვთქვათ „არგონავტები“ სხვადასხვა ეპოქის მსოფლიო ნაკრები ყოფილა და როგორ მოხვდებოდნენ ერთ ხომალდზე? — ეს უკვე მითიც აღარ არის, ხელისგულზე გადაშლილი სიყალბეა... „არგონავტების“ მიერ კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცება იყო და არის როგორც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი აფერა და ამასთანავე, დადასტურებული დანაშაული!

მსოფლიო დაარწმუნეს ვითომ, რომ კოლხმა მედეამ მამას და სამშობლოს უღალატა, ბერძნებს ოქროს საწმისი გაატაცებინა და ასე შემდეგ, მაგრამ საქმე რომ პირიქითაა — არგონავტებმა მედეა მოიტაცეს, თვით „ისტორიის მამად“ აღიარებული ჰეროდოტეს უძველეს და უნიკალურ ნაშრომებშია დაფიქსირებული.

აი, რას წერს ჰეროდოტე თავის ცნობილ „ისტორიაში“ (ნიგნი, „კლიო“) — „ელინებმა უსამართლობა მეორედ ჩაიდინეს. გრძელი ხომალდით მისცურეს აია-კოლხიდაში, მდინარე ფაზისტან და იქ გააკეთეს ის, რისი გულისთვისაც მივიდნენ, მოიტაცეს მეფის ასული მედეა. კოლხთა მეფემ გააგზავნა ელადაში მოციქული, რომ მოეთხოვა სამართალი მოტაცებისთვის და უკან გამოეთხოვა ასული, ხოლო ელინებმა უპასუხეს, რომ არც მათ უგიათ პასუხი მათ წინაშე არგოსელი იოს მოტაცებისათვის და ამიტომ არც თვითონ აპირებენ, რომ მისცენ მათ რაიმე...“

ჰეროდოტე მედეას მოტაცების ამბავს ასე აგრძელებს: — „ამბობენ, რომ მეორე თაობაში ამის შემდეგ, ალექსანდრე პრიამოსის ძემ მოინდომა რომ თავისთვის ელადადან მოეტაცა ქალი. მან კარგად იცოდა, არ მოუხდებოდა პასუხისგება, რადგან არც იმათ უგიათ თავის დროზე პასუხი. ასე მოიტაცა მან ჰელენე. ტროელებმა თავი იმით იმართლეს რომ შეახსენეს ელინებს მედეას მოტაცება... ელინებმა კი ერთი ლაკედემონელი ქალის გულისთვის დიდი ლაშქარი შეკრიბეს, შემდეგ მივიდნენ აზიაში და პრიამოსის ძალაუფლება დაამხეს...“ ანუ ჰეროდოტე მოგვითხრობს პარის პრიამოსის ძის (ალექსანდრეს) მიერ ელენეს მოტაცებაზე და ამ ამბიდან გამომდინარე დაწყებული ბერძენ-ტროელთა ომზე, რაც ტროას უძველესი კულტურის დამხობით დასრულდა... თუმცა, ტროელები იყვნენ პროტოქართული, პელაზგური წარმოშობის ხალხი! (ამის შესახებ ზვიად გამსახურდიას აქვს გამოქვეყნებული შესანიშნავი კვლევები).

ერთი რამ კი ფაქტია, სწორედ, „ოქროს საწმისის“ ელადაში ჩატანას უკავშირდება იმ ძველი ბერძნული ცივილიზაციის რენესანსი, რომლითაც ასე აღტაცებულია მთელი კაცობრიობა, არადა ძველი ბერძნული ცივილიზაცია სწორედ კოლხეთიდან გატაცებულ სიბრძნეზე აღმოცენდა...

ფაქტობრივად, კაცობრიობის ისტორიის დაყოფა ორ ეტაპად შეიძლება: კოლხეთიდან „ოქროს საწმისის მოტაცებამდე“ და „ოქროს საწმისის მოტაცების შემდეგ“...

მოკლედ, ბერძნებმა პროტოქართული ცივილიზაციის ნანგრევებზე ააშენეს თავიანთი კულტურა და იმავდროულად ისტორიაც საფუძვლიანად გააყალბეს!..

მედეას არც შვილები მოუკლავს. ევრიპიდემ რატომ გაავრცელა ეს ისტორიული მნიშვნელობის ჭორი, მხოლოდ ქალთმოდულების გამო თუ მოსყიდულიც იყო, სხვა საკითხია; ასევე, აპოლონიოს როდოსელი რატომ ცრუობდა. ფაქტი ის არის, რომ მედეას შვილიშვილი ილოსი იყო ქალაქ ილიოსის (ტროას) დამაარსებელი და ბებუისგან იცოდა სასიკვდილო შხამების დამზადება, მაგრამ უარით ისტუმრებდა ისრის წვერზე შხამის წასასმელად მისულ ისტორიულად დადასტურებულ ცნობილ მთხოვნელებს...

როგორც ერთი ისტორიკოსი ამბობს, იმ სიმდიდრისა და აღმოჩენების გატაცებისთვის, რაც ბერძნებმა გაიტაცეს კოლხეთიდან და მსოფლიომ გამოიყენა, ის თანხა, რაც მსოფლიომ უნდა გადაუხადოს საქართველოს, ალბათ, არითმეტიკისთვისაც კი მიუწვდომელია..

კატეგორიულად — არ უნდა აირიოს „არგონავტები“ იმ უმაღლესი ცივილიზაციის ბერძნებში, რომელთაც მსოფლიო იცნობს. „არგონავტების“ დროის, „სადლაციდან“ შემოჭრილი, პრაქტიკულად, ნახევრადველური ინდოევროპული ტომების ძველბერძნული სამყარო იყო მძარცველურ-ავაზაკური და დამანგრეველი მენტალობის სივრცე. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ „ოქროს საწმისის“ მოპოვებელ არგონავტებში ავთოლიკე არის მოხსენიებული, ბერძნული ღმერთის, ჰერმესის შვილი, ჰერმესის, რომელიც ქურდებისა და ავაზაკების მფარველი იყო. თვით ბერძნული მითოლოგიით, ჰერმესმა თავის შვილს მიზნის მისაღწევად უფლება მისცა ტყუილზე დაეფიცა მისი სახელი... (იმაზე აღარ არის საუბარი, რომ მედეას ცდუნებაში ჩართული იყვნენ: ჰერა, ათენა, აფროდიტე და სულაც ეროსმა ესროლა სიყვარულის ისარი).

თუმცა, რა, აგერ, ჩვენს თვალწინ წაშალეს რუსთაველის ფრესკა თანამედროვე ბერძნებმა, ამაზრზენი დანაშაული ჩაიდინეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში და იქით გვედავებოდნენ, რა პრეტენზიები გაქვთ, ჯვრის მონასტერი თქვენი არასოდეს ყოფილაო...

ჰომეროსი, პლატონი და სრულიად ბერძნული ცივილიზაცია მხოლოდ მას შემდეგ შვა ძველმა ელადამ, რაც ბერძნებმა კოლხეთიდან „ოქროს საწმისი“ მოიპარეს...

ქართველებს არ აღმოგვიჩენია რომ კაცობრიობის უძველესი ცივილიზაცია პროტოიბერიულ-პროტოქართული იყო, ამას მსოფლიო დონის მსოფლიო მკვლევარები ამტკიცებენ!

„ოქროს საწმისის“ მოპოვებას მითოლოგები და ისტორიკოსები აიგივებენ „წმინდა გრაალის“ აღმოსაჩენად დამაშვრალი კაცობრიობის ლტოლვასთან.

ამდენად, რომ არ ყოფილიყო კოლხური „ოქროს საწმისი“, იმდროინდელი „წმინდა გრაალი“ ვერ შეიქმნებოდა ძველბერძნული ცივილიზაცია, ვერ შეიქმნებოდა ძველი რომის ცივილიზაცია!

რომ არ ყოფილიყო ძველბერძნული ცივილიზაცია, ვერ შეიქმნებოდა ძველი რომის ცივილიზაცია!

რომ არ ყოფილიყო რომაული ცივილიზაცია, ვერ შეიქმნებოდა თანამედროვე ცივილიზაცია!

სწორედ, ამაშია არგონავტების მითის მთავარი საიდუმლო — თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაცია კოლხურ „ოქროს საწმისზე“ აღმოცენდა!..

გავიგეთ, რომ მედია მოუტაცებიათ, მაგრამ მისი მოტაცებით რეალურად რა გაიტაცეს, კოლხთა სიბრძნის წიგნი, „ეფუთი“ ხომ არ იყო, რომელიც დაკარგულად ითვლება?

დიდი წინა მარგალური გომორძგუა მარგალეფი!

ჭეშმარიტებასთან ძალზე ახლოს მდგომი ვარაუდის დონე შეიძლება ეწოდოს იმ მდგომარეობას, რაც „ეფუთსა“ და „ანანუკთან“ დაკავშირებითაა შექმნილი, რომ ეს ერთი და იგივეა.

კოლხებს ბიბლიამდე სიბრძნის ხუთი წიგნი ჰქონდათ: „ეფუთი“ — 7 000 წლის (ათი მცნება „ეფუთში“ ეწერა); „მარგალითი“ — 7 000 წლის; „ტომფა“ — 3 500 წლის; „კვიბრი“ (იგივე „ოქროს რინა“) — 3 500 წლის. როგორც გადმოცემამ შემოინახა, ეფუთი იყო საკაცობრიო ნამოღვაწარი, მასში გადმოცემული იყო წარსული და მომავალი, როგორც მასში ეწერა, ისე სრულდებოდა ყოველივე (უცნაურად „ემთხვევა“ 4 000 წლის შემდეგ შექმნილი ბიბლია დაკარგულ „ეფუთს“...)

ვინაიდან საუბარია „ოქროს საწმისზე“, არსებობს ვარაუდი, რომ ბერძნები ოქროს მოპოვებისა და დამუშავების საიდუმლოს გასათაცებლად იყვნენ ჩამოსულები, დამწერლობა კი, რომელითაც ის იყო შესრულებული, გახლდათ ერთადერთი ნიმუში კიდეც უფრო ძველი კოლხურისა, რისი წაკითხვაც მხოლოდ მედეას შეეძლო. აქედან გამომდინარე, არის ვარაუდი, რომ მედეას რადგან რეალურად არ მოუკლავს თავისი ორი შვილი, დამალა ორი ასო, რომლის ამოკითხვის გარეშეც სრულად არ გაიხსნებოდა „საწმისი“. კვლავ ვარაუდის დონეზე — ადგილი, სადაც „ოქროს საწმისი“ ინახებოდა, მდებარეობდა იმერეთში და ეს არის ზვამლი, იდუმალებით მოცული მთა. პრომეთეს მიჯაჭვა მთაზე ერთი ერთზე მეორდება ამირანთან. პრო-მეთე — „მეთე“ ცოდნას ნიშნავს, ანუ საუბარია რაღაც საკრალურ ცოდნაზე, რომელსაც ფლობდნენ პროტოქართველები.

რაც შეეხება „გრაალს“, რომელსაც კაცობრიობა უშედეგოდ ეძებს, ქართული ანბანით იშიფრება, ისევე, როგორც „იბერია“. ამის შესახებაც ვთქვათ ორიოდ, მაგრამ საგულისხმო სიტყვა.

„კოსმიური დანიშნულებით ქართველები და საქართველო გრაალის მცველები ვართ!

საქართველოს ნამდვილი ისტორიის დამალვა მეცნიერების ინტერესში არ არის, პირიქით, სწორედ ისინი ამტკიცებენ რომ მსოფლიო ცივილიზაცია ძველი კოლხეთიდან იშვა, მაგრამ... მრავალი „მაგრამ“ არის ამის საფუძველი...

იმ დადასტურებული ფაქტებისა თუ მოსაზრებათა ნაკრები, რასაც თქვენ ბეჭდავთ, აბსოლუტურად მისაღებია ყველა, ამგვარ საკითხებში მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული მკითხველისთვის. მე მინდა მხოლოდ მცირედი შევმატო თქვენს მასალას.

უპირველესად, ვის და რაც უნდა, ის სარჩული დაუდოს — მსოფლიო ცივილიზაცია მართლაც ძველი კლხეთიდან იწყება! მაიას ტომი კოლხეთიდან (საქართველოდან) არის ამერიკის კონტინენტზე გადასული! რას ნიშნავს მ-აია? — „აია“ კოდირებულია ამირანისგან... ადამის საფლავიც იქ არის, სადაც მინიშნებაა, ხაშური-ხარაგაულის მთის ქვეშ, იგივე ლიხის ქედი, სურამის ქედი, გეთსიმანიის ქედი, ამირანის ქედი. „სურამი“ კოდირებული სიტყვაა, რომლის გასაღები „ამირანია“, უფრო ზუსტად კი „ამინ-ალი“... მსოფლიოში ადამიანების განთესვა მოხდა კოლხეთიდან (საქართველოდან). ქართული კოდირებული ენაა. სიტყვებში მარცვლები: „ალი“, „დონ“, „ამი“, „ონი“ — გასაღებს შეიცვას. ამაზე სასულიერო პირებთან ვინყებ საუბარს, გარბიან, მაგრამ არის ორი ეპისკოპოსი, რომლებიც ყურადღებით მისმენენ. ამ შემთხვევაში ბიბლიურ დონეებზეა სასაუბრო. ყველაფერი ერთად თავს იყრის აქ, საქართველოში, სადაც ღმერთის ადგილია — ფსალმუნებში ძალიან კარგადაა მინიშნებული ყველაფერი.

ამას წინათ, ერთ-ერთ შოუში („სხვა რაკურსი“) პროფესიით ფიზიკოსი სასულიერო პირი იყო მინვეული და საუბარი არამინიერ ცივილიზაციას ეხებოდა. მღვდელმა „ამოს-ს“ თვითმხილველებს ერთ მომენტში „დაუტაცანა“ — იქნებ ჩვენც გვინახავს რამეო?! ჰოდა, თუ უნახავთ და რაიმე ფასეულ ინფორმაციას ფლობენ, ვის უნახავენ ამ ცოდნას? ამდენ მალვა-პარვაში

მთლად გააფარჩაკეს საქართველოს ნამდვილი ისტორია, მისი მისტიური არსი, მისი ნამდვილი დანიშნულება დედამიწაზე...

ახლა რასაც ვიტყვი, ძალიან ბევრისთვის აბსოლუტურად გაუგებარი იქნება, მაგრამ ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია წარსულის მაძიებელ და მის დამდგენ მეცნიერებებში და ცოტაოდენი ეზოთერიკისაც ესმის, ახალი და უცნაური არაფერი იქნება ამის შემდეგ, რაც მსოფლიო მასშტაბით ჯერ ძალზე ვიწრო და ერთ წრეში გაჟონა ინფორმაციამ, რომ საქართველოში რაღაც „კოსმიური ზეგანძი მოიპოვებოდა“, შემდგომ კი, უკვე წრე გაფართოვდა გარკვეული ორდენების სახით, მტერი და მოყვარედ მოსული მტერი არ დაელია საქართველოს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ის, ვინც მიისწრაფვის მსოფლიო ბატონობისაკენ, ამ ადგილის გარეშე ვერაფერს მიაღწევს. მათი გეგმის უმთავრესი ნაწილია, რომ ჩვენ ქართველებს, როგორც ამ ადგილის მფლობელებს, გაგვიყალბონ ისტორია, სარწმუნოება, ეროვნება, დაგვიკარგონ გენეტიკური მემკვიდრეობა, უპირველესად კი ენა — ეს არაა შეფარული ბრძოლა, პირდაპირ გვებრძვიან და ვაი, მას, ვინც ამას ვერ ხედავს!

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული უნდა იყოს ძვ.წ. აღ V საუკუნის ოქროს ყელსაბამი კუს კულონებით (როდესაც სააკაშვილის ხელისუფლების მიერ მუზეუმიდან 69 ექსპონატის გატანა-გაქრობაზე ხმაური ატყდა, ამას დაერთო ყელსაბამის შემადგენელი 12 ბურთულის დაკარგვაზე ხმაურიც. მალევე ითქვა, რომ ყველა ბურთულა ადგილზე იყო, უბრალოდ დაიჩხვლიტა და რესტავრაცია სჭირდებოდა — რაც აბსოლუტურად წარმოუდგენელი რამ არის, თუმცა რა ბურთულები დაბრუნდა, კაცმა არ იცოდა...) გარდა ამისა, რომ ყელსაბამი უძვირფასესია მრავალმხრივ, აღსანიშნავია იმითაც, რომ ასტრონომიულ ინფორმაციას ატარებს და მზის ამოსვლის წერტილის გადახრილ კუთხეს უკავშირდება. ექსპონატი მზის ქართული კალენდრის ელემენტების რაოდენობის შემცველია და ნივთიერად ადასტურებს მზის ქართული კალენდრის არსებობას, რაც თავის მხრივ ადასტურებს იმ დროისათვის ქართული ანბანის ფართოდ არსებობა-გამოყენებას, სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ამ სამკაულის გაკეთება. ყელსაბამი შეიცავს 31 კუს კულონს. მათგან 30 პატარა კუ არის, ერთი — დიდი, რაც მზის კალენდარში ყოველთვიური დღეების რაოდენობას ემთხვევა.

გვაქვს ანბანური დამწერლობის ნიმუშები: ძვ.წ. XVIII ს. ძველი ციური ანბანური დამწერლობა; ძვ.წ. XV ს. უგარატიული ანბანური დამწერლობა; ძვ.წ. XVIII ს. ქანაანური ანბანური დამწერლობა; ფინიკიური ანბანური დამწერლობა; ებრაული დამწერლობა; არამეული დამწერლობა. ეს ჩრდილო-სემური, ქანაანური მოდემის ტომები არიან, რომლებმაც პირველებმა შექმნეს ანბანური დამწერლობა. ძველად დამწერლობას ქმნიდნენ ქურუმები, ეს უძველესი ანბანური დამწერლობის ძეგლები კი ქურუმთა შექმნილი არ ჩანს, ის არის გამარტივებული, გაუბრალოებული საყოველთაო გამოყენებისთვის.

ქანაანური მოდემის დამწერლობისაგან განსხვავებულია, არ ჰგავს და კიდევ უფრო დიდი საიდუმლოა ქართული ანბანური დამწერლობა. ქართლის ცხოვრების მატყანეები ინერებოდა ჟამითი ჟამით თვითმხილველთა მიერ. განსხვავებით ქანაანური დამწერლობათაგან, სადაც სემური ასო-ნიშანის მწკრივი იწყება ხარით, ხარის გამოსახულებით — „ჰა“, ქართული ანბანი იწყება მთვარის ღმერთით — „ან“ (შუმერული ცის ღმერთის სახელი) — გამოსახავს მიმცხრალ მთვარეს და მისი რიცხობრივი მაჩვენებელი არის — 1. ქართულ ანბანში არის როგორც ბაბილონური, ისე ეგვიპტური დროის ათვლა, მაგალითად, 15 ბაბილონური წუთი იგივე ეგვიპტური 60 წუთია.

„ხუცური“ ნიშნავს — „ქურუმების“, „მრგვალი“ კი მოძრაობას აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და პირიქით. მზე ამოდის აღმოსავლეთიდან და დასავლეთისაკენ მოძრაობს, მთვარე კი პირიქით, ახალი მთვარე დასავლეთიდან ამოდის და აღმოსავლეთისაკენ მოძრაობს. 15 დღეში ახალი მთვარე გამრგვალდება, გაივსება და სავსე მთვარეს მივიღებთ მე-15 დღეს. მთვარის კალენდრის მეორე ნახევარი კი სავსე მთვარიდან იწყება და დაძველდება 15 დღე. ამრიგად, ქართულ ანბანს აქვს მზისა და მთვარის კალენდარი დროის ზუსტი აღრიცხვით. ქართულ ანბანში გადმოცემულია როგორც მთვარის 30-დღიანი თვე, ისე 12-თვიანი მზის ზოდიაქალური მოძრაობა.

აღსანიშნავია, რომ კალენდარში არის მთვარის კულმინაციურ წერტილში მისვლა. 18

წელიწადსა და 7 თვეში მთვარე შედის ვერძის დღე-ღამისწორების წერტილში (ეს არის მთვარის კვანძური მოძრაობის პერიოდი) და ეს დრო ზუსტად ემთხვევა 12 საათს — ეს საოცარი „დამთხვევაა“. ჩვენ კვირას ვინყებდით „ერთშაბათით“ და არა ორშაბათით, ანუ კვირა დღე იყო ერთშაბათი, კვირის პირველი დღე.

ქართული ანბანი კოსმოსის ამსახველია, რომელიც სულ მცირე 4 000 წლის წინ დაფარეს ქართველმა ქურუმებმა, ხოლო ასაკით, სულ მცირე 16 000 წლისა...

მაღავენ და აყალბებენ რეალურ ისტორიას, თარიღებს, ქრისტეს წარმომავლობას, მოკლედ რომ მოვხაზოთ — მსოფლიო ცივილიზაციის ასაკს, მაგრამ შეუძლებელია ბოლომდე დაიმალოს რამე...

„ალი“ ანუ „ალ“ — სანსკრიტზე „აბსოლუტური გონია“, ძველიუდუურ და ქრისტიანულ მითოლოგიაში, ევამდე ღმერთმა ადამს შეუქმნა ცეცხლოვანი ქალი, რომელსაც უწოდა „ალ“, მაგრამ ხორციელ ადამს არ შეუყვარდა ცეცხლოვანი ქმნილება „ალ-ი“. შემდეგ შეუქმნა ევა და ამ დროიდან არის მტრულად განწყობილი „ალ-ი“ ქალების მიმართ და მუდმივად ცდილობს მამაკაცების მოხიზვლას — მსოფლიოს სხვა და სხვა ხალხების ფოლკლორში მეორდება ეს ხაზი. („ალ-ი“ არანაირად არ არის კავშირში რაიმე მუსლიმანურთან, რადგან, ელემენტარულია, ისლამი ჩვენი წელთაღრიცხვის მხოლოდ VII საუკუნეში შეიქმნა, „ალ-ი“ კი უძველესი წარმოშობის სიტყვაა).

მოვიშველიოთ ჩვენი ნაქები უნიკალური ქართული ანბანი და ვნახოთ, რა არის სიტყვა „ალ“, რომელიც ორი ასობგერისაგან შედგება „ანი“ და „ლას“ და რატომ ითვლება რომ გრაფიკის მცველები ქართველები ვართ.

„ალ-ი“ — „ანი“ პირველ ადგილზე დგას, ერთზე, ხოლო „ლას“ მე-12-ზე, ანუ მოიცავს სივრცეს 1-დან 12-ის ჩათვლით. მე-13 არის „მან“ — „მან“-ამდე არის საკრალური რიცხვი, ანუ 12-ის ჩათვლით და ეს მიჯნა მკვეთრად არის გამიჯნული პირდაპირ თქმაშივე — „მანამდე“...

„გრაალ-ი“ — გავყოთ შედგენილი სიტყვა. „ალ-ზე“ უკვე ვთქვათ, დაგვრჩა „გრ“. „გ-ან“ ქართული ანბანის მე-3-ე ასოა და მისი რიგითი ნომერია 3 ხოლო „რ-აეს“ რიგითი ნომერია 19 მთლიანობაში 319.

„ქართული ჰემატრიის“ ავტორი ბატონი ალექო ცინცაძე: — „ჰემატრიის შემქმნელი იბერიისთვის რიცხვებში სამია უმთავრესი: 47, 128 და 319.

ახლა გამოვთვალოთ სიტყვა „იბერია-ს“ ჰემატრიული რიცხვები: ი (10), ბ (2), ე (5), რ (19, 100), ი (10), ა (1). რიგით სათვალავში — $10+2+5+19+10+1=47$.

რიცხვ-მნიშვნელობაში — $10+2+5+100+10+1=128$.

ფარული რიცხვით — $(1+...10) + (1+2)+(1+...5)+(1+...19)+(1+...10)+1=55+3+15+190+55=319$.

სამივე უმნიშვნელოვანესი რიცხვი ქმნის კიდევ მათმატიკურ სტრუქტურას, საყრდენს, რომელმაც ცალსახად განსაზღვრა სიტყვა „იბერია-ს“ ბგერითი ასოითი შემადგენლობა.

ჰემატრიის შემქმნელმა იბერიამ მთელი თავისი ცოდნა და სიბრძნე პირველ რიგში საკუთარი დასახელების შექმნაში გამოიყენა...“

გერმანელი მეცნიერი ჰერმან ფონ სკერტსი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ სწორედ კავკასიაშია შექმნილი გრაალით სალოცავი სახლები. თუ მივიღებთ უდავო ჰემატრიულ ფაქტს ჭეშმარიტებად, 319 იბერიის კოდია, „გრაალი“ იმიფრება როგორც „იბერიის აბსოლუტური გონი“, „იბერიის სინმინდე“...

ახლა ღვთაებრივ — კოსმიური კუთხით გადავხედოთ რა მოხდა ცოდნის მფლობელ ცივილიზებულ კოლხეთში და რა უნდა მოხდეს. აივტი ხომ მზის შვილი იყო და იმავე ციდან იყო დაშვებული პირველი სამეფო ხელისუფლება დედამინაზე!...

ადამში ღვთაებრივი სული (ანი) შთაიბერა, გაიბერა ცოდნით და გახდა ბერი (ღმერთთან მოლაპარაკე). იმ ადგილს კი, სადაც ცოდნით იბერა, „იბერია“ ეწოდა. ღვთაებრივი გადანყვეტილებებით, ბერებს (ადამი+ანებს) ამ ცოდნის დანაწევრება და სხვათა ერებში, ენებში და ტომებში გატანა დაევაღათ, ოღონდ საიდუმლო კოდი — ცოდნის გასაღები (ლაზარე), ბერებს არასოდეს გაუციათ. ყველას, ვისაც ეს ცოდნა უნანილდება ბერების ძეებს (ბერძენი) უწოდებენ.

მთელი გაყალბებული ისტორიიდან როგორც ახლა ირკვევა, მეფე აიეტმა იცოდა რა ეს საიდუმლოება, წესისამებრ, ამ ცოდნის ასლი „არგო“ წილად შემდგომში ბერძნებს და ეს დავალება მედეას შეასრულებინა – გაატანა. მედეამ წინასწარ იცოდა, რომ მამასთან უკვე მოდიოდნენ ამ ცოდნის მისაღებად და მისია ბრწყინვალედ შეასრულა. რაც შეეხება მედეას მიერ შვილების დახოცვას, რაც უკვე აღვნიშნეთ, რომ დადასტურებული და შეკვეთილი მითი სიცრუეა – დამწერლობის გასაღები, ცოდნის ამოკითხვის წესი მოკლა-შეცვალა და არ დატოვა მისი შემძლე გამგრძელებელი.

ეს არის ცოდნა ღვთაებრივ ქეშმარიტებაზე (ოქროს სანმისი – გრაალის თასი), რომელიც ამ ერს დარჩა სამარადისოდ, ეს კი ნიშნავს ამ ერის რჩეულობას. იგი იცავს ამ ერს განსაცდელის ჟამს და შეჰყავს გადარჩენის კიდობანში დრომდე, რათა შემდგომ განავრცოს იგი და ამ ერს „ჟამის ერი“ ჰქვია – მრავალჟამიერ!

ამდენად, ალბათ, მართებულია მავანთა მოთხოვნა, რომ საქართველოს დაუბრუნდეს მისი ნამდვილი სახელი „იბერია“, რადგან უნდა გაბრწყინდეს იბერია და არა საქართველო!

„პირველად იყო სიტყვა“ – ვამბობთ ხშირად, მაგრამ ვიცით კი, რატომ ვამბობთ ასე? ღმერთი სიტყვაა!

უფალი ამბობს: „ღმერთო, მე შენ გადიდე, ახლა შენ გადიდე იმ დიდებით, რა დიდებითაც შენთან ვიყავი ქვეყნიერების შექმნამდე...“ უფალი ქვეყნიერების შექმნამდე სიტყვის დიდებით იყო ღმერთთან, მაშასადამე, რომელიც ენა ღვთის სააზროვნო-სამეტყველო ენა არის!

სიტყვას აქვს ძალა, მითუმეტეს, თუ კოდირებულია – თუ არ იქნება სიტყვა „იბერია“, არარსებული ვერასოდეს გაბრწყინდება!

ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა სამეცნიერო სამყაროს აუწყეს, რომ მათ აღმოაჩინეს „ღმერთის გზავნილი“, რომელიც ჩანერილია ადამიანის გენომში ანუ ორგანიზმის უჯრედში შენახული მემკვიდრული მასალის ერთობლიობაში.

დნმ-ის ყველაზე ნაკლებად შესწავლილ ნაწილში ნამყვანმა გენეტიკოსებმა აღმოაჩინეს 22 სიტყვიერი ფრაგმენტი არამეულ ენაზე, რომელიც მათი აზრით, ამტკიცებს ღმერთის არსებობას და მის როლს დედამიწაზე. „ღმერთის გზავნილი“ აღმოაჩინეს მას შემდეგ, რაც მკვლევარებმა შეამჩნიეს უცნაური მათემატიკური მოდელები, რომელიც ჩნდებოდა გენომის გარკვეულ ნაწილში. „ჩვენ ვიცოდით, რომ ეს მოდელები ბუნებაში არ გვხვდება. გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა ჯვარედინი ანალიზი გზავნილების სხვადასხვა ენის მონაცემთა ბაზის მიხედვით და ჩვენ გავოგნდით როცა აღმოჩნდა, რომ ეს მოდელები შეესაბამება არამეულ ენას. როგორც ჩანს, უფალმა დაგვიტოვა დაფარული გზავნილი, რომელიც ჩვენ შევძელით აღმოგვეჩინა ასეულობით წლის შემდეგ, როდესაც მივალნიეთ ტექნოლოგიების უმაღლეს განვითარებას. ამ აღმოჩენამდე მე შეუვალა ათეისტი ვიყავი, ახლა ქეშმარიტი ქრისტიანი ვარ. ეს ის მტკიცებულებაა, რომელიც მე მჭირდებოდა, რათა გამეფანტა ჩემი ეჭვები. მეცნიერული გავლენის დამატება რელიგიაზე გამოიწვევს რევოლუციურ ცვლილებებს მსოფლიოში“ – წერს ჩარლზ უოტსონი, პროექტის ნამყვანი მეცნიერი. (როგორც იუწყებოდნენ, გამოკვლევების შედეგები გამოქვეყნდება ჟურნალ **NAთუდE** -ში).

არამეულ, ანუ ქრისტეს ენაზე დღესაც გალობს მამა სერაფიმე საქართველოში, სოფელ ქანდაში და დღემდე ამ ენაზე საუბრობენ ამ სოფლის მცხოვრებლები...

მსოფლიოს მასშტაბის „მავანთა“ მცდელობა, რომ ყველაფერი, რაც აქამდე მოკლედ ვთქვით, დაიმალოს, ამოიძირკვოს, გაქრეს – განა გასაკვირია?...

შოთა რუსთაველი 850

წლევიანდელი წელი უდავოდ განსაკუთრებით გამორჩეულია ქართული კულტურის ისტორიაში. წელს შესრულდა 850-ე წელი გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის დაბადებიდან. სამწუხაროდ, მსოფლიო მნიშვნელობის პოეზიის პარნასის ერთ-ერთი უპიველესი ქართველი ქურუმის მნიშვნელობა და კულტურული მემკვიდრეობა, ვფიქრობ, შესაბამისად ვერ წარმოუჩინეთ გლობალური თუ მერკანტილური პრობლემებით დაყურსულ დღევანდელ მსოფლიოს. განსაკუთრებით კი იმ ერების წარმომადგენლებს, რომლებიც ხშირად თავიანთი „ბამბის ჩხრიალით“ ცდილობენ ვითომდა დიდი კულტურული წარსულით თავი მოიწონონ და შესაბამისად თავიანთი გამორჩეულობას გაუსვან ხაზი. დამოუკიდებელი საქართველოს შვილებმა და მესვეურებმა უდავოდ მეტი უნდა გავაკეთოთ ასეთი, უაღრესად მნიშვნელოვანი, ეპოქალური თარიღების სათანადოდ წარმოჩენისთვის. ეს სჭირდება მტერსაც და მოყვარესაც. ქართულ უმაღლეს სასწავლებლებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მეტნაკლები აქტივობით აღინიშნა ეს დღე. სამწუხაროდ ამ ზეკულტურულ მოვლენას რესპუბლიკის მასშტაბით ვერ ჰქონდა შესაბამისი პატივგება. დიდი ზარზეიმი არ სჭირდება უფლის რჩეულ რუსთაველს, მაგრამ გვჭირდება ჩვენ, ქვეყნის სულიერ ცხოვრებას. ასეთი ფაქტები სალბუნად ედება ტერიტორიული და ეკონომიკური პრობლემებით შეწუხებულ ქვეყანას. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტმა და საქართველოს შოთა რუსთაველის საზოგადოების იმერეთის განყოფილებამ 2016 წლის 18-19 ნოემბერს დიდი სამეცნიერო კონფერენციით აღნიშნეს შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850-ე იუბილე. ქვემოთ წარმოდგენილი მოხსენებაც ამ კონფერენციაზე იქნა წაკითხული, რომლის სრულ ვერსიას ვთავაზობთ „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანესა“ და საერთოდ, დაინტერესებულ მკითხველს.

სილოვან ხუნდაძე „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობისა და „საგაზრდილოს“ პრობლემის შესახებ

ქართული კულტურის ისტორიაში ჯერ კიდევ მრავლადაა ისეთი საზოგადო მოღვაწეები, რომელთა შემოქმედება და საზოგადოებრივი ღვაწლი ჯერაც არაა სათანადოდ შესწავლილი და შესაბამის ადგილმჩინილი ეროვნული კულტურის უმდიდრეს საგანძურში. ეს ფაქტი ერთი მხრივ სასიხარულოა იმით, რომ მიუხედავად ქართველი ერის მცირერიცხოვნებისა, ერის ისტორიის მეხსიერების ოქროს ფონდში დაფიქსირებულ და შესწავლილ მრავალრიცხოვან მამულიშვილთა გვერდით არცთუ ცოტაა მართლაც გამორჩეული პიროვნება, რომელთა ეროვნული და მეცნიერული ნაღვანის შესწავლის გარეშე ყოვლად შეუძლებელი იქნება მეტნაკლებად სრულყოფილი წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობაზე, ასევე შეუძლებელი იქნება ჩვენი დღევანდელი რეალობის დანახვა და სათანადოდ შეფასება და მით უფრო ქვეყნის განვითარების სახვალყო გზების სწორად დანახვა და მისი განხორციელება. ჩვენი ღრმა რწმენით, საშური საქმეა სილოვან ხუნდაძის საზოგადოებრივ-პედაგოგიური ნაღვანის მეცნიერული და მონოგრაფიული შესწავლა, რომლის შემდეგაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და გასული საუკუნის 10-20-იანი წლების ბევრ უაღრესად მნიშვნელოვან, მაგრამ ბუნდოვან საკითხს ნათელი მოეფინება. მიუხედავად იმისა, რომ სილოვან ხუნდაძე მაშინ დაიბადა, როცა ქართული კულტურის უდიდესი წარმომადგენლები, დიდი სამოციანელები,

სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ, იგი უდავოდ უნდა ჩაითვალოს მათი საქმეებისა და იდეების თანამოაზრედ და გამგრძელებლად. იგი დაგვიანებული სამოციანელია, რომელმაც თავისი აკადემიურ-პედაგოგიური ღვაწლით, უაღრესად საშური და მნიშვნელოვანი სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემით, ყოველი დროისთვის საყურადღებო სამეცნიერო დასკვნებით, სწორი, პრინციპული, მამულიშვილური პოზიციით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის კულტურული და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

სილოვან ხუნდაძეს უაღრესად ბოხოქარ, ათასგვარი კატაკლიზმებით დახაფანგებულ ეპოქაში მოუწია ცხოვრება. უამრავი განსაცდელისა თუ მატერიალურ-ფიზიკური საცდუნებლისა, იგი ბოლომდე დარჩა უმნიშვნლო რეპუტაციის მკვლევარ-პედაგოგად და საზოგადო მოღვაწედ. სილოვან ხუნდაძე იაკობ გოგებაშვილის თანამედროვე და მისი გზის გამგრძელებელია. თავისი დროის მეცნიერული და პედაგოგიურ-რი განათლების საფუძვლებს დაუფლებული მკვლევარი და პრაქტიკოსი მასწავლებელი, თავდაუზოგავი შრომით სრულყოფდა ახალფეხადგმულ, არცთუ დიდი ტრადიციების მქონე ქართულ სკოლას. იგი ერთ-ერთი პირველია იმ ქართველ საზოგადო მოღვაწეთაგან, რომელიც მყისიერად გამოეხმაურა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნის იდეას და პირადი მაგალითით ყველას დაანახა მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და პრინციპულობით როგორ უნდა ემსახურო მომავალი თაობის აღზრდას. რუსული იმპერიის ჩინოვნიკური აპარატი, რა თქმა უნდა მთელი შესაძლებლობით ცდილობდა მშობლიურ ენაზე სწავლება აეკრძალა დაპყრობილი ერის შვილებისათვის. მაგრამ როცა იმპერიის მესვეურები ამას პირდაპირი გზებით ვერ ახერხებდნენ, მაშინ შემოვლითი, უფრო ვერაგი და მუხანათური საშუალებებით ცდილობდნენ მიზნის მიღწევას. ამის ნათელი მაგალითია იანოვსკი, რომლის ნაქეზებითა და „ძიძობით“ ნახალისდა სახელმძღვანელოების შექმნა მეგრულ ენაზე, რაც უდიდეს საფრთხეს უქმნიდა გარეშე და შინაური მტრების ქიშპობით ისედაც მოუძღვრებულ საქართველოს. თავის დროზე ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: რომ „გოგებაშვილმა თავის დედა ენაში აღადგინა დაცემული ენა ქართული“. მისი აზრით ეს წიგნი გახლდათ „ყოველთა ქართველთა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გამაერთიანებელი“. სილოვან ხუნდაძეც თავისი უაღრესად საინტერესო ქართული სახელმძღვანელოებით გახლავთ ქართული პედაგოგიური აზროვნების გამორჩეული ფიგურა, რომლის სასკოლო სახელმძღვანელოების როლი და მისია განუზომელია ქართული კულტურის ისტორიაში. ფაქტიურად, ის გახლავთ ერთ-ერთი პირველი მეცნიერ-მკვლევარი, რომელმაც იმ დროის მოწინავე პედაგოგიურ-მეთოდოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით შექმნა თანმიმდევრული კურსი ქართველ მწერალთა შემოქმედების სწავლებისათვის. 1922 წელს მის მიერ გამოცემულ უაღრესად საინტერესო და საყურადღებო წიგნს „შოთა რუსთაველი“, რომელიც გამოიცა ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების სერიით, თან ახლავს სილოვან ხუნდაძის მიერ მანამდე გამოცემული ქართველ მწერალთა სახელმძღვანელოების ნუსხა, რომლებიც რაოდენობრივი და შინაარსობრივი თვალსაზრისით ფრიად შთამბეჭდავია: 1) ნიკოლოზ ბარათაშვილი, 2) გრიგოლ ორბელიანი, 3) ვახტანგ ორბელიანი, 4) რაფიელ ერისთავი, 5) აკაკი წერეთელი, 6) ილია ჭავჭავაძე, 7) შოთა რუსთაველი.

ამ შემთხვევაში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ სილოვან ხუნდაძის სასკოლო სახელმძღვანელოზე „შოთა რუსთაველი“, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, 1922 წელს ქუთაისის პირველ სტამბაში დაიბეჭდა. წიგნი საინტერესოა, როგორც შინაარსობრივი, ასევე შედეგზე ორიენტირებული, მახვილგონივრულად ბავშვის შესაძლებლობებზე გათვლილი, ადვილად აღქმადი, მარტივიდან რთულისკენ გარდამავალი მასალების დალაგების პრინციპით. წიგნი ორასგვერდიანია. ავტორს გათვალისწინებული აქვს ის გარემოება, რომ იმ დროისთვის მხატვრული ტექსტები, წიგნის უკმარისობის გამო, ქართველი საზოგადოებისა და მოსწავლეებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია და ამიტომ გამოკვლევაში ჩართული არის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გარკვეული მონაკვეთები (გვ. 39-დან გვ. 95-მდე). წიგნს თან ახლავს შენიშვნები და განმარტებები, ზოგადი დასკვნა და უაღრესად საინტერესო ლექსიკონი, რომლითაც ნათლად

იგრძნობა სახელმძღვანელოს ავტორის ერუდიცია, ნიჭიერება და განსწავლულობა.

„ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურობაზე საუბრისას სილოვან ხუნდაძე აღნიშნავს, რომ ქართულ საზოგადოებაში დავა ამ საკითხზე „წინა საუკუნეშიც ყოფილა“. ზოგი მას სპარსულიდან ნათარგმნად მიიჩნევს, ზოგიც კიდევ პროზიდან „ლექსად გარდათქმულად“. მკვლევარის თქმით თუნდაც ყოველივე ასე იყოს, ეს არ გახლავთ „საჭოჭმანო“ საქმე. მკვლევარი პუნქტუბად აყალიბებს თავის მოსაზრებებს და ღრმა მეცნიერული არგუმენტაციით ასაბუთებს მათ სისწორეს: 1) პოემა რომც ნათარგმნი იყოს სპარსულიდან, ეს არ აკნინებს ამ გენიალური მხატვრული ტექსტის ღირსებას, რადგანაც ავტორის მართებული შენიშვნით მთარგმნელობითი საქმიანობა (სახელოვანი, სასახელო) საქმე გახლავთ. 2) ვერც ვახტანგ მეექვსემ, სპარსული ენისა და მწერლობის შესანიშნავმა მცოდნემ და ვერც სხვა დაინტერესებულმა მკვლევარებმა ვერ „იპოვეს იმისთანა ნაწარმოები, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტად ჩაითვლებოდეს. 3) მკვლევარის სამართლიანი მსჯელობით სპარსულ ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსნის“ დედანი რომ ოდესმე ყოფილიყო და უკვალოდ დაკარგულიყო, ყოვლად შეუძლებელია. სპარსეთის უმაღლეს არისტოკრატიასა და მწერალთა წარმომადგენელთა ხსოვნაში ეს ფაქტი მაინც შემორჩებოდა. „ნამდვილად ცნობილია კი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ იქ არავითარი გადმოცემა არ არსებობს.“ 4) მკვლევარის თქმით, რაკი „ვეფხისტყაოსნის“ „დედანზე ლაპარაკისთვის რაიმე საფუძველი არ არსებობს“, შესაძლოა რუსთაველმა „რაიმე სპარსული სიუჟეტი, ამბით ისარგებლა ზეპირთქმულით ან პროზად დაწერილით.“ მაგრამ წიგნის ავტორის თქმით ეს ისევე არ გახლავთ „საჭოჭმანო“ საქმე, რადგან შექსპირმაც თავისი ტრაგედიებისთვის „იტალიური ნოველებით (მოთხრობებით) ისარგებლა.“ მაგრამ „როგორც არ დაურდილავს ამ გარემოებას დიდებული შექსპირი,“ ისევე უნდა ვიგულისხმოთ რუსთაველზეცო.

წერილის დასკვნით ნაწილში, „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობასთან დაკავშირებით, სილოვან ხუნდაძე მიიჩნევს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი ჩვენს ისტორიულ ცხოვრებასთან შედარებიდან გამომდინარეობს და ამტკიცებს, რომ პოემაში ბევრი იმისთანა ფაქტია მოხსენიებული, რომელიც თამარ მეფის ისტორიულ ცხოვრებას გვიხატავს.“ ავტორის თქმით, ეს აზრი პირველად პროფესორმა დავით ჩუბინიშვილმა გამოთქვა და სხვებმაც გაიზიარეს და საინტერესო პარალელებით შეავსეს. სილოვან ხუნდაძე თავისი მოსაზრებების ჭეშმარიტების მტკიცებულებებად ისტორიიდან მოიხმობს საინტერესო არგუმენტებსა და საგულისხმო პარალელებს: 1) პოემაში ორი სხვადასხვა მეფის ასულია გამოყვანილი – ნესტან-დარეჯანი და თინათინი (ინდოეთისა და არაბეთის მეფის ასულები). არც ერთ ამ მეფეს ვაჟი არ ჰყავს. როგორც ჩანს ორივე ამ ასულის სახეში რუსთაველი თამარს და მის ეპოქას გულისხმობდა. „თამარიც ხომ ერთადერთი შვილია გიორგი მესამისა, ერთადერთი მემკვიდრე ტახტისა.“ 2) გიორგი მეფემ თავის სიცოცხლეშივე დასვა თამარი მეფედ, ისევე, როგორც როსტევან მეფემ სიცოცხლეშივე გაამეფა თინათინი. ფარსადანსაც ასევე სწადია ხვარაზმმა ზესიძედ მოიყვანოს და სიცოცხლეშივე გადასცეს მას თავისი სამეფო. 3) ნესტან-დარეჯანს მამიდა დავარი ზრდის, თამარიც ხომ „მამიდასთან (რუსუდანთან) იზრდებოდა. 4) თამარი და მისი მომავალი საქმრო – დავით სოსლანი ერთად იზრდებოდნენ, როგორც ნესტან-დარეჯანი და ტარიელი. ავთანდილიც ახლოს იზრდება თავის მომავალ სატრფოსთან. 5) დასკვნითი, მეხუთე პუნქტიდან გამომდინარე სილოვან ხუნდაძე მიიჩნევს, რომ „თამარმა, პირველად მართალია უცხოელზე დაინერაჯვარი (გიორგი ბოგოლუბსკიზე) და აქ ანალოგი თითქოს ირღვევა, ვინაიდან ნესტანს უცხო არ შეუერთავს, მაგრამ უცხოელებთან კავშირის ანალოგიით ისიც მისაღებია, რომ ნესტანის მშობლებს უკვე გადანყვებილი ჰქონდათ ხვარაზმმას შვილის სიძობა. მკვლევარის თქმით, გიორგი რუსის განდევნა შეიძლება ხვარაზმმას შვილის განდევნას შევადაროთ. „უნებურათ შერთული საქართველოს მოაშორეს და თამარი ბოლოს მაინც საყვარელ ადამიანს შეუერთდა.“

წერილის ბოლოს სილოვან ხუნდაძე წერს: „შეუძლებელია თუ ეს პოემა მართლა უცხოელ ავტორს ეკუთვნოდა, სრულიად შემთხვევით ამდენი მსგავსება ყოფილიყო თამარის ცხოვრების

ისტორიული ფაქტებისა.“ „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ პოემობაში რომ რაიმე საფუძვლიანი ეჭვი გვეპარებოდეს, სამარცხვინოც იქნებოდა მითვისება იმისა, რაც ჩვენ არ გვეკუთვნის. ასე წოდებული პლაგიატი, ლიტერატურული ქურდობა კერძო პირისთვისაც მეტად დამამცირებელია, მით უფრო დამამცირებელი იქნებოდა მთელი ერისთვის“. სილოვან ხუნდაძის თქმით, „ვეფხისტყაოსნის“ ნათარგმნობის ოდნავი ეჭვიც კი არ არსებობს და შესაბამისად, „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ერის ცხოვრებაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ადვილად ვერავის დავუთმობთ.“ მისი თქმით, რაც შეეხება „სიუჟეტის ნასესხობის“ საკითხს, რადგანაც საქართველო აღმოსავლეთ და დასავლეთ ხალხების შემაერთებელი ხიდია და ევროპასა და აზიას აერთებდა, ასევე აღმოსავლეთთან, კერძოდ „სპარსეთთან საქართველოს დიდი და მდიდარი კულტურული კავშირები ჰქონდა და რადგანაც რუსთაველამდე სპარსულ ლიტერატურაში იყო მრავალი სამიჯნურო და სადევემირო თხზულება: „ვისრამიანი“, „ლეილმაჯნუნიანი“, „ბარამიანი,“ და მისი ტიპის სხვა თხზულებები და რადგანაც შოთა რუსთაველს, ეჭვი არ არის რომ სპარსული მწერლობა ზედმინვენით ექნებოდა გაცნობილი... სრულიად მისაღებია ის მოსაზრება, რომ რუსთაველს ერთი მათგანი (ან ყველა ერთად) მხედველობაში მიუღია და სიუჟეტით უსარგებლია და შემდეგ, თავისი პოეტური ფანტაზიითა და შემოქმედების მეოხებით ის სრულყოფილი პოემა შეუქმნია, რომელთანაც პროტოტიპი თავისი ღირსებით უკვე ახლოსაც ვერ მივა. ეს არც პოეტის ნიჭიერების დამამცირებელია და არც ქართველი ერის გრძნობების შეურაცხმყოფელი.“ (გვ:46).

სილოვან ხუნდაძე რუსთაველის ბიოგრაფიის უაღრესად მნიშვნელოვანი ეპიზოდის, „საგაზრდილოს“ ლოკალიზაციის ირგვლივ საინტერესო მეცნიერულ დასკვნებს აკეთებს: „შოთას ცხოვრების შესახებ ნამდვილი ისტორიული ცნობა და საბუთი არაფერი დარჩენილა და რაც ვიცით, ისიც მხოლოდ გადმოცემებით არის შემონახული.“ მკვლევარი პოემის ტექსტიდან საილუსტრაციოდ წარმოაჩენს იმ ადგილებს, სადაც რუსთაველი თვითონ ასახელებს თავის წარმომავლობას: 1) „დავჯე რუსთაველმა გავლექსე...“, 2) „მე რუსთაველი ხელობითა...“, 3) „ვწერ ვინმე მესხი მელექსე...“, 4) „ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“ სახელწოდება – რუსთაველი ორჯერ წინასიტყვაობაშია მოხსენიებული, ორჯერ ბოლოსიტყვაობაში... თვით „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი რამდენჯერმე იხსენიებს თავის ფსევდონიმს: იგი თავის თავს რუსთაველს უწოდებს, რაც ავტორის მხოლოდ საგაზრდილოს ნიშნავს. ამგვარ ფსევდონიმებს ძველად ხშირად ხმარობდნენ (მაგ: ხონელი, შავთელი, თმოგველი და სხვა.) და დღესაც ხმარობენ ჩვენს მწერლობაში (მაგ: ურბნელი, არაგვისპირელი, მღვიმელი, ფშაველა და სხვა.).

საჭიროა განვიხილოთ, თუ რას აღნიშნავს აქ მოხსენიებული სიტყვები რუსთაველი და მესხი... საქართველოში ორი რუსთავია ცნობილი – ერთი ქალაქი რუსთავი, რომელსაც ძველად ბოსტან ქალაქი ეწოდებოდა, ხოლო მეორე დაბა რუსთავი, სამცხეში (ახალციხის მაზრა). მკვლევარის თქმით, საშუალო საუკუნეებში მესხეთის რუსთავიც და ბოსტან ქალაქის რუსთავიც დიდი და დანინაურებული კულტურული ცენტრები იყო, ამიტომ გადაჭრით იმის თქმა, თუ რომელი მხარის მკვიდრი იყო რუსთაველი, ძნელია.

სილოვან ხუნდაძე ბევრ საინტერესო ისტორიულ დოკუმენტს მიმოიხილავს და საგულისხმო დასკვნებს აკეთებს პოემის ავტორის სახელის დაზუსტების მიზნით. მისი თქმით სახელი შოთა, მხოლოდ გადმოცემებითაა ცნობილი და „პირველად თამარის დროინდელ სიგელშია მოხსენიებული 1190 წელს“. მეორედ შოთა (ართავაჩოს ძე) მოხსენიებულია „ქართლის ცხოვრებაში“ – ვინმე შოთა კუპრი.

„შთამომავლობის მიერ რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად პირველად მოხსენიებულია „ზილიხანიანის“ ავტორისაგან, რომელიც მე-16 საუკუნის დამდეგს ცხოვრობდა, ასევე მოხსენიებულია თეიმურაზ პირველის მიერაც. შოთა რუსთაველს უფრო ვრცლად იხსენებს არჩილ მეფეც („გაბაასებაში“)... „გაბაასება“ საყურადღებოა იმიტაც, რომ რუსთაველი „ვეფხისტყაოსნისთვის“ თამარ მეფისგან დაჯილდოებული ყოფილა.“

სილოვან ხუნდაძე ცდილობს გარკვეულ თემატურ სისტემაში მოაქციოს რუსთაველის შესახებ არსებული გადმოცემები. მისი თქმით, ერთი გადმოცემის მიხედვით, შოთა ადრე დაობლებულა. იგი ვინმე ბერს აღუზრდია. უსწავლია საქართველოში – რუსთაველი, შემდეგ ტაოკლარჯეთში, ტბეთის მონასტერში. აქედან საბერძნეთში გაუგზავნიათ სასწავლებლად ათონის მთაზე. შემდეგ საქართველოში დაბრუნებულა, როცა აქ თამარის სახელი უკვე განთქმული იყო. თავისი ნიჭიერებით თამარისა და კარისკაცების ყურადღება დაუმსახურებია. სწორედ აქ სწვევია თამარის მშვენიერებით მოხიბლულს მისადმი პლატონური სიყვარული. სილოვან ხუნდაძის თქმით პოემის წინასიტყვაობა შესაძლებელია მართლაც ავტორს ეკუთვნოდეს (...„ვის მორჩილებს ჯარი სპათა მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი“). გადმოცემის მიხედვით მალე პოეტს პოემა დაუნერია და თამარისთვის მიუერთმევია, რისთვისაც ის დაუჯილდოვებიათ.

მკვლევარი ასევე წიგნში წარმოაჩენს მეორე ლეგენდას, რომლის მიხედვით პოემის ავტორი ვიღაც ქალს შეჰყვარებია, შოთას სხვა შეურთავს. ცოლს მოსამსახურე ზანგთან უღალატია. დაუნებულ ქალს შოთასთვის ნადიმში მიუკითხავს, ყველაფერი უჩვენებია. განრისხებულ შოთას ცოლი, მსახური ზანგი და ამბის მიმტანიც მოუკლავს, ხოლო თვითონ სამშობლოდან გადახვეწილა და ჯვრის მონასტერს შეხიზვნია. დარჩენილი სიცოცხლე კი ბერობაში გაუტარებია.

სილოვან ხუნდაძის თქმით „ამ ლეგენდასთან დაკავშირებულია მე-18 საუკუნის ეპისკოპოსის ტიმოთეს ცნობა, რომ ჯვრის მონასტრის კედელზე დახატული ყოფილა ქართველი დიდებულის სურათი, რომლის ქვეშაც ნაწერილი ყოფილა რუსთაველი.“ მკვლევარის ფიქრით ჯვრის მონასტრის ალაპებში მოხსენებული „მეჭურჭლეუხუცესი შოთა“ ამ გადმოცემას ემყარება. მართლაც უდაო ფაქტია, რომ დრო ყველაზე ჭეშმარიტი და კეთილსინდისიერი მემისტორიეა. თითქმის საუკუნე გავიდა სილოვან ხუნდაძის მეცნიერული ალღოიანობითა და ჩვეული აკადემიური პროფესიონალიზმით დაწერილი სასკოლო სახელმძღვანელოს „შოთა რუსთაველის“ გამოქვეყნებიდან, მაგრამ იგი დღესაც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ამ პრობლემის კვლევით დაინტერესებულ ადამიანებს.

ოდიშ-იმერეთის ურთიერთობათა ისტორიიდან (XVI-XVIII სს)

ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული წარსულით გამორჩეული ადგილი უჭირავს ისეთ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებს, როგორცაა ოდიშ-იმერეთი. ისინი საქართველოს მასშტაბით ვრცელ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ – საკუთარი სახელმწიფო აპარატით და საერთო ქართულ ასპარეზზე თუ საერთაშორისო სარბიელზე თავიანთი დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსით.

გვიან ფეოდალური ხანის ზემოთ ხსენებულ პოლიტიკურ ერთეულთა ისტორიის ცალკეული საკითხები და მათი მრავალმხრივი ურთიერთობები არაერთი ისტორიკოსის დაკვირვებისა და კვლევის ობიექტი გამხდარა, მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენი აზრით ეს პრობლემა საბოლოოდ გადაჭრილი არ გახლავთ და დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს.

ჩვენი მოკვალეული ცდა – წინამდებარე შრომა ეხება იმერეთ-სამეგრელოს ურთიერთობებში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებულ ისეთ საკითხს, როგორცაა გვიანფეოდალურ ხანაში დღევანდელი „ვანის რაიონის“ ტერიტორიულ სივრცეში არსებული ჩიჯავაძეთა სათავადო და ამ სათავადო სახლის წარმომადგენელთა ურთიერთობა ზემოთ აღნიშნულ პოლიტიკურ ერთეულებთან (ოდიშის სამთავროსთან და იმერეთის სამეფოსთან).

ჩიჯავაძეთა მონაწილეობას იმერეთის მეფისა და სამეგრელო, გურიის მთავართა შორის არსებულ შინაფეოდალურ ბრძოლებში განაპირობებდა საჯავახოსთან, როგორც ჩიჯავაძეთა სათავადოს საზღვრისპირა ერთეულთან, უშუალო მეზობლობა. საცილობელ სასაზღვრო ობიექტთან მოსაზღვრეობა ჩიჯავაძეებს ყოველთვის აიძულებდათ შესაბამისად შეეფასებინათ არსებული მდგომარეობა და მიმხრობოდნენ იმ ძალას, რომელსაც კონკრეტულ შემთხვევაში მეტი პოლიტიკური წონა გააჩნდა.

ჩიჯავაძეთა სათავადოში მთლიანად თუ ნაწილობრივ შედიოდა: დაფნარი, დაბლა გომი, გომი (მუხალრუა, მუხაყრუა), მთისძირი, სებეკა, ციხესულორი, ბზვანი, სალხინო, ტობანიერი, დიხაშხო (ნაწილობრივ), საპრასია, ისრითი, დვალისვილები (ნაწილობრივ), ციხისუბანი (ნაწილობრივ), გადიდი, ბზვანი (ნაწილობრივ) ინაშაური (ნაწილობრივ)¹, ყუმური (საპაიჭაო), საყულია (ნაწილობრივ), ონჯოხეთი. ვიდრე ალექსანდრე V კონკრეტულ გარემოებათა გამო ჩამოსახლებდა რაჭის ერისთავთა ერთ-ერთ შტოს ჩიჯავაძეთა სამფლობელოში შედიოდა გორა, უხუთი, დღევანდელი ზეინდრის ტერიტორია, ფერეთა, სალომინაო, დღევანდელი ბაღდათის ადმინისტრაციულ საზღვრამდე. კრავეიჩის ცნობით² აღნიშნულ ჩამონათვალს ემატება რომანეთი და ძულუხი.

ჩიჯავაძეთა სათავადოს საზღვარი დასავლეთით საჯავახომდე აღწევდა, აღმოსავლეთით – ქორისწყლამდე³, ჩრდილოეთით მდინარე რიონამდე და სამხრეთით ახალციხემდე. უკანასკნელისაგან საჩიჯავაძეოს ჰყოფდა მცირე სამხრეთ კავკასიონის ალპური საძოვარი მთები: ლამაზმთა, საბულრაო და სხვა.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ „საჩინოს“ ტერიტორია ალპურ ზონაში არსებული მთებით პირდაპირ უკავშირდებოდა ახალციხეს, საიდანაც შესაძლებელი გახლდათ მტრის შემოსევა. ეს გზა ე.წ. „გზაბოძლიდან“⁴, რამდენიმე მიმართულებით იყოფოდა, საპრასია-რომანეთის, ძულუხის, დვალისვილების, გადიდ-ონჯოხეთის, ყუმურის (საპაიჭაო) მიმართულებით ასე რომ, „საჩინოს“ (ტერიტორიის) გეოპოლიტიკური მდებარეობა შინა თუ გარე საომარი მოქმედების დროს⁵ ყოველთვის მნიშვნელოვანი გახლდათ, მითუმეტეს, როდესაც ზემოხსენებულად იგი

1. დიხაშხო, დვალისვილებისა და ციხისუბნის ნაწილი თავად ლორთქიფანიძეებს ეკუთვნოდათ.
2. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის საბუთი №317.
3. იგივე კორისწყალი.
4. „საჩინოს“ ალპურ ზონაში არსებული ერთ-ერთი მთის სახელწოდება
5. ახალციხიდან მტრის შემოსვლას გადიდ-ონჯოხეთის უხუცესი მცხოვრებნი (ა. შარაშენიძე) „შიშინაობის სახელწოდებით მოხსენიებდნენ. სოფელ გადიდში დღესაც შემონახულია თავდაცვითი მნიშვნელობის მქონე ე. წ. სათოზურებიანი ძულური ტიპის ნაგებობების ფრაგმენტები.

უშუალოდ ემეზობლებოდა იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის სასაზღვრო ერთეულს — საჯავახოს.

ზემოთ ჩამოთვლილი სოფლების გარდა ჩიჯავაძეები ადგილ-მამულს ფლობდნენ ჭყვიშს, მურლუნეთს, მაჭარეულს, ამაღლებას¹ და ზამთაროულში².

ვრცელი მიწა-წყლის მქონე ჩიჯავაძეები უფრო მეტი გაფართოებისაკენ მიილტვოდნენ, რაც მკვეთრად უკავშირდებოდა იმერეთ-ოდიშ-გურიის საცილობელ სასაზღვრო ერთეულად ქცეულ საჯავახოს ფლობის საკითხს.

ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში დაცული ცნობით ჩიჯავაძეთა რეზიდენციას წარმოადგენდა სებეკა, სადაც სათავადოს უფროსს ჰქონდა სასახლე, ციხე-სიმაგრე და კარის ეკლესია. სასახლე აგებული გახლდათ მდინარეების სულორ-რიონის შესართავთან ახლოს, დაახლოებით 2,5 კმ-ში არსებულ გორაკზე, იქ, სადაც დღეისათვის ვანი-ბაღდათის ეპარქიის ადმინისტრაციული სახლის ნაგებობაა აღმართული.

ჩიჯავაძეთა სახლიკაცები განლაგებულნი იყვნენ ვანს, ჭინჭველაურს (ბზვანის თავზე), ისრითსა და ამაღლებაში³.

სებეკას ციხის გარდა, ჩიჯავაძეები ფლობდნენ ასევე ციხესულორის, ქვედა ვანის და საპაიჭაოს (ყუმურის) ციხე-სიმაგრეებს.

საგვარეულო სასაფლაო მათ ვანის (დღევანდელი ზედავანი) მთავარანგელოზ მიქელის ეკლესიაში ჰქონდათ. ჩიჯავაძეთა ერმრავლობაზე მიუთითებს იაკობ რეინიგსის ცნობა XVIII საუკუნის II ნახევარში – მათ მფლობელობაში 1 000 კომლი ირიცხებოდა.

ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში დაცული ცნობით ჩიჯავაძეები XVI საუკუნის ბოლოს აქტიურად მონაწილეობდნენ როსტომ იმერთა მეფესა და გიორგი გურიელს შორის მიმდინარე ბრძოლაში. აქ ორი აღნიშნული გვარის წარმომადგენელი, ჩანს ერთი როსტომს უჭერს მხარს, მეორე გურიელის მიერ იმერეთის ტახტის პრეტენდენტად წამოყენებულ ბაგრატ თეიმურაზის ძეს.

„როსტომ ვერა მტკიცედ დაიპყრა მეფობა იხილა გურიელმან გიორგიმ საქმე როსტომისა, შეიკრიბნა სპანი, მოვიდა და მოიყვანა ბაგრატ ძე თეიმურაზისა ვახტანგის ძისა, ვერ წინაღუდგა როსტომ, წარუხუნა ქუთათისი და მისცა ბაგრატს, განუმაგრა ციხე ქუთათისი და მოუდგინა ძე თვისი მამია ბაგრატის თვით მივიდა საჩინოს, და მუნ დასუა სხვა ჩიჯავაძე და მიიქცა გურიასავე“⁴.

მკვლევარ ოლღა სოსელიას აზრით ხსენებული ორი ჩიჯავაძიდან შესაძლებელია ერთი იყოს საზვერელი ჩიჯავაძე.

მომდევნო პერიოდში ჩიჯავაძეები ერთ ხანს არ ჩანან წყაროებში. XVII საუკუნის შუა წლებში კი ეს საგვარეულო ფრიად დაწინაურებული ჩანს. ამ პერიოდის იმერეთის წარჩინებულ-თავადურ გვართა შორის მას თავისი ღირსებით მეოთხე ადგილი უჭირავს. ჩიჯავაძეთა გვარის წარმომადგენელი, საზვერელ III იმერთა მეფის-ალექსანდრე III-ის მიერ, რუსთ ხელმწიფისათვის გაგზავნილ 1651 წლის ფიცის წიგნში მეოთხე ადგილზე იხსენიება. სათავადოს უფროსობაც საზვერელ ჩიჯავაძეს აქვს, გვარში ის პირველობს.

ალექსანდრე III-ის მეფობის (1639-1660 წწ) უკანასკნელ წლებში ჩიჯავაძენი მონაწილეობენ ბრძოლაში, რომელიც წარმოებს მეფე ალექსანდრე III-თან შეთანხმებულ – ვამეყ დადიანის მიერ ქაიხოსრო გურიელის წინააღმდეგ. ქაიხოსრომ ეს ლაშქარი დაამარცხა. დატყვევებულთა შორის იყვნენ ჩიჯავაძეებიც⁵. იმერეთის სამეფოს და ოდიშ გურიის სამთავროთა შორის მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ჩიჯავაძეთა აქტიურ ჩართულობაზე მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში დაცული კიდევ ერთი ისტორიული ფაქტი.

¹ მკვლევარ ოლღა სოსელიას თავის მონოგრაფიაში ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან მოხსენებული აქვს, რომ იაკობ მესხის ცნობით სოფელი ამაღლება უმეტესად იმერეთის ერისთავებს ეკუთვნოდათ, რაც თავის მხრივ ჩიჯავაძეთა უფლებრივობაზე, შეზღუდვაზედ მეტყველებს.

² ქიშს №46, 53, 226, 283, 419; ს. კაკაბაძე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები II ტფილისი 1921. გვ. 168, 169.

³ ქიშ ის №10,59.

⁴ ქართლის ცხოვრება IV ბატონიშვილი ვახუშტი აღწერა სამეფოსა საქართველოსა გვ. 821.

⁵ Д.м. Бакрадзе АПГА С.192 სახელები არ იხსენიება

1661 წელს ქართლის მეფე ვახტანგ V-მ (შაჰნავაზმა) იმერეთი დალაშქრა¹, საჩიჯავაძეოს მომიჯნავე საჯავახო გურიელს გადასცა². ქართლის მეფის ეს ღონისძიება იმერეთის კანონიერ მეფესა და გურიელს შორის განწყობილების გამწვავებას და არჩილის მონინაალმდეგეთა გაფანტვას ისახავდა მიზნად.

გურიელის ხელში საჯავახოს გადასვლით „ჩიჯავაძენი მარადის იყვნენ წინაშე გურიელისა“.

1682 წელს ხონთქრის მეოხებით იმერეთის სამეფო ტახტზე ადის ქართლის მეფე, გიორგისთან მყოფი, ალექსანდრე ბაგრატიის ძე. ამ პერიოდისათვის შინაფეოდალური დაპირისპირების ფონზე დანიშნურებულია პაატა აბაშიძე, რომელსაც მორჩილებდნენ სრულიად „მარგველნი“⁴, რომლის შემომტკიცების მიზნით მას ალექსანდრემ ცოლად მიათხოვა თავისი და დარეჯანი. ალექსანდრე მეფის გაძლიერებას წინ აღუდგა გიორგი ლიპარიტიანი, შოშიტა რაჭის ერისთავი და ბეჟან ლორთქიფანიძე, რომლებიც შეუერთდნენ გურიელს. ჩიჯავაძენიც ამ ბრძოლაში, რომელიც 1684 წელს გაიმართა როკითს, გურიელის მხარეზე იბრძვიან. აღნიშნულ ბრძოლაში დაიღუპნენ გიორგი გურიელი და შოშიტა რაჭის ერისთავი. „ბრძოლის შემდგომად პყრობილნი გურიელ-ოდიშარნი და იმერნი დაჰყიდნეს ვერცხლსა ზედა და დაიპყრა ალექსანდრემ კუალად იმერეთი“⁵.

საკვლევო თემის მხრივ ფრიად საინტერესოა 1734 წლის ჩიხორის ბრძოლის შემდგომი პერიოდი, როდესაც მეფე ალექსანდრემ ბრძოლის შემდეგ თავისთან მყოფ დაჭერილ დადიანს „გამოართვა საჭილაო-სამიქელაო, ზავჰყო ამით ლევან აბაშიძის გამო და განუტევა. მოვიდა საჩხერეს, მისცა დატვისი, ნაშობი თამარისაგან ცოლად მაჰმადბეგს დაიზავა და წარვიდნენ ქართველნ-ოსმალნი ქართლსავე“. ამ პოლიტიკური ქმედების შემდეგ მას დაუზავდნენ დადიანი, ერისთავი და ზურაბი. შემდგომად მოადგა მამუკა ციხესა ბეჟან ჩიჯავაძისასა და მოჰპარვით აღილო ციხე სეპეკისა, მერმე აღილო ციხე ბეჟანისა და დაიპყრა საჩიჯავაძეო მამუკამ“⁶.

ეს ფაქტი მეფე ალექსანდრეს რეკომენდირებით და ჩიჯავაძეთა იმერეთის სამეფოს ხელისუფლებისადმი საწინააღმდეგო ქმედებით იყო განპირობებული.

ამ გარემოებას ადასტურებს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული საბუთი იმერეთის სამეფო წრის მიერ გაცემული წყალობის სიგელი „წყალობის სიგელი წიგნი გიბოძეთ შენ ჩვენ ის ტახტის მემკვიდრის ყმას ჩიჯავაძეს ესრეთ რომ მამუკას ბატონისშვილს გაელარბებინეთ და თქვენი სამკვიდრებელი თავისათჳს დაეპყრა“.

შემდგომ საუბარია მამუკა ბატონიშვილზე „წყალობა გიყავ და გიბოძე ოჯახსა შენისა სამკვდრ – სასახლე საბეკა თავსის აზნაურისშვილის, მსახურის თუ გლეხით. ოტიელა ლორთქიფანიძის მის სახლიკაცის გარდა აბულაძის და აბაშიძის გარდა საპაიჭაოს შუამფტას შემავალს, გარდა ამ ზემო აღწერილს საჩვნო თავსის ადგილ-მამულით, ტყით, წყლით, ეკლესიით საყანით თვისისსამართლიანის ზღვრით შენთვის გვიბოძებია“⁷.

დაახლოებით ასეთი სახით წარმოგვიდგება ჩიჯავაძეთა სათავადო სახლის პოლიტიკური ცხოვრება ოდიშ-იმერეთის ურთიერთობათა ისტორიის ჩვენთვის საინტერესო პერიოდში.

¹ ამ დროისათვის იმერეთში პოლიტიკური აშლილობა სუფევს. მეფე ალექსანდრე III გარდაცვლილია.

² ვახუშტი, აღწერა გვ.867.

³ იქვე.

⁴ ქართლის ცხოვრება ტ. IV გვ.847.

⁵ იქვე, გვ. 847.

⁶ ქართლის ცხოვრება ტ. IV გვ. 888

⁷ ქიმ ის №103

**„ვანი ისეთი კბლია, საიდანაც ყოველთვის საინტერესო
აღმოჩენებს ველოდებით“...**

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საზოგადოების ფართო ინტერესს იწვევდა და იწვევს ვანის არქეოლოგიური გათხრები, აქ მოპოვებული ექსპონატები, მისი მეცნიერული ანალიზი და კონკრეტულად ისიც, რომ ამის საფუძველზე ახალი სიტყვა ითქვა ქართულ ისტორიოგრაფიაში და არა მარტო ქართულ ისტორიოგრაფიაში. საქმიანობის გვირგვინს წარმოადგენდა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ გამართული მსოფლიო არქეოლოგთა სამეცნიერო სიმპოზიუმები, რომელიც არქეოლოგიური გათხრების ბაზაზე, 1985 წლიდან თანამიმდევრულად ტარდებოდა ვანში. ჩვენი აზრით, ეს იყო მსოფლიოს წამყვან არქეოლოგთა უმაღლესი დონის ფორუმი, საფუძველჩაყრილი ქართული და შეიძლება ითქვას, მსოფლიო არქეოლოგიის მეტრის, პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძის მიერ.

საქართველოში, დროში განვითარებულ რადიკალურ ცვლილებებს რამდენადმე მოჰყვა კონკრეტული რყევები ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. ეს პროცესი აისახა ვანში მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრებზეც. მიუხედავად აქ მომუშავე სამეცნიერო ნრეების, პერსონების თავდადებისა და მზადყოფნისა, საქმიანობის ინტენსივობა ძველებურად არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით 2007 წელს, ახალ მნიშვნელოვან და მასშტაბურ აღმოჩენებს, შემდეგში ერთეული ექსპედიციებისა (გ. ყიფიანი, დ. კაჭარავა, დ. ახვლედიანი, ნ. მათიაშვილი), ხოლო სიმპოზიუმებზე ზედმეტიც გახდა საუბარი. ის ბაზა, სადაც ასეთი სამეცნიერო შეხვედრები და მსჯელობანი იმართებოდა კონკრეტულად ვანში, უკვე აღარ არსებობს. დაშლილია სახელგანთქმული, ვანის არქეოლოგიური მუზეუმი, გადახდილი აქვს ჭერი და თითქმის, 4 წელია დგას ამ მდგომარეობაში. არავითარი სურვილი არაა დეტალური საუბრისა, მაგრამ არქეოლოგიური მუზეუმი, რომელშიდაც სამეცნიერო შემოქმედებითი საქმიანობა ზემომითითებული თარიღიდან უწყვეტად მიმდინარეობდა, თავის დროზე ემსხვერპლა ქვეყანაში პოლიტიკურ დაპირისპირებას და იმ დროს უმაღლესი სახელისუფლო ემელონიდან კონკრეტულ მერკანტილურ ინტერესს.

სიტუაციათა ცვლას მოჰყვა ექსპედიციის სამუშაო პროცესების დაფინანსების წესების ცვლაც, რაც ერთგვარად ართულებს ღია საველე სამუშაოებს, სახელმწიფოებრივი დახმარებაც, როგორც სჩანდა ნაკლებად იკვეთება. ჯერჯერობით ვერც მეცნიერებათა აკადემიიდან იგრძნობა აქტიური მხარდაჭერა, ყოველ შემთხვევაში, პროცესთა ასეთი ჯაჭვი შესამჩნევია. ამის გამოც, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე ზოგიერთ საკითხებზე მოსაზრება ვთხოვეთ ვანის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელს, პროფესორს, ქალბატონ – დარეჯან კაჭარავას.

– ქალბატონო დარეჯან მოგესალმებით, პირადად ჩემი და „ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეს“ სახელით. ვადასტურებთ პატივისცემას უშუალოდ თქვენი და თქვენი კვლევის ცენტრის სამეცნიერო კოლექტივის მიმართ და კიდევ ერთხელ მაღლიერების გრძნობით აღვნიშნავთ, რომ ეს უაღრესად საპატივცემულო ადამიანები თანამშრომლობენ „კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანესთან“. კრებულ „მატიანეს“ მეორე ნომერში გამოქვეყნებულია ასევე თქვენი და ბატონ დიმიტრი ახვლედიანის სტატიაც – „განძი ვანის ნაქალაქარიდან“, რისთვისაც კიდევ ერთხელ გამოვხატავთ მაღლიერებას თქვენი მისამართით. ეხლა რაც შეეხება კონკრეტულ საკითხს.

– ქალბატონო დარეჯან, დრო მიდის, თაობები იცვლებიან, საგნებისა და მოვლენების მიმართ იცვლება შეხედულებანიც. გამომდინარე აქედან, გთხოვთ კიდევ ერთხელ გვესაუბროთ ვანის გათხრების ისტორიულ მნიშვნელობაზე, მის როლზე ქართულ ისტორიოგრაფიაში და კვლევების საერთო განზომილებებზე, მის ღირებულებებზე შესაბამისი პერიოდის მსოფლიო ისტორიოგრაფიაში.

– ვანის ნაქალაქარი ანტიკური ხანის საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლია. უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ისტორია საკმაოდ ხანგრძლივია (თითქმის ერთ ათასწლეულს მოიცავს). საქმე ისაა, რომ აქ მოპოვებული მასალა უზარმაზარ ინფორმაციას გვანვდის ანტიკური ხანის კოლხეთის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესახებ, იქნება ეს მეურნეობის, ხელოსნობის და ხელოვნების დარგები, თუ სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების განსხვავებული მხარეები, აგრეთვე ურთიერთობანი გარე სამყაროსთან. არანაკლებ მნიშვნელოვანია, მეტად თუ არა, ამ ინფორმაციის სათანადოდ გაანალიზება. ამ მხრივ ვანის ნაქალაქარს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბედი წყალობდა. მას შესანიშნავი მეცნიერები სწავლობდნენ. აქ პირველი მეცნიერული გათხრები საქვეყნოდ ცნობილმა ექვთიმე თაყაიშვილმა ჩაატარა, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველი ხელმძღვანელი, პირველი ქართველი არქეოლოგი ქალი, ნინო ხოშტარია იყო, 30 წელზე მეტ ხანს კი ექსპედიციას ოთარ ლორთქიფანიძე უძღვებოდა. ბატონი ოთარი არა მარტო დიდი მეცნიერი და ვანის აღმოჩენების შესანიშნავი ინტერპრეტატორი, არამედ მათი პოპულარიზატორიც იყო. მან პირველმა მიიჩნია ვანის ოქრომჭედლობის ნიმუშების კოლექცია რეალურ საფუძვლად ბერძნული მითისა კოლხეთის ოქრომრავლობის შესახებ. მანვე გაიტანა საქართველოს ფარგლებს გარეთ ინფორმაცია კოლხურ ოქრომჭედლობაზე და მსოფლიო რეზონანსი მოუტანა ვანის კიდევ ერთ აღმოჩენას – ჭაბუკის ბრინჯაოს ქანდაკებას. გასულ წელს ეს ქანდაკება იმ ოცამდე ბრინჯაოს ქანდაკების რიცხვში აღმოჩნდა, რომელსაც საგანგებო გამოფენა მიეძღვნა აშშ-ში.

– საინფორმაციო საშუალებებით, სამწუხაროდ, არაინტენსიურად, მაგრამ მაინც გაიელვებს ქართულ სივრცეში ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შესახებ. ჩანს, ფაქტები აშკარად აფიქსირებენ ჩვენი (ქართველთა) წინაპრების როლზე მაშინდელი სამყაროს წინაშე, რომ ვართ უძველესი კულტურის, მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან მყოფი ერი, იბერიულ-ქართული სამყაროს წარმომადგენლები და გვაქვს საკუთარი ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის სრულქმნის პროცესში. გთხოვთ, შეგვიფასოთ ეს მომენტები, რომ ახალგაზრდობას კიდევ ერთხელ ვუთხრათ ვინ არიან ქართველები, საიდან მოვდივართ, რა როლი გვითამაშია ამ უაღრესად რთულ, მაგრამ საპატიო გზაზე.

– ქართული არქეოლოგია მსოფლიო არქეოლოგიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. იშვიათად თუ გაივლის ხოლმე წელი ისე, რომ რაიმე დიდი აღმოჩენით არ აღინიშნოს. კაცობრიობის განვითარების არც ერთი საფეხური არ არსებობს, რომ არ იყოს საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილი, თანაც, როგორც წესი, პირველხარისხოვანი ძეგლებით. მარტო დმანისი რად ღირს, ან მცხეთა, ან თუნდაც ვანი (გთხოვთ, მიკერძოებულობაში ნუ ჩამომართმევთ). მსოფლიო არქეოლოგიაში იშვიათია ისეთი ძეგლები, რომლებმაც ოქრომჭედლობისა და მხატვრული ბრინჯაოს ისეთი კოლექციები მოგვცა, როგორც ვანმა. არ არსებობს მისი თანადროული ბერძნული თუ აქემენიდური ოქრომჭედლობის რაიმე ძირითადი მიღწევა, რომ ის არ იყოს ათვისებული კოლხი ოქრომჭედლების მიერ. ზოგ რამეს კოლხი ოქრომჭედლები ითავისებდნენ, ზოგსაც მალე ივიწყებდნენ, ზოგს კი საერთოდ არ იღებდნენ. კოლხებისთვის უცხო არც ბერძნული თუ აქემენიდური სამშენებლო საქმის სიახლეები იყო, რომლებსაც ასევე თავისებურად იყენებდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ხელოვნება-ხელოსნობის სხვა დარგების შესახებ. ერთი სიტყვით, კოლხები იმდროინდელი სამყაროს განვითარების ფერხულში აქტიურად იყვნენ ჩაბმულები.

– ქალბატონო დარეჯან, იმ გზას, რომელსაც საქართველოს უძველესი კულტურული და მსოფლიო ცივილიზაციასთან წილნაყარი ისტორიის საქართველოს საზღვრებს გარეთ გატანა ჰქვია, განუხრელად და უაღრესად აქტუალურად ემსახურებოდა ვანის გათხრებზე ჩატარებული სამეცნიერო სიპოზიუმები, რომლის შემოქმედიც ბატონი ოთარ ლორთქიფანიძე იყო, ხოლო თქვენ და მთელი სამეცნიერო ექსპედიცია, მთელი თქვენი სამეცნიერო პოტენციალით ჩართული ბრძანდებოდით ამ უიშვიათეს და მნიშვნელოვან ღონისძიებებში, რომლის მასალებსაც, სამწუხაროდ ფართო ქართული საზოგადოება, გარდა პროფესიონალთა წრეებისა ნაკლებად

იცნობს. რატომღაც გვეგონია, რომ საჭიროა მეტი საუბრები ამ საკითხის ირგვლივ და მომავალ თაობამდე მიტანა. ამ საკითხს კრებული „მატიანე“ შეეხმიანა პროფესორ გურამ კვიციანიას სტატიით, „ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმები“, გთხოვთ გვესაუბროთ თქვენს შეხედულებებზე დასმულ კითხვასთან დაკავშირებით.

– ვანის სიმპოზიუმები, რომლებიც ეძღვნებოდა შავიზღვისპირეთის ძველ ისტორიასა და არქეოლოგიას, მართლაც დიდ როლს ასრულებდა ჩვენი მეცნიერების პოპულარიზაციის საქმეში. ეს პირველ რიგში ბატონი ოთარის დამსახურება იყო. სიმპოზიუმები დიდად წარმატებული იყო, რაზეც მეტყველებს წლების მანძილზე მათ მიმართ სულ უფრო მზარდი ინტერესი, მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების რეგულარული მონაწილეობა მის მუშაობაში, რეცენზიები. წარმატებას ისიც უწყობდა ხელს, რომ სიმპოზიუმების მასალები რეგულარულად იბეჭდებოდა.

დღეს, მუზეუმის შენობის რეკონსტრუქციის პირობებში, სიმპოზიუმების ჩატარება შეუძლებელია. არც ვანის ინფრასტრუქტურა იძლევა ჯერჯერობით ამის საშუალებას. ქალაქში არ არის არც შესაბამისი სასტუმრო უცხოელი მონაწილეების მისაღებად და არც საკონფერენციო დარბაზი სხდომების ჩასატარებლად. როგორც კი შეიცვლება ვითარება, გარნმუნებთ, მაშინვე განახლდება სიმპოზიუმები.

– რადგან, თქვენი მეცნიერული აღმოჩენების, სიმპოზიუმების სახით გასაჯაროების საკითხს შევხებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მომენტისათვის ვანში მსგავს ღონისძიებათა ჩატარების ბაზა ნამდვილად არ არსებობს. წლებია ვანის უნიკალური არქეოლოგიური მუზეუმი, რომლითაც ვანელებს (და ალბათ საქართველოსაც) თავი მოგვწონდა, შეენირა პოლიტიკურ დაპირისპირებებს. ამჟამად, სასიკეთო ძვრები ამ მიმართულებით გამოჩნდა, გამოყოფილია სოლიდური თანხები, ახალი მუზეუმის ასაგებად და ალბათ, დროშიც დაჩქარდება მისი დასრულება. რას გვეტყვით კითხვაში დასმულ პროცესების ირგვლივ.

– ბოლო ხანებში სასიკეთო ძვრები მართლაც ჩანს: განახლდა მუზეუმის სამშენებლო სამუშაოები, რაც იმედს გვაძლევს, რომ 2 წელიწადში გვექნება ახალი შენობა.

ამასობაში ვემზადებით ახალი არქეოლოგიური გამოფენის მოსაწყობად: ხდება მასალის შერჩევა და მომზადება საგამოფენოდ, გამოფენის კონცეფციის დახვეწა, მზადდება საგამოფენო ტექსტები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ამჟამად მიმდინარეობს ნაქალაქარის ცალკეული ძეგლების (კარიბჭის კომპლექსი, ე.წ. მოზაიკურიატაკიანი ტაძრის, ზედა ტერასის ერთ-ერთი სამლოცველოსა და სამარხის, ცენტრალურ ტერასაზე საფეხურებიანი საკურთხევლის, მრგვალი ტაძრის) გადახურვა-დაცვის სამუშაოები. მზადდება საინფორმაციო სტენდების ტექსტები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

რამდენადაც ვანის აღმოჩენების გასაჯაროება-პოპულარიზაციის საკითხს შევხებით, უნდა გავიხსენოთ ვანის ოქრომჭედლობის კოლექციის გამოფენები, რომლებიც გაიმართა საზღვარგარეთ 2007-2010 წლებში (Altes Museum-ი, ბერლინი; აზიური ხელოვნების მუზეუმი, ნიცა; ფულის მუზეუმი, პარიზი; არტურ მ. საკლერის გალერეა, სმიტსონის ინსტიტუტი, ვაშინგტონი; ძველი სამყაროს შემსწავლელი ინსტიტუტი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტი, ნიუ-იორკი; სახვითი ხელოვნების მუზეუმი, ჰიუსტონი; ფიცვილიამის მუზეუმი, კემბრიჯი; ბენაკის მუზეუმი, ათენი; პოლ გეტის მუზეუმი, ლოს-ანჯელესი; ხმელთაშუა ზღვისა და წინა აზიის კულტურების მუზეუმი, სტოკჰოლმი; დრენტ მუზეუმი, ასენი; არქეოლოგიის მუზეუმი, სვეიცია). გამოფენებს დიდი წარმატება ხვდა წილად, გამოიცა რამდენიმე კატალოგი.

21-ე საუკუნის დასაწყისის ვანის აღმოჩენების გასაჯაროება-პოპულარიზაციას ემსახურება აგრეთვე ექსპედიციის თანამშრომელთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ. მათ შორისაა მე-10 ტომი სერიიდან – „ვანი, არქეოლოგიური გათხრები“, რომელიც ეძღვნება ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე მრავალწლიანი გათხრების შედეგებს (ავტორი ნ. მათიაშვილი). ძეგლის მხოლოდ გათხრა საკმარისი არაა, აუცილებელია ახალი აღმოჩენების დროულად გამოქვეყნებაც.

– არის თუ არა მოცემულ ეტაპზე შესაძლებლობა არქეოლოგიური საველე სამუშაოების ინტენსიურად განახლებისათვის. (თუ ჩავთვლით, რომ ამ პროექტს არ სჭირდება გრანდიოზული

თანხების მობილიზება) შეიძლება უხერხულია ამ კითხვაში ასეთი პასაჟის გაუღერებაც, მაგრამ თუ ელოდებით ამ მხრივ ქართველ ბიზნესმენტა წამოშვლებას, თუ რიგი მათგანის პატრიოტიზმი რიტორიკული სადღერგძელოების დონეზე დასული. ასევე, ელოდებით თუ არა სახელმწიფოსგან ამ მიმართულებით დახმარებას, რა როლის შესრულება შეუძლია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და ჩანს თუ არა ამ მიმართულებით მოქმედება.

– საუკუნის დასაწყისი ვანში დიდი არქეოლოგიური აღმოჩენებით აღინიშნა. 2002-2005 წლების არქეოლოგიური გათხრები გერდა ჰენკელის ფონდის დაფინანსებით ჩატარდა. გათხრები რვა უბანზე მიმდინარეობდა და რვავე უბანზე მნიშვნელოვანი შედეგებით დაგვირგვინდა. კულტურის სამინისტროს დაფინანსებით ჩატარებულ გათხრებს მოჰყვა 2007 წელს ბრინჯაოსა და რკინის ნივთების განძის გამოვლენა. ასე, რომ დაფინანსებას გათხრებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს ცნობილი ფართოსანი ფრაზა: „არქეოლოგია არის დიდი აღმოჩენების და დიდი იმედგაცრუების მეცნიერება“. ზოგჯერ რამდენიმე ათეული წელი მუშაობს არქეოლოგი ძეგლზე და სენსაციური აღმოჩენა არ ჩანს. იმ უბანზე, სადაც 2002-2004 წლებში მდიდრული სამარხები და სამლოცველოები აღმოჩნდა, ისე ვიმუშავე 20 წელი, რომ ფართო საზოგადოებისთვის საყურადღებო არაფერი აღმოჩენილა (ფართო საზოგადოებისთვის-მეთქი, თორემ არქეოლოგისთვის, მერნმუნეთ, თიხის ჭურჭლის ერთ ფრაგმენტსაც კი შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს). მცირე მასშტაბის გათხრები ვანში 2008-2015 წლებშიც ჩატარდა, მათ შორის, შვეიცარიის სამეცნიერო ფონდისა და შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით. ისიც უნდა ითქვას, რომ რამდენიმე ვანელი ბიზნესმენი ყოველთვის იჩენდა ყურადღებას ექსპედიციის მიმართ. იმედია, რომ მუზეუმის ასამოქმედებლად, გათხრების სათანადო დონეზე და სათანადო მასშტაბით ჩასატარებლად ყველა სტრუქტურა ჩაებმება.

– ვანელებს საშუალება გვაქვს თვალყური ვადევნოთ გათხრებზე ექსკურსიათა ნაკადს, რომლის ინტენსივობა, მიუხედავად მოცემული მომენტისათვის ბაზის არასათანადოდ გამართლებისა, არ ნყდება. დიდია ინტერესი საკუთარი ისტორიის ფესვებისადმი, თქვენი აზრით რა დროა საჭირო იმისათვის, რომ აქ ჩვეული რიტმით აღდგეს საქმიანობა და ვინ აგებს ყოველივე ამაზე პასუხს. ჩვენ გვინტერესებს ორგანიზაცია, რომელიც მოჰკიდებს ხელს და გამართულად, დროში შეასრულებს გამიზნულ სამუშაოებს, რის საფუძველზეც მოხდება აღნიშნული გათხრების ინტენსივობის აღდგენა, ხოლო მუზეუმს დაუბრუნდება წარსული დიდება და თქვენ, მეცნიერებს მოგეცემათ საშუალება ახალი აღმოჩენების გაკეთების, მასალათა ანალიზისა და ქართველი და მსოფლიო საზოგადოებისათვის მისი მიწოდებისთვის.

– შემიძლია დარწმუნებით გითხრა, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექცია და თანამშრომლები – პირველ რიგში ოთარ ლორთქიფანიძის ვანის არქეოლოგიური მუზეუმისა და ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომლები – არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას, რომ ვანის განახლებული მუზეუმი ერთ-ერთი საუკეთესო იყოს საქართველოში.

– ქალბატონო დარეჯან, ხომ არა დაამატებდით რაიმეს დასმულ შეკითხვებს, თუ საიდუმლო არაა რას ფიქრობთ შედარებით გრძელვადიანი პროგრამის თვალსაზრისით, როგორ გესახებათ, ველოდებით თუ არა ახალ განხმარებულ აღმოჩენებს და კვლავ ვიხილავთ თუ არა ვანის მიწაზე სამეცნიერო სიმპოზიუმებში მონაწილე მსოფლიო არქეოლოგთა კოჰორტას.

– რა თქმა უნდა, მზადდება ვანის არქეოლოგიური შესწავლის ახალი პროექტი – როგორც საკუთრივ ნაქალაქარის, ასევე მისი შემოგარენის, ე.წ. ვანის ქვეყნის. ვანი ისეთი ძეგლია, რომ არ შეიძლება არ ველოდებოდეთ საინტერესო აღმოჩენებს. როგორც კი შეიქმნება შესაბამისი ბაზა, აუცილებლად განახლდება ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმები, რომელთაც ჩვენს საზოგადოებრიობასთან ერთად მოუთმენლად ელოდებიან ჩვენი უცხოელი კოლეგებიც.

გმადლობთ ინტერვიუსათვის, მომავალ შეხვედრამდე

**ვანის რაიონის ეკონომიკა XX საუკუნის 80-იანი წლების II ნახევრიდან
2010 წლის ჩათვლით**

დავაკონკრეტოთ საკითხი: ზოგად ქრილში ვიხილავთ 25 წლიან მონაკვეთს, 1985 წლიდან 2010 წლამდე, რომელიც თავისი არსით უახლესი ისტორიის პერიოდს განეკუთვნება, მაგრამ შინაარსობრივი და პოლიტიკურ-ეკონომიკური დატვირთვით, აქედან ეკონომიკურ-სოციალურ, პოლიტიკური სახეცვლილებით, თავისებურებებით, შედეგებით დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ემთხვევა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმაციათა ცვლას, სოციალისტური სისტემიდან კვლავ კაპიტალისტურზე გადასვლის თანმდევ მოვლენებს, შედეგებს, რომელიც პირნიმინდად აისახა ქართული სამყაროსა და აქედან, ვანის რაიონის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ პოტენციალზე, ადამიანების ყოფით და სულიერ მიმართულებებსა და განწყობებზე. დასტურად მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ, 1991 წლიდან 2010 წლამდე ვანის რაიონის მოსახლეობის 15 000-მდე კაცით შემცირება, ამ პროცესთან დაკავშირებული, ქვეყნის მასშტაბით მართვაში დაშვებული შეცდომებისა და რყევების შედეგია. ხანგრძლივი დროის 25 წლიანი ციკლის მანძილზე ვებრძვით ურთულესი გამოწვევებით შექმნილ რეალობებს და მიუხედავად, ბოლო 4 წელიწადში გაღებული ძალისხმევითა პრობლემათა ერთობლიობა ყოველ ნაბიჯზე გვახსენებს თავს.

სულაც არაა ელემენტარული ჭეშმარიტება, მაგრამ ცხადია, როგორც ბუნების, ასევე ეკონომიკის კანონები თვითმყოფადია და ვერ ეგუება უხეშ და მოუფიქრებელ ჩარევებს, ამიტომ თუ რამ მოხდა ამ 25 წლიანი ციკლის მანძილზე, გამონწვევები ზემომითითებულ უხეში შეცდომების კასკადში უნდა ვეძებოთ და ეს პროცესი ეხება მთელს ვერტიკალს ზემოდან ქვემოთ და მთელს ჰორიზონტალს განშტოებების სახით.

მე არ მიმყავს საუბარი იქითკენ, რომ, რადგან სოციალისტური სისტემა ჩანაცვლდა კვლავ კაპიტალისტურით, ესაა ქვეყნის დაქცევა, საუბარია იმაზე ჩანაცვლება, რამდენად მოფიქრებულად, ჭკვიანურად და წინასწარგათვლილად განხორციელდა, რადგანაც, როგორც ისტორია ადასტურებს ამდაგვარი ცვლა არის ურთულესი ეპოქალური პროცესი და ფინიშისკენ სწრაფვა ეყრდნობა მთელი საზოგადოების ერთიანობას, ცივილიზებულ ეპოქაში უპირველესად მეცნიერებასთან შერწყმულ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებით მოქმედებას. მითუმეტეს, დრო რადიკალურადაა შეცვლილი. ჩვენ გავიარეთ გზა შეხედულებათა უკომპრომისო შეჯახების, დაპირისპირებულობის, ურთიერთმიუკარებლობის, მეცნიერთა „ჩარცხილობის“ სინდრომით დატვირთული გათითოკაცებისა და შედეგიც მოვიმკეთ. ნუ ვილაპარაკებთ სამოქალაქო ომზე, თავისი კატასტროფული შედეგებით, რომელიც, სამწუხაროდ, თავს დაატყდა ქვეყანას და ამის მიზეზი მარტო გარეძალებში არაა საძიებელი. სიტუაცია კონკრეტულად გვკარნახობს პრობლემათა ჭკვიანურ უტენდენციო ანალიზს, რომელიც არ ჩანს და როგორც ვხედავთ არც აწყობთ ანალიზის დადება რა, რატომ და რისთვის მოხდა, რატომ მივედით თითქმის თვითგანადგურებამდე. სერიოზული საზოგადოება ამას აუცილებლად გააკეთებდა. ძნელად წარმოსადგენია საქართველოს არ ჰყავდეს სწავლულთა ობიექტური შემადგენლობა, რომელთაც ხელენიფებათ საკითხთა კვლევა, კვლევის შედეგების შეჯამება და საზოგადოებისათვის ცნობიერი გახადონ იგი. არ მინდა შეურაცხყოფად მიიღონ, მაგრამ ცალკეულ ჟურნალისტთა სტატიები, როგორი რანგისაც არ უნდა იყოს ის მეცნიერულ ანალიზს ხელს კი შუწყობს, მაგრამ დიაგნოზს გლობალურად ვერ დასვამს. სიტუაციათა მასშტაბური ცვალებადობის პირობებში, როგორც ჩანს, მხოლოდ ღრმა კვლევებს შეუძლია დიაგნოსტიკა და გზის ჩვენება. ამის მაგალითად ჩინური მოდელიც გამოდგება, რომელმაც მსოფლიო ალაპარაკა, რადგან იგი არის სინთეზი თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების ერთობლივი კვლევისა და შრომისა, ამის კვალობაზე პრაგმატული მოქმედებისა.

კრიზისგაუვლელი ქვეყნები მსოფლიოში თითქმის არ არსებობენ, მაგრამ იმ ქვეყნების

ხელმძღვანელთა სერიოზულობაზე, რომლებმაც გაიარეს კრიზისები, მეტყველებს ის, რომ დროზე გამოიცნეს პრობლემები და მთელი ეროვნული ენერგია მიმართეს საქმის გასასწორებლად. ამის მაგალითად XX საუკუნის 30-იანი წლების ამერიკის ფაქტივ იკმარებს, უფრო მოგვიანებით სამხრეთ კორეისაც და ა. შ. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ მუდმივად თითის გაშვერა ვიღაც და რაღაც არნახული, რეაქციული, იმპერიული და ა.შ. მესამე ძალა გველობება და ხელს გვიშლის, რომელსაც ყოველწამიერად ვატრიალებთ და ყველაფერი ვიღაცაზე ან რაღაცაზე გადაბრალების რანგში აგვყავს, ბანალურ მტკიცებად იქცა. ეს ასეა საერთოდ, გლობალური ამბიციების მქონე ქვეყნები (გნებავთ იმპერიები) არ წარმოადგენენ იმ კეთილშობილურ ძალებს, რომლებიც უშურველად გაიღებენ სიკეთეს და იქეთ არაფერს მოგთხოვენ. თითოეულ მათგანს, უპირველესად, თავისი პრეტენზიები, პოზიციები და სახელმწიფოებრივი ინტერესები მართავს და ფარულად თუ აშკარად პოლიტიკასაც ამ ვექტორით აგებენ. ასეა თუ ისეა, ჩვენი ქვეყანა ამ პოლიტიკურ ველში ისტორიულად იყო მოქცეული, ეს ინტერესები არც დღესაა განელებული და თუ რეალობებს თვალეში ჩავხედავთ იგი მოდის არა ერთი წერტილიდან, არამედ სამი ოთხი მძლავრი მიმართულებიდან მაინც სხვადასხვა მეთოდებით, სხვადასხვა შედეგებით, მოკლე და შორეულ პერსპექტივიანი გათვლებით, ტკბილი სიტყვითაც და იარაღის ჟღარუნითაც. ერის შიგა დაპირისპირებებს, ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვით – გათითოკაცებას და ა. შ. რომელიც ისტორიულად ღრნიდა ერს, არასდროს არ მოუტანია სიკეთე და ვერც მოიტანს, რადგან მასში აშკარად იკითხება პიროვნული, მერკანტილური ინტერესებიც. ამ ფაქტებზე ჯერ კიდევ ადრეული პერიოდიდან ამახვილებდნენ ყურადღებას ერის ინტერესებზე ორიენტირებული მოღვაწენი, ხოლო ფარსადან გორგიჯანიძემ თავის ისტორიაში ასეთი დაპირისპირებულობა განაჩენის სახით გამოიტანა და ციტირების გარეშე, პერიფრაზით რომ ვთქვათ, ამათ რომ ერთი პირი და ერთი აზრი ჰქონოდათ ვერც მტერი აწყენდათ რაიმეს... ამათი საქმე მხოლოდ მტრობით იწყებოდა და მტრობითვე გათავებულაო. მძიმე მოსასმენია ეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტია. მაგალითად კმარა XX საუკუნის ბოლოდან განვითარებული მოვლენები, რომ 1991 წლიდან 2012 წლამდე საქართველოს ხელისუფალთა ცვლა ყოველთვის მიდიოდა დემოკრატიის ფორმაში გამონყობილი ექსტრემალური მეთოდებით, გადატრიალებებით, ნიღაბაფარებული სხვადასხვა ჯურის და ფერის რევოლუციებით. ამაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ, საზოგადოებას ეს კარგად მოეხსენება. მაგრამ ასევე ფაქტია, თითოეული მათგანი მძიმე დარტყმებს აკეთებს ეროვნულ შეგნებაზე, ფსიქიკაზე, საერო საქმის კეთებაზე, უკიდურესი გამონვევების წინაშე აყენებს ერსაც, ბერსაც და განსაკუთრებულად ახალგაზრდობას, მომავალ თაობას. უტყვევს ერის სასიცოცხლო ინტერესებს, არყევს ეკონომიკას, როგორც ბაზისს, რომელზედაც დგას მთელი სოციოლოგია, აკარგვინებს წონასწორობას, უკარგავს მას უმთავრესს სოციალური მიზნების დამბალანსებლის როლს და ა. შ. ამ რეალობების წინაშე დგას ქართველობა ოც წელზე მეტი ხნის მანძილზე.

ამ სამწუხარო სენტენციაზე ყურადღების გამახვილება იმიტომაც დაგვჭირდა, რომ ქართული სივრცის პრობლემები მტკივნეულია მასში შემავალი ყველა ქალაქისა და რაიონისათვის, ასეა იგი ვანისთვისაც, მისი მოსახლეობისათვის, როგორც დასაწყისში მივუთითეთ ამის შედეგია რაიონიდან ასე ხანმოკლე პერიოდის მანძილზე მოსახლეობის და უპირველესად, ახალგაზრდობის, როგორც შემოქმედებითი, მწარმოებლური ძალის გადინება. სად, რომელ ქვეყნებში, თუ ქვეყნის შიგა მიგრაციაში ამ მომენტში ნუ მივაქცევთ ყურადღებას. მთავარია, რომ ეს ადამიანები რიგ ფაქტორებთან ერთად ოჯახური შიმშილის შიშმა იძულებელყო რაიონი დაეტოვებინათ და ეროვნულ-ქართულის ნაცვლად სხვისი საქმე აკეთონ.

რაიონის ეკონომიკური პოტენციალის მოშლამ, რომელიც კისრისტეხით მიემართებოდა 1990 წლის დასასრულიდან ზემოთ მითითებულ პერიოდამდე, ხელი შეუწყო იმ პრობლემათა დაგროვებას, რომელზედაც ჩვენ საუბარი გვექნება, რომ ერთ დროს უტვინოდ გადმოსროლილმა ლოზუნგმა, „ჩვენ მხოლოდ ბორჯომი შეგვინახავს“, ეკონომიკაში ჩაუხედავი კაცის ნაბოღვარი იყო, მაგრამ თავის დროზე სხვა პოსტულატებთან ერთად თავისი უარყოფითი როლი მაინც შეასრულა.

ვანი, როგორც ადმინისტრაციული რაიონული ერთეული, სპეციფიურ პირობათა გამო საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების 1929 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა 1930 წელს და მასში შევიდა ექვსი ადგილობრივი თემსაზოგადოება, რომელიც მოიცავდა თითქმის ყველა იმ დასახლებულ სოფელსა და პუნქტს, რომლებიც დღეისათვის შედიან ვანის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში.

ზოგადი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ შეიძლება ითქვას: 1920-იანი წლების დასაწყისში „ვანი“ წარმოადგენდა უკიდურესად სუსტად განვითარებულ, ჩამორჩენილ მხარეს, ეკონომიკური წყობის ჯერ კიდევ ადრეფეოდალური ფორმით, შუასაუკუნეების ყაიდის აგრარული სექტორით, რამდენიმე კუსტარული სარენით და ნულოვანი სამრეწველო პოტენციალით, რამდენიმე ერთ-ორკლასიანი სამრეწველო სკოლით და სამწუხაროდ, წერა-კითხვის უცადინარობით არა მარტო დაბალ ე.წ. გლეხთა ფენებში, არამედ ვანის ე.წ. თავადაზნაურულ არისტოკრატის წარმომადგენლობაშიც, თითქმის არარსებული სამედიცინო მომსახურებით, ანალოგიური კულტურის სფეროთი და ა.შ. მაგრამ 1930 წლისათვის, რაიონად გარდაქმნის პროცესში ვანის სამოქმედო სივრცეში განხორციელებული იყო მთელი რიგი რეფორმები და ცვლილებანი სოციალურ სპექტრში, ხოლო ეკონომიკაში, როგორც ბაზისში, იგი უკვე შესამჩნევი იყო, რადგანაც ეს სფერო გადაყვანილ იქნა სოციალისტური წყობილებისათვის დამახასიათებელ სისტემაზე დაწყებული საკუთრების ფორმების რადიკალური ცვლიდან, სოციალურ-კულტურული ფენომენით. ამ სფეროში მიღწევებიც გამოჩნდა და იგი დადასტურებულია დოკუმენტურადაც. ეს ე. წ. რეფორმატორული სიახლეების, თანამიმდევრული, თუმცა გარკვეულ ეტაპზე მტკივნეული, სრულქმნის პროცესები მიემართებოდა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე, კვლავ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმაციათა ცვლამდე, რა დროსაც ვანი წარმოადგენდა აგრარულ-ინდუსტრიულ რაიონს ყველა ძირითადი განზომილებების მიხედვით, 39-ათასი მაცხოვრებლით, უწყვეტად ფუნქციონირებადი 319-ორგანიზაციით, პედაგოგიური, ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენციით, საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ფართო ქსელით. გამართული სამედიცინო დაწესებულებებითა და კადრებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი ობიექტებით, სამი ბალნეოლოგიური კურორტით, ფიზკულტურულ-სპორტული, კულტურულ დაწესებულებათა ქსელით ცენტრსა და სოფლებში, კლუბებითა და კულტურის სახლებით, ქორეოგრაფიული სტუდიით, სახალხო თეატრით და ა.შ. რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. თითოეული მათგანი სოციალისტური სისტემის არსებობისას შეიქმნა. ყოველივე ეს შემონახულია შესაბამისი თაობის მეხსიერებაში, მაგრამ, იმის გამო, რომ ზუსტად ამ მონაკვეთის მანძილზე მოხდა მინიმუმ ერთი თაობის ცვლა, თანაც ეს მოიცავს 25-30 წლიან ციკლს. მასზე საკმაოდ ზერელე, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საზოგადოების იმ ახალგაზრდულ ნაწილს, რომლებიც უკვე შემოდიან ასპარეზზე, დღე-დღეზე ალბათ მართვის სადავეებსაც გადაიბარებენ და დაფიქრდებიან კიდევაც, ნუთუ წინათაობებმა სოციალ-ეკონომიკური მოშლილობის ზღვარზე მიყენებული რაიონი დაუტოვეს და გადასცეს. მაგრამ, რადგან არაფერია დაფარული, რომელიც არ გამყდავნდება და თუ მართლა გვსურს მომავალმა თაობამ სწორად გაიზაროს მართვის პოზიციები და თავისი ჭკუა, ცოდნა და გონება მიუძღვნას ქვეყნის აღმშენებლობას, შეფასებათა საფუძველზე სწორად მართოს პროცესები, დეტალური ცოდნა წარსულისა და ანმეოსიც აუცილებლობაა. ცხოვრება მას დაავალდებულებს, ყურადღებით მოეკიდოს წარსულსაც და ცოდნაზე დამყარებული მართოს პროცესები, რაც მას არ დასჭირდება ცხადია არ მიიღებს, მაგრამ რაც დასჭირდება დრო უკარნახებს, რომ გაცნობიერებულად მიიღოს. ეს თაობა მიიღებს რეალურად არსებულ მდგომარეობას, შეეცდება სიახლეთა შემოტანას და იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ შეძლებენ მდგომარეობის შეცვლას, მაგრამ ვერ მიიღებენ იმ მატერიალურ ფასეულობებს, რაც თაობათა რუდუნებით შეიქმნა, რადგან დაუდევრობამ და არა მარტო დაუდევრობამ გაანადგურა იგი. აღმშენებლობის თავიდან დაწყება არ იქნება იოლი პროცესი, მაგრამ სხვა გზა მათ არ ექნებათ თუ კი ისინი, რაიონის, მისი ხალხის სიკეთეზე, ერის მომავალზე დაფიქრდებიან და იზრუნებენ.

ცხოვრება აჩვენებს, რომ აღმშენებლობის გზაზე სიახლეთა ძიება აუცილებელია, სხვაგვარად დრომ არ იცის პატიება და საბედნიეროდ არც ხალხი პატიობს ხელისუფლებას ერთ ადგილზე ტკეპნას. დიდი ილიას სიტყვებით — „სამშობლო ტაძარი კი არაა, სადაც უნდა იჯდე და ლოცულობდე, ასპარეზია სადაც უნდა გაისარჯო.“ გარჯაში ეს ბრძენკაცი გულისხმობდა ერისა და ხალხისათვის სასარგებლო საქმის კეთებას, წინასწარგათვლილ, აღმშენებლობით მოქმედებას. ღმერთს არც ადრე და არც როდესმე ხელისუფლებისათვის არ მიუცია მცონარეობისა და უქმადჯდომის უფლება. ეს უფლება შემოქმედს არც რიგითი ადამიანებისათვის მიუცია და როგორც ჩანს გონებითაც იმიტომ აღჭურვა ადამიანი, არ ეცეს და პირისაგან მიწისა არ აღგავოს ის, რაც წლების მანძილზე წინაპრებს რუღუნებით უკეთებიათ და მის აუცილებლობას ხვალინდელი დღე აუცილებლად დაგანახებს.

საუბარი იქეთკენ მიგვყავს, რომ არც ერთი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი ახალი საცხოვრისის აგებას მანამ არ დაიწყებს ვიდრე საამისო პირობებს არ შექმნის, ამ დროს იგი გამიზნულად ნელ-ნელა გადადის პროცესიდან-პროცესზე და საბოლოოდ იღებს იმას რაც ჩაიფიქრა.

სტატიის ფორმატი ვერ მოგვცემს საკითხთა დეტალიზების საშუალებას, ამიტომ შემოვიფარგლოთ მხოლოდ ზოგიერთი მიმართულებების პირობითი შეფასებით.

როგორც ითქვა, ვანის რაიონი შეიქმნა 1930 წელს საქართველოში სოციალისტური სისტემის არსებობისას, ამავე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმაციაში განვლო მან 60 წელი, რომელიც მთელი თავისი განვითარების მანძილზე იყო ზიგზაგობრივიც, მაგრამ გამორჩეული ეკონომიკური აღმშენებლობით, სოციალურ-კულტურული უწყვეტი განვითარების სპექტრითაც და განსაკუთრებულად XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან, რაც სპეციფიკური პირობებით იყო განპირობებული, ამავე პერიოდში ყალიბდება ვანის რაიონის აგრარულ-ინდუსტრიული სახე შესაბამისი სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურით, როდესაც ცხოვრების დონის ზრდა თვალნათლივ შესამჩნევი იყო და XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე მიემართებოდა აღმავალი ხაზით. ვინც ვანის რაიონის ისტორიას (მხედველობაში არაა ძველი, ანტიკური) იცნობს და მედროვეობის ტენდენციურ მსჯელობებს ხარკს არ გადაუხდის, ასეთ შეფასებებს ვერ გაექცევა. რადგანაც რეალობაში თავისი დონით, საქმიან ურთიერთობათა არსითა და კულტურული ფენომენალური დატვირთვით, ეს პერიოდი რაიონისათვის იყო რამდენადმე რენესანსულიც, ამ საკითხზე მსჯელობა შეიძლება და ეს ასეა, ვინმეს მოსწონს თუ არა ამდაგვარი შეფასება.

ჩვენ ვიხმარეთ გამოთქმა აგრარულ-ინდუსტრიული რაიონი. რაც მინიშნებებს აკეთებს იმაზეც, რომ საქართველოს მასშტაბით მსგავს ადმინისტრაციულ ერთეულთა მამოძრავებელ მიმართულებას დასაბამიდან გარკვეულ დრომდე წარმოადგენდა აგრარული სფერო, რომელიც XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე მივიდა მძლავრი ინფრასტრუქტურით, ტექნიკურ-მატერიალური საშუალებებით, ორიენტირებული უპირველესად შრომის პირობებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე, რა დროშიც პროცესს ემსახურებოდა 600-ერთეულამდე გამართული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რის საფუძველზეც სოფლად შრომის ენერგოში-არალებაზე პრობლემები ძირითადად მოიხსნა, შესაძლებელი გახდა ხელით შრომის კოეფიციენტის მაქსიმალური შემცირება, შრომის ნაყოფიერების გაზრდაც და არარაობიდან რაიონის სრულყოფილი სამრეწველო პოტენციალის ჩამოყალიბებაც.

ვანის აგრარულ სექტორში ძირითადი შემობრუნება იწყება XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან, რომლიდანაც დარგთა განლაგება განხორციელდა ახალი ეკონომიკური ორიენტირის გამიზნული შედეგების შესაბამისად, რის საფუძველზეც რაიონის სოფლის მეურნეობა ნატურწარმოებიდან გადაყვანილი იქნა სასაქონლო პროდუქტწარმოებაზე, ჩამოყალიბდა წარმოებული პროდუქციის ბაზარი, ხოლო ნაწილი წარმოებული სასოფლო პროდუქციისა გახდა ადგილობრივი ნედლეულის წყარო ვანის გადამამუშავებელი მრეწველობისათვის, რომელსაც საფუძველი ადრე 1960-იანი წლების მიჯნაზე ჩაეყარა, ხოლო გადამამუშავებელი მრეწველობის სფერო მთელი თავისი სისტემითა და სანარმოებით განურჩევლად დაეფუძნა

ახალ საწარმოთა მშენებლობა-ჩამოყალიბებას და ამ მხრივ დასაქმების უწყვეტობას. ეს იყო ერთ-ერთი გამიზნული, მეცნიერების შესაბამის ჯგუფებთან შეთანხმებული შიგარაიონული აგრარული რეფორმაც ადგილობრივი გადაამამუშავებელი სამრეწველო პოტენციალის სრულყოფით, რომლის ფუნდამენტიც ნედლეულის სახით უნდა შექმნილიყო და შეიქმნა კიდევაც რაიონის სოფლის მეურნეობის სფეროში. ეს პროგრამა მიზანმიმართულად იქნა შემუშავებული და მაქსიმალურ შესაძლებლობებში განხორციელებული. ამას ადასტურებენ ფაქტები, რომელიც იწყება მეურნეობათა ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანით, ენერგო უზრუნველყოფით, რასაც უმოკლეს პერიოდში მოჰყვა სფეროდან მთლიანი პროდუქციის ზრდა 13%-ით, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა 33%-ით. მაშინ, როცა მწარმოებლური შრომითი რესურსები თითქმის არ გაზრდილა, პროცესი ადასტურებდა დარგის ინტენსიურ განვითარებას. გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მოხდა სფეროს ტექნიკური გადაიარაღებაც. ამ ნიადაგზე 80-იანი წლების შუა პერიოდიდან დაგროვდა მძლავრი ტექნიკური ბაზა. აგრარული სფეროს სამსახურში იყო: 180 ტრაქტორი, 94 გუთანი, 63 სათესი, 30 შესანამლი აპარატი, 64 ტრაქტორის მისაბმელი, სატვირთო და სპეციალური ავტომანქანები და ა.შ. როგორც ითქვა 600-ზე მეტი ტექნიკური საშუალება, სოფტექნიკის შემკეთებელი ადგილობრივი საამქრო. გამართულად საქმიანობდა ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო პუნქტი, ვაზის მძლავრი სანერგე მეურნეობა, თესლის ლაბორატორია, საგრანაჟო ქარხანა, რომელიც ამზადებდა წმინდა და ჰიბრიდული ჯიშის აბრეშუმის თესლს და ა.შ. პროცესი აჩვენებს იმასაც, რომ რაიონი აუცილებელ სასოფლო-სამეურნეო მოთხოვნებზე დარგთა მიხედვით, მაქსიმალურად თვითკმარი გახდა და ყველაფერი ეს ჩაყენებული იქნა ეკონომიკური პოტენციალის სრულყოფის სამსახურში.

ამდენად, ეკონომიკას ქმნიდა მსხვილი სამეურნეო დანაყოფები, საზოგადოებრივი მეურნეობები, რომლებიც ძირითადად წყვეტდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტწარმოების ბედს და გარდა რამდენიმე გამონაკლისისა თითოეული მათგანი სრული დატვირთვითა და უკუგებით საქმიანობდა.

აგრარული დარგებიდან სფეროთა მიხედვით მძლავრი სახით ფუნქციონირებდა მებოსტნეობის მიმართულება თავისი მრავალდარგოვნებით, რომლის პროდუქცია ყოველწლიურად აჭარბებდა 10-11 ათას ტონას, კონცენტრირებული მეხილეობა საფუძველჩაყრილი 1965-1967 წლებიდან რომლის ამ სახით შექმნა სპეციფიურმა მოვლენებმა განაპირობა, მისი პროდუქციის მოცულობა 1990 წლის ბოლოსათვის 11700 ტონა, მეჩაიეობა წლიურად 1200 ტონა თავისი ახლადაგებული ჩაის ფაბრიკით, ვანური ხახვის წარმოება 3500 ტონამდე, პომიდორის 4000 ტონა და ა.შ. კონცენტრირებული მეცხოველეობა, რომლის პროდუქცია ყოველწლიურად რძის პროდუქტების გადაამამუშავებელ კომბინატში (ქალაქ სამტრედიამი) შედიოდა 7-8 ათასი ლიტრი რძის სახით, საიდანაც მზა ნაწარმით სარეალიზაციოდ უბრუნდებოდა რაიონის შესაბამის ობიექტებს. ხორცის დამზადება 2200-2500 ტონამდე. მძლავრი სამრეწველო მეფრინველეობისა და მეცხოველეობის კომპლექსები, თევზის სატბორე მეურნეობები, მეაბრეშუმეობა და ა.შ. აი, ეს იყო ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური პოტენციალი. ზედმეტი არ იქნება კიდევ ერთი სტატისტიკური მონაცემის დამონებაც. 1980-1990 წლებში რაიონში წარმოებული იყო და სახელმწიფოს მიეყიდა 155871 ტონა ყურძენი (საშუალოდ, წლიურად 15-ათ.ტ) საერთო ღირებულებით 93,5 მილიონი მანეთი. აქედან, კერძო, ინდივიდუალური სექტორის წილს წარმოადგენდა 133115 ტონა და მისი ღირებულება 80 მილიონ მანეთამდე გაიცა რაიონის გლეხობაზე. ხილის ჩამბარებლები (წლიური 10-11-ათასი ტონა) იღებდნენ 3,5 მილიონ მანეთს, ხორცის, დაფნისა და აბრეშუმის პარკის მწარმოებლები 2-2,5 მილიონს. ამდენად, ვანის აგრარული სფეროს ორივე სექტორი მართო ამ მხრივ ყოველწლიურად დამატებით იღებდა 10-11 მილიონ მანეთს, ამ თანხების დიდი მოცულობა მიემართებოდა მწარმოებლებზე კერძო სექტორიდან, კონკრეტულად, გლეხობაზე, მათ ოჯახებზე და ა.შ. ამ დროისათვის სამეურნეო ორგანიზაციების ძირითადი ფონდების ღირებულება აღემატებოდა 14 მილიონ მანეთს, დაახლოებით ასეთ ჭრილში ფუნქციონირებდა ვანის აგრარული სექტორი, საუბარი არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ ყველაფერი იყო იდეალურად და სირთულეები საერთოდ

არ არსებობდა. ნებისმიერ განვითარებას ახლავს სირთულეებიც და პრობლემებიც, მაგრამ იმ რაიონისათვის რომელიც პარალელურად ქმნიდა მნიშვნელოვანი მოცულობის სამრეწველო პროდუქციასაც, ამდგვარი შედეგები ხელნამოსაკრავი არაა.

რაც შეეხება რაიონის სამრეწველო პოტენციალს და დამოკიდებულებას მისი უწყვეტი განვითარებისათვის: 1980-იანი წლების დასაწყისიდან რაიონს რეალურად გააჩნდა შანსი მასშტაბური პრობლემების გადასაწყვეტად, რის გამოც დღის წესრიგში დაისვა საკითხი დასაქმების ახალი ადგილების შექმნისათვის, სოციალური მომსახურების, ვაჭრობის სფეროს და უპირველესად სამრეწველო პოტენციალის გაფართოებისათვის და ეს უნდა მომხდარიყო ისე, რომ აგრარულ სფეროს ყურადღება არ მოკლებოდა, ამდენად, სამრეწველო და აგრარული სექტორების პარალელური განვითარებაც განპირობებული იყო რაიონის სპეციფიკიდან გამომდინარე. პროგრამის მნიშვნელოვანი მიმართულებანი დამუშავებული მეცნიერ კონსულტანტებთან ერთად, გათვლილი იყო 1990 წლის მონაკვეთის ჩათვლით. დრომ დაამტკიცა, რომ მიმართულება იყო სწორი და დაადასტურა იგი საბოლოო შედეგმაც.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან რაიონში ფუნქციონირებდა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი და საკონსერვო ქარხანა ღვინის ორ ქარხანასთან ერთად. რაიონის სამრეწველო პოტენციალი ძირითადად ჩამოყალიბდა 1970-90-იან წლებში. ზუსტად ამ პერიოდში გაეშვა ექსპლოატაციაში ახალი საწარმოები, ხოლო გენერალური რეკონსტრირების ბაზაზე მოხდა არსებულ საწარმოთა სიმძლავრეების ზრდა, ახალი დასაქმების ადგილების შექმნაც და რთული შრომისათვის მუშთა კონტინგენტის პროგრამული მომზადებაც, ესაა ფაქტი. აქედან სამრეწველო პოტენციალის სრულყოფით რაიონის ეკონომიკის სფერო განისაზღვრა ორი მთავარი მიმართულებით, აგრარული სექტორი – თავისი მრავალდარგოვნებით და უშუალოდ სამრეწველო სიმძლავრეთა თანმიმდევრული სრულყოფა, რომელიც სამ უმთავრეს მიზანს დაეფუძვნა:

1. სამრეწველო-სასაქონლო პროდუქციის წარმოება და აქედან რაიონის ეკონომიკური და ფინანსური საბიუჯეტო დონის ზრდა.
2. რაიონში არსებული ჭარბი მუშახელის დასაქმების პრობლემების გადაწყვეტა, რომელსაც აგრარულ სფეროში საქმიანობის სეზონურობაც აღრმავებდა. ამის საფუძველზე მიგრაციული პროცესების შეჩერება, რაიონში დემოგრაფიული სალდოს დაცვა-გაუმჯობესება, მიგრაციული პრობლემების შედარებით გადაწყვეტით რაიონის დემოგრაფიული დაბერების მტკივნეულ საკითხთა მოხსნა.
3. სამრეწველო საწარმოთა სამუშაო ციკლზე მიბმული სოციალური ინფრასტრუქტურის სრულყოფა, აღნიშნული საქმიანობის ბაზაზე ვანის რაიონში შეიქმნა და ფუნქციონირებდა 9 სამრეწველო საწარმო. აქედან, ადგილობრივი ნედლეულის სტაბილურ ბაზაზე მუშაობდა: 1. ვანის საკონსერვო ქარხანა; 2. ვანის ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა, თავისი მატონიზირებელი სასმელების საამქროთი, რომელიც რეკორდულად მოკლე დროში იქნა აგებული და გაშვებული ექსპლოატაციაში 3. ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნების სამმართველო, რომელიც მოიცავდა ქალაქ ვანის, ამაღლების, ზეინდრის და ალადასტურის გადამამუშავებელ ქარხნებს, თითოეულ მათგანში განხორციელდა გენერალური რეკონსტრუქცია, აშენდა ახალი კორპუსები, ხოლო ალადასტურის ქარხანა აგებული იქნა და გაეშვა ექსპლოატაციაში 1990 წელს.

ახლა სხვა კუთხით შევხედოთ საკითხს:

1985 წლის დასაწყისისათვის რაიონის სამრეწველო ორგანიზაციებში დასაქმებული იყო 600-ზე მეტი ადამიანი, 1988 წელს – 1700. მას შემდეგ რაც რაიონში ამოქმედდა გორის ბამბეულის კომბინატის ფილიალი, ხოლო 1990 წელს აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა საქსოვი ფაბრიკისა და ელექტრომექანიკური ქარხნის ახალი კორპუსები, აღიჭურვა თანამედროვე დახადგარებით, სამრეწველო სექტორში დასაქმებულთა კონტინგენტი გაიზარდა 2500 კაცამდე, საწარმოო სიმძლავრეთა დატვირთვის კოეფიციენტი მიაღწია 75-80% შრომის გაუმჯობესებული პირობებითა და ჯეროვანი ანაზღაურებით. შემცირდა რაიონიდან ახალგაზრდების გა-

დინება, საწარმოებზე ყოველწლიურად ჩაშვებული 6,8 მილიონიანი კაპიტალური დაბანდებიდან 2,5 მილიონი მანეთი რეგულარულად მიემართებოდა რაიონის სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქციაზე, ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი დანადგარების შეცვლასა და წარმოების პროცესის ტექნიკურ სრულყოფაზე. ამის გამოც 1988 წელს სფეროში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 137%-ით. 1986-1990 წლებში რაიონმა აწარმოა 145 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია (არ შედის მონაცემები ელექტრომექანიკური ქარხნიდან), 6,5 მილიონ მანეთამდე იზრდება მსუბუქი მრეწველობის ყოველწლიური ნაწარმი, იმავე ორგანიზაციებმა 1985 წელს აწარმოეს 33,7 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, მიუხედავად ვითარების ცვლისა, წარმოების ტემპი შენარჩუნდა 1990 წლის ბოლომდე, ორგანიზაციებმა უზრუნველყვეს საკუთარი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რომელიც სამუშაო პირობების მაქსიმალურ გაუმჯობესებით გამოიხატა. ქველმოქმედების სახით, მოგებიდან მიღებული სახსრებით, პერმანენტულ საშეფო დახმარებას უწევდნენ სკოლებს, საბავშვო ბაღებს, კულტურის დაწესებულებებს, სპორტულ ორგანიზაციებს. მათივე ხაზითაა აგებული მშრომელთა საერთო საცხოვრებლების უმეტესობა ქალაქის ცენტრში (ე.წ. მიკროქალაქის სახით). ასე, რომ, როგორც ითქვა, მრეწველობა ვითარდებოდა არსებული ჭარბი მუშახელის პრობლემების მოსახსნელად, მიგრაციის შესამცირებლად, დასაქმებულთა რიცხვის გასაზრდელად, სახელფასო და ოჯახებზე დამატებითი შემოსავლების მოსაწესრიგებლად, ინფრასტრუქტურის გასაშლელად, მყარი ეკონომიკური ბაზის შესაქმნელად. რაიონის ბიუჯეტი მხოლოდ ადგილობრივი შემოსავლებით ფულის მტკიცე კურსით¹ გასცდა შვიდმილიონიან ზღვარს და სხვა ხარჯებთან ერთად აკმაყოფილებდა საგანმანათლებლო სისტემის მთლიან დაფინანსებას (წლიურად 4 მილიონ მანეთს ხელფასის ჩათვლით, სამედიცინო მომსახურების 1,5 მილიონი მანეთი, კულტურის სფეროს, კომუნალურ მეურნეობას), დანარჩენ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ბიუჯეტის პროგრესირებას მოჰყვა რაიონის იერსახის ვიზუალური ცვლა.

საინტერესოა ერთი კონკრეტული მაჩვენებელიც

სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1970 წელს 11 მილიონი მანეთიდან 1980 წლისათვის იზრდება 17, 3 მილიონ მანეთამდე, 1990 წლის მონაცემებით, მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი ვითარებისა, 33 მილიონ მანეთზე მეტი, შიგა ეროვნული პროდუქტი გაუტოლდა 55 მილიონიან ზღვარს.

ვანის ელექტრომექანიკური ქარხნის ექსპლუატაციაში შესვლამდე რაიონში დომინირებდა მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგები, რომლის მოცულობაც მთლიან სამრეწველო პროდუქციაში 73-78% შეადგენდა, აქ ყურადღებაამისაქცევია ერთი დინამიკა, 1980-იან წლებამდე შექმნილი პროდუქციის 55% მოდიოდა სოფლის მეურნეობაზე, 1980-იანი წლების ბოლოს რაიონის მთლიან პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი იყო 37%, მრეწველობისა 43%, რაც კანონზომიერი მოვლენა იყო, რადგანაც ნებისმიერ განვითარებულ ქვეყნებში, მათ რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილს აუცილებლად სჭარბობს მრეწველობის წილი და ითვლება განვითარების ნორმალურ მაჩვენებლად. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვანის რაიონი აწარმოებდა საქართველოს მთლიანი პროდუქციის 0,3; რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის 0,4; სამრეწველო პოტენციალის 0,3; სოფლის მეურნეობის პროდუქციის 0,6 პროცენტს. მხედველობაშია მისაღები, რომ ამ დროისათვის სრულიად საქართველო წარმოადგენდა ნორმალურად განვითარებულ აგრარულ ინდუსტრიულ რესპუბლიკას. გაცნობიერებული მკითხველი ადვილად დარწმუნდება რა პარამეტრებზეა აქ საუბარი და ისეთი განლაგებისა და პატარა რაიონისათვის, როგორც ვანია, მონაცემები თუ კოლოსალური არა შთამბეჭდავი მაინცაა.

1990-იანი წლების მეორე ნახევარი თავისი პოლიტიკური განვითარებით საქართველოსათვის, მისი შემადგენელი ნაწილებისათვის არის დატვირთული გრანდიოზული მოვლენებით.

¹ ერთი დოლარის ღირებულება წარმოადგენდა 65 კაპიკს.

ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა, შეიცვალა არსებული ეკონომიკური -პოლიტიკური -სოციალური სიტემა, რომელსაც აუცილებლად ახლავს ჩამოყალიბებულ ურთიერთობათა, წარმოების საშუალებისა და საკუთრების ფორმების ცვლა, გადასვლა მართვის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე. ესაა კანონზომიერი მოვლენა და მიანიშნებს იმაზეც, რომ პროცესის მართვა ვერ დაეფუძნება ეიფორიას, სპონტანურობას, ფორსირებას, რომ ყოველი ნაბიჯი მოფიქრებული, შემოწმებული და მყარი უნდა იყოს. ამავე პროცესებში შეიცვალა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმებიც და ა.შ. ერის „მამები“ ამ დროს ზრუნავენ და ცდილობენ განმუხტონ ის მტკივნეული დარტყმები, რაც ამდგვარ მოვლენებს ახლავს. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში პროცესი მთლად ასე ვერ წარიმართა და ამაში წვლილი აქვთ არამართო გარე ძალებს და არაერთს, არამედ განვითარების მსვლელობისას დაშვებულ გადახრებსა და შეცდომებს, რომელიც, როგორც ითქვა, უკლებლად აისახა, მთელ ქართულ სივრცესა და მის შემადგენელ ნაწილებზეც. ამ კონტექსტიდან თუ მკითხველის ყურადღებას არ გადავლით, ზოგიერთ კონკრეტულ საკითხს აუცილებლად უნდა შევეხოთ, საიდანაც ჩანს, თუ რა გავლენა მოახდინა მან იმ სფეროზე, რომლებზედაც იდგა რაიონის ეკონომიკური განვითარება და სამომავლო პროგრესი.

აუცილებელი იყო და ეს უდაოა, უნდა განხორციელებულიყო აგრარული რეფორმა, რომლის მთავარი ღერძი იყო მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის სისტემის ცვლა, რომელიც ჩვენთან მიწის პრივატიზაციის სახელით მოინათლა. ნებისმიერ ქვეყნებში ეს პროცესი არის უალრესად ფაქიზი, რევილუციის ტოლფასი მოვლენაა და იგი შეიძლება მრავალ საუკუნეში ერთხელაც არ განხორციელდეს, მაგრამ ობიექტურობა ითხოვს ითქვას სოციალისტური საკუთრების სისტემიდან გარდამავალ ეტაპზე ამის განხორციელება აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, თუმცა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა განხორციელებისას მოუშადადებლობა და ფორსირება იყო იმდენად დიდი, რომ პრაქტიკულად შეინირა ბევრი რამ, რომლის დაცვაც უალრესად ასევე აუცილებლობით იყო გამოწვეული. შემდეგი საუბრები იმაზე რომ ამ რეფორმით გლეხი გადარჩა დემაგოგიურ ელემენტებს უფრო შეიცავს ვიდრე რეალობას და ამას მხოლოდ ობივატელი შეიძლება ვერ ხედავდეს. ამ სტრიქონების ავტორს საშუალება ჰქონდა ემუშავა ქუთაისის გუბერნიაში 1865 წლის რეფორმით გლეხთა განთავისუფლების საკითხზე (რომელიც ასევე ჯდება აგრარული რეფორმის ფარგლებში) და ეს დოკუმენტები რიგ მიმართულებებში მიდგომის სერიოზულობით უფრო საფუძვლიან შთაბეჭდილებებს ტოვებენ, ვიდრე 1990-იან წლებში განსახორციელებელი აგრარული რეფორმა.

ვანისათვის აგრარულ სექტორში პირველი რყევები დაფიქსირდა 1991 წლისათვის, ყურძნის დამზადება შემცირდა ორჯერ, ხილის — ოთხჯერ, ბოსტნეული კულტურების სამჯერ და მეტად, ჩაის — 1,5 -ჯერ, ხორცის — 4-ჯერ და ა.შ. ცხადია, ეს მოჰყვა კონცენტრირებულ პროდუქტწარმოებაზე ჩამოყალიბებულ მეურნეობების ფუნქციების დაკარგვას. ვარდნა აგრარულ ეკონომიკაში გაგრძელდა 2010-იანი წლების დასაწყისამდე.

... „საკარმიდამო ნორმების გადიდებისა და მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის, სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების, სასურსათო პროდუქტების გადიდების, ეკონომიკური კრიზისისაგან გამოსვლის მიზნით“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის დადგენილება გვაუწყებდა, რომ რეფორმა შევიდა ძალაში. ამდენად, როგორც ზემოთ ითქვა, ჩამოყალიბებული შედეგების მიხედვით, ძნელია გაიზიაროთ მაშინდელ ხელისუფალთა მტკიცება იმაზე, რომ ამ (და ამდგვარად) განხორციელებული რეფორმით დაიწყო სასოფლო-სამეურნეო აღმავლობა. სფეროსთან შეხებაში ცხოვრების არცერთი პრაქტიკული მაგალითი, ვანის რაიონის მონაცემებით მაინც, ამ საკითხზე დადებით პასუხს არ, ან იშვიათად იძლევა. პირიქით, ეს იყო ინდუსტრიულ მიმართულებებზე გადაყვანილი აგრარული სექტორის მოშლა. ეს ფაქტობრივად დაადასტურა მაშინდელი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 1996 წელს გამოქვეყნებულმა ანალიზმაც. ამასვე ადასტურებს რაიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკური მონაცემებიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პრაქტიკულ შემოტრიალებას აგრარული სექტორისა და მწარმოებელი გლეხებისადმი, რო-

მელიც სახელმწიფოებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე ხორციელდება 2013 წლიდან და ჯერჯერობით გამიზნულ, პერმანენტულ ხასიათს ატარებს და რიგ მიმართულებებში აისახა კიდევაც ვანის აგრარული სფეროს საქმიანობაზეც.

ფაქტი ადასტურებს, რომ აგრარულ სფეროში განხორციელებულმა რეფორმამ კონკრეტულ მიზეზთა გამო მის წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრას ჯერჯერობით თავი ვერ გაართვა. არც სათანადო მხარდაჭერა გააჩნდა და იგი გადაეჯახვა მრავალმიმართულებიან პრობლემებს, პროდუქტწარმოებიდან გასაღების ბაზრის დაკარგვამდე. ამდენად, აგრარული ეკონომიკის ძირითადი ლერძი პრაქტიკულად ჩამოიშალა, ამან მძლავრად დაარტყა ადამიანთა ფინანსურ ოჯახურ ანაზღაურებასაც და რაიონის ფინანსურ ეკონომიკურ შემოსავლებსაც. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, როგორც ჩანს, სერიოზულად არავის უფიქრია იმაზე, თუ რა ელოდებოდა ადგილობრივ გადამამუშავებელ მრეწველობას, რადგან იგი პროცესთა გამო აშკარად ჰკარგავდა ნედლეულის ბაზას, სამწუხაროდ, აგროსექტორი განვითარებულ მოვლენათა შედეგად ჯერ შევიდა ღრმა სტაგნაციაში, შემდეგში პრაქტიკულად დაკარგა წარმოებითი პოტენციალი.

ანალოგიურ დღეში აღმოჩნდა ვანის მრეწველობა:

1. ცეკავშირის ვანის საწარმოო კომბინატი — დასაქმებული იყო 350-ზე მეტი კაცი, ნორმალური ანაზღაურებით, პროდუქციის საერთო წლიური მოცულობა აჭარბებდა 6 მილიონ მანეთს, იყო რაიონის ბიუჯეტში ერთ-ერთი მძლავრი შემომტანი ორგანიზაცია, საქმიანობა შეწყვიტა 90-იანი წლების დასაწყისიდან.

2. საკონსერვო ქარხანა აგებული და გათვლილი ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. 80-იან წლებში მოხდა მისი ჯერ მიმდინარე, შემდეგ გენერალური რეკონსტრუქცია. 1990 წელს აიგო მეორე კორპუსი. სეზონზე საწარმოში დასაქმებული იყო 200-ზე მეტი მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, შეეძლო ეწარმოებინა 16-18 მილიონი პირობითი ქილა -კონსერვი. რაიონის ბიუჯეტში ერთ-ერთი მსხვილი შემომტანი საწარმო.

3. ვანის ჩაის ფაბრიკა — რაიონულ ბიუჯეტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადამხდელი

4. ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი – 70-80-იან წლებში საწარმო გაფართოვდა, აღჭურვილი იქნა სანამოო აგრეგატებით, ათვისებული იქნა ახალი მიმართულებანი, გაიზარდა წარმოების მოცულობა. რაიონის ბიუჯეტში ერთ-ერთი მსხვილი გადამხდელი, დასაქმებული იყო 150-ზე მეტი კაცი ნორმალური ანაზღაურებით.

5. ელექტრომექანიკური ქარხანა „სულორი“ — აიგო და ფუნქციონირება დაიწყო 80-იან წლებში, 1990 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ახლადაგებული II - კორპუსი, დასაქმებული იყო 500-მდე ახალგაზრდა, მძლავრი, ასევე ახალგაზრდული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით, ყოველწლიურად უშვებდა 6-7 მილიონ მანეთის სამრეწველო პროდუქციას. გარანტირებული ბაზრით მუშათა კოლექტივის მაღალი ანაზღაურებით.

6. „სქემური კაბელების საქსოვი საწარმო“ ჩამოყალიბდა 80-იან წლებში. სათაო ორგანიზაცია განლაგებული იყო სოფელ შუამთაში. საწარმო ფუნქციონირებდა რაიონის ადგილობრივი მუშახელის ბაზაზე. მისი საამქროები (ფილიალები) მუშაობდა რაიონის 8 სოფელში, რამაც ხელი შეუწყო სოფლის ახალგაზრდობის ადგილზევე დასაქმებას, ჯეროვნად მაღალი ანაზღაურებით. წლიური პროდუქცია განისაზღვრებოდა 1,5—2 მილიონი მანეთის ფარგლებში. ფილიალების (საამქროების) ჩათვლით დასაქმებული იყო 360-ზე მეტი მუშა (ძირითადად ახალგაზრდები).

7. საქსოვი ფაბრიკა-საწარმოს ბაზა თანამედროვე სახით, სრულყოფილი ახალი ტექნოლოგიური ციკლით, ახალი საწარმოო კორპუსებით, ახალი ადმინისტრაციული სახლითა და საკუთარი ინფრასტრუქტურით ექსპლოატაციაში გაეშვა 1990 წელს. დასაქმებული იყო 260-ზე მეტი ახალგაზრდა.

აღარ ვაგრძელებთ დანარჩენ სამრეწველო ორგანიზაციებზე საუბარს. ცუდი ისაა, რომ თითოეული მათგანი ემსხვერპლა ფორსირებულად, ბოლომდე გაუთვლელ პრივატიზაციის პროცესებს, არცერთ მფლობელს სერიოზული სახით არ უფიქრია საწარმოო ციკლის განახლე-

ბაზე, ინვესტირებებზე, უბრალოდ, სანარმოს ამუშავებაზე. ამის მაგალითები გარდა ერთისა არა გვაქვს. სამაგიეროდ, გამონახული იქნა ერთ-ერთი გამონაკლისი, სანამოო დანადგარების უკვე, როგორც კერძო საკუთრების ჯართად გაყიდვა, შემდეგ აგურ-აგურ დაშლა და ამ სახით რეალიზაცია. საუბედუროდ, ასეთი ბედი გაიზიარა არამარტო ვანის, არამედ ქვეყნის ბევრმა წამყვანმა სამრეწველო ორგანიზაციამაც.

ცნობისათვის უნდა აღინიშნოს: სოფლის მეურნეობის სფეროდან დამოკიდებულების ნეგატიური ტენდენცია ემთხვევა ძირითადად 1991-1995 წლებს, მრეწველობაში 1998 წლიდან 2005-2007 წლების ჩათვლით. ამდენად, აღნიშნული განუკითხაობის გამო და იმის შედეგადაც, რომ მაშინდელმა ქართულმა სახელმწიფომ ვერ შესძლო პრივატიზაციის პროგრამით გათვალისწინებული, ხოლო სანარმოთა მყიდველებმა თავიანთი ვალდებულების შესრულება პრაქტიკულად მოკლე დროში, ვანშიც, დაუსაქმებელი ქუჩაში აღმოჩნდა სამრეწველო დაწესებულებათა თითქმის მთლიანი შემადგენლობა, მუშებიც, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალიც. 2500-კაცზე მეტი და ბაზებიც განადგურებულია, ვანის სამრეწველო ეკონომიკა პრაქტიკულად აღარ არსებობს იმ სახითა და პოტენციალით, როგორც იყო.

ამდენად, მოწესრიგებული ქვეყნებისათვის ისეთი ზომის 9 სამრეწველო ორგანიზაციის არსებული სიმძლავრეების განულება, შემდეგ მათი ფიზიკური ნგრევა (როცა ახალი არ იქმნება) შეიძლება გასწორებადი პროცესი იყოს, მაგრამ იმ მოვლენების ფონზე, როგორც საქართველოში ჩამოყალიბდა და ისეთი რაიონისათვის როგორც ვანია, მოვლენათა ასეთი განვითარება ეკონომიკური კატასტროფის ტოლფასად იქცა, ამიტომ რაიონულმა ბიუჯეტმა დაკარგა საშემოსავლო ნაწილიც, მაქსიმალურად ჩამოეკიდა სახელმწიფოს და იგი ძირითადად სახელმწიფოსგან მიღებულ სუბსიდიების მომხმარებლად იქცა.

გაუაზრებლობის მსხვერპლი გახდა რაიონის ვაჭრობის სფეროც, რომელიც ორ მიმართულებას მოიცავდა, კოოპერაციულს (ძირითადად) და სახელმწიფო ვაჭრობას. ერთ-ერთი უზარმაზარი დარგი ფლობდა 180-ზე მეტ ობიექტს თანამედროვე სავაჭრო ცენტრებით, საზვევების ობიექტებით და ა.შ. რომელშიდაც დასაქმებული იყო 1000-მდე კაცი, მისი წლიური საქონელბრუნვა თავსდებოდა 18-21 მილიონ მანეთის ფარგლებში. რაიონის ბიუჯეტში ერთ-ერთი უმსხვილესი შემომტანი. საჭიროდ არ ვთვლით ინდივიდუალიზებას სხვა იმ სანარმოებისა და ობიექტებისა, რომლებიც რაიონის ეკონომიკის შექმნა-განვითარების პროცესებში მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი, რადგან სურათი მოყვანილი მაგალითებითაც ნათელია. ფაქტი სახეზეა: პროცესის შედეგი გახდა რაიონის წამყვანი სფეროების აგრარულის დიდი ნაწილისა და მრეწველობის პოტენციალის სრული გათიშვა, აქედან განხორციელდა უმტკივნეულები დარტყმა რაიონის ეკონომიკაზე, ფისკალურ-ფულადსაკრედიტო პოლიტიკაზე, ბიუჯეტზე ორივე ნაწილში საშემოსავლოსა და საგასვლოზეც. შევხედოთ შედეგებსაც არცთუ შორეული წარსულიდან. 1998 წელს მრეწველობის წილი საბიუჯეტო შემონატანებში დაეცა 132 ათას ლარამდე, სოფლის მეურნეობისა 47, ვაჭრობის სფერო 79, მშენებლობა 14 ათასამდე, 1999 წელს მრეწველობა 80-ათას ლარამდე, სოფლის მეურნეობისა 24 ათასამდე და ა.შ. 2000 წელს მრეწველობა 86 ათასამდე, სოფლის მეურნეობა 25 ათასამდე, მშენებლობა ნულოვანი მონაცემით, ვაჭრობა 92 ათასამდე. შესაბამისად, 1999 წელს ბიუჯეტის გეგმა 809 ათასი ლარით განისაზღვრა, შესრულება 485 ათასი, 2000 წელს ბიუჯეტი 673 ათასი, შესრულება 465 ათასი და ა.შ. აქედან, ბიუჯეტი ძირითადად დაემყარა არამანარმოებლური შრომით შემონატანებს. პროცესი მცირეოდენი ცვლილებით მიმდინარეობდა 2010 წლის პერიოდამდე.

სუბიექტურ მოსაზრებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ სინამდვილიდან არაა დასტანი-რებული, ყველაფერი ის, რაზედაც იყო საუბარი და რასაც ვერ შევეხეთ, მაგრამ რეალურად არსებობდა დაცულ და გააზრებულ ვითარებაში გამოყენებადი იქნებოდა დღეისათვისაც თუ შევუსაბამებდით სანარმოო პროცესთა განახლების ციკლს, რაც აუცილებელია და ჯდება აპრობირებულ სტანდარტებში, რადგან შექმნილ, მოქმედებაში მოყვანილ ძირითადად ფონდებს ასე არსად არ ანადგურებენ, მას იყენებენ და თანამიმდევრულად ცვლიან ახლით.

ყოველგვარი ბიფირიმების გარეშე შეიძლება ითქვას: რაიონის დღევანდელმა ხელისუ-

ფლებამ მიიღო უმძიმესი მემკვიდრეობა. მოძრაობა, რომელიც მდგომარეობიდან გამოსასვლელად სახელმწიფო დახმარებით ხორციელდება და შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს ცხოვრების ბევრ სფეროში, არის სანყისი გარანტი ცვლილებებისა და გააზრებული მოქმედებისა, შედეგებზე ორიენტირებისა, იგი რამდენადმე მკვეთრადაა გამოკვეთილი აგრარულ სექტორში ინოვაციების სახითაც. თუმცა, არასაკმარისი და ჯერ კიდევ მძლავრი არაა, მაგრამ, როდესაც, თითქმის, ყველაფერი იწყება თავიდან, ნახტომისებურ შედეგებს არ უნდა ველოდოთ და ეს პროცესიც გაგებული უნდა იქნას სწორად, ყოველგვარი დემაგოგიის გარეშე. დღეს, როგორც არასდროს საზოგადოებრივი აზრის გამთლიანებაა საჭირო, რომელიც მუხლჩაუხრელ შრომასთან ერთად გახდება სანინდარი, ვანის ალორძინების დაწყებისა. უკვე ის რაც კეთდება სოციალური სფეროს მონესრიგებისათვის და რაც ასევე ჩანს თუ კოლოსალური არაა, შექმნილი ვითარების ფონზე რეალურად შთამბეჭდავია.

ვანს ღირსეული ანტიკური წარსული აქვს. რაიონმა მაღალეკონომიკურ-სოციალურ-კულტურულ წარმატებებს მიაღწია XX საუკუნის კონკრეტულ პერიოდში და დარწმუნებით უნდა ითქვას იგი თავისი პოტენციალით ასევე ღირსეულ ადგილს დაიჭერს მომავალშიც. ამის გარანტი უნდა გახდნენ ვანელები, ვანში და ვანს გარეთ მოღვაწე ვანელთა ინტელექტუალური შემადგენლობა და თავისთავად ახალგაზრდობა, რომელთაც რთულად გასავლელი XXI საუკუნე ელოდებათ.

ექვგარეშეა 25 წლიან ციკლში შექმნილი პრობლემები, მისი დაძლევა, რაც სირთულეთა დაგროვების თვალსაზრისით ხანგრძლივ დროს მოიცავდა, რაიონის გააქტიურებასთან ერთად, უკვე ჩამოყალიბებული, შეგუებადი ფსიქიკის მოხსნასთან ერთად, სახელმწიფოებრივ ძალისხმევასაც მოითხოვს. სანამ არ დაიდება სახელმწიფოებრივი, კონკრეტული, პროგრამა საერთო განვითარებისა და მათ შორის, არ გამოიკვეთება აგრარული რაიონების ეკონომიკის სფეროების გაძლიერებისადმი პრაქტიკული, განხორხიელებადი მიდგომები, სანამ ხმარებაში იქნება ცრუ იდეოლოგიის პოსტულატები, რომ ე. წ. მიწის პრივატიზაციით დასაქმების პრობლემა აგრარულ რაიონებში გადაწყდა, სანამ არ იქნება დასაქმების ადგილობრივი წყაროები მონახული და ამოქმედებული, იმდენივე ხანს გაგრძელდება ამ საკითხთა მონესრიგება. მოგვარებად სიტუაციებშიც კი ახალი დასაქმების ადგილების შექმნას რაიონში 10-15 წლიანი მონაკვეთი მაინც დასჭირდება.

ეს სტრიქონები იწერება გულისტკივილით, ხოლო ციფრობრივი მონაცემები არა უბრალო შედარებისათვის, როდის რა ჯობდა, არამედ იმისთვის, რომ გააზრებულ სიტუაციაში რაიონში საქმის კეთება შეიძლება და ეს ლოგიკა ჩანს ზემომითითებულ მონაცემებშიც.

აქედან, საქმის კეთების პრინციპულობას განსაზღვრავს ის, როგორი იქნება გათვლები და მიდგომები ასეთი უმტკივნეულესი პრობლემის მოგვარებისას. საკითხის სწორად გაცნობიერებაზე საქმიან მოქმედებებთან ერთად დამოკიდებული იქნება ვანის მთლიანი სივრცის ხვალინდელი დღე. ეს არაა დიდაქტიკა, რეალობაა ასეთი, რომელსაც აწონილ-დაწონილი მოქმედება სჭირდება.

ტიციან ტაბიძის პოეტური ბარდასახეები

ტიციან ტაბიძის ლირიკას მრავალ პოეტურ ღირსებასთან ერთად გამოარჩევს ორიგინალური სახოვანი აზროვნება, როგორც მთელ თავის შემოქმედებით სივრცეში, ასევე, კონკრეტულად – „სიმბოლისტური ცდების“ (თ. ვასაძე) პერიოდში. ბევრი ითქვა და დღეს არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ეს „ცდები“ წარმატებული გამოდგა ქართული ლექსის განახლების საქმეში. ამჯერად, ჩვენ ამ პერიოდით შემოვიფარგლებით.

ცისფერყანწელები, ახალგაზრდა პოეტები, ნოვატორული ძიებების სურვილით, მკვეთრად გამოხატული ამბიციებით დაუპირისპირდნენ ახლო წარსულს, წინაპარ კლასიკოსებს. „ახალგაზრდობა – დაუნდობელი სურვილი ლომის“, – როგორც გალაკტიონი იტყოდა. ზოგადად, ახალგაზრდობის მიზანსწრაფულობაზე, ამჯერად, ძველის ნგრევისა და ახლის შენების მისიას იჩემებდა: „აკაკის და ილიას ის უპირატესობა ჰქონდათ, – ნერს ტ. ტაბიძე, რომ მოქალაქეობრივ მოტივებში ხანდისხან ნახულობდნენ ნამდვილ პოეზიას. შემდეგ მათმა შკოლამ მიიღო კარიკატურული სახე და დღეს უიმედოდ გაჰკივის მოქალაქეობრივი არღანი კაკაფონიას. ყველა უნიჭო, უსახო, ენაბლუ, ვისაც ხელი არ ეღლება, ტანჯავს დღეს ქართულ პოეზიას...“ მისივე სიტყვებით: „სამოციანელებმა ქართული პოეზიის ყვავილს დაუნყეს შეცვლა რუსულ ხორბლად... მწერლობა გახადეს სამიტინგო ზალად და პოეზია გაზეთად“ (1916). ამიერიდან, მათი აზრით, ქართული პოეზიის ვექტორი ევროპულისკენ უნდა მიმართულიყო, რაც ასე გაცხადდა ტიციან ტაბიძის ლექსში: „ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღერის ბოროტ ყვავილებს“... და მაინც – ბესიკის ბაღში... ანუ ნაციონალური პოეზიის ფესვებზე.

კიდევ ერთი საგულისხმო ფრაგმენტი ტიციან ტაბიძის წერილიდან (1924), ანუ – დამოკიდებულება არჩეული პრინციპებისადმი არ შეცვლილა: „ძველის დანგრევა და უარყოფა არ არის დანაშაული, ეროვნული აღორძინება სწორედ ამაზეა დამოკიდებული და არა ყბადაღებული ჩინეთის ქვითკირზე. ქართველი ერი იმით არის გამარჯვებული, რომ ყოველთვის განახლების გზას ადგას, თორემ ისედაც გრძელი ისტორია ნაცრად აქცევდა. კარგი ტრადიცია თვითონ შეინახავს თავის თავს და ატავისტურად გადავა შთამომავლობაში. უნიჭობას ვერ გაამარჯვებინებს ობსკურანტიზმი: პატრიოტობა და ქართველობა ნუ იქნება ღონემიხდილთა მონოპოლია. ერთხელ გრიგოლ ორბელიანს ეგონა, რომ ილია ჭავჭავაძე ანგრევდა საქართველოს, მაგრამ ის ნოვატორი დარჩა ქართველობის დაუჩრდილველ კოლოსად (ტაბიძე 1966. 306). „ტრადიცია... ატავისტურად გადავა შთამომავლობაში“, – ამ სიტყვებს ტიციანი თავის პირველსავე ლექსებში ამართლებს, „თეთრი სიზმარი“ (1914) ამის ნიმუშია. მისი განაცხადი „ღვრია ლექსებზე“ (ანუ არამწყობრ, ამღვრეულ ლექსებზე) მოგვიანებითაა გამჟღავნებული, მაგრამ „თეთრი სიზმარი“ უკვე ამ ნიშნით გამოიკვეთა:

საქართველოთი ვინ არ დამწვარა,
ან ვინ არ სტირის საქართველოზე,
უძილო ღამემ ცრემლით დაღვარა
წარსულ დიდების დაღვრემილი მზე.

პირველი და მეორე სტრიქონი, რიტორიკული კითხვებით გადმოცემული, თითქოს ჩვეულებრივია, ტრადიციული აზრობრივ-სტილური წყობით, მესამე და მეოთხე ორიგინალური მეტაფორაა, ახლებური და მოულოდნელი ეფექტით: უძილო ღამე ლირიკული გმირის სულიერი ტანჯვის გამოხატვაა, სამშობლოს წარსულის გამოტირებაა. ცრემლად დაღვრილი მზე – წარსული დიდების ხატია, ტირილის, მწუხარების უჩვეულო სახეა, რადგან მზე თავად კი არ დაიღვარა, უძილო ღამემ დაღვარა. ემოციურ განწყობას ამძაფრებს ორჯერ განმეორებული სიტყვა „საქართველო“, სამშობლოს ბედით მწუხარე სულთა ტანჯვის გამომხატველი მეტაფორა: „სულს ჩვენვე ვაცმევთ

მწუხრისა ძაძებს“... გაუთავებელი უბედურების გადმოსაცემად: „დღესაც საკუთარს მივსდევთ ჩვენ კუბოს, სასაფლაოს გზა რად არ ილევა!..“ სახეები: „თეთრი აჩრდილი“, „თეთრი სიზმრის“ თანამდევნი – „თეთრი მადონა“ ვერაფერს ცვლიან. ჩამავალი, „მენამული მზე“, რომელსაც „საცაა ზღვა დაინონის“, ვიზუალურ ეფექტს ქმნის მწუხარებისათვის; „ლამე“, „ზარნაშოს ტირილი“, აფთრის კივილი“, „შავი ნაღველი“, „შავი ქარი“ ტრაგიკული განწყობის წარმოსახვით სურათებს ქმნიან. დასასრულს, თითქოს ამ ხილვებიდან, ამ სიზმრებიდან გამოსული, ღვთისმშობელს სთხოვს არა შველას (რაც მოსალოდნელი იყო ლოგიკურად), არამედ იმას: „სად დავისვენებთ, სად დავანყობთ ძვლებს, გემუდარებით – გვითხარი, დედა!“ (1914). ავტორი ძალიან ახალგაზრდა იმისათვის, რომ სვამდეს კითხვას: „სად დავანყობთ ძვლებს...“ (თუმცა, ზოგადად პოეზიისათვის, ეს უცხო არ არის). ტ. ტაბიძისთვის მთელი შემოქმედების მანძილზე დამახასიათებელია წინათგრძნობის მომცველი ლექსები. ამას თითქმის ყველა მისი მკვლევარი მიუთითებს. ლირიკულ პოეზიაზე მსჯელობისას, წერილში „ამერიკული ახალი კრიტიკა“, ლიტერატურის თეორიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ლირიკულ პოეზიაში, სადაც პოეტი პირველ პირში გვესაუბრება, პოეტის „მე“ მაინც გამოგონებულია, დრამატული „მე“-ა (ქრესტომათია 2010: 278); იქნებ, ტ. ტაბიძის სიცოცხლეში, პოეტის ფანტაზიის ნაყოფად, გამოგონილად, ერთგვარ პოზად, მოდერნისტების მანერად მიიჩნეოდა ყოველივე ის, რაც მერე პროვიდენციულ ხილვებად აღიქმება მკვლევრებისაგან, მკითხველებისაგან:

კიდევ ამოვა წინამურზე ორქიდეია,
მტკვარი ამოიტანს მაჩაბლის გვამს.
თუ საქართველო ბენვის ხიდია,
ბევრ სხვა გენიას ის ცეცხლით დანვაკს.

.....
.....

(1921)

მრავალწერილი სტრიქონის დასასრულს, მრავალწერილების ორი „სტრიქონი“ მომდევნო ტაეპამდე, საშუალებას გვაძლევს პოეტის დაუნერელი, ქვეცნობიერით ნაგრძნობი, მისტიკადაც კი აღვიქვათ. „როცა ორპირის ცეცხლი მოგედებათ, მაშინ გაიხსენეთ ეს ჩემი ტრაქტატი“. „ორპირის ცეცხლის მოდება“ მისი მკითხველისათვის, თანასაზოგადოებისთვის იქნებ ის ტკივილია, რომელიც ტ. ტაბიძისთვის გამოტანილმა სასტიკმა განაჩენმა გამოიწვია საქართველოში და არა მხოლოდ ქართველებში.

მარტოობა, მიუსაფრობა, მწირობა ძვირფასი საფლავებისაკენ, მიმწრაფი სულის ქროლვა დინამიკურ ხატებს ქმნიან „ქალდეას მზეში“ (1916). აქაც ხილვები – უსაფლავობისა, სადღაც გაურკვეველ სივრცეში გადაკარგვისა, რომელსაც უმზადებდა ცხოვრება თუ ბედისწერა:

მარტო ვიქნები, მარტოობას
წინასწარ ვსტირი,
მაგრამ ამასაც აღარ უფრთხის
გვიანი მწირი.
მესმის, მეძახის, ვხედავ, მხედავს,
ვიჩქარი, მივქერი.
ძვირფას საფლავებს, როგორც ქორი,
დაფრინავს ფიქრი.
გრძელი, შორი გზა და ოცნება
უსაზღვრო გზებზე,
ჩემი საფლავი ძველ ქალდეას
იქნება მზეზე.

1936 წელს ტიცინან ტაბიძე თავის ავტობიოგრაფიაში, რომელიც წამძღვარებული აქვს 1960 წელს გამოცემულ ლექსების რჩეულს, წერს, რომ ქართული სიმბოლისტური სკოლის წარმომადგენელი ახალგაზრდა პოეტები, უცნაური სახელწოდებით, „ცისფერი ყანწები“, (ეპითეტი „უცნაური“, აშკარად, კონიუნქტურის გავლენაა), მოწყვეტილნი იყვნენ სინამდვილეს

და უუნარონი აღმოჩნდნენ სოციალ-პოლიტიკური ამბების სწორად გარკვევაში. ამასთან იგი მართებულად აღნიშნავს იმ დამსახურებას, რაც მათ მიუძღოდათ ქართული ლექსის განახლების საქმეში: „მაშინდელი გადარიბებული ქართულის ფონზე პოეტების ახალმა სკოლამ მაინც დიდი როლი ითამაშა. პირველად ჩვენ შევიტანეთ ქართულ ლექსში სიტყვები, რომლებიც განდევნილი იყო, ან სულ არ იხმარებოდა. პირველად დაინერა ნამდვილი სონეტები, ტერცინები, ტრიოლეტები. რითმას ახალი გასაქანი მიეცა. ახლებურად ვიყენებდით ალიტერაციებსა და ასონანსებს. ბოდლერის, ვერლენის, რემბოს, ლაფორგისა და სხვა ფრანგი და რუსი პოეტების თარგმანებმა გააფართოვეს პოეტური თემისა და სახეების არე. ქართულმა ლექსმა ახლებური ყღერადობა შეიძინა... აქვე პოეტი აგრძელებს, უკვე თვითკრიტიკის სახით: „მაგრამ, თუ თვალს გადავავლებთ განვლილ გზას, უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ჯგუფი, „ცისფერი ყანწები“, წარმოადგენდა ტიპიურ ესთეტიკურ, შეზღუდულ მიმართულებას. იმ წლებში ჩვენ, ახალგაზრდა ქართველი პოეტები, მეტისმეტად დიდ ხარკს ვუხდიდით არაჯანსაღ ბოჰემურ არტისტიზმს, ვქადაგებდით „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ (ტაბიძე 1960, 24) ეს „აღიარება“ იყო შედეგი ტოტალიტარული სისტემის ძალადობრივი ქმედებისა, იდეოლოგიურმა დიქტატურამ განსაკუთრებული ბრძოლა გამოუცხადა ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ მოდერნისტულ ტენდენციებს, ილუზორული აღმოჩნდა შემოქმედებითი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის (მათ შორის –ცისფერყანწების) ფიქრი იმაზე, რომ ახალ ხელისუფლებასთან შეძლებდნენ თანამშრომლობას. ამოდ დაინერა ტიცინის „რიონი-პორტიც“ და ამოდ მზადდებოდა მისი ახალი წიგნი დიდ საბჭოთა კავშირზე „სამშობლო“, 1936 წელს... 1937 წელს ყველაფერი ტრაგიკულად დასრულდა... დასრულდა ისე, როგორც სერგეი ესენინისადმი მიძღვნილ ლექსში ითქვა: „არ გამოცვლილა ხომ პოეზია, მუზეები ცისკრის კარებს აღებენ, მხოლოდ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენ ალბათ სადმე ჩაგვაძალღებენ“, – ეს სტროფი ამოღებულია 1960 წელს გამოცემულ ტ. ტაბიძის რჩეული ლექსების კრებულიდან. წიგნის რედაქტორ-შემდგენლები, ჩანს, მაინც მოერიდნენ ცენზურის ჯერ კიდევ მახვილ თვალს (ლექსი სრული სახით შესულია 1966 წელს გამოცემულ ტიცინ ტაბიძის სამტომეულის პირველ წიგნში. კრებულის შემდგენელია შალვა დემეტრაძე).

ესენინის ტრაგიკული დაღუპვა (თვითმკვლელობა თუ მკვლელობა...) მისთვის ორგვარად შემზარავი იყო. ერთი მხრივ, ეს იყო მეგობრის დაკარგვა, მეორე მხრივ – საკუთარი მომავლის გაცნობიერებაც. გაცნობიერება იმისა, რომ სიცოცხლე ასეთ ვითარებაში სირცხვილიც კი იყო. ამ შემთხვევაში თავის თავს გულისხმობს. სულმა სული იცნო („სული სულს როგორ დაემალება?!“):

განა შენ დარჩი მარტო ცოცხალი,
რომ გადარჩენა არ გხარებია?
ვინ დაითვალოს ცრემლის კურცხალი,
სირცხვილი, რაც გულს გაჰკარებია?

კიდევ ერთი და საგულისხმო პროვიდენციული, უფრო სწორად – ლოგიკურად განჭვრეტილი დასკვნა, პოეტური ანდერძი:

ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში
ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს,
ყველამ იცოდეს – სხვა პოეტებში
ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს.

ასევე, მომავლის შეგრძნებაა ლექსი „დასაბამიდან“ (1927)

ბარათამვილი არაგვზე სვამდა,
მე კი დღეს მახრჩობს „ქიმერიონი“,
მტრედიც გადიქცა ეხლა სვავადა,
სხვა ქარიშხლების მოდიან დრონი.
რა საჭიროა სატროს ცრემლები,
არც ქარს ვანუხებ საფლავის თხრისთვის.
მოისვენებენ ისედაც ძვლები,
თუ კრემატორი აღირსეს თბილისს.

„2 აპრილი“ (1918) – (ლექსის სათაური), პოეტის დაბადების დღე, ბედნიერი თარიღის მნიშვნელობას კარგავს... მიზეზი: „ბათომი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი, ატმის ყვავილით სისხლიანი სტირის აპრილი. ყვითელ სატურნის უბედობით ავად გამხდარი, პოეტის სულიც საქართველოს კუზად დახრილა“. „საქართველოს კუზად დახრილი პოეტის სული“ იმ ტრაგედიის მეტაფორაა, რომელსაც ავტორი, ლირიკული გმირი განიცდის. ლექსი თოთხმეტმარცვლიანია, რაც თხრობის საუკეთესო საშუალებას აძლევს პოეტს. იგრძნობა განსაკუთრებით რითმაზე და რიტმულობაზე. მიმართავს ალიტერაციას, რომელიც მისთვის და, საერთოდ, სიმბოლისტებისათვის ერთ-ერთი საყვარელი პოეტური საშუალებაა ლექსის ჟღერადობისათვის.

უახლოვდება საუკუნის მას მეოთხედი,
ჰგონია, თითქო საქართველოს წინ დაიბადა.
საბედისწერო წუთს ელოდი, წუთო მოხვედი,
პიერო წუთით წითელ ქუდში გაგარიბალდდა.

თავზე დამნათის ჩემ ქალდეას ყველა ვარსკვლავი,
ვანქის ტაძართან სალოცავად მივედი მარტო,
მაშინ ტფილისმა კომმარების გამიშვა მკლავი,
განვლილ ცხოვრებას ეშაფოტი რომ აღვუმართო.

იკვეთება „წ“ და „ტ“ ბგერების სიმრავლე. სრტიქონში – „თავზე დამნათის ჩემ ქალდეას ყველა ვარსკვლავი“ შეინიშნება სინტაქსისადმი დაუმორჩილებლობა, ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი. ტიცციანის ლირიკაში ამის არაერთი მაგალითია, რაც ქმნის ძალზე დამახასიათებელ, სხვებისგან გამოსარჩევ, შთამბეჭდავ სმენით ეფექტებს. გავიხსენოთ აქვე სხვა შემთხვევებიც: „სიყვარულისგან მეტი მოთმენის არა მაქვს ღონე“... „ჩააქრეთ სულში სიონის ზარი და ალავერდის წმინდა სანთელი, ომში მიმავალ სამას ხევსურის დიდ საყვირების კორიანტელი“... „დიდ სიმღერისთვის ჩემი გული უკვე მზად არი“... ალიტერაციებით და დარღვეული სინტაქსური დეტალებით გამოირჩევა „ავტოპორტრეტი“, „პიერო“, „ნოემბერი“, „ქალდეას ქალაქების“ ციკლი და სხვა.

მასსენეს ელოდნენ დაღლილი თითები,
ჯირითს რომ ელიან ფეხმარდი ცხენები,
სხვანაირ მუსიკის დღეს მზანენ ზვირთები,
ძვირფასად ვინთები ლექსების ხსენებით.

(„ავტოპორტრეტი“)

ეს ლექსი შთამბეჭდავია აგრეთვე ვიზუალური სიზუსტით:

უალდის პროფილი, ცისფერი თვალები,
სარკეში იმალება თმათეთრი ინფანტა...
ილლიის დაკოცნით მალე ვილაღები,
მწვავენ ტალღები, თმებმა რომ დაფარეს.

მესამე სტროფი (სამსტრიქონიანი) კრავს პოეტის გარეგნულ და სულიერ პორტრეტს, აზიური და ევროპული კულტურის პირმშოს, მალარმეს თანამოაზრის, მშობლიურ ბალდათზე მეოცნებე დაღლილი დენდის მთლიან ხატს:

აზიურ ხალათში, ვით ფაშა ეფენდი,
ვოცნებობ ბალდათზე მოღლილი დენდი,
ვფურცლავ მალარმეს „ურაგატიონს“.

(1916)

შეიძლება ითქვას, ეს პოეტის საპროგრამო ლექსია, რომელშიც გამოიკვეთა მომავლის შტრიხები, ცხოვრებისადმი განსაკუთრებული ემოციური დამოკიდებულება, რაც მისი შინაგანი ბუნების განუყოფელი ნაწილი იყო. „ცხოვრება, ხელში მაქვს მე შენი სადავე, რომ ეს ჯოჯოხეთი სამოთხედ ვაქციო“.

მკვლევარი თამარ ბარბაქაძე ტ. ტაბიძის მემკვიდრეობის სწორი შეფასებისათვის გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს პოეტის პირველ სონეტებს, რომლებშიც დაცული არ არის მარცვალთა რაოდენობა. ამის შესახებ ტიცციან ტაბიძე მოგვიანებით წერდა: „მე თვითონ მქონდა საკუთარი და თარგმანი არასწორი სონეტები და ჩემს ბავშვურ შეცდომებს სიყვარულით ვიგონებ“.

„ტიციანის ნამდვილი, სწორი სონეტები „ცისფერყანწელთა“ ორდენის არსებობის დროს იწერება და მათში აღბეჭდილია სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელი ხილვები და მსოფლგანცდა“ – აღნიშნავს თამარ ბარბაქაძე და ხაზს უსვამს უმთავრესს, რომ „მიუხედავად სიმბოლიზმისათვის ნიშანდობლივ მყარ თემათა და სახეთა ერთიანობისა, მათს სონეტებში ყოველთვის იგრძნობოდა ეროვნული ტკივილი თუ სიხარული“ (ბარბაქაძე 2008: 206). ამის უტყუარ ნიმუშად სახელდება „ქალდეას ბალაგანი“ ციკლიდან „ქალდეას ქალაქები“ („ქალდეას მზე“, „მაგი წინაპარი“, „უაბჯრონი“), მაგრამ ვიდრე „ქალდეას ბალაგანს“ შევხებოდეთ, გავიხსენოთ „ქალდეას ქალაქების“ პირველი – შესავლის სახით მოცემული ლექსი „არტ ოეტი-ქუე“, რომელშიც განაცხადა, რომ ბესიკის ბაღში რგავს ბოდღერის ბოროტ ყვავილებს... „და რაც შემხვდება, შემაჩერებს შორეულ გზაში, ჩემ ღვრია ლექსში დაისვენებს და დაიჩრდილებს“... ამ ტექსტს მრავალი მკვლევარი, ლიტერატურათმცოდნე შეხებია და ახალს ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ მაინც ღირს კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, თუ რა ანდამატი, რა მოწინებით, რა სიყვარულით იყო ეს თაობა ფესვებთან, წარსულთან განუყოფელი... ეს ხომ, მათი მცდელობით, ღირებულებათა გადაფასების დრო იყო, მაგრამ, ფაქტობრივად, „გადაფასების“ ისეთი სტილი აღმოაჩნდათ (ნებით თუ უნებლიეთ), ფასეულს მაინც ღირსება რომ არ შებღალავია, „ძველ სიტყვებს“ ანდამატური ძალა არ დაკარგვიათ და „ქართული ბალიც“ „უხმო ბულბულთა“ გამორჩეულ სივრცედ მიიჩნეოდა.

დავინწყებული ძველ სიტყვების
 ვგრძნობ ანდამატებს,
 და თუ არ ამყვა ხმა სიმღერად,
 გაშლილი, ლალი,
 უხმო ბულბულსაც დამაფასებს
 ქართული ბალი.

„უხმო ბულბულად“ თავის თავს და მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ღვრია ლექსების“ ავტორ თანამოკალმეებს, ცისფერყანწელებს მოიაზრებს პოეტი, ხოლო ქართული ბალი, ქართული პოეზიის მთლიანი სამყაროა. „ქალდეას ბალაგანს“ (სონეტები, 1918), – ტ. ტაბიძის წარსულთან დამოკიდებულების შესანიშნავი ნიმუში:

ჩემი სამშობლო, საქართველო, სხვა თეატრია,
 ბევრი მინახავს ხეტიალში მე თეატრები,
 გახუნებული მისი სული ბევრმა ათრია,
 მაგრამ ელვარე მზე სხივებით არ ეხათრება.
 ვხედავ მოდიან ზღვა კანდებით ბრძენი მაგები,
 მიმი, ჟონგლერი და დროგები აქტიორებით,
 არ მეშინია ძვირფას ძმებთან სულის წაგება
 და ძველ პიესას მე ვთამაშობ განმეორებით.
 იყო თამარი და ძვირფასი მისი სამება,
 ამაზე იტყვის საქართველო მათიანებით,
 მხოლოდ შენს ტანჯვას, კოლომბინა და შენს წამებას
 პიეროს მეტი ვერ იტირებს სხვა დანანებით.
 ვერ ნახავ რაინდს ჩემზე უფრო, რომ უერთგულოს
 შენ წამებულ სულს, კოლომბინა, შენ ტუბერკულოზს.

სამშობლო – საქართველო შედარებულია თეატრთან, რომლის სცენები იცვლებოდა ისტორიის მანძილზე, ხუნდებოდა, მაგრამ მზე, მარადიული ნათლის სიმბოლო, „არ ეხათრება“, ანუ არ ერიდება. სონეტის ლირიკული გმირები, უცხო სახეები – სიყვარულის ერთგული პიერო

და ტანჯული კოლომბინა საქართველოს და მის ერთგულ მცველს ასახიერებენ... პიერო, რომლის მსგავსად სხვა ვერავინ იტირებს თავის კოლომბინაზე, პოეტია, მუდამ მზადმყოფი, თავი დადოს კოლომბინისათვის, თავად უშველოს მის წამებულ სულს, მის ტუბერკულოზს. „ტუბერკულოზი“ – უკურნებელი სენი, სასონარკვეთის, სიკვდილის სიმბოლოდ აღიქმებოდა და, შეიძლება ითქვას, ორგანული ნაწილი იყო სიმბოლისტური ლექსიკისა, რომელსაც ხატოვანი გამოთქმის დონეზე უნდა შეექმნა სულიერი სიმძიმის ეფექტი პოეზიაში.

„ქალდეას მზე“ (1916) უმთავრესად იმასვე გამოხატავს, რასაც „ქალდეას ბალაგანი“: „ჩემში ტირიან წინაპარი ძველი მოგვები, დანგრეულ კიბეს მე ვაშენებ, უკან მოვყვები“... ლექსში სმენით ეფექტებს ქმნის ალიტერაცია, ნაცადი საშუალება პოეტისათვის. აშკარაა **ნ, ქ, ც** ბგერების მონაცვლეობა, რომელიც განსაკუთრებულ ჟღერადობას ანიჭებს სათქმელს:

ძველი სიტყვები დაფიცების,
დავინწყებული
ძველი ქალაქი, დღეს ნაცარი,
უნინ ქებული,
ძველი ქალდეა სწავს ოცნებას
და ეძახის სულს,
ოქროს ლექსებში მე ვუმღერებ
დიდებულ წარსულს. (1916)

ალიტერაციული წყობით გამოირჩევა მოგვიანებით (1926) დაწერილი ლექსი „სკვითური ელეგია“:

მაგრამ გადავა კიდეც სხვა ტომი,
იქნებ ევექსინის პონტიც ამოშრეს,
მხოლოდ იცოცხლებს ლექსის ატომით,
რაც პოეტის გულს დაღად ამოჭრეს...

ერთ-ერთი ნიშანდობლივი, გამოსარჩევი პოეტური მანერა ტ. ტაბიძის და, ზოგადად, სიმბოლოსტების პოეზიაში არის ერთმანეთისადმი მიძღვნილ ტექსტებში პოეტის, ადრესატის მითოლოგიზება, რაზედაც თ. ბარბაქაძე აღნიშნავს ნიგნში, „სონეტები საქართველოში“: „ქართველი სიმბოლისტები, ფრანგ და რუს სიმბოლისტთა მსგავსად ცდილობენ ახალი მითის – პოეტის სახელზე შექმნილი მითის – შემოტანას პოეზიაში“ (ბარბაქაძე 2008; 210). „ამ ახალი მითოლოგიის მასკარადში „ყანწელებს დიდი გაბედულებით შეჰყავთ ერთმანეთი“, – წერდა ვ. გაფრინდაშვილი (გაფრინდაშვილი 1922). ტ. ტაბიძის სონეტში „ვალერიან გაფრინდაშვილს“, შთამბეჭდავად იკვეთება პოეტის შინა სამყარო, ინტერესები, რითაც იგი (ვ. გაფრინდაშვილი) თავის ინდივიდუალურ სახეს ქმნიდა, როგორც შემოქმედი:

შენი ოცნება მოიხარშა გოიას ქვაბში,
ალარ სცილდება დაბნელებულ ძველ ესკურიალს,
მწარეთ განამეს ბალახვანი, როგორც გურიელს,
ლამის მხედარი, ანთებულა ღამეთა წვაში.
შენ შეიყვარე ოფელია, ალარ სცვლი სხვაში,
ვიცი, რომ უფროთხი გაგიყვებას სხვა ქარის ტრიალს,
მაგრამ სადავე შენი ლექსის დახრის დარიალს,
ახლოა მოსე, პოეზიის მენამულ ზღვაში.
დუელში მოკლულ ორეულთა დადევნი გორი,
ლოტრეამონის მაინც გებრძვის შენ მალდარორი,
მეც შენთანა ვარ ამ ბრძოლებში, ვინ დამაკავებს?
უკანასკნელი დაისების ცეცხლში ალდები,
მეც თავს დამნათის ჩემ ქალდეას ცეცხლის კალთები,
მაგრამ სახელი პოეტების უფრო გვაბრძავებს.

(1918 წ. ორპირი)

მხატვრულ ეფექტს ქმნიან კონკრეტული სახელები („მაგიური სახელები“ – თ. ბ.) გოია, ესკურიალი, ბალახვანი, გურიელი. ეს ის სახელებია, რომლებიც უკავშირდება ვ.

გაფრინდაშვილის პოეზიას ანუ გამოძახილია მისი ლირიკიდან, რაც ტ. ტაბიძეს საბაბსაც აძლევს და საშუალებასაც, შექმნას მეგობარი პოეტის სახე – მითი. იგი იყენებს მიმართვის ფორმას, რითაც მწყობრად აყალიბებს ვ. გაფრინდაშვილის პოეტურ ნატურას. სონეტის დასასრულს თავადაც ერთვება ამ სამყაროში – „მეც თავს დამნათის ჩემ ქალდეას ცეცხლის კალთები“.

სონეტში, „პაოლო იაშვილს“, ტ. ტაბიძე მთლიანად ჩვენობითი ფორმით მიმართავს მეგობარს, თანამოკალმეს, რომელთან ერთადაც მოიაზრებს სიცოცხლეს და სიკვდილსაც:

საქართველოს მზე გაანათებს სიცოცხლეს ლამაზს
მაშინაც, როცა პოეზიით დავიღუპებით.

სიამის ტყუპებით, ერთ სულ და ერთ ხორც-ერთად უნდა ემსახურონ ქართულ პოეზიას. თავიანთი სიმტკიცის, პრინციპულობის გამოსახატავად ნათქვამია: „ვიცი გავტყდებით და არასდროს მოვიღუნებით“... მომდევნო ორი სტრიქონი კიდევ ერთხელ და საგრძნობლად გამოკვეთს მათს მისიას და, მიუხედავად ყველაფრისა, ძველისადმი პატივსა და სიყვარულს:

ძველ პოეზიას კადნიერად ვახურავთ ჩაღმას,
მაგრამ სავესტა სიყვარულით თვალთა უპენი.

ამ პერიოდის ლექსებიდან განსაკუთრებული დინამიურობით გამოირჩევა ლექსები „ღვდელი და მალარია კუბოში“ და „ღვდელი და მალარია“. მათში ღრმად სუბიექტური ტკივილებით, მაგრამ მაინც „შინაგანი აყდერების“ (დ. უზნაძე) რიტმით იქმნება სახეობრივი ხატები, ცალკეულ სიტყვებში იკითხება ის სურათები, რომლებიც აწუხებს, აფორიაქებს: „ორპირი“, (მისი სულიერი სამკვიდრო); „ხაშმიანი მთვარე“ (მძიმე სულიერი ყოფის მეტაფორა); „მამის ოლარზე ობობების ქსელი“ (სიკვდილის მეტაფორა); „ატირდენ ერთად ბაყაყები დამშრალ ფშანებში“ (ტრაგიზმის ხაზგასმა); ლექსში ოთხჯერ მეორდება სტრიქონები: „ძველი თემაა – გიჟი ღვდელი და მალარია“, მას რექვიემის დანიშნულება აქვს მთელ ტექსტში, შუალედურ ფონსაც ქმნის და ფინალსაც აგვირგვინებს:

ბედის ვარსკვლავი ქალდეასთვის
მართლა მკვდარია,
რექვიემით ისმის ეხლა
ყველა არია,
ძველი თემაა: გიჟი ღვდელი
და მალარია.

მწუხარე ღამის ფონზე „ხაშმიანი მთვარე“ (1919) სახეს იცვლის და იქმნება მთვარის (უთუოდ სავესტე მთვარის) სრულიად ახალი სურათი: „მიბორგავს მთვარე, ყვითელ საბანს მისასრიალებს“.

მეორე ლექსსაც „ღვდელი და მალარია კუბოში“ (1920) ძირითადად, მწუხარების განცდა წარმართავს:

გავა წლისთავი... ნომბერი
ბნელ ოლარებით,
ჩემში ატირებს, მამაჩემის
შავ ანაფორას,
უკანასკნელი ლექსი ჩავდე
მე მონანებით,
როდესაც გულზე უცხო ღვდლები
ადგამდნენ გორას.
მის საფლავშიაც ატირდება
ძველი არია,
ძვირფასი მამა — გიჟი ღვდელი
და მალარია...

ორიგინალური სახით არის შექმნილი ტირილის, გლოვის ეფექტი: დრო მის სულში მამის ანაფორას ატარებს, ამით მინიშნებულია, თუ რა ძვირფასია ის მამისეული შავი ანაფორა, ნამკვდრევი, მაგრამ საყვარელი. მეორდება სიტყვები, სალექსო სტრუქტურა, რიტმულობა და დინამიკა, მაგრამ განცდაა კიდევ უფრო მძიმე, რადგან შვილი დარჩა მამის „წამების ერთი

მონამე“... დრო არ იყო ტკივილებს გასანელებლად, წასაშლელად (სიტყვა „ღვდელი“ „მ“ ბგერის გარეშე – ხომ არ იყო მამის ლექსიკონიდან, მეტი სიყვარულისათვის?...).

ყველა ცეცხლების ატრიალდა
ჩემში გრიგალი,
როგორც ყოველთვის, თვით სიკვდილსაც
შევებით ორი
და ჩემთან იბრძვის შენი ლანდი,
სხვისთვის ჩამქრალი,
დაატრიალებს ამ ქვეყანას
ჩემი არია,
ქვირფასი მამა – გიჟი ღვდელი
და მალარია.

ბოლო ორი სტრიქონი ხუთჯერ მეორდება, რაც ტკივილის გამძაფრების მინიშნებაა. ამის მიზეზი კი, არა მხოლოდ მშობლის სიკვდილია, არამედ „ამ ცხოვრების მიეთმოეთი“:

გახსოვდეს, ქვეყნად რომ დავტოვე
შვილი პოეტი.
და მეთავეჯერ გადიხადე
იქ პანაშვიდი,
რომ დამინყნარდეს
მე ცხოვრება მიეთმოეთი. (1920)

მომდევნო (1921) წელს იწერება „სეზონის ფალავანი“, რომელშიც კვლავ გახმიანდება მამის სახელი, რომელსაც ახალი სატკივარი და საფიქრალი ემატება, სინანულით ნათქვამი საკუთარ, წინასწარ განჭვრეტილ მომავალზე, რომელიც, სამწუხაროდ, სავსებით მართალი გამოდგა.

მე თვითონ მივდევე ყოველ წარსულ დღეს,
მზად ვარ, ვიტირო ბავშვზე უმწარეს.
თორმეტმა ღვდელმა მამა გასუდრეს,
მე ერთი ღვდელიც არ ამიგებს წესს.

(„სეზონის ფალავანი“, 1921)

ეფექტურია ტიცინანისეული ხელნაწერის ნიმუშებიდან მხატვრული სახეები, რომლებსაც განსაკუთრებული ინტიმი შეაქვს მის პოეზიაში, სულიერი მდგომარეობის, ხასიათის გასახსნელად. ესენია: ვაშლის ყვავილები, ორპირი, აპრილის თვე, მალარია, ჭაობი, გომბეშო... თითოეული თითქოს პრივატულია მისთვის. ისინი ეზიდებიან ყოველთვის უკან, ტკბილი ბავშვობისაკენ, სევდიანი ლირიკისაკენ, ყვითელ, უჟმურისფერ, მშობლიურისკენ, „ბაყაყების ორკესტრით“ ახმაურებულ ჭაობიან ორპირის სანახებისაკენ, რომელიც ღრმად აღიბეჭდა და სამუდამოდ ჩარჩა მასში, როგორც ხსოვნა, იქნებ, ბედნიერი ტკივილისაც...

დამონებანი:

ბარბაქაძე 2008: ბარბაქაძე თ. „ტიციან ტაბიძის სონეტები“. სონეტები საქართველოში. თბ. „უნივერსალი“, 2008.

გაფრინდაშვილი 1922: გაფრინდაშვილი ვ. დეკლარაცია („ახალი მითოლოგია“). დ. „მეოცნებე ნიამორები“, №7, 1922.

ტაბიძე 1960: ტაბიძე ტ. რჩეული ლექსები. თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1960.

ტაბიძე 1966: ტაბიძე ტ. წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ტ. III. თბ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966.

ქრესტომათია 2010: ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია. II. თბ. „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2010.

ერთი ოცნების ტყუპისცალი (წერილი პირველი)

ვანის რაიონის უმშვენიერესი სოფელი ჭყვიში – გალაკტიონისა და ტიცვიანის ადგილის დედაა, მათი მუზეუმის სახანე, პოეზიის მაგნიტური ანომალია, სადაც ფაზისის (რიონის) პირას დღესაც ამაყად დგას იდუმალებით მოცული ორი სახლი „ჩანგის სიმებად და ჩანგის წკირად“ და დღენიადაგ თავისკენ გვხმობენ, რათა ქართული ლექსის უკვდავებას გვაზიარონ.

ისტორიულ დოკუმენტურ წყაროებში სოფელი ჭყვიში XVI საუკუნიდან მოიხსენიება.

იმერეთის მეფემ სოლომონ მეორემ 1803 წელს „წყალობის წიგნი“ უბოძა ხონის თემის სოფელ ივანდიდის მცხოვრებ გიორგი ტაბიძეს (და მის ძმებს), რომლის საფუძველზედაც დასახლებულა ის ჭყვიშში. „ყუმურის ღელე რომ რიონშიდ ჩაერთვის იმ ადგილზედ – გიბოძეთ შენი საყოფი სამოსახლო სამამულე და საყანე... და ისევ ეკლესიას უნდა მსახურო“ – ვკითხულობთ ამ „წყალობის წიგნი“

ამრიგად, გიორგი ჭყვიშში 1804 წლიდან ტაბიძეთა გვარის საფუძვლის ჩამყრელია. გალაკტიონი და ტიცვიანი გიორგი ტაბიძის მე-4 თაობაა.

ტაბიძები ძირითადად სასულიერო პირები ყოფილან-მნიგნობარი ხალხი, ამაზე მეტყველებს ტიცვიანის ეს სტრიქონებიც:

„გრძელია ჟამი მღვდელმსახურობს რაც ჩემი გვარი,
ვინ იცის წირვა რაოდენი გამოიყვანეს,
ახლაც ეზოს წინ დაღვრემილი მოსჩანს საყდარი,
ეს გერბი არის ამაყ მგოსანს რომ დამიხატეს“.

ჭყვიშელ ტაბიძეთა ერთ-ერთი პირველი წინაპარი გიორგი ტაბიძე მღვდელი იყო, მღვდელი გახლდათ მისი შვილი სტეფანე, ტიცვიანის მამაც-იუსტინე ეკლესიას მსახურებდა, ამასთანავე ის ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა, მაგრამ ტიცვიანის თქმით მისი ლიტერატურული მცდელობიდან არაფერი გამოვიდა.

გალაკტიონის მამას ვასილსაც ჰქონია სურვილი მღვდლად კურთხევისა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა ჩანაფიქრის განხორციელება-35 წლის ასაკში გარდაიცვალა ფილტვების ანთებით.

ხის ეკლესია – წმ. გიორგის სამლოცველო, სადაც წირვა-ლოცვას აღავლენდნენ გიორგი, სტეფანე, იუსტინე ტაბიძეები – კარგა ხნის წინათ დაინგრა. წარმავლობის მსახვრალმა ხელმა, ავბედიტობის ჟამმა, ყველაფერი მიწასთან გაასწორა. სწორედ ამის გამო სწუხს გალაკტიონი და თავის ნაღვლიან განწყობილებას ლექსად გვიმჟღავნებს:

„სადაც შრიალებს ჭაობი ჭყვიშის, შარასთან ორი ძველი ცაცხვია;
იქ ბევრი დარდის და ბევრი შიშის გადამტან გულთა ფერფლი აწყვია.
ხსოვნაც არაა, გამქრალა ნიში, რა სიშიშველეთა, რა სისაწყლეთა!“

„ჭყვიში ქუთაისის მაზრაში შედიოდა და სამტრედიის საბოქაულოს ექვემდებარებოდა. თავდაპირველად მას დამოუკიდებელი საზოგადოება ჰქონდა, შემდეგ კი ტობანიერს შეუერთეს“.
(ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი,“ თბ. 2000წ. გვ.8)

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ჭყვიში და მისი შემოგარენი, მისი ულამაზესი ლანდშაფტი, საუკუნოდ მოხიბლული დარჩენილა. სწორედ ამ სოფლის ზღაპრული ბუნებამ განაპირობა, რომ ჭაბუკი პოეტები ფიქრით, ოცნებით სიცოცხლის ბოლომდე მიჯაჭვულნი იყვნენ მშობლიურ კუთხეს.

„სადაც არ უნდა ვლიდეს ეს საჰაერო გემი,
მაინც ფაზისის კიდეს უვლის ოცნება ჩემი“

– წერს თავის ერთ-ერთ ლექსში გალაკტიონი. პოეტის უფაქიზეს სულს ცხოვლად დააჩნდა სოფელში გატარებული ყოველი დღე, წუთი და წამი. გალაკტიონის კარმიდამოდან თვალნათლივ

მოსჩანს კავკასიონის თოვლით დაფარული უსპეტაკესი მწვერვალები, „ისინი მეოცნებე ბავშვი შორეულისა და მიუნვდომლის განცდას ბადებდნენ.“

„ვიგონებ ყრმობას, შორს, ძლიერ შორს, ქალების გაღმა,
კავკასიონის კლდოვანი მთის მოსჩანდა ფერდი,
სალამოობით, ვით ხომალდი ასნიოს ნალმმა –
მზით ენთებოდა და ქრებოდა ტიტანის მკერდი.
ბავშვობიდანვე ის სიშორე მტანჯავდა ერთი –
ლაჟვარდოვანნი მიტაცებდნენ ნაქერალები
და ვკითხულობდი, ვოცნებობდი, ვმღერდი თუ ვწერდი –
მდედრდნენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ ის მწვერვალები.“

(გ. ტაბიძე, თხზ, ტ. 9, გვ. 132)

„მეფის ქალისა“ და რიონის თვალწარმტაც სანახებში უხდიდნენ ხარკს ორპირის ფშანზე გაზრდილი მეოცნებე ბიჭები უდარდელ ბავშვობას. ჭყვიშის ხელისგულისოდენა მიწაზე შეისისხლხორცეს ასე ძალუმად მამულის სიყვარული.

უკეთესად ვერც ვერვინ გამოხატავდა პოეტის სულიერ განწყობილებას ისე, როგორც ეს ბრწყინვალე ლექსში – „მამული“ არის გადმოცემული:

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე – რაა მამული?!“

ტიციანის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „ადრეული ბავშვობიდანვე უცნაური პეიზაჟით ვიყავი გარემოცული. ტროპიკული გვიმრები, ლიანები, ჭადრებისა და ალვის ხეების ხშირი რიგები და ალაგ-ალაგ ქაობიანი სახნავების ფართო არე ჩემს გონებაში აცოცხლებდნენ მაინ რიდისა და ალექსანდრე დიუმას რომანების გმირებს... განსაკუთრებით დამამახსოვრდა მზის ჩასვლა რიონისპირა ველებზე, როდესაც მზე ცეცხლმოდებულ მენამულ პალიასტომის ტბაში ჩაეშვებოდა ხოლმე და ცას სანახევროდ კოლოები ფარავდნენ. (გ. ტაბიძე, ტ.1, თბ. 2012 წ, გვ.3).

ფრიად საინტერესო და განსხვავებულია ჭყვიშის ტიციანისეული აღქმა.

„მესმის ყანებში გადაბმული გრძელი ნადური,
მოაქვს დილიჟანსს კრენდელები და „ნაკადული“
მოიმღერიან შარაგზაზე ჩალანდარები
და შიშველ ფეხებს აქ ეკალიც არ ეკარება.“

ხშირად აწვალებს პოეტის წარმოსახვას მშობლიური კუთხის მძაფრი მონატრება:

დღეს თბილისში ვარ... მაგრამ ორპირი
სტირის ჩემს სულში ვაშლის ხეებად...

ორპირი უხსოვარი დროიდან რიონის ნავსადგური იყო. სამდინარო გემები შემოდოდნენ ორპირში და გაჰქონდათ სიმინდი და ხმელი ხილი. ორპირს-ჭყვიშის მომიჯნავე სოფელს, რომელიც ცხენისწყალისა და რიონის შესართავთან მდებარეობდა, ტიციანი ჭყვიშთან მთლიანობაში მოიხსენიებს ყოველთვის.

„იტყვიან ასე: იყო სანყალი ორპირის ფშანზე გაზრდილი ბიჭი,
ლექსები იყო მისი საგზალი, არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი
და აწვალებდა მას სიკვდილამდე ქართული მზე და ქართული მინა,
ბედნიერებას მას უმაღავდნენ, ბედნიერება მან ლექსებს მისცა“

ჭყვიშის ბუნებამ, განსაკუთრებულმა გარემომ დიდი როლი ითამაშა გალაკტიონისა და ტიციანის შემოქმედებით ფორმირებაზე. „სწავლულები ამბობენ, რომ ადამიანის ორგანიზმი მშობლიური მიწის ატომებისაგან შედგება, რომ პიროვნებასა და მშობლიურ გარემოს შორის ქიმიურ ელემენტთა მუდმივი ცვლაა, რაც პატრიოტიზმის საფუძველი და ინდივიდის მეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.“ (ნ.ტაბიძე, გალაკტიონი, თბ., გამომც. „ნაკადული“, 1982 წ. გვ.14).

გალაკტიონი და ტიციანი „ჭყვიშის ატომებით, მისი ხმებით, ფერებითა და სევდით“ ღრმად არიან გაჯერებულნი.

გალაკტიონი და ტიციანი 900-იანი წლებიდან ქუთაისში სწავლობდნენ, გალაკტიონი

სასულიერო სასწავლებელში, ხოლო ტიცინი კლასიკურ გიმნაზიაში. ქუთაისში იმჟამად დულდა ლიტერატურული ცხოვრება. ქუთაისმა მისცა ქართულ მწერლობას XX საუკუნეში პირველხარისხოვანი პოეტები და პროზაიკოსები. შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქვნისათვის შესანიშნავი ნიადაგი დახვდათ ყრმა პოეტებს.

აკაკის „სავარდო და სამაისო“ ქუთაისია გალაკტიონისა და ტიცინის პოეტური ნათლობის, მათი პოეტური დავაჟკაცების ქალაქი, აქ იბეჭდებოდნენ იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში, პირველ ნაბიჯებს დგამდნენ შემოქმედებით სარბიელზე.

1908 წელს გალაკტიონი თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა, ხოლო ტიცინი, ცოტა მოგვიანებით (1913 წელი), მოსკოვის უნივერსიტეტში აგრძელებს სწავლას ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ეს პერიოდი მათი ფართო განათლების მიღებისა და სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის მნიშვნელოვან წლებს მოიცავს.

1914 წლის 24 ივლისს გალაკტიონი მშობლიური სოფლიდან წერილს წერს ოლია ოკუჯავას, მომავალში მისი ცხოვრების თანამგზავრს: „წარმოიდგინე სოფელი, ქალაქის დრტვინვასა და მოუხეშავ ცხოვრებას დაშორებული, შორი თვალუნვდენელი მინდვრები, იქით მუდმივი მწვანით შემოსილი მთები. ეხლა მინდვრებზე სულ სიმინდია დათისელი. ალაგ-ალაგ გაუვალე ტყეებია, მათ სიგრილეში დასვენებას და ოცნებას არა სჯობია რა. ჩვენი სახლის მახლობლად, სულ ორმოც საჟენზე, მდინარე რიონი ჩამოდის, მე და ტიტე (ტიცინი) დღეში სამჯერ ვბანაობთ ხოლმე... ვკითხულობთ ერთად წიგნებს, რაც კი გაგვაჩნია. შეღამებისას გავალთ რიონის გაღმა ყანებში, დავსხდებით რიონის პირზე ვერხვის ძირში, გვაქვს თან დოქით ღვინო, თან ვსვამთ და თან ვსაუბრობთ, ვიგონებთ ნაცნობებს, მეგობრებს, ნათესავებს, მაგრამ ყველაზე უფრო ვიგონებთ ჩვენს ტრფიალებს. ტიტე მიაბობს მოსკოვის ამბებს, მე კი ვუამბობ ქუთაისისას, რადგან მე უფრო მეტ ტყუილებს ვამბობ, ვიდრე ტიტე, ტიტე გულზე სკედება.

მთვარე ამ დროს მაღლა სივრცეზეა ასული, ნიავი ქრის, რიონის ზვირთების ბუტბუტი არღვევს მყუდროებას... მივსეირნობთ ნავით, ვერ წარმოიდგენ რა საუცხოო რამაა ნავით სეირნობა მთვარიან ღამეს.

ტიტემ ანკესები იყიდა... დავდივართ და ვიჭერთ თვზებს...

მე და ტიტე ხშირად ვსაუბრობთ შენზე“ (ი. ლორთქიფანიძე, გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა. თბ. 1968 წ. გვ. 65)

ამ წერილიდან ნათლად ჩანს – როგორი თბილი, გულწრფელი ურთიერთობა ქონდათ ერთმანეთთან ადრეულ წლებში ღვიძლ ბიძაშვილებს.

1914 წელს, ივნისის ბოლოს, ქუთაისში ტუტკუ გვარამიას რედაქტორობით გამოვიდა გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნი. კრებულში შევიდა 157 ლექსი, წიგნში მოთავსებულია: ავტორის სურათი, ბიოგრაფია, ლექსები და ივანე გომართელის, იპ. ვართაგავას, მიხეილ წულუკიძის წერილები. გარე კანზე მოთავსებულია საქართველოს სახალხო მხატვრის გრიგოლ მესხის ნახატი – ლირაზე თავდახრილი ქალი, რომელსაც თითქოსდა დაკვრის დროს ჩასძინებია.

გალაკტიონის ამ წიგნს ძალიან კარგი გამოხმაურება მოჰყვა. ქართული კრიტიკა აღნიშნავდა, რომ „... წიგნი ერთგვარ ნაზ და სევდიან განწყობილებას ქმნის ჩვენში და ეს განწყობილება დაცულია ბოლომდე. გალაკტიონ ტაბიძის სევდა ყველასთვის საყვარელი და ძვირფასია, რადგან იგი ჩვენი სულის ინტიმობაა, ჩვენი ცხოვრების ტრაგიკული წუთებია... იგია ღვიძლი შვილი ჩვენი ეპოქისა... მისი სულის სარკე“ (გაზეთი „შრომა“, 1914 წელი. №20).

ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ (რედაქტორი ი. იმედაშვილი) წერდა: „გალაკტიონ ტაბიძე არ ეკუთვნის იმ მოლექსეთა ჯგუფს, რომელთა სახელი ლეგიონია... გ. ტაბიძემ საუცხოოდ გადაგვიშალა მუდამ მაძიებლის, სულით ღელვილ ადამიანის სწრაფვა („თეატრი და ცხოვრება“ 1915 წელი, № 2 გვ.5).

„გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება უხვადა არის დაჯილდოებული ღვთიურის ცეცხლით... მისი სევდა... უნივერსალურია, მსოფლიო სევდაა... იგი ისე მოველინა ჩვენს მწერლობას, როგორც სიმღერა მოულოდნელი“ – სიამაყით აცხადებდა პოეტი ალ. აბაშელი (გაზეთი „შადრევანი“. 1915 წ. № 5).

გალაკტიონის ღვიძლმა ბიძაშვილმა პოეტმა ტიცინან ტაბიძემ, შესანიშნავი წერილი „მარტოობის ორდენის კავალერი“ მოიძღვნა ამ წიგნს, რომელიც 1916 წელს დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოში“ (გაზეთი „საქართველო“, 1916 წელი. № 4-5).

„პირველი კავალერნი მარტოობის ორდენისა იყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი და მამია გურიელი, დღეს კი ახალზე მინდა საუბარი.

მორცხვად შემოდგა ფეხი ჩვენს მწერლობაში გალაკტიონ ტაბიძემ, რათა დაერეკა გლოვის ზარები და უკვდავ მეზარეთა ჩრდილები არ გამწყრალიყვნენ მის დანახვაზე. პოეტი საინტერესოა არა მარტო სამგოსნო ტალანტით, არამედ უფრო წერის მანერითა და ლიტერატურული გავლენითაც“ (ტ. ტაბიძე, პროზა, ტ. 2, თბ. 2012წ, გვ. 212-213).

მიმოიხილავს რა ჭაბუკი გალაკტიონის მთელ რიგ ლექსებს და იქვე დასძენს: „გალაკტიონ ტაბიძის ლექსი უჩვეულო მოკლე სიტყვებში იშლება, მას აქვს რაღაც ჯადო, რომლითაც სულ უბრალო ფერადები წარმტაცად ბრწყინავენ, უბრალო სიტყვები რიტმულად ჟღერენ, თითქოს ფერხულს უვლიან ნიავის ველურ სიხალისეში... ყრუდ დაბადებული იქნება, ვინც იმაში მუსიკას ვერ მოისმენს...“

გალაკტიონ ტაბიძის ლამაზი შედარებანი და მეტაფორები უბრუნებენ ქართულ მწერლობას ბრწყინვალე პერიოდს... ისე მრავალმხრივია და ინტიმურად ღრმაა ეს პოეზია, რომ ამ პატარა ესკიზში ფრთაფარფატას შეხებაც კი შეუძლებელია, რომ წერილის მთლიანობა არ დაირღვეს. გ. ტაბიძის პირველი წიგნის გამოჩენა ქართულ პოეზიაში ბევრის მაჩვენებელია. იმას აქვს ძლიერი ტემპერამენტი და მხატვრული გულწრფელობა, მისი ლექსი განცდილია და მომხიბლავი. აღმანახში „ცისფერი ყანწები“ (№1, 1916 წელი, გვ.3) დაიბეჭდა ტიცინანის წერილი „ცისფერი ყანწებით“, სადაც ასახელებს რა, XX საუკუნის 10-იანი წლების თვასაჩინო პოეტებს: იოსებ გრიშაშვილს, ს. შანშიაშვილს, გალაკტიონ ტაბიძეს – ხაზგასმით აღნიშნავს:

„ის (იგულისხმება გალაკტიონი) ახალგაზრდაა ამ სამებაში და ყველაზე მეტად ეტყობა სიმბოლიზმისკენ გადახრა. „მე და ღამე“ გვიჩვენებს, რომ მისი სული უძიროდ ღრმაა... პირველი წიგნის წერების ტოკვაზე ეტყობა რომ გაზრდის შხამიან ყვავილს სიმბოლიზმისას... რაც ძვირად არ დავაფასოთ ის რაც იმან მოგვცა, მაინც იმაზე მეტი მომავალშია“

არ უნდა დაგვავინყდეს, რომ 1913 წლიდან სამი-ოთხი წლის განმავლობაში იწერება გალაკტიონის შედევრები: „მე და ღამე“, „მერი“, „ატმის ყვავილები“, „მთანმინდის მთვარე“, „თოვლი“, „ლურჯა ცხენები“, „დომინო“... ხოლო ტიცინანის შემოქმედებითი მწვერვალები 1925 წლის შემდგომ აღიმართა.

ახალგაზრდა პოეტებმა 1915 წელს ქუთაისში შექმნეს ქართველ სიმბოლისტთა კორპორაცია „ცისფერი ყანწები“. „ყანწელთა“ ამ ორდენს თავისი სამოქმედო პროგრამა ჰქონდა.

მაშინდელი პრესა იუწყებოდა, რომ 1916 წლის 14 თებერვალს გამოვიდოდა მათი ბეჭდური ორგანო აღმანახი „ცისფერი ყანწები“. სინამდვილეში გამოვიდა 28 თებერვალს. რედაქტორი ჟურნალისა გახლდათ პაოლო იაშვილი, მასვე ეკუთვნის „პირველთქმა“, სადაც ის დიდი სიამაყით აცხადებს: „საქართველოს მგოსნებს, ყველა მეოცნებეს, ქართველ ხალხს! ისმინეთ ყველამ ჩვენი ქადაგება მრავლის სასიკვდილოდ გაჭრნდით ჩვენ ბინძური მზით გამთბარ ქვეყანაში, სადაც ხალხმა დაკარგა შვენება სითამამის. საქართველოს ლანდურ არსებას მოვევლინეთ ჩვენ ახალი სხივმოსილობით და ოცნებადაკარგულ ხალხს ვასწავლით განწმენდილ გზას მომავლის ცისფერი ტაძრისაკენ. გვწამს ყოველგვარი ორგია, ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას, უარყოფთ წარსულს, როგორც მზით განათებულს, ისე ღამეში შეწუხებულს. წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოვსტაცეთ ძვირფასი მარგალიტები და გადავისროლეთ დავინყების ზღვაში“.

„ცისფერყანწელთა“ ასეთ თამამ განცხადებას აღშფოთებით შეხვდა ლიტერატურული კრიტიკა. „ლიტერატურული გადაგვარება“ – ამ სათაურით იბეჭდება გაზეთ „სამშობლოში“ ალ. წერეთლის კრიტიკული წერილი, რომელსაც გაზეთის რედაქციამ ასეთი შენიშვნა დაურთო: „ცისფერი ყანწები“ ავადმყოფური მოვლენაა ჩვენში და რაც ადრე მოისპობა ავადმყოფობა, მით უფრო უკეთესი იქნება“

„ათიანი წლების ჟურნალ-გაზეთებიდან „ცისფერყანწელთა“ მიმართ განსაკუთრებულ კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენდა ქუთაისში გამომავალი გაზეთი „სამშობლო“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ია ეკალაძე (ცინცაძე). მასში სისტემატურად იბეჭდებოდა ამ ჯგუფის წარმომადგენელთა შემოქმედების განმაქიქებელი მასალები. რედაქცია, მის ირგვლივ შემოკრებილი ავტორები, მკაცრად აკრიტიკებდნენ „ყანწელთა“ შემოქმედებით ძიებებს და გამოდნენ მათ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ეროვნული ლიტერატურული ტრადიციებისადმი.

გაზეთი „სამშობლო“ მტკიცედ იდგა რა ამ ტრადიციათა დაცვის პოზიციაზე, ხელალებით აკრიტიკებდა ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებებს და ვერავითარ დადებითს ვერ ამჩნევდა მათ შემოქმედებაში.

ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსი, ვინც მკაცრად გაილაშქრა „ცისფერყანწელთა“ წინააღმდეგ, ფილიპე მახარაძე გახლდათ... მისი შეფასებით, ცისფერი ყანწები არა მარტო „დუხჭირი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში, უდიდესი ლიტერატურული დანაშაულიცაა“ (გაზეთი „თანამედროვე აზრი“).

„ყანწელების“ წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად იყო ჩაბმული მწერალი ლეო შენგელაიაც (ქიაჩელი), უარყოფითი დამოკიდებულება „ცისფერყანწელთა“ მიმართ ნათლად ჩანს გაზეთ „სამშობლოში“ გამოქვეყნებული მისი სტატიებიდან. სამართლიანად შენიშნავს მწერალი-კრიტიკოსი, აკადემიკოსი ავთანდილ ნიკოლეიშვილი: „ლ. შენგელაიამ, როგორც ეს დასახელებული წერილით დასტურდება (საუბარია წერილზე- „ლიტერატურული მეშჩანობის პირველი მერცხლები,“ „სამშობლო“, №363) სიღრმისეულად ვერ გაიაზრა ის ტენდენციები, რომელთაც პაოლო და მისი მეგობრები იმხანად ამკვიდრებდნენ ჩვენს მწერლობაში. იგი მათი ჟურნალის მხოლოდ ზედაპირულ მხარეს შეეხო და ზოგიერთი არსებითი დეტალი განაზოგადა, რის შედეგადაც მცდარი შეფასება მიეცა ქართველ სიმბოლისტთა ლიტერატურულ ძიებებს. აღმანახის ქვაკუთხედად ქცეული მრწამსი, მის ფურცლებზე გამოვლენილი შემოქმედებით სიახლეთა არსი კი, რომელიც ეროვნული მწერლობის ტრადიციათა თვისებრივად ახალი ტენდენციებით გამდიდრებას ისახავდა მიზნად. მისთვის, ისევე როგორც ბევრი სხვა იმდროინდელი ავტორისათვის, მიუწვდომელი დარჩა, (ა. ნიკოლეიშვილი, „პაოლო იაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“ გამ. „საწუთრო“, ქუთაისი, 1995 წ. გვ.118-119).

ელენე დარიანის ავტორობით ცნობილი პაოლოს ლექსებიც სასტიკად გააკრიტიკა ლ. შენგელაიამ, მაგრამ შემდგომში ეს ლექსები „მეოცე საუკუნის ათიანი წლების ქართული პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო მონაპოვრად და აღიარებული“ (ა. ნიკოლეიშვილი, გ. მერკვილაძე, გ. ასათიანი, ლ. ავალიანი...).

ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ მეორე ნომერში დაიბეჭდა ტიცციან ტაბიძის ამავე სახელწოდების წერილი „ცისფერი ყანწებით“, რომლითაც ის ცდილობს გაამყაროს ამ ორდენის პოზიციები.

გავიხსენოთ მისი პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი (1921 წ. აგვისტო).

„... ჩემი სონეტი მოელოდა ეპიტალამას, სიამის ტყუპი – სიამითაც ვიყოთ ტყუპები.
საქართველოს მზე გაანათებს სიცოცხლეს ლამაზს, მაშინაც, როცა პოეზიით დავიღუპებით.
სხვა პოეტებმა და მგოსნებმა გვადარეს აღმასს, ვიცი, გავტყდებით და

არასდროს მოვიღუნებით,

ძველ პოეზიას კადნიერად ვახურავთ ჩალმას, მაგრამ სავსეა სიყვარულით თვალის უპები“.

ტიციანის ლექსის ბოლო სტრიქონებში ძლიან კარგად ჩანს წარსულისადმი მათი დამოკიდებულება. დროებით ითხოვდნენ ძველ კლასიკოსთა პოეზიის ერთგვარ „დაკონსერვებას“, რათა გზა გახსნოდათ ახალი შემოქმედებითი ძიებებისა და აღმოჩენებისთვის. „ერთის მხრივ ეს იყო თავისებური ფორმით გამოსხატული ბრძოლა ყოველგვარ ლიტერატურულ შაბლონთან და ტრაფარეტთან, ხოლო, მეორეს მხრივ, ახალი თაობის შემოქმედებითი პერსპექტივებისა და პრინციპების პრეტენზიული გამოცხადება მკითხველისთვის“ (ა. ნიკოლეიშვილი).

ტიციან ტაბიძე „ცისფერყანწელთა“ ორდენის ერთ-ერთი დამაარსებელი და სულისჩამდგმელი

იყო. მას მოუხდა ორი მანიფესტის დაწერა ამ ჯგუფის ამავე სახელწოდების ჟურნალისათვის. პოეტების ამ სიმბოლისტურმა სკოლამ საკმაოდ დიდი ხარკი გადაუხადა არაჯანსაღ, ბოჰემურ არტისტიზმს, ძალიან ბევრი წინააღმდეგობანი ჰქონდათ შემოქმედებაში, რეალურ სინამდვილეს მონყვეტილნი იყვნენ. ქადაგებდნენ ლოზუნგს: „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, მცდარი იყო მათ მიერ მხატვრული შემოქმედების შეფასება.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, „მაშინდელი გალარიბებული ლექსის ფონზე პოეტების ახალმა სკოლამ მაინც დიდი როლი ითამაშა“ – წერდა ტიცინი. „ჩვენ შემოვიტანეთ ქართულ ლექსში სიტყვები, რომლებიც განდევნილი იყო ან სულ არ იხმარებოდა. პირველად დაინერა ნამდვილი სონეტები, ტერცინები, ტრიოლეტები. რითმას ახალი გასაქანი მიეცა. ახლებურად ვიყენებდით ალიტერაციებსა და ასონანსებს. ბოდლერის, ვერლენის, რემბოს, ლაფორგის, და სხვა ფრანგი პოეტების თარგმანებმა გააფართოვეს პოეტური თემისა და სახეების არე, ქართულმა ლექსმა ახლებური ჟღერადობა შეიძინა.“ (ტ. ტაბიძე, ტ 1, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ. 1966 წ, გვ 4)

ტიციან ტაბიძის ეს განცხადება უდაოდ ჭეშმარიტების შემცველია. „ცისფერყანწელებს“ გარკვეული, ღირსეული ნვლილი მიუძღვით, ქართული პოეტური კულტურის ამაღლების, ქართული ლექსის განახლების საქმეში, მაგრამ ლომის წილი მაინც გალაკტიონზე მოდის.

ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“ (№ 1) დაიბეჭდა გალაკტიონის ორი ლექსი: „მთანმინდის მთვარე“ და „ლურჯა ცხენები“, რამაც აზრთა სხვადასხვობა გამოიწვია სალიტერატურო კრიტიკაში.

გაზეთ „სამშობლოში“ (1916 წ. № 304) გამოქვეყნდა ალ. წერეთლის წერილი, რომელშიც დიდი სინანულია გამოთქმული იმის გამო, რომ ამ ჟურნალში მოხვდა გ. ტაბიძე. იქვე „სტუდენტის“ ხელმოწერით დაბეჭდილ წერილში ვკითხულობთ. „ვწუხვართ და ჩვენს გულისწყრომას ვუცხადებთ მგოსან გალაკტიონ ტაბიძეს, რომ ასეთ უნიადაგო და გარყვნილ ჟურნალში მიიღო მონაწილეობა“. მსგავსი შინაარსის შემცველი გახლავთ სხვადასხვა კრიტიკოსების წერილები იმჟამინდელ ჟურნალ-გაზეთებში.

არის ვერსია, თითქოს გალაკტიონის ლექსები „ცისფერ ყანწებში“ მისი სურვილის გარეშე დაიბეჭდა, მაგრამ არის მეორე ვერსიაც, პოეტი რადგანაც არ იცნობდა „ცისფერყანწელთა“ იდეურ-მხატვრულ პროგრამას, ჟურნალის „პირველთქმას“, არ არის გამორიცხული მას ნებართვაც ჰქონოდა მიცემული ლექსების დაბეჭდვაზე. ქართველ სიმბოლისტებს, „ცისფერყანწელებს“, ბუნებრივია, ამ ფაქტით სურდათ საკუთარი ლიტერატურული ორდენის ავტორიტეტის ამაღლება.

გალაკტიონ ტაბიძე, საზოგადოების გულისწყრომისა და პროტესტის გამო, სასწრაფოდ ჩამოშორდა „ცისფერყანწელთა“ ჯგუფს. ამან, რა თქმა უნდა, განხეთქილება გამოიწვია მასსა და ხსენებული ორდენის წევრთა შორის. პოეტი ჭიათურაში თავის უსაყვარლეს ქალბატონს ოლია ოკუჯავას წერს 1916 წლის მარტში: „სამუდამოდ დაშორდით ერთმანეთს: მე, გაფრინდაშვილი და იაშვილი. ძალიან დიდი ჩხუბი მოგვივიდა და ერთმანეთს ისეთი სიტყვები ვუთხარით, რომელიც ამის შემდეგ დალაპარაკების ნებას არ მოგვცემს“...

(ი. ლორთქიფანიძე „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, თბ. ,1968 წ, გვ.85).

გალაკტიონისა და ტიცინის კეთილ ურთიერთობაში ბზარი სწორედ ამ ამბავმა გააჩინა. ღვიძლი ბიძაშვილები დროებით მართლაც დაშორდნენ ერთმანეთს. ამითაა განპირობებული ისიც, რომ 1919 წელს გამოცემულ გალაკტიონის ლირიკული ლექსების II წიგნს „არტისტულ ყვავილებს“ (წიგნს ფრანგული წარწერა ამშვენებდა: „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“) ის არც გამოხმაურებია. ამ წიგნში 86 ლექსია შესული, 1914-1919 წლებში დაწერილი. წიგნი იხსნება ლექსით: „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“. ეს წიგნი გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, შედეგების კრებულია.

სალიტერატურო კრიტიკა აღფრთოვანებით შეხვდა პოეტის მე-2 წიგნის გამოცემას. თითქმის ყველამ ერთსულოვნად აღიარა ავტორის გენიალობა.

„...მეორე წიგნში გალაკტიონი იმდენად გაიზარდა, რომ ასეთი დიდი ნაბიჯი ჩვენს მწერლობაში მეტად იშვიათი მოვლენაა – წერდა ი. გომართელი.

„ახალი ქართული პოეზია ზეიმობს თავის ფერისცვალებას და ამ განახლების პირველი ჩუმი და წრფელი აღსარება ეს წიგნია... საქართველოში მოდის დიდი მწერალი... ახალი პოეზია...“ სრულიად განსაკუთრებული გზით მიდის გალაკტიონ ტაბიძე. ასეთი გზა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია...“ (ივანე იოსელიანი, „გენიალური გალაკტიონი“, ჟურნალი „თფილისი“, 1920 წ. № 1)

„პოეტების მეფის“ სახლის მოსაპოვებლად 1921 წელს ქართველი პოეტების ერთმა ჯგუფმა მოაწყო ერთი ლექსის კონკურსი. ყველა მონაწილეს სპეციალურად კონკურსისათვის დაწერილი ახალი ლექსი უნდა წარედგინა (გაზეთ „ლაშარში“ 1923 წ., № 1) მოთავსებული ტიციან ტაბიძის ლექსი – „ცხენი ანგელოზით“ და მასზე დართული შენიშვნა: „პოეტების მეფის სახელის მოსაპოვებლად წარდგენილი ლექსი, დაწერილი 1921 წელს“ – ამის მკაფიო დადასტურებაა).

ამ კონკურსზე გ. ტაბიძემ წარადგინა ლექსი „პოეზია-უპირველეს ყოვლისა!“, რომლითაც გაიმარჯვა კიდევ. 1921 წლის 27 იანვარს მას პოეზიის მეფის ტიტული მიანიჭეს. ამის გამო აღფრთოვანებული სწერს: „უპირველესი მომანიჭეს დაფნა მეფეთა“

1921 წელს თბილისში დაარსდა ქართველ ხელოვანთა სასახლე იმავე წელს გაზეთ „კომუნისტში“ (№36,15 აპრილი) იბეჭდება ტიციან ტაბიძის წერილი „აკადემია პოეზიის“. მოგვაქვს ამონარიდები ხსენებული წერილიდან.

„ქართულ ხელოვნების სასახლესთან ეწყობა აკადემია პოეზიის. მის წინააღმდეგ სდგება ოპოზიცია, მაგრამ საჭიროა გაგება იმ მიზნების, რომელთაც პოეზიის აკადემია ისახავს – რომ წინააღმდეგობა მალე გაჰქრეს.

საქართველოში ყველა არტისტულ დარგებში პოეზია უფრო მეტ ხალხს იზიდავს, ამიტომ გასაგებია პოეტების სიმრავლე.

ჯერ კიდევ ანტიკურ ქვეყნებში იცოდნენ, რომ საქართველო პოეტების ქვეყანაა, სხვა უცხოელები ამას მხოლოდ იმეორებენ. გასაგებია აგრეთვე დებულება, რომ პოეზია არის საქართველოს გამართლება. უკანასკნელ საუკუნეში ბევრ სხვა ანომალიასთან ქართულ პოეზიას ერთი ზნე დასჩემდა, მისთვის სრულიად შეუმჩნეველად მიდის ტეხნიკის ზრდა...

ნამდვილად უკანასკნელ დროს პოეზიამ ისეთი გზები გახსნა, იმდენი ტეხნიკური მიღწევები დაიმკვიდრა, რომ შესაძლებელია ყველაზე უფრო მისთვის იყოს საჭირო ფრთხილი მოპყრობა...

ყოველ შემთხვევაში, პოეზიის ახალ მწვერვალებამდე მისვლამდე საჭიროა მეტი ცოდნა და მეტი ანალიზი, ვინემ ის ჩვენ დროს ეტყობა. დღეს ჩვენშია ც და უცხოეთშიც არიან აუარებელი სტუდიები და სასწავლებლები, სადაც თავიდანვე ახალგაზრდები სწავლობენ მუსიკას, მხატვრობას, დრამატულ ხელოვნებას, მხოლოდ პოეზია ჯერ კიდევ ვერ გამხდარა დამოუკიდებელი შესწავლის ობიექტად... ჩვენ, რასაკვირველია, შორს ვართ იმისგან, რომ სკოლებში ყველასთვის ისწავლებოდეს ლათინური ლექსი – მაგრამ პოეტისათვის, რომ აუცილებელია პოეზიის შესწავლა ეს უდაოა.

განზრახულ პოეზიის აკადემიას მიზნად აქვს, რომ პოეტებისათვის შექმნას ამგვარი სკოლა, სადაც გარჩეული იქნება ლექსის პრობლემები და ამასთან დაკავშირებული ლიტერატურა. აქ ახალგაზრდა პოეტები, რომლებიც თავისთავიდან იწყებენ ისტორიას, შეისწავლიან პოეზიის ნამდვილ ისტორიას“...

წერილში დასმული პრობლემები ნამდვილად იმსახურებდა ხელოვანთა ცხოველ ინტერესს. გალაკტიონიც არ დარჩენილა ამ წერილისადმი გულგრილი. ამაზე მეტყველებს მისი ცოტა მოგვიანებით გაკეთებული ეს ჩანაწერი:

„ტიციან ტაბიძე აცხადებდა აკადემიას, ალი არსენიშვილი წინააღმდეგი ყოფილა, რობაქიძისთვის ეს სულერთია, იაშვილი სავსებით უარყოფდა რაიმე აკადემიურ მუშაობას – ასე და ამგვარად ჩვენთვის ჯერაც გამოურკვეველია, ინიციატორები არიან ცისფერ ყანწელები თუ ჩვენ ვართ ყველანი. ე.ი. მე მინდა ვთქვა: აკადემიას აარსებენ ჯგუფის სახელით, ჯგუფური მიზნებისათვის, თუ საერთოდ ქართული პოეზიისათვის... მიკროსკოპებით შეიარაღებული პოეტი თქვენთან არ მოვა... თქვენ გენაცვალეთ მასწავლეთ რამე, უცოდინარი ვარ. აქ ყველა მცოდნეა ლექსის და არავინ უცოდინარი. მე არ მესმის ასეთი ტონით ლაპარაკი. მე პირადად იმ აზრის ვარ, რომ ცისფერყანწელებს მოუხდებათ ასეთი ლაბორატორია.

მე ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვივლი ამ კრებებზე, მაგრამ არა რაიმეს შესწავლის მიზნით. შესასწავლად და ლაბორატორიისათვის მე ჩემი ბინა მაქვს. იქ უფრო გაცილებით მეტს ვისწავლი...

მე არ ვიცი, რა არის ცისფერი ყანების მიმდინარეობა. მე ვიცი უფრო მშობლიური ტრადიცია“ („მოგონებები გალაკტიონზე“, თბ. 2009, გვ.20).

„...ნიჭი მხატვრული შემოქმედებისა თანდაყოლილი ნიჭია, როგორც სახის სილამაზე, როგორც მაგალითად ხმა, ძლიერი ხმა...“

ვინც არ დაბადებულა პოეტად, იგი იმად ვერასოდეს ვერ გახდება, რაც არ უნდა ეცადოს, რანაირი შრომა და ჯაფა არ გასწიოს, მაგრამ ყველას, დიდი მუშაობის შემდეგ, შეუძლია ისწავლოს ლექსთწყობა და მიაღწიოს მას, რომ საკმარისად ასე თუ ისე ლამაზი ლექსი დაწეროს. იქ იქნება ერთგვარი ხმოვანება, რომელიც ყოველთვის პოეზია როდია, პირიქით, ლექსის ტექნიკას უსათუოდ დაუფლება უნდა. ნიჭი პოეტისა, ნამდვილი ოქრო პოეზიის, შეიძლება გამოსჭვიოდეს გარეგნულად დაუნყოფელ ლექსში, მაგალითად, ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის ლექსებში. მაგრამ სრულად რომ გამოხატოს თავისი ნიჭი – გადმოშალოს მთელი თავისი სული – შეუძლია მას – პოეტს.“ („მოგონებანი გალაკტიონზე“, თბ., 2009წ., გვ.27).

ჭყვიმის ხელისგულისოდენა მინაზე ორი სწორუპოვარი პოეტის დაბადება ეპოქალურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

გალაკტიონისათვის პოეზია „სუნთქვა, ჰაერი“ სიცოცხლის ძალის მომნიჭებელი „სიხარულის შეგნება“ იყო. რა შესანიშნავად წერს:

„სიკვდილივით მარადია სურვილი
მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა,
ყველაფერში შუქით შემობურვილი
პოეზია – უპირველეს ყოვლისა!“

ხალხის წარმოდგენა პოეზიას მაგიურ ძალას მიაწერს. ორფეოსი თავისი სიმღერებით კლდეებს სძრავდა და აჯადოებდა ღმერთებს. ჭეშმარიტი შემოქმედის მაღლიან სიტყვას სწორედ რომ ასეთი დიდი ზემოქმედების ძალა გააჩნია: გალაკტიონი სიტყვის ნამდვილი ჯადოქარი იყო, მხოლოდ მას შეეძლო, შეჰფეროდა ეთქვა „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი – როგორც მინდა.“ „ურმულივით“ მწველი და ჟრუანტელის ცეცხლის მომდებია ტიცციან ტაბიძის ლექსიც. აი, რა დიდებულად გადმოგვცემს ლექსის თხზვის, შექმნის ურთულეს პროცესს:

„მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს...
ლექსს მე ვუნოდებ მოვარდნილ მენყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.“

„ტიციან მქვია, ვრჩები ტიცციანად, ლექსით და ღვინით ყველამ მიცანით, სიტყვას ვიტყვი – ცის ქუხილი რა არი?! საიათნოვას შიგ საფლავში გაუფტეხო ფიცარი“

პროფესორი აკ. ხინთიბიძე მიმოიხილავს რა აკაკისა და ვაჟას რითმის საკითხს, ასკვნის: „აკაკის რითმის ევფონია მაინც უფრო მონესრიგებულია. ჩვეულებრივია გააზრებული ასონანსები, რითმაში მონათესავე თანხმოვანია კანონზომიერი მონაცვლეობა... ვაჟა საგანგებოდ არ ზრუნავს რითმის მუსიკალური ეფექტისათვის... ზოგჯერ ჩინებული ჰარმონიით გვატკბობს, ზოგჯერ არაკეთილხმოვან ჟღერადობასაც არ ერიდება. ვაჟასთვის საერთოდ არ დგას რითმის მუსიკალურობის პრობლემა“.

იგივე შეიძლება ითქვას გალაკტიონისა და ტიცციანის ლექსების რითმის, რიტმისა და მუსიკალობის თაობაზე.

ერთგან ტიცციანი წერდა: სირცხვილით დავინვებოდი თუ ჩემი ლექსი გიტარაზე დაიკვრებოდა. გალაკტიონის ლექსში რითმის ევფონიური მხარე და მუსიკალობა, კეთილხმოვანება გაცილებით უფრო მონესრიგებულია, ვინემ ტიცციანთან, მაგრამ ეს სრულებითაც არ აკნინებს ტიცციანის, როგორც დიდი პოეტის სახელს. ეს პოეტი საინტერესო სწორედ იმით გახლავთ, რომ

საკმაოდ განსხვავებულია გალაკტიონისაგან ორიგინალური ხმითა და აზროვნებით. „დიდი სიმღერის და დიდი სტიქიონის“ ორი განუმეორებელი ტაბიძე – გალაკტიონი და ტიცციანი სამართლიანად ითვლებიან ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებლად. (რა თქმა უნდა, მათ მხარს უმშვენებდნენ სიტყვის ისეთი პირველხარისხოვანი ოსტატები, როგორებიც იყვნენ: ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, პ. იაშვილი, ს. შანშიაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი. ირ. აბაშიძე და სხვ.

ტროპული აზროვნება გალაკტიონმა და ტიცციანმა უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს. გალაკტიონის საოცარ და მომხიბველ პატრიოტულ ლირიკას, სატრფიალო ლექსებს მხარს უმშვენებენ ტიცციანის ამავე მოტივებზე შექმნილი შედეგები: „სამშობლო“, „მამ, გამარჯვება“, „ოქროყანა“, „რია-რია“ სატრფიალო ლირიკის უნიკალური ნიმუში „ანანურთან“ (ლექსი ეძღვნება თამუნია წერეთელს). თუ გალაკტიონის სატრფიალო ლექსების შთაგონების წყარო მერი შერვაშიძე გახლდათ, ტიცციანის მოტრფიალე გულს თამუნია წერეთელი ასულდგმულედა. მისი გატაცება სუფთა და ციური იყო, ისეთი წმინდა, ვით ცის მანანა, ამიტომ ამხელდა თამუნია წერეთლისადმი მიძღვნილ ერთ ლექსში: „შენს გარდა ალბათ სხვაც მომიტევებს, რომ შენზე ვფიქრობ დღეს „თამუნია“ და ეს „სხვა“ ცოდვის მიმტევებელი მისი უერთგულესი და განუყრელი მეგობარი, მეუღლე ნინო მაყაშვილი იყო.

გვინდა მთლიანად მოვიტანოთ ლექსი „ანანურთან“, რათა ნათლად ვიგრძნოთ ტიცციანის პოეზიაში სახეობრივი აზროვნების სიღრმე და თავისებურება:

ანანურთან

თამუნია წერეთელს

შენ აქ რა გინდა, მაგრამ ყოველთვის მომაგონდები ამ ანანურთან.
 შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის, ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა.
 არც კი გიცნობდი, არც კი მენახე, ისე გხატავდი თამარს ვრუბელი.
 ხარ დანგრეული შენ „მოდინახე“, ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი.
 ისე ნაზია ეს მოგონება, როგორც დემონის ფრთების შეხება,
 სჯობს გაიხარონ სხვა გოგონებმა, მოიბან შენი ირმის ფეხები.
 დე! გაიხარონ იმათ მგოსნებმაც, მათი ცხოვრება ხვალე იწყება,
 ჩვენ მგლოვიარე, მწუხარ ოცნებას, დაფარავს მინა და დავინწყება.
 გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი და ახეული მაქვს ლაყურები,
 შემართულია ფეხზე ჩახმახი და უსიკვდილოდ ვერ გადაურჩები.
 ასე კვდებოდა ალბათ ათასი და მონმედ ჰყავდათ ეს ანანური,
 ეს არის ჩემი მგოსნობის ფასი და თვითმკვლელობის იავნანური.

პოეტი შალვა ფორჩხიძე ოგონებს: „მწერალთა კავშირის სასაუზმეში მცირე სუფრას ვუსხედით... გალაკტიონი შემოვიდა, ფეხზე წამოვდექით, მივინ-მოვინიეთ, ჩემს წინ დაჯდა, კონიაკი მივართვით, პატარა ჭიქით დაგვლოცა და არ დალია, აღარ ვსვამ, ლაპარაკი მინდაო... გამეგონა გალაკტიონის სხვა არაფრად მიაჩნია, არავის აფასებს, საკუთარი თავის მეტი არავინ ახსოვსო. დრო ვიხელთე და მორიდებით შევაპარე: ბატონო გალაკტიონ, პაოლო იაშვილი როგორი კაცი იყო-მეთქი. ჩემი პაოლო, ჩაილაპარაკა და თვალები ცრემლებით ავესო, ცვირსახოცით მოიწმინდა და აღტაცებით შესძახა: „მინდა ავვარდე მამადავითზე, იქ აირჩიე, სულს ბინა შენ!“ შეიძლება ასეთი ლექსი კაცს არ მოსწონდეს? ანდა „გვეჩვენებოდა ეს იმერეთი არაბულ ზღაპარის დაბოლოებად!“ დიდებული კაცი იყო, ძამიკო, უკეთესი პოეტი...

ტიციანზეც გვითხარით რამე და მეტს აღარ შეგანუხებთ-მეთქი. „ჩემი ტიტე მართალი, პოეზიაზე თავმწიროული რია-რია ბიჭი იყო, მე ძალიან ვუყვარდი, ჩემზე მშვენიერი წერილი აქვს დაწერილი, მარტოობის ორდენის კავალერი მან მინოდა პირველად, მშვენიერი ლექსიც მომიძღვნა“. გაიხსენა ტიცციანის ლექსი: „ჩემი სამშობლო – საქართველო სხვა თეატრია...“

პაოლო და ტიცციანი, ორთავე, ბოროტმა, შურიანმა ხალხმა დალუპა. მე მაშინ გადავურჩი მოჩმახულ ჭორებსა და ცილისწამებას, მაგრამ არ ვიცი, აწი რა მეღის.... მაგრამ ვიცი... „მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჰფერის.

გალაკტიონის 1936 წლის 25 სექტემბრის დღიურში ვკითხულობთ: „სახელგამში ვათვალიერებდი „ქართველ მწერალთა ანთოლოგიას“. იქ სამი ახალგაზრდა ჰკითხულობდნენ გრიშაშვილის ლექსს:

- ო, ეს მამაძალი! რა ნიჭიერია, რომ ეხლაც სწერდეს...
- თქვა ერთმა.
- გალაკტიონ ტაბიძე და მაგი, აი ძმაო, – დაუმატა მეორემ – პირველები არიან.
- გალაკტიონ ტაბიძე მაგასთან სად მოვა – შეაწყვეტინა მესამემ
- გალაკტიონ ტაბიძე ეხლა რომ სწერს, ისე კი არ სწერდა – თქვა მეორემ...

მე არ შევუმჩნევივარ, მაგრამ საგულისხმო საუბარი კი იყო. დავიმახსოვროთ!

მე მგონია ეს გრიშაშვილის, შანშიაშვილის, ყანწელების და სხვების პოზიციის გამოძახილია. ამ ჩანაწერიდან თითქმის ყველაფერი ნათელია. პოეტისთვის სიმაღლე მართლაც ნამება იყო. ბევრი მტერი და მოშურნე გაიჩინა, მაგრამ იქვე დასძენს: ეხლანდელმა მათმა მდგომარეობამ ცოტათი აამაღლა ისინი, მაგრამ როდემდის?

ეხლა მე ვიცი, დაპყრობილი პოზიციების გამაგრება როგორ უნდა.

რათაც არ უნდა დაჯდეს, უნდა ავალაპარაკო ყველა ჩემს პოეტურ მიღწევებზე, რომელთაც მარხავენ“. („გალაკტიონოლოგია“, თბ., 2003 წ. გვ. 18).

თვალსაჩინო მწერალი ნუგზარ წერეთელი დიდი სიყვარულით იხსენებს ბუმბერაზ გალაკტიონთან შეხვედრის უნეტარეს და უბედნიერეს წუთებს.

„ეს იყო 1959 წლის იანვარში ერთ-ერთი მეგობრის დაბადების დღე იყო და სალამოს ყველანი შევიკრიბეთ „ზემელზე“, დათქმულ ადგილას, შემდეგ იქვე შევედით კაფეში და კედელთან მყუდრო ადგილას გრძელი მაგიდა დავიკავეთ...“

უცებ კაფეში გალაკტიონი შემოვიდა, შავი გრძელი პალტო ეცვა, სქელი, რუხი ფერის კაშნე ყელზე ირიბად ჰქონდა გადაგებული. ამ სიცივეში ქუდი არ ეხურა და სქელ თმა-წვერზე თითქოს თრთვილი დასდებოდა.

მე და ერთი ჩემი მეგობარი ხელად წამოვხტით, უსაყვარლეს პოეტს მივესალმეთ და ვთხოვეთ, თუკი დრო ჰქონდა მობრძანებულიყო ჩვენს სუფრასთან. დაგვთანხმდა, მოვიდა, ყველას ხელი ჩამოართვა და დაჯდა...“

სასიქადულო პოეტმა ყველას გამოჰკითხა ვინ რას საქმიანობდა, რა პროფესიის წარმომადგენელი იყვნენ. ჩვენ, ჩვენის მხრივ რამდენიმე კითხვა დაუუსვით პოეტს პოეზიაზე და სხვადასხვა მწერლებზე, მათ შორის ასეთი კითხვები:

- „ცისფერყანწელი“ იყავით თუ არა?
- „არ ვყოფილვარ. მართალია, მათთან ახლოს ვიყავი და თანავუგრძნობდი, მაგრამ მე ჩემი გზა მქონდა არჩეული და ვიცოდი როგორ უნდა მევლო.“
- სიმბოლიზმის გავლენის შესახებ თქვენს პოეზიაზე რას ბრძანებთ?

მართლაც ძლიერ განვიცდიდი, ძამიკო, რევოლუციის შემდეგ გადავლახე ჩემს შემოქმედებაში არსებული ბევრი წინააღმდეგობა, მაგრამ დღემდე ვთვლი, რომ სიმბოლიზმის გავლენამ ქართულ პოეზიას სარგებლობა უფრო მეტი მოუტანა. პირადად მე: რემბო, ბოდლერი, მალარმე, ვერჰარნი, ერედია თუ სხვები ძალზე საინტერესო, ნიჭიერ პოეტებად მიმაჩნია, ფრანგული პოეზია კი, ერთ-ერთ საუკეთესოდ მსოფლიოში.

ზოგჯერ ამბობენ ხოლმე, თითქოს თქვენ უთანხმოება გქონიათ ტიცციან ტაბიძესთან, თითქოს ტიცციანს შურდა თქვენი წარმატებების და ერთხელ ფიზიკური ჩხუბიც კი მომხდარა თქვენს შორის.

– ტყუილი უთქვამთ, ძამიკო, სისულელეა ეს ყველაფერი. ტიცციანი მე ძალიან მიყვარდა ბრწყინვალე პოეტადაც ვთვლიდი. ასევე ფიქრობდა ალბათ ისიც. გასაყოფი ჩვენ არასოდეს არ გვქონია, არასოდეს! ღვიძლი ბიძაშვილები ვიყავით ძმებოვით გაზრდილები. როცა პოეტების მეფედ მიჩვენდნენ არც ტიცციანი ყოფილა წინააღმდეგი, არც პაოლო, არც ნიკოლო და არც არავინ. ასეთი სიცრიუს გავრცელება არ არის სწორი („მოგონებანი გალაკტიონზე“, თბ. 2009 წ., გვ.179).

1927 წელი. გამოვიდა გ. ტაბიძის ლექსების ახალი წიგნი 542 გვერდისაგან შემდგარი. „ლექსთა კრებული მომძიმო ტანის, ჰაეროვანი ციაგი ნაზთა გრძნობათა, განცდათ ნალკოტი, პირდაპირად ყვავილით სავსე, მგრძნობიარე ქართველთ სული შუქთა მფენელი...“ წერდა ვასილ ბარნოვი.

ამ წიგნის გამოცემას მიეძღვნა ერთდროული გაზეთი – სალიტერატურო ბიულეტენი „გალაკტიონი – 1927 – ტფილისი“, სადაც დაბეჭდილია დავით კლდიაშვილის, ვალერიან გუნისას, შალვა დადიანის, ია ეკალაძის, ვარლამ რუხაძის, შიო მღვიმელის, სანდრო შანშიაშვილის, ილო მოსაშვილის, ლიდია მეგრელიძის და სხვათა წერილები, ლექსები მიძღვნილი სწორუპოვარი პოეტისადმი. ისინი ერთსულოვნად აღიარებენ გალაკტიონის პოეტურ ნიჭსა და ტალანტს.

„შენმა პოეზიამ დაჩრდილა ძველი და ახალი ლირიკოსები. სადღაა ბესიკი ან ალექსანდრე? სადღაა ილია ან აკაკი? ანდა ახლები? გადაღმა დარჩნენ და შენ წინ მიდიხარ ჟინფლიან ჩირალდნით... როგორც მე ჩემს თავს, ისე ვერც შენ მიგაკუთვნებ რომელსამე არსებულ შკოლას, მაგრამ ყველგან კი ჰპოვებ ნათესაობას. რეალიზმი, რომანტიზმი, სიმბოლიზმი, და ყველა სხვა „იზმი“, ჩემის აზრით, შენთვის მხოლოდ ნიადაგია, საიდანაც ნათესაურს მიიღებ, მაგრამ არ დაემორჩილები“ (სანდრო შანშიაშვილი).

„მისი ლელვა, მისი სულისკვთება ერთმა კი არა, მრავალმა გაიგონა, მრავალთა გულს მოხვდა და ააღელვა... გალაკტიონის განცდანი მარტო მას კი არ ეკუთვნის – იგი ჩვენია და ამიტომ გვიყვარს მგოსანი... შვენება და სიამაყე ქართული ლირიკული პოეზიის“ (დავით კლდიაშვილი).

„გალაკტიონ ტაბიძის პოეზია პოეზიაა ყოველი დროისა... მისი წმინდა ქართული, წკრიალა ლექსები, უაღრესად მხატვრული მოსმა კალმისა, სისადავე და ბუნებრივობა აზრთა გამოთქმისა, ნათლად მოწმობენ, რომ იგი ნათლულია თვით პოეზიის ღმერთისა“ (ია ეკალაძე).

1927 წელს გამოცემულ გალაკტიონის ამ სქელტანიან, უიშვიათეს წიგნს, რომელზეც უპრიანი იქნება გავიმეოროთ თავად ავტორის სიტყვები: „სხვა პოეტისთვის ვერ მიმიგნია, ეს წიგნი ერთადერთი წიგნია...“ ტიცვიან ტაბიძე სპეციალური წერილით არ მისალმებია, როგორც ამ დიდ ლიტერატურულ მოვლენას, მაგრამ კარგა ხნის დუმილი კი დაარღვია და დაწერა ლექსი „გალაკტიონ ტაბიძეს“, მოგვაქვს ამონარიდი ამ ბრწყინვალე ლექსიდან:

ერთი ოცნების, ერთი გვარის ვართ ტყუპისცალი,
ერთად ლუბიან ჩვენ მამების კუბოს ფიცარი,
ორპირის ფშანის ერთად ვწოვეთ ჩვენ უჟმურები,
და ლექსებითაც ერთმანეთს არ დავემდურებით...
გაუყოფელი დაგვრჩა ეზო, სახლი და კარი,
რიონის ტალღად დაგვედევნა სიტყვა ანკარა.
ერთია ჩვენი სამუდამო ხაშმის ემბაზი,
ლექსი ქართული გაიმართა ორპირის ხაზით.

„ცისფერყანწელთაგან“ როგორც „არტისტულ ყვავილებს“ (1919), ასევე ამ ბრწყინვალე ლექსების კრებულსაც, არც არვინ გამოხმაურებია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ კოლაუ ნადირაძის სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე დაწერილ შენიშვნებს გალაკტიონის ზოგიერთ ლექსზე). კოლაუ ნადირაძე გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე კორესპოდენტ თინა ჩხაიძისადმი მიცემულ ინტერვიუში, რომელიც 1988 წლის ჟურნალ „განთიადში“ დაიბეჭდა, შემდეგ აზრს ავითარებს:

„აკაკის ევჯობრებოდა გალაკტიონი, სად მოვა? (აკაკისთან – ა.თ.) კონია გამსახურდიამაც გურამიშვილი გამოტოვა, ბატონო, და რუსთაველის მერე გალაკტიონი დაასახელა, მართალია ეგ?... გალაკტიონი თავის თავში იყო დაჯერებული, რომ ის იყო ერთადერთი. მოწყალების თვალებით უყურებდა აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილს... არა, ზოგი ლექსი მართლა კარგი აქვს: „ნიკორწმინდა“ „მთანმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“- „ბოდვაა, ქრიან ბოდვები და აბდაუბდები“... პარვა უყვარდა, ლერმონტოვს პარავდა, ბალმონტსაც, „დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ“ – ეს აკაკია, მისგანაა ნამოღებული... „ქარის ტოტები ჯერ არავის უნახავს“...“

ამ სტრიქონებიდან აშკარად იგრძნობა კოლაუ ნადირაძის არაკეთილგანწყობილება

გალაკტიონისადმი. ასეთი ჟესტით ის სხვა „ცისფერყანწელების“ განწყობილებასაც ამჟღავნებს შეუღარებელი პოეტისადმი.

აკაკი წერეთელს აღმერთებდა გალაკტიონი, ამიტომაც წერდა „... ვინც გაფრენა იყო ქნარის... ვინმე, მსგავსი აკაკისა არ ყოფილა და არ არის (იხ. პოემა „აკაკი წერეთელი“).

„მთანმინდის მთავრეში“ აკაკისა და ბარათაშვილის, ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსების მემკვიდრედ აცხადებს თავს: „რომ ნაჰყვება საუკუნეს თქვენგან ჩემი ქნარი“... ის აკაკის, ბარათაშვილის, ფრანგი და რუსი სიმბოლისტების გავლენას არ უარყოფდა თავის შემოქმედებაზე, მაგრამ ღმერთი, რჯული, მას არაფერი სჭირდა ისეთი ვინმედან რამე მოეპარა, სულ სხვაა პოეტური რემინისცენციები.

მას, ისევე როგორც ვაჟა ფშაველას შეეძლო ყოველთვის მოკრძობებით მოეყარა მუხლი თავისი ლიტერატურული მასწავლებლების წინაშე, მაგრამ ისიც არ ავიწყდებოდა, რომ თავადაც მეფე იყო პოეტებისა და საკუთარი პოეზიის სამყარო გააჩნდა. არაფერია გასაკვირი იმაშიც, რომ თავის ერთადერთობაში იყო დაჯერებული. ნამდვილად ერთადერთი, გამორჩეული იყო მის თანამედროვე პოეტთა შორის.

ვერ დავეთანხმებით განსვენებულ კოლაუ ნადირაძეს იმაშიც, რომ „ნიკორწმინდა“, „მთანმინდის მთავრე“ მხოლოდ კარგი ლექსებია. ეს ლექსები უბრწყინვალესი შედეგებია და „ლურჯა ცხენები“ შედეგების გვირგვინი და არა ბოდვა. ეს უკანასკნელი ლექსი მეტად რთულად ასახსნელია, გასაშიფრავი, მაგრამ უსათუოდ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველებზე. მწერალი-კრიტიკოსი როზა დევდარიანი შესანიშნავად ანალიზებს ამ ლექსს თავის წერილში „წითელი აპოკალიფსის ნათელხილვა“ (გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენების“ სწავლებისათვის), (როზა დევდარიანი, „ვინ არის სალირა?!“, ქუთაისი 1993 წელი, გვ.78). პოეტმა ნამდვილად არ უნდა გაიკვირვოს და თქვას „ქარის ტოტები ჯერ არავის უხილავს“, ეს ხომ ტროპის უბრწყინვალესი ნიმუშია. „ლურჯა ცხენები“ არის საუკეთესო ნიმუში ურთულესი მხატვრული აზროვნების, ინტეგრალური პოეზიისა. ლექსში გარკვევით იგრძნობა ავტორის სწრაფვა ყოველდღიური მეტყველების ნორმებისაგან გამიჯვნისაკენ. სიმბოლისტური მწერლობის მოთხოვნის კვალობაზე, პოეტი არც თუ იშვიათად მიმართავს ენის ლექსიკური ერთეულებისა თუ ლექსტწყობის ტრადიციული ნორმების საკუთარი ესთეტიკური პრინციპებისაებრ გარდაქმნას. ეს არის შედეგი ნოვატორული ძიების გაბატონებული ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი შემოქმედებითი მიდგომისა(გ. კანკავა, „ლიტ. ეტიუდები“, 1964 წ.)

„ცისფერყანწელები“ თავიანთ მანიფესტში წერენ: „ჩვენ გვსურს შევექმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები...“ და გასაკვირია პირდაპირ, „ლურჯა ცხენები“ რატომ მიაჩნია პოეტ კოლაუ ნადირაძეს აბდაუბდად და ბოდვად, როცა ამ ლექსში ავტორი განუხრელად იცავს ქართველ სიმბოლისტთა საპროგრამო პრინციპს.

გალაკტიონსა და ტიცციანს, არამარტო ახლო ნათესაობა აკავშირებდათ, „ერთი იყო მათი სამუდამო ხაშმის ემბაზი“, ორპირის ფშანის ერთად სწოვეს უჟმურები, უკვდავების შარავანდედით შემოსეს რიონის ტალღად დადევნებული „სიტყვა ანკარა“.

მსოფლიო რადიუსით, ჭეშმარიტად, „ლექსი ქართული გაიმართა ორპირის ხაზით“ და „XX საუკუნის ქართული პოეზიის მერიდიანი ჭყვიშზე გადის“ (ნ. ტაბიძე).

ბუმბერაზი გალაკტიონის შემოქმედებას თუ როგორ აფასებდნენ მისი თანამედროვე პოეტები და მწერლები, ეს ყველამ კარგად ვუნციოთ, მაგრამ არ იქნება ურიგო, თუ განუმეორებელი ტიცციანის უკვდავი შემოქმედებისადმი მიძღვნილ მათ წერილებს, მოსაზრებებს გავეცნობით.

„მისი პოეზია გედის და არწივის ყივილია ერთად. ტიცციანი თავის ლექსებში აერთიანებს ჭრილობებს, სიხარულსა და სიყვარულს... ტიცციანი მთლიანი პიროვნება იყო და მისი პოეზიაც თითქოს ერთი მთლიანი ლექსია, ერთი დიდი ფსალმუნი“ (გ. ლეონიძე)

„ტიციან ტაბიძის პოეზია განუყრელია სიცოცხლისაგან, საქართველოსგან. მისი ლექსი სამუდამოდ არის შესული ქართველი ერის სულიერ სამკვიდრებელში. მისი პოეზიის სული გაბნეულია ქართული მიწის სუნთქვაში, საქართველოს მზის ელვარებაში (გურამ ასათიანი).

„ორპირის ნაპირებიდან მოსულ უცნაურ ჭაბუკს უზარმაზარი პოეტური ნიჭის მაღლი ეცხო. მისი ლირიკული ლექსები ისეთი პოეტური და ღრმაა, სიცოცხლისა და ადამიანების იმგვარი სიყვარულით არის სავსე, რომ მათი ხმა პოეტის სამშობლოსაგან ძალზე შორსაც კი გაისმა... ტიცციანი ჭეშმარიტად სახალხო პოეტია“ (ნ. ტიხონოვი).

„ტიციან ტაბიძეს მეტაფორული აზროვნება დიდად ჰქონდა განვითარებული და ამ გზით „ლექსი მენყერის“ ავტორმა მრავალი პოეტური შედეგები შექმნა. „ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს, ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს“ – ამბობდა იგი და ჩემთვის ნათელი იყო, რომ ეს სტრიქონები უკვე ბრწყინვალე მეტაფორული აღწერის ნიმუშია“ (ს. ჩიქოვანი).

„განცალკავებით დგას პოეტი ტიცციან ტაბიძე... იგი განსაკუთრებული განცდის პოეტია... მისთვის განცდა ყველაფერია და მთელ მის შემოქმედებაშია განფენილი. თუ კი ქართულ ნიადაგზე შესაძლებელია ბლოკი, მაშინ იგი უთუოდ ტიცციან ტაბიძე იქნება...“ (გრ. რობაქიძე).

„ტიციან ტაბიძე გვიანდელი ეპოქის რომაელს პატრიციელს ჰგავდა თავისი გარეგნობით, მაგრამ ოსკარ უაილდის ნაძაბულობით მუდამ ყვავილს ატარებდა ლილიკლოში: მხოლოდ ეს ყვავილი იყო არა ორქიდეა, არამედ ნითელი მიხაკი. ის განათლებული კაცი იყო, გულთბილი და ენაკვიმატი ერთსა და იმავე დროს და ძალიან კარგად იცნობდა ქართულ, ევროპულ და რუსულ ლიტერატურას“ (გერონტი ქიქოძე).

გამოჩენილი ქართველი თუ უცხოელი პოეტების, მწერლების, კრიტიკოსების, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუშაკების შეხედულებანი ტიცციან ტაბიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ცხადყოფს, რომ სასიქადულო ბიძაშვილთან, გალაკტიონთან ერთად „ის იყო მკვიდრი დღეთა მისთა აზრის და ფერის“. მინდა უთვალსაჩინოესი პოეტის მუხრან მაჭავარიანის სიტყვები გავიხსენო – არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით – ტიცციანივით სისხლსავსედ ბარეორმა მისმა თანამედროვე პოეტმა ვერ გამოხატა ის დრო, რომელშიც ცხოვრობდა.

გალაკტიონისა და ტიცციანის შემდგომი თაობის მწერლები და პოეტები უდიდესი მოკრძალებით, სიყვარულითა და პატივისცემით მოიხსენიებენ მუდამ ამ სიტყვის დიდოსტატების უკვდავ ლექსებს, მათ უბადლო შემოქმედებას. სწორედ ამ თაობის ლირსეული წარმომადგენელია დიდი ქართველი პოეტი მურმან ლებანიძე, რომელსაც არაერთი შეხვედრა, საუბარი ჰქონია მშფოთვარე გალაკტიონთან და რომელმაც არაერთი ბრწყინვალე ლექსი მიუძღვნა მას. მათ შორის, ლექსი „ლეგენდად დარჩეს“. მივყვით ამ ლექსის მდინარებას და ჩვენთვის სავსებით ნათელი გახდება ღვიძლი ბიძაშვილების, შეუდარებელი პოეტების ურთიერთობის მზიანი და ჩრდილოვანი მხარეები:

გალაკტიონი ტიცციანთან ყოფილა უბრად,
ტიციანს თავის პოეტებში ჰქონია სუფრა
და იჯდა თურმე ჩვენი დენდი საერთო ჯამთან –
უხორცო იყო, ცოტას სვამდა და ცოტას ჭამდა,
გალაკტიონი შემოსულა დუქანში ამ დროს
მარტო დამჯდარა, მარტოსული და უსვამს მარტოს,
არ მოუხმია ის ტიცციანს, არა და არა,
და ასე უბრად უხერხულად კარგა ხანს მსხდარან.
უცებ...(მახლობლად პურს ნაჭამა რეგვენების ჯგუფი)
გალაკტიონთან ერთ-ერთ რეგვენს მოსვლია ჩხუბი.
პოეტი მეფე ვერც მიმხვდარა რატომ და რისთვის,
უკადრებია რეგვენს სიტყვა რეგვენული მისთვის...
აფეთქებია აქ ტიცციანს უეცრად დენთი,
წამოვარდნილა ჩვენი ლორდი და ჩვენი დენდი,
დაუდგამს ჭიქა, შეუხსნია კისერზე ბანტი
და უხეთქია რეგვენულ შუბლში რეგვენისთვის კვარტი.
და დარევიან პოეტები ერთპირად რეგვენებს
და ჭახაჭუხი შესდგომიათ ბოთლებს და ნეკნებს.

და როცა ჩვენი ლომკაცები ბრძოლით გამძღარან,
 დაუფრენიათ თხებივით და ომი დამცხრალა...
 – ტიტე, ძამიკო! შეშლილივით აყვირებულა
 გალაკტიონი და ორთავე ატირებულა...
 ორპირის ფშანზე გაზრდილ ბიჭებს უეცრად გული
 ამოსჯდომიათ, ხვეენა-კოცნა შექმნილა ძმური,
 გადმოსცვენია შვების ცრემლი ტიცციანს მისით,
 რაც ექნებოდათ სამდურავი იციან, ვიცით!
 დიდი ბავშვები! ამდგარან და დამსხდარან ერთად,
 და პოეზია უთქვამთ პირველ საერთო ღმერთად.
 პაოლოს გარდა ამ საქმეში ყოფილა გოგლა,
 ყოფილა სმა და გადარევა ყოფილა ოხრად,
 ეს ყველაფერი მე მიამბო „არაგვი“ გალამ
 და თუ ვუმატებ, ანუ ვაკლებ, ან რამეს ვმაღავ,
 არამი იყოს ის წარწერა: „სულით და გულით!“
 იქ, იმ სარდაფში მიღებული ღვინო და პური!
 გული გულს იცნობს, ღონე ღონეს, მარჯვენი მარჯვენს...
 ლეგენდად დარჩეს, მეგობრებო, ლეგენდად დარჩეს!

გალაკტიონი და ტიცციანი ორთავე პოეზიის მაღალ ღმერთს ემსახურებოდნენ. განუყოფელი დარჩათ ეზო, სახლი და კარი, და მადლიერი შთამომავლობაც არასოდეს აშორებს ერთმანეთს XX საუკუნის უპირველეს პოეტთა სახელებს.

ქრისტინა მაკვალა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. ქუთაისის ცენტრალური
არქივის უფროსი სპეციალისტი

ბივი ღვიძა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ქართველ ებრაელთა ისტორიის ამსახველი ფონდები ქუთაისის ცენტრალურ არქივში

ქართველ და ებრაელთა ურთიერთობის შესწავლა ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო. ამ საკითხის შესწავლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საარქივო დოკუმენტების მოძიებას და შესწავლას. ამ საკითხზე ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა არქივებსა და ბიბლიოთეკებსა თუ პუბლიკაციებში გაბნეული მასალების თავმოყრა დღემდე ვერ ხერხდება, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხს დღითიდღე უფრო მეტი ყურადღება ექცევა და მკვლევარებმაც საგრძნობლად იმატა ამ მიმართულებით. საგულისხმოა ის ნაშრომები და პუბლიკაციები, რომლებიც ათწლეულების წინ სხვადასხვა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა მიერ არის შესწავლილი და გამოქვეყნებული. მაგალითად: კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები, ა. ცაგარელის, ს. კაკაბაძის, ნ. ბერძენიშვილის, შ. ჩხეტიას, შ. ბურჯანაძის, დ. უჩანეიშვილის, დ. ხანანაშვილის და სხვათა პუბლიკაციები. 1933 წელს თბილისში გახსნილ ქართველ ებრაელთა მუზეუმის საქმიანობის შედეგად გამოვლენილი საარქივო მასალების ნაწილი გამოქვეყნდა მუზეუმის შრომებში ნ. ბერძენიშვილისა და ნ. ჩხეტიას რედაქციით (140 დოკუმენტი). ასეთი შრომები ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს ყოველი შემდგომი პუბლიკაციისთვის, რომელიც ხელს უწყობს ებრაელი ერის ისტორიის, კულტურის, სოციალურ-პოლიტიკური ყოფის ამსახველი სურათის შექმნას. დღემდე გამოვლენილ-გამოყენებული საარქივო მასალები მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც საქართველოს არქივებსა და სამეცნიერო დანესებულებების ფონდებში ინახება. მათი გამოვლენა-გამოქვეყნება კი აუცილებლობას წარმოადგენს ქართველ ებრაელთა ისტორიის კვლევის სრულყოფისთვის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართულ-ებრაული ურთიერთობების კვლევის საქმეში ისტორიკოს დ. ხანანაშვილის დამსახურება. ქუთაისის ცენტრალურ არქივში წლების მანძილზე მუხლჩაუხრელი შრომის შედეგი იყო სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. უნდა ითქვას, რომ დღეს ჩვენ მის კვალს მივყვებით. ჩვენი მიზანია უფრო ღრმა შინაარსი მივცეთ ჩვენს სამეცნიერო კვლევას და ფონდებთან ერთდ მკითხველს მივანოდოთ ინფორმაცია ებრაულ-ქართული ურთიერთობის ისტორიის ამსახველი ცალკეული საქმეებიდან, რომელიც ქუთაისის ცენტრალურ არქივშია დაცული.

საბჭოთა პერიოდამდელი ფონდები, ქუთაისის ცენტრალურ არქივში, ქრონოლოგიურად მოიცავენ 1810-1921 წლებს და ფაქტობრივად, ასახავენ ამდროინდელ მთელი დასავლეთ საქართველოს ისტორიას.

საისტორიო განყოფილების ფონდები, მართალია, ზემოთ აღნიშნულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოთავსებული საქმეებისგან შედგება, მაგრამ ზოგიერთ მათგანში მაგალითად ფონდი №1 – ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაურო საკრებულო და ფონდი №21 – იმერეთის ეპარქიის კანცელარია, შიგადაშიგ იმერეთის სამეფოს, სამეგრელოსა და გურიის სამთავროების XVIII საუკუნის ისტორიის ამსახველი არაერთი მასალა მოიპოვება.

ფონდი №1 – ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაურო საკრებულო, მართალია, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წოდებაში დამტკიცებას ეხება, მაგრამ აღწერის მასალა შეიცავს მოსახლეობის აღწერის მონაცემებს, განსაკუთრებით საინტერესოა: საქმე № 7625 და საქმე № 7663, რომლებშიც 1959 და 1872 წლების ქუთაისის ებრაელთა დემოგრაფიული ცნობებია

მოთავსებული. უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი და არც მეორე საქმე სრული არ არის, ისინი მხოლოდ ნაწილია აღწერისა. აღნიშნულ საქმეებში არის ინფორმაცია ებრაული გვარების ოჯახებზე, მითითებულია მამაკაცთა სახელები და ასაკი, ხოლო მათ ოჯახებში მცხოვრები ქალები მითითებულია მხოლოდ რაოდენობით. საქმეებში გამოკვეთილია მათი აღმსარებლობა და ხელობა.

საინტერესოა აგრეთვე ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული ფონდი № 8 – ქუთაისის საგუბერნიო მმართველობა. ფონდი იწყება 1847 წლით და 1918 წლის მასალებით მთავრდება. ფონდში მოცემულია 1873 წლის მოსახლეობის კამერალური აღწერის მასალები სოფლების მიხედვით. აქ გვხვდება სოფლები, რომლებშიც კომპაქტურად იყო ჩასახლებული ებრაული გვარის წარმომადგენლები. ასეთია: ონის (რაჭა) - საქმე № 815, ლაილაშის (ლეჩხუმი) – საქმე № 824, საჩხერის - საქმე № 830 და საქმე № 827. საქმეებში ჩანს ქუთაისის მაზრაში შემავალ სოფლებში მცხოვრებ ებრაელთა ოჯახები, მათი ეკონომიური მდგომარეობის ამსახველი მონაცემებით (ოჯახის წევრთა რაოდენობა, სარგებლობაში მქონე მიწის ნაკვეთის ფართი და ა.შ.).

ფონდი № 171 – ქუთაისის გუბერნიის მიწისმზომელი 1848- 1905 წლებს მოიცავს. ფონდში დაცულია მასალა მიწების მფლობელობასთან დაკავშირებით. ფონდში დაცულია ნაკვეთების გეგმები. ჩვენთვის საინტერესოა რამოდენიმე მათგანი, სადაც ქართველი ებრაელები ფიგურირებენ. ესენია: საქმე №97, 142, 145.

ქართველ ებრაელთა ყოფის, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის კვლევის თვალსაზრისით კარგ მასალას გვანვძის ფონდი №40 – ქუთაისის ნოტარიუსი და ქრონოლოგიურად 1847-1920 წლებს მოიცავს. ფონდში გვხვდება ებრაელთა მიერ დადებული სხვადასხვა ფორმის ხელშეკრულებები: გირავნობა, ყიდვა-გაყიდვა, ქონების გაყოფა და სხვა, სადაც მითითებულია შეძენილი თუ გირავნობით დატვირთული ქონების მდებარეობა და საზღვრები. აღნიშნულ ფონდში მრავლადაა მოხსენიებული ქართველი ებრაელების გვარ-სახელები. საინტერესოა:

საქმე №1, აქტი 43; საქმე №5, აქტი 44,45, 51 – 52, 55, 61; საქმე №7, აქტი 35, 44ა, 45, 62, 63, 72. 83, 93; საქმე №8, აქტი 40, 53, 73, 78, 79, 80-83, 93-99; საქმე №10, აქტი 33; საქმე №12, აქტი 3, 10; საქმე №13, აქტი 26, 29; საქმე №14, აქტი 72, 80, 85-89, 92; საქმე №15, აქტი 98-99, 106-107; საქმე №17, აქტი 5, 12-13, 28-29, 75-78, 80, 83, 91; საქმე №18, აქტი 16, 19, 23, 25, 38, 51, 63, 64.

ზემოთ მოცემულ ცხრილში მხოლოდ 1868 წლის მონაცემები გვაქვს წარმოდგენილი. მასალის სიდიდის გამო ერთ პუბლიკაციაში მთლიანი ფონდის მონაცემების მოთავსება შეუძლებელია. ქუთაისის ნოტარიუსის ფონდზე მუშაობა გრძელდება. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ ფონდის საძიებლის ელექტრონულ ვერსიას.

ფონდი № 13 – ქუთაისის სამაზრო ერობა 1918-1921 წლებს მოიცავს. მასში ასახულია მიწების ჩამორთმევის, შესყიდვის, დავების მოგვარების და სხვა საქმეები. ჩვენთვის საინტერესოა: საქმე № 156.

საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისიდან აღმავლობას განიცდის სახალხო განათლების დანესებულებები, უმეტესად დანყებითი და საშუალო სკოლები. ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ერის წარმომადგენელს ჰქონდა განათლების მიღების საშუალება, მათ შორის ებრაელებსაც. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ ქუთაისის გუბერნიის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო დანესებულებების ფონდებში, დაცულია მოსწავლეთა პირადი საქმეები და სიები. სიებში სხვებთან ერთად ქართველი ებრაელი მოსწავლეებიც ფიგურირებენ. ასეთებია:

ფონდი № 19 – ქუთაისის რვანლიანი კომერციული სასწავლებლის ფონდში, რომელიც 1913-1921 წლებს მოიცავს. ჩვენთვის საინტერესოა: საქმე № 192, 238, 240, 244, 255, 272.

ფონდი № 6 – ქალთა გიმნაზია (1906-1922 წლები), რომელშიც საინტერესოა შემდეგი საქმეები:

საქმე № 294 – ბინიაშვილი მარიამი იოსების ას.

საქმე № 861 – რიჟინაშვილი ალექსანდრა (იმონა) მიხეილის ას.

საქმე № 862 – რიჟინაშვილი ლუბა მანუახოვის ას.

ფონდი № 9 – ქართული გიმნაზია 1881-1929 წლებს მოიცავს. ფონდში დაცულია მოსწავლეთა პირადი საქმეები, რომელთაგანაც ჩვენთვის საინტერესოა:

საქმე № 2335 – თავდიდიშვილი ბინიამინი სიმონის ძე.

საქმე № 2336 – თავდიდიშვილი რაფაელ დავითის ძე.

საქმე № 2337 – თავდიდიშვილი შიმშონ არონის ძე.

საქმე № 4035 – მეგრელიშვილი გერმონ არონის ძე.

საქმე № 4064 – მოშიაშვილი სიმონ მიხეილის ძე.

ქართველ ებრაელთა შესახებ არსებული საინტერესო მასალებია დაცული: ფონდი № 130 – ქუთაისის გუბერნატორის კანცელარია, რომელიც 1846-1916 წლებს მოიცავს. ფონდში დაცულია საქმეები, რომლებსაც განსაკუთრებული ღირებულება აქვთ. საინტერესოა: საქმე № 96, 170, 175, 178, 180, 184, 186, 189- 190, 192- 195, 196, 198, 202, 209, 241, 243, 251, 258-259, 261-262, 264-266, 269 – ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვა 1887- 1913 წლებში.

ზემოთ აღნიშნულ საქმეებში შეჯამებულია ქუთაისის გუბერნიის მთელი წლის მონაცემები. განხილულია ყველა სფერო, მათ შორის, განათლების სისტემა, გახსნილი სკოლების და საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, მოსწავლეთა დაკომპლექტების პროცენტულობა, მოსწავლეთა ეროვნებისა და აღმსარებლობის მითითებით. ამ საქმეებიდან ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ ზოგადი ინფორმაცია, თუ კონკრეტულად რომელ წელს რამდენი ებრაელი მოსწავლე სწავლობდა კონკრეტულ სასწავლებელში. აქვეა მოცემული დემოგრაფიული მაჩვენებლები, რომლებიც საერთო სურათის შესაქმნელად აუცილებელია.

ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია აგრეთვე სანოტარო კანტორების, სასამართლოსა და მომრიგებელ მოსამართლეთა საქმეები. სასამართლოს ფონდებიდან საინტერესოა ფონდი № 59 – ქუთაისის საგუბერნიო სასამართლო, რომელიც 1846-1866 წლებს მოიცავს. ფონდებში არის სასამართლო წარმოების საქმეები, რომლებშიც ებრაული გვარ-სახელები ფიგურირებენ. ასეთებია: საქმე № 53, 212, 68, 97, 145, 241, 293.

საინტერესოა ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული ფონდი №14 – ქუთაისის საქალაქო გამგეობა, რომელიც 1918- 1921 წლებს მოიცავს და ამ ფონდში არსებული ორი საქმე: საქმე № 31, 40.

რაც შეეხება ქუთაისის ცენტრალური არქივის საბჭოთა პერიოდის განყოფილებას 850-ზე მეტი ფონდისგან შედგება. ისტორიული ფონდებისგან განსხვავებით აქ ძირითადად ქ. ქუთაისისა და მის შემოგარენში მდებარე რაიონების სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმეებისგან შემდგარი ფონდებია დაცული. ქართველ ებრაელთა ყოფაცხოვრება ჩანს ფონდი № 296 – ქუთაისის აღმასკომი, სადაც 1922-1924 წლები სალოცავების დახურვის ფაქტზე საინტერესო მასალებია დაცული. აღნიშნულ ფონდში საინტერესოა:

საქმე № 196 – ვანის ებრაელების წესდება, ამავე სალოცავის რწმუნებულთა განცხადება, საზოგადოების რეგისტრაციაში გატარების შესახებ და სიები სალოცავის მსახურებისა, რელიგიური კულტის დაარსებისა და სხვა (1923 წელი).

საქმე № 212 – ხელშეკრულება ებრაელთა რელიგიური საზოგადოების რწმუნებულთა მიერ უვადო და უფასო სარგებლობით მიღებული „მწვანე ყვავილას“ სალოცავის და სია რელიგიურ კულტის მორწმუნეთა (1923 წელი)

საქმე № 435 – კულაშის თემის ებრაელთა საერთო სხდომის ოქმები რელიგიური საზოგადოების დაარსებისა და კულაშის ებრაელების № 1,2,3,4,5-ის სალოცავების სიების შესახებ (1924 წელი).

საქმე № 646 – მიმონერა და ოქმი დაბა კულაშის ებრაელთა უბნის საზოგადო კრებისა ჰიდროელექტროსადგურის აგების შესახებ (1924 წელი).

საქმე № 738 – განცხადება და ოქმის ამონაწერი კულაშის ებრაელების დახურული სინაგოგის გახსნის შესახებ (1925 წელი).

საქმე № 740 – განცხადება „მწვანე ყვავილას“ სალოცავის ებრაელების მიერ სალოცავის გახსნის შესახებ (1925 წელი).

საქმე № 1401 – ოქმები თემალმასკომის მორიგი სხდომისა, მორიგი არჩევნებისათვის ხელმძღვანელების გამოყოფისა, სამანქანო ამხანაგობის ჩამოყალიბებისა, ხანძრისაგან დამწვარ ებრაელთა დამხმარე სამეულის გამოყოფა, სამალარიო მოძრავი პუნქტების დაარსებისა და სხვათა შესახებ (1928 წელი).

საქმე № 1404 – ღარიბ ებრაელთა შორის მომუშავე ბიუროს სხდომის ოქმის ამონაწერი და მოხსენება ებრაელთა გადამწვარი უბნის აღდგენითი სამუშაოების შესახებ (1928 წელი).

საქმე № 2602 – წესდებები ებრაელთა რელიგიური საზოგადოების დაარსების შესახებ და სია მორწმუნე პირთა.

ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია პირადი ფონდები, მათ შორის საინტერესოა ფონდი № 475 – ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ მიხეილ სიმონის ძე ბინიაშვილის პირადი ფონდი, რომელიც 1939-1983 წლებით თარიღდება და გამოჩენილი ქართველი ებრაელი მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ დოკუმენტებს მოიცავს. ფონდში დაცულია მ. ს. ბინიაშვილის სამეცნიერო ნაშრომების სია, მიმონერები, საგაზეთო სტატიები, ავტორეფერატი და სხვა, სულ 36 შესანახი ერთეული.

საინტერესოა ფონდი № 454 – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ რაფიელ მიხეილის ძე შამელაშვილის პირადი ფონდი. ფონდში დაცულია პუბლიკაციები, საგაზეთო სტატიები, რეცენზიები, პირადი ფოტოსურათები, გამოსხაურებები რ. მ. შამელაშვილის პუბლიკაციებზე და სხვა, სულ 30 შესანახი ერთეული, რომლებიც 1961-1990 წლებს მოიცავს.

ფონდი № 451 – დანიელ მოშეს ძე ხანანაშვილის პირადი ფონდია, რომელიც 1934-1990 წლებით თარიღდება და 75 შესანახ ერთეულს მოიცავს. ფონდში დაცულია პირადი ფოტოსურათები, სამეცნიერო პუბლიკაციები, ხელნაწერი მასალები, ბიოგრაფიული მასალები, უცხოეთში გამოქვეყნებული სტატიები და სხვა.

ვანში მცხოვრები ებრაელების ისტორიაზე დაცული მასალების კვლევით დაინტერესებულია ისტორიის მაგისტრი შალვა შარაშენიძე. საინტერესოა მისი პუბლიკაცია „ვანელი ებრაელები“, რომელიც 2015 წლის კრებულ „მატიანეს“ №4 გამოქვეყნდა, რომელიც „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ კრებულია. ცენტრი ხელს უწყობს ქართველი ებრაელების ყოფა-ცხოვრების კვლევასაც ვანის რაიონში.

ამრიგად, ქუთაისის ცენტრალურ არქივში ბევრი საინტერესო მასალაა დაცული ქართველ ებრაელთა ისტორიით დაინტერესებული მკვლევარებისთვის, რომელთა თავმოყრა, სისტემაში მოყვანა და პუბლიკაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართველ ებრაელთა ისტორიის შესწავლის საქმეს. ქუთაისის ცენტრალურ არქივში სისტემატურად ხდება ქართველი ებრაელების ყოფა-ცხოვრების და ისტორიის ამსახველი ფონდებისა და საქმეების გამოვლენა. უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა მეცნიერის, გივი დევიძის, მოკრძალებული წვლილი ამ დიდ საქმეში, ერთობლივი ძალებით ინტენსიურად ვმუშაობთ ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული ებრაელების ყოფა-ცხოვრებისა და ისტორიის ამსახველი მასალების გამოვლენაზე, რომელთა ნაწილს ამ სამეცნიერო ნაშრომში გთავაზობთ, ნაწილს კი ახლო მომავალში, პუბლიკაციის სახით, მივანვლით დაინტერესებულ პირებს.

КРИСТИНЕ МЕДЗВЕЛИА

доктор филологических наук старший специалист Кутаисского

Центрального Архива

ГИВИ ДЕВИДЗЕ

докторант Кутаисского Государственного университета Ак. Церетели

**ФОНДЫ, ОТОБРАЖАЮЩИЕ ИСТОРИЮ ГРУЗИНСКИХ ЕВРЕЕВ
В КУТАЙССКОМ ЦЕНТРАЛЬНОМ АРХИВЕ**

Взаимоотношения грузин и евреев имеют многовековую историю. Изучение этих отношений активизировалось еще с первой половины XX столетия. Для совершенствования вопроса большое значение придается изысканию и изучению архивных документов. Данный процесс – сбор по крупицам материалов, имеющихся в масштабе страны в различных архивах, библиотеках и содержащихся в публикациях, не удается до сих пор, несмотря на то, что этому вопросу с каждым днём уделяется все больше внимания и ощутимо возросли ряды изыскателей, работающих в данном направлении. Особого внимания заслуживают труды и публикации, изученные и опубликованные разными учеными и общественными деятелями десятилетиями тому назад, к примеру: акты Кавказской археографической комиссии, публикации А. Цагарели, С. Какабадзе, Н. Бердзенишвили, Ш. Чхетиа, Ш. Бурджанадзе, Д. Учанеишвили, Д. Хананашвили и др. В результате деятельности открытого в 1933 году в Тбилиси музея грузинских евреев часть выявленных архивных материалов была опубликована в трудах музея под редакцией Н. Бердзенишвили и Н. Чхетиа (140 документов). Подобные работы представляют собой фундаментальную основу для каждой последующей публикации, способствующей воссозданию картины, отображающей историю, культуру, социально-политический быт еврейской нации.. Вышедшие по сей день в свет архивные материалы – лишь мизерная часть того, что имеется в фондах архивов и научных учреждений Грузии, их выявление и публикация представляет необходимость по совершенствованию исследования истории грузинских евреев.

Особо следует отметить заслуги историка Д. Хананашвили в деле исследования грузино-еврейских взаимоотношений. Результатом неустанной кропотливой работы, проводимой в Кутаисском Центральном архиве в течение многих лет, явились опубликованные в различных журналах и газетах публикации по означенной тематике. Надо подчеркнуть, что сегодня мы следуем по проторенному пути. Наша цель – придать более глубокое содержание нашему научному исследованию и наряду с фондами предоставить читателю информацию, отображающую историю грузино-еврейских взаимоотношений из отдельных дел, хранящихся в Кутаисском Центральном архиве.

Фонды до советского периода в Кутаисском Центральном архиве хронологически охватывают 1810-1921 гг. и фактически отображают историю всей тогдашней Западной Грузии.

Фонды исторического отдела, хотя и состоят из дел, внесенных в вышеприведенные хронологические рамки, но во многих из них, к примеру, фонд № 1 – дворянского собрания Кутаисской губернии и фонд № 21- канцелярии Имеретинской епархии, по ходу включают в себя материалы, содержащие историю Имеретинского царства, княжеств Мингрелии и Гурии XVIII в.

Фонд № 1 - Собрания дворянства Кутаисской губернии хотя и касается утверждения в звании дворянина Кутаисской губернии, но материал переписи содержит и сведения переписи населения, наиболее интересны: дело № 7625 и дело № 7663, вобравшие в себя демографические сведения о кутаисских евреях 1959 и 1872 гг. Следует отметить, что ни одно и ни другое дело не полноценны, они лишь часть переписи. В названных делах содержится информация о семьях с еврейскими фамилиями, указаны имена и возраст мужчин, а проживающие в их семьях женщины

указаны лишь по численности. В делах заостряется внимание на их исповедании и ремесле.

Вызывает интерес также фонд № 8, хранящийся в в Кутаисском Центральном архиве – Кутаисское губернское правление. Временной отсчет фонда начинается с 1847 года и завершается материалами за 1918 год. В фонде приведены материалы камеральной переписи населения 1873 г. по селениям, в которых компактно проживали представители еврейской фамилии. Таковы: Они (Рача)- дело №815, Лаилаши (Лечхуми) – дело № 824, Сачхере – дело № 830 и дело № 827. В делах прослеживаются еврейские семьи, проживающие в селениях, входящих в Кутаисский уезд, со сведениями, отображающими их экономическое положение (численность членов семьи, площадь обрабатываемых наделов земли и т.д.).

Фонд № 71 – Кутаисский Губернский землемер – охватывает 1848, 1905 гг. Фонде помещены материалы в связи со владением земель. В фонде сохранены чертежи наделов. наш интерес вызывают некоторые из них, в которых фигурируют грузинские евреи. Таковы:

Дело# 97 – Рапорт Кутаисской городской полиции о захвате городской земли в г. Кутаисе Сариашвили Е и Якобашвили. (1864 г.)

Дело# 142 – План участков земли Ноникашвили Д. И. и Х. в селение Дими Кутаисского Уезда (на ватмане масштаб 100 саж.). (1905 г.)

Дело# 145 - Планы участков земли Батрашвили А. и Элашвили И. и А. Нижарадзе Т. в сел. Маглаки Кутаисской Губернии. (1905 г.)

С точки зрения исследования быта, экономического и социального положения грузинских евреев хорошим материалом служит Фонд № 40 - охватывает нотариуса Кутаиси и 1847-1920 гг. в хронологической последовательности. В фонде встречаются заключенные евреями договоры различных форм: залога, купли-продажи, раздела имущества и др., в которых указываются местонахождение и границы приобретенного или обременённого залогом имущества. В упомянутых фондах указаны имена и фамилии грузинских евреев. Весьма интересны:

Дело № 1, акт 43; Дело № 5, акт 44, 45, 51-52, 55, 61; Дело № 7, акт 35, 44-а, 45, 62, 63, 72,83, 93; Дело № 8, акт 40, 53,73,78, 79, 80-83, 93-99; Дело № 10, акт 33; Дело № 12, акт 3,10; Дело № 13, акт 26, 29; Дело № 14, акт 72,80, 85-89, 92 ; Дело № 15, акт 98-99, 106-107; Дело № 17, акт 5,12-13, 28-29, 75-78, 80, 83,91; Дело № # 18, акт 16, 19, 23, 25, 38, 51, 63, 64.

В вышеприведенной таблице представлены лишь сведения за 1868 г. Из-за величины материала невозможно в одной публикации изложение данных всего фонда. Работа над фондом Нотариуса Кутаиси продолжается. Заинтересованные лица могут ознакомиться с электронной версией указателя фонда.

Фонд № 13 - Кутаисское Уездное Упрвление охватывает 1918-1921 гг. В них отображены дела о отчуждении, закупке земель, урегулировании тяжб и др. Нам интересны:

Дело № 156 – дело о прошении Димитри Пичхадзе и Габуниа (1919-1920 гг.).

Начиная с 19 в.в Грузии отмечен заметный рост учреждений народного образования, преимущественно начальные и средние школы. Представителям всех наций, проживающим в нашей стране, предоставлялось возможность получения образования, в том числе и евреям. В Кутаисском архиве хранятся фонды образовательных учреждений, находящихся на территории Кутаисской губернии, хранятся личные дела и списки учащихся. В списках наряду с другими значатся и ученики – евреи. Таковы:

Фонд № 19 – фонд восьмилетнего коммерческого училища Кутаиси охватывает 1913-1921 гг. Нам интересны:

дело № 192 – Биниашвили Абешов Рубенович

дело № 238 – Папиашвили Иосиф Аронович

дело № 240 – Пичхадзе Абрам Данилович

дело№ 244 – Рижинашвили Арон Михайлович

дело № 255 – Хананашвили Гавриил Елоевич

дело № 272 –Якобашвили Арон Ильич

Фонд № 6 - Женская гимназия (1906-1922 гг.), в которых примечательны следующие дела:

Дело № 294 – Биниашвили Мариам Иосифовна

Дело № 861 – Рижинашвили Александра (Имона) Михайловна

Дело № 862 – Рижинашвили Люба Мануаховна

Фонд № 9 – Грузинская гимназия охватывает 1881-1929 гг. В фонде хранятся личные дела учащихся, из которых нам интересны:

Дело № 2335 – Тавдидишвили Биниамин Симонович

Дело № 2336 – Тавдидишвили Рафаел Давидович

Дело № 2337 – Тавдидишвили Шимшон Аронович

Декло № 4035 – Мегрелишвили гершон Аронович

Дело № 4064 – Мошиашвили Симон Михайлович

Интересные материалы о грузинских евреях содержатся:

Фонд № 130- Канцелярия губернатора Кутаиси, охватывающая 1846-1916 гг. В фонде хранятся дела, имеющие особую ценность. Интересны:

Дело № 96 – Дело о взыскании разными лицами долгов с кутаисских жителей–Евреев Енукашвили М.

Дело № 170, 175, 178, 180,184, 186, 189-190, 192-195, 196, 198, 202, 209, 241, 243, 251, 258-259, 261-262, 264-266, 269 – Обзор Кутаисской губернии за 1887-1913 г.

В вышеприведенных делах подытожены сведения Кутаисской губернии за весь год, Рассмотрены все сферы, в том числе система образования, число открытых школ образовательных учреждений, процентное укомплектование учащихся с указанием национальности и вероисповедания. Из этих дел мы можем почерпнуть общую информацию о том, конкретно в каком году, сколько учеников-евреев обучались конкретно в училище, здесь же приведены демографические сведения, необходимые для создания общей картины.

В Кутаисском Центральном архиве хранятся также дела нотариальных контор, суда, мировых судей. Из судебных фондов заслуживает внимания фонд №59- Кутаисский губернский суд, охватывающий 1846-1866 гг. В фондах имеются дела по судопроизводству, в которых фигурируют еврейские имена и фамилии. К таковым относятся:

Дело № 212 – Прошение жителя сел Сачхери Шорапанского уезда кн. Церетели К. Г. и переписка о составлении купчей крепости на участок земли проданный Бахорашвили (1859-1861 г)

Дело № 68 – О составление купчей крепости на лавку проданную жителем г. Кутаиси Тинтиновым и Бузиашвили (1850-1851 г.).

Дело № 97 – Рапорт Кутаисского уездного начальника о представлении дело о взыскании денежного долга с Какителашвили А. в пользу Мхеидзе Г (1851 г.).

Дело № 145 – Об обнаружении контрабандных товаров в доме г. Ахалцихе Михаиашвили А. (1853-1857 г.).

Дело № 241 – Следственный материал Ахалцихского уездного управления к делу о пропавшем жителе м. Хертвисе Мошиасвили Н. отправившемся в г. Ахалцих для продажи товаров (1859 г.)

Дело № 293 - О разрешении сора о правах владения лавкой между торговцами г. Кутаиси Едигаровым И. и Рижинашвили Е. (1860-1861).

Дело № 53 – Орастрате опекунами Тавдидишвили М. и Цориашвили Д. денек принадлежавших детям умершего Какителашвили Ш. (1849-1860 г.).

В Кутаисском Центральном архиве хранится фонд № 14 – Кутаисская городская Управа, охватывающий 1918 - 1921 гг., и собранные в этом фонде два дела, касающиеся исследуемой темы:

Дело № 31 – об избрании в Кутаисской синагоге помощников раввина и других должностных лиц (1920 г.)

Дело № 40 – выборы служителей Кутаисской синагоги (1921 г.).

Что же касается отдела советского периода Кутаисского Центрального архива, он состоит из свыше 850 фондов. В отличие от исторических фондов здесь в основном собраны фонды, состоящие

из дел государственных и общественных организаций г. Кутаиси и прилегающих к нему районов. Бытовая жизнь грузинских евреев прослеживается в фонде № 296- Кутаисский исполком, в котором хранятся интересные материалы по факту закрытия молельни в 1922-1924 гг.

В частности, дело № 196 - Устав евреев Вани, заявление полномочных представителей этой же молельни о регистрации общины и списки служителей молельни, основание религиозного культа и др. (1923 г.)

Дело № 212 – договор о передаче в бессрочное и безвозмездное пользование еврейской религиозной общине молельни «Мцване кавила» и список верующих религиозного культа (1923 г.).

Дело № 435 - протоколы общего заседания евреев Кулашской общины о создании религиозной общины и списках молельни №1, 2, 3, 4, 5 евреев Кулаши (1924 г.).

Дело № 646 – переписка и протокол общественного собрания еврейского участка поселка Кулаши о строительстве гидроэлектростанции (1924 г.).

Дело № 738 – заявление и протокол выписки об открытии закрытой еврейской синагоги евреев Кулаши (1925 г.).

Дело № 740 – заявление об открытии евреями молельни «Мцване кавила» (1925 г.).

Дело № 1401 - протоколы очередного заседания общины- исполкома, к очередным выборам о выделении руководителей, формировании машинного товарищества, выделение вспомогательной тройки евреям-погорельцам, о создании малярийного передвижного пункта и др. (1928 г.).

Дело № 1404 - выписка из протокола заседания бюро, работающего в Кутаиси среди бедных евреев и доклад о восстановительных работах в сожженном при пожаре еврейском квартале (1928 г.).

Дело № 2602 - Уставы об учреждении еврейской религиозной общины и список верующих лиц.

В Кутаисском Центральном архиве хранятся материалы не только о грузинских евреях, но и личные фонды выдающихся ученых, осуществляющих деятельность в Кутаиси, в том числе вызывает интерес личный фонд № 475 – личный фонд профессора Кутаисского Политехнического Института имени Нико Мухелишвили - Михаила Симоновича Биниашвили, датированный 1939-1983 гг. и содержит документы, отображающие жизнь, творчество, насыщенную деятельность известного грузинского еврея. В фонде хранятся список научных трудов М.С. Биниашвили, переписка, газетные статьи, автореферат и др., всего 36 хранимых единиц.

Заслуживает фонд № 454 – личный фонд профессора Кутаисского Государственного Университета Акакия Церетели Рафиела Михайловича Шамелашвили. В фонде собраны публикации, газетные статьи, рецензии, личные фотоснимки, отзывы на публикации Р.М. Шамелашвили и др., всего 30 хранимых единиц, охватывающий 1961-1990 гг.

Фонд № 451 – личный фонд Даниела Мойшевича Хананашвили, датированный 1934-1990 гг. и содержит 75 хранимых единиц. В фонде хранятся личные фотоснимки, научные публикации, рукописи трудов, биографические материалы, опубликованные за рубежом статьи и др.

Исследованием истории Евреев, проживающих в г. Вани, заинтересован научный работник Шалва Шарашенидзе. Статья на эту тему было опубликовано в журнале „Летопись“ №4, 2015 г. Журнал является сборником центра исследования истории, этнографии и фольклора Ванского Района. Центр способствует изучению жизни и бытия Евреев проживающих на территории Вани.

Таким образом, в Кутаисском Центральном Архиве хранятся много интересных материалов, представляющие особую ценность для изыскателей, увлеченных историей Грузинских Евреев. В Кутаисском Центральном архиве систематически ведётся выявление фондов и дел, отображающих бытовую жизнь и историю Грузинских Евреев. Следует отметить скромный вклад молодого ученого Гиви Девидзе в этом деле. Вместе мы усердно работаем в целях выявления архивных документов отображающих бытовую жизнь и историю Грузинских Евреев, часть которых предлагаем в этом научном труде, а другую часть в виде публикации предоставим заинтересованным лицам в скором будущем.

ქართული ციკვის ფინალი და საციკლო ილეთის სააქვო ნოვაციები, ანუ რატომ სცილდება ფოლკლორულ პირველწყაროს ქართული ციკვა

მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს ვანის კულტურის ცენტრში ჩატარდა ფესტივალი დევიზით „ქართული ციკვის ზეიმი ქვემო იმერეთში“, რომელშიც მონაწილეობდა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები თბილისიდან, რუსთავიდან, ბათუმიდან, ქობულეთიდან, ქუთაისიდან და ა.შ. სულ 24 კოლექტივი. ღონისძიება მასშტაბური, საინტერესო და წარმომადგენლობითი აღმოჩნდა. ჩატარდა იგი ორგანიზებულად. იმავე დღეს ვანის კულტურის ცენტრში გაიხსნა ცნობილი ქორეოგრაფის გრილიონ ტულუმის მემორიალიც, რომელიც ათეული წლების მანძილზე წარმატებულად მოღვაწეობდა ვანის რაიონში.

ის, რომ ღონისძიებას მაღალი დანიშნულება გააჩნდა, ამაზე მეტყველებს ჟიურის შემადგენლობაც. ბატონები, ქართული ქორეოგრაფიის მეტრი ომარ მხეიძე, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ცნობილი ქორეოგრაფი უჩა დვალიშვილი და ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი ოლეგ ალავიძე.

„მატიანე“ სიამოვნებით შეახსენებს ჩვენს მკითხველს, რომ ბატონი უჩა დვალიშვილი „ვანის რაიონის ისტორიის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ თანადამფუძნებელი და ამ ცენტრის სამეცნიერო კრებულ „მატიანეს“ რედაქციის წევრია, ბატონი ოლეგ ალავიძეც ასევე გახლავთ ჩვენი კრებულის რედაქციის წევრი.

კრებულ „მატიანეს“ რედაქციამ საინტერესოდ მიიჩნია ასეთი წარმომადგენლობითი ღონისძიების ვანში ჩატარება, რის გამოც ბატონებს უჩა დვალიშვილსა და ოლეგ ალავიძეს სთხოვა ღონისძიების შესახებ საკუთარი ხედვები გაეზიარებინა ზოგიერთ კონკრეტულ თემაზე.

– ბატონო უჩა, ბატონო ოლეგ, მოგესალმებით და გვინტერესებს თქვენი მოსაზრებანი, პროფესიული ხედვები ჩატარებული ღონისძიების ირგვლივ, ვითხოვთ საერთო შეფასებას. ამ ფონზე კრებული ითვისებენ იმასაც, რომ ბავშვთა ანსამბლებს შეიძლება უმაღლესი პროფესიული დონე ვერ მოსთხოვო, მაგრამ, რადგანაც ამ ასაკში იწყება პროფესიული დონის დაუფლებაც და სრულყოფაც, მაინც როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე დათვალიერებამ.

– ქორეოგრაფიული კულტურის განვითარების სადღეისო მდგომარეობა ახალი, თვისებრივად განსხვავებული პრობლემების წინაშე აყენებს, როგორც საბავშვო ასევე ახალგაზრდული ანსამბლების შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებულ სპეციალისტებს. ზემოაღნიშნული პრობლემები, როგორც ეს საერთოდ ხდება, კომპლექსური ხასიათისაა და მათი დაძლევაც შესაბამის ძალისხმევას საჭიროებს. ფაქტია, რომ ქორეოგრაფიული ხელოვნება სადღეისოდ ფართოდაა გავრცელებული, რაც ბუნებრივია დადებით მოვლენად უნდა განვიხილოთ, თუმცა, - ფაქტია ისიც, რომ რაოდენობის ხარისხობრივი უზრუნველყოფის საკითხი თავის მხრივ უამრავ სიძნელესთან არის დაკავშირებული. ქვეყნის მასშტაბით გამართული თითოეული ღონისძიება, ფესტივალი თუ დათვალიერება წყლის ერთი წვეთით ასახავს ყველა იმ საერთო პრობლემას, რომელიც ამ მიმართულებით არსებობს და რომელთა დაძლევის ღონისძიების განხორციელება თითოეული ჩვენთაგანის საერთო ძალისხმევას მოითხოვს. ამ მხრივ გამონაკლისი, ბუნებრივია, არც ვანის ფესტივალი ყოფილა.

– გვინტერესებს თქვენი, როგორც უმაღლესი რანგის პროფესიონალთა მოსაზრება, ვითარდება თუ არა დღეისათვის ბავშვთა ქორეოგრაფია ნორმალურად, ე.წ. „მოთხოვნათა დონეზე“? მითუმეტეს, ვანის დათვალიერებაში მონაწილეობდა 24 კოლექტივი, რაც სრულიად საკმარისი რაოდენობაა იმისათვის რომ ვანისაზღვროს საერთო განვითარების მიმართულება და

შეფასდეს კიდევაც რა დადებით და უარყოფით ტენდენციებს გამოყოფდით.. აღსანიშნავია, რომ ცალკეული ნაკლოვანებანი დარბაზშიც გახდა შესამჩნევი ქორეოგრაფიაში ოდნავ ჩახედული მაყურებლისთვისაც ...

– საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მოქმედ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თუ კულტურის ცენტრებთან, შემოქმედებით გაერთიანებებთან, ასევე დამოუკიდებელ ორგანიზაციებთან შექმნილია ათობით თუ ასობით მცირე და დიდი საბავშვო (ახალგაზრდული) ანსამბლი, რომელთაც სათავეში უდგანან ზოგან პროფესიონალი, ზოგან უბრალოდ საცეკვაო გამოცდილებით გამორჩეული ან კიდევ თვითგანათლება-თვითდადგინების გზით აღნიშნულ სფეროში დამკვიდრებული ქორეოგრაფ-სპეციალისტები. ძალიან ბევრ საბავშვო ანსამბლში ქორეოგრაფის საქმიანობას ახორციელებენ პიროვნებები, რომელნიც გუშინ და გუშინდინ მუსიკას – აკომპანიატორის როლში ემსახურებოდნენ ანსამბლებს. აღნიშნული სიტუაცია კიდევ უფრო აღრმავებს და ამძაფრებს პრობლემათა იმ საერთო წყებას, რომელიც მიმდინარე ეტაპზე საბავშვო და ახალგაზრდული ქორეოგრაფიის განვითარებასთან არის დაკავშირებული.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქორეოგრაფიული ხელოვნების სწავლებას სათანადო ყურადღება არ ექცევა საჯარო სკოლასა და პროფესიული განათლების ეტაპზე. ამ მხრივ ნაკლებ ყურადღებას იჩენს სატელევიზიო სივრცე, იშვიათად ტარდება მასტერ კლასები, ვორქშოფები და სხვა მიზნობრივი ღონისძიებები. შინაარსობრივ გამართულობასა და მასშტაბებს თვალს ადევნებს საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი თავის რეგიონალურ სტრუქტურებთან ერთად, ასევე საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრი და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საბავშვო ქორეოგრაფიის ირგვლივ უამრავი და სხვა დაინტერესებული და საეჭვო რეპუტაციის მქონე პროვაიდერ-საქმოსნებიც ტრიალებენ, რაც სრულიადაც არ მუშაობს საერთო საქმის სასიკეთოდ. აი ეს არის, რაც შეეხება რაოდენობისა და ხარისხის ურთიერთ მიმართების პრობლემას.

– რით უნდა აიხსნას, ის რომ საცეკვაო ნახაზებსა და შესრულებულ ილეთებში აქა-იქ ჩანდა მეზობელი ქვეყნების ქორეოგრაფიული ელემენტებიც (ჩვენ შეგნებულად არ ვუთითებთ ანსამბლებს, რომ რომელიმე მათგანს გული არ ვატკინოთ და თქვენგანაც არ ვითხოვთ კონკრეტულობას). მხოლოდ ზოგადი შეფასება გვავინტერესებს. ამ ფონზე ქართულ ქორეოგრაფიაში ამოგვეჩურა მასალა, ასე მომხიბლავია შემოტანილი საცეკვაო ილეთები თუ კიდევ არსებობს სხვა რამ, რომლის გამოც რომელიმე დამდგმელი ქორეოგრაფი ასეთ გზას ირჩევს?

– განსაკუთრებულად ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ცეკვაში ნაკლები ყურადღება ექცევა სიუჟეტურ მხარეს. იგი გადაფარულია ორნამენტული დეკორით, ანუ საცეკვაო ნახაზის ტექნიკური დახვეწილობით. აი, სწორედ აქედან საცნაურდება ის ფაქტი, რომ ნელ-ნელა იკარგება სიუჟეტურ-თემატური ცეკვის კულტურა. არც ის არის მოსაწონი, რომ ხშირად მოზარდები მათთვის შეუფერებელ რეპერტუარს ასრულებენ.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფესტივალური ორგანიზებულად ჩატარდა და ადგილობრივმა სახელისუფლებო სტრუქტურებმა ყველაფერი გააკეთეს საამისოდ, ცალკეულმა პრობლემებმა, რომელიც საერთოა ჩვენი რეალობისათვის, აქაც იჩინა თავი. ამკარად გამოჩნდა, რომ ქვეყნის მასშტაბით საბავშვო ქორეოგრაფიულ რეპერტუარში რაიმე ცვლილებების შეტანაზე საერთოდ არავინ ფიქრობს. ასევე უყურადღებოდაა მიტოვებული საცეკვაო ხელოვნების მუსიკალური უზრუნველყოფის საკითხი, ნელ-ნელა ირევა ჩაცმულობის მხატვრული სახე, ცეკვებში იჭრება სხვადასხვა ლექსიკური ერთეულები, ერთმანეთს ემსგავსება ცალკეული კუთხეების ცეკვა-თამაშობანი, ქართულ ცეკვებში სულ უფრო ფართოდ შემოდის ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისათვის დამახასიათებელი მოძრაობები და ა.შ.

– დათვალე რეპერტუარს აჩვენა, რომ ქალთა საცეკვაო პარტიებში გამოჩნდა მამაკაცთა (ვაჟთა) საცეკვაო ილეთების სიჭარბე. ამ დროს ხომ არ იკარგება ის ქალური საცეკვაო სინაზე,

სიდარბაისლე, კდემამოსილება, რაც ქართველ ქალს გენეტიკურად მოსდგამს. ეს ხომ არ მიანიშნებს მოდისადმი, თანამედროვეობისადმი ხარკის გადახდას? როგორ იმოქმედებს იგი ქართული ცეკვის პერსპექტივებზე? ამასთან დაკავშირებით როგორ შეაფასებდით დამდგმელი ქორეოგრაფების დონეს-ხომ არ სჭირდებათ მათ საკუთარ თავზე მეტი მუშაობა, ერის ისტორიის, ფოლკლორის მეტი ცოდნა, საცეკვაო ნომრების დადგმების სრულყოფა, ბავშვებში ცეკვის ელემენტების მოძრაობათა დახვეწა-სრულყოფაზე მეტი მუშაობა? აქ აგრეთვე გვექონდა რამდენიმე შეუსაბამო მიზანსენებიც და ა.შ. როგორი იქნებოდა თქვენი რჩევები ამ მხრივ.

- საკმაოდ რთულ და თავსატეხ პრობლემად იქცა ის გარემოება, რომ ქორეოგრაფები გაუცნობიერებლად იმეორებენ კოლეგების ცალკეულ მიგნებებს. ამის გამოა, რომ ყველა ცეკვა კომპოზიციურად ერთმანეთს ემსგავსება და განვითარების ეფექტი ნაკლებად ჩანს. ზოგიერთი საცეკვაო ნომერი იმდენად დასცილდა ფოლკლორულ პირველწყაროს, რომ გაუგებარიც კი არის ვინ რას ცეკვავს, რის თქმას აპირებს. განსაკუთრებულად მოუთმენელია ის გარემოება, რომ დიდი სახელმწიფო ანსამბლების მიერ შემოტანილი ზოგიერთი საეჭვო ნოვაციის კოპირების გზით ერთმანეთში ირევა გოგონებისა და ვაჟების მოძრაობები. სამწუხაროდ, ბევრ ქორეოგრაფს ავინყდება, რომ ბავშვებთან მუშაობისას პროფესიონალიზმზე ზრუნვის დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ საალმზრდელი ამოცანები. ვანის ფესტივალმა აჩვენა, რომ საბავშვო ქორეოგრაფიაში სათქმელი და საკეთებელი ძალიან ბევრია.

- **ბატონო უჩა, კონკრეტულად თქვენ მოგმართავთ, რადგან თქვენ ცეკვა „რაჭულის“ ერთ-ერთი შემქმნელთაგანი ბრძანდებით. ამ ცეკვას არაერთი ანსამბლი ასრულებს. აშკარად ჩანს, რომ იგი უკვე შევიდა ქართული ქორეოგრაფიის ისტორიაში. იგი თავისი შესრულების ყველა კომპონენტით, ნახაზით, საცეკვაო ილეთებითა და მუსიკით განუსაზღვრელად ახლოს დგას ქართულ ფოლკლორთან, რომელიც მას განსაკუთრებულ ელფერს, სისადავესა და სანახაობრიობას ანიჭებს. ხოლო თუ ჩავთვლით იმას, რომ ხშირად სრულდება ოჯახურ წვეულებებზეც, ჩანს საზოგადოებამ იგი გაითავისა. გვითხარით ამ ცეკვის შექმნის ისტორიაზეც, და იმაზეც, რამდენად ახლოს დგას ცალკეულ ანსამბლთა მიერ შესრულების დონე და ჩანაფიქრი, უჩა დვალისძვილის მიერ ჩაფიქრებულ და განხორციელებულ ცეკვა „რაჭულთან“.**

- „რაჭული სიუიტი“, ნახვისთანავე, მაყურებელმა რაჭულ რივერ დანსად მონათლა. ფოლკლორიდან აღებული ამ ცეკვის ძირები რაჭული ფერხულებია, მუსიკად რაჭულივე „ქვედრულა მოდიდებულა“, „ლერნამისა ხესაო“ და „ოღროჩოღრო“ დაედო. ხოლო მუსიკალური კომპოზიცია საქართველოს სახალხო არტისტს ანზორ ერქომაიშვილს ეკუთვნის. ეს არის მუსიკალური და საოცარი ქორეოგრაფიული დადგმის სინთეზით შექმნილი ცეკვა. „რაჭული სიუიტი“ საქართველოს ქორეოგრაფიის საერთო-ეროვნული კავშირის და თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ანსამბლ «როკვის» პირმშოა, რომლის ქორეოგრაფი და სამხატვრო ხელმძღვანელი მე გახლავართ.

ქორეოგრაფიაში ერთ-ერთი საინტერესო მომენტია ფოლკლორული ცეკვის სასცენო დამუშავება. ჩემმა მეგობარმა, დათო სხირტლაძემ რაჭული ცეკვის ილეთები გვიჩვენა, ზოგი ჩვენც ვიცოდით. ასე დავინყეთ მუშაობა ჯანო ჯანიაშვილმა, რეზო ჭანიშვილმა, ბესიკ სვანიძემ და მე. დიდხანს მუშაობა არ დაგვჭირვებია - შეიქმნა ახალი ცეკვა და პრემიერაზე მაყურებლის რეაქციით მივხვდით, რომ არც თუ ურიგო გამოვიდა. ასე დაიბადა «რაჭული სიუიტი», რომელიც ჩვენი მესამე ერთობლივი ნამუშევარია. თუ დღემდე სცენაზე ქორეოგრაფიული კუთხით რაჭა ისე არ ჩანდა, ამით ეს ხარვეზი ერთგვარად შეივსო.

საცეკვაო ფოლკლორით დღეს ძალიან მდიდარია სვანეთი, დაწყებული წარმართული რელიგიურ-რიტუალურით და საყოფაცხოვრებო ცეკვებით დამთავრებული. მაგრამ, ჩემი აზრით, ასევე ძალიან მდიდარია რაჭაც. განსაკუთრებით, საფერხულო ცეკვებით. ადრე ოლიმპიადებზე რაჭას საინტერესო ფერხულები ჩამოჰქონდა. ნანახი მაქვს „ქრისტეს ფერხული“, საინტერესო ფერხულია აგრეთვე „ჟუჟუნა“. „რაჭული სიუიტისთვის“ ფოლკლორული მასალა

სასცენო პრინციპებს დაეუქვემდებარეთ, გასცენიურებით არაფერი დაეკარგეთ – ხასიათი და ტრადიციებიც შევინარჩუნეთ.

– და ბოლოს, როგორი იქნება თქვენი რჩევები და სურვილები ვანის დათვალელებაში მონაწილე ანსამბლების და მათი ქორეოგრაფების მიმართ...

– არ იქნებოდა ურიგო თუკი აღნიშნული ფესტივალი ტრადიციულ სახეს შეიძენს და მასში სათანადო ადგილს დაიჭერს თეორიულ-საკონფერენციო სეგმენტი. 2-3 საათის განმავლობაში ქორეოგრაფთა შეკრება და მიღებული შთაბეჭდილებების იქვე გაანალიზება სასიკეთოდ წაადგებოდა საერთო საქმეს. ანალოგიური მუშაობა წესად უნდა იქცეს და სხვა ფესტივალ-ლონისძიებებზეც გაგრძელდეს. კარგი იქნება თუ ვანის მაგალითი ამ მხრივ სანიმუშო გახდება და ტრადიციაც იქცევა.

მადლობას მოგახსენებთ ბატონო უჩა, ბატონო ოლეგ ჩვენთვის დროის გამონახვისთვის და ასეთი გულახდილი საუბრისათვის. ინტერვიუდან ცხადია, რომ ის საკითხები, რომელზეც ჩვენ გავამახვილეთ ყურადღება, მართლაც პრობლემური და ყურადღებამისაქცევი ყოფილა და იმედს ვიტოვებთ, მალე სათანადო რეაგირებაც მოყვება.

კრებული „მატიანე“ აგრძელებს რუბრიკათა სერიას თემაზე, „სახელოვანი ვანელი მამულიშვილები“, რითაც ვცდილობთ დაინტერესებულ მკითხველს მოვუთხროთ იმ მეცნიერთა, გამოჩენილ ადამიანთა და შემოქმედებითი ინტელიგენციის შესახებ, რომელთაც უდიდესი ღვაწლი აქვთ ჩადებული არამარტო ქართულ, არამედ მის ფარგლებს გარეთ არსებულ საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა სფეროში. რუბრიკას უძღვება ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, ბატონი თეიმურაზ ადიშვილი.

თაიშურაზ ადიშვილი
პროფესორი

**გენერალი ბიქტორ სულაქველიძე – გამოჩენილი მეცნიერი
და სამხედრო მოღვაწე**

ვანური ფესვების მქონე არაერთმა სამხედრო მოღვაწემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში და მეორე მსოფლიო ომის დროს მკერდით იცავდა მშობლიური მიწას გერმანული, თუ სხვა ჯურის, დამპყრობლებისაგან. აქ პირველ რიგში ვგულისხმობთ გენერალ პავლე აბრამიძეს, გენერალ ვალერიან ძაბახიძეს, პოლკოვნიკებს – მამა-შვილ შალვა და აკაკი ადიშვილებს, პოდპოლკოვნიკ ვლადიმერ თვალაბეიშვილს, საბჭოთა კავშირის გმირს, პოლკოვნიკ მიხეილ დიასამიძეს, ანანია ნიკოლეიშვილს და ბევრ სხვა სამხედრო სპეციალისტს, თუ რიგით მეომარს, რომელთაგან ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილი ბრძოლის ველზე დაეცა გმირულად და დღეისათვის მათი საფლავებიც არ არის ცნობილი. ჩვენი ვალია შესაძლებლობისამებრ წარმოვაჩინოთ ასეთ ადამიანთა სახეები, რათა მომავალმა თაობამ გაისიგრძეგანოს ის ღვაწლი, რაც მათ მიუძღვის ერისა და ბერის წინაშე.

ამ წერილში მინდა სწორედ ერთ-ერთ მათგანზე სახელგანთქმულ მეცნიერსა და სამხედრო სპეციალისტზე, გენერალ-მაიორ ბიქტორ სულაქველიძეზე მოგიხსნათ და შევეცადო იმ დიდი დამსახურების ნაწილობრივ წარმოჩენას, რაც ამ გამოჩენილ პიროვნებას მიუძღვის სამხედრო – თავდაცვითი მეცნიერების განვითარების საქმეში.

ბიქტორ სამსონის ძე სულაქველიძე საბჭოთა კავშირის მეცნიერების და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფ. ძერჟინსკის სახელობის სამხედრო აკადემიის საარტილერიო კათედრის უფროსი, ბირთვული საბრძოლო მასალებისა და საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების სათავო ქობინების სრულყოფის საბჭოთა აკადემიური ჯგუფის ხელმძღვანელი, საინჟინრო სახეობათა ჯარების გენერალ-მაიორი – აი მოკლედ ის სამხედრო, თუ სამოქალაქო, სახეობები რაც გააჩნდა ამ დიდებულ ჩვენს თანამემამულეს.

ბიქტორ სულაქველიძე დაიბადა 1919 წლის 15 დეკემბერს ვანის რაიონის სოფ. მთისძირში, რუსული ენის მასწავლებლის სამსონ სულაქველიძის ოჯახში.

1942 წ. ბატონი ბიქტორი ამთავრებს თბილისის ინდუსტრიულ (პოლიტექნიკურ) ინსტიტუტს და გაინვიეს მაშინდელი მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში. მას საბრძოლო ოპერაციებში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, რადგანაც უმაღლესი მთავარსარდლის ი. სტალინის ბრძანების შესაბამისად ყველა წარჩინებით უმაღლესდამთავრებული, ოფიცერთა შემადგენლობის სიმცირის გამო, სასწავლებლად იგზავნებოდა ქვეყნის სამხედრო აკადემიებში. ასე მოხვდა ბატონი ბ. სულაქველიძე ძერჟინსკის სახელობის საარტილერიო აკადემიაში, რომელშიც სიცოცხლის ბოლომდე იმსახურა კიდევ.

1942-1946 წლებში ბიქტორ სამსონის ძე აკადემიასთან ერთად იმყოფებოდა ევაკუაციაში, რომელიც მაშინ განლაგებული იყო უზბეკეთში – სამარყანდის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიოლოგიის ფაკულტეტის შენობაში. გამარჯვების შემდეგ ხსენებული აკადემია თავის მოსამსახურე პერსონალთან ერთად მოსკოვში დაბრუნდა. მათ შორის იყო ბატონი ბიქტორიც, რომელმაც ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის შედეგად მალე დაიცვა დისერტაცია, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გახდა, პროფესორის წოდებაც მოიპოვა და გაიარა რთული გზა ქვეყნის ერთ-ერთი მონინავე ძერჟინსკის სამხედრო აკადემიის საბრძოლო მასალების კათედრის ადიუნქტიდან, მის ხელმძღვანელამდე და გენერლობამდე.

ომის წლებში მან დიდი მოცულობის მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა ნასროლი ჰილზების (მასრების) განახლების მეთოდებზე, აუფეთქებელი საბრძოლო მასალების ლიკვიდაციის ხერხებზე და ასევე საბრძოლო მასალების ქარხანაში უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის საკითხებზე.

გენერალი ბიქტორ სულაქველიძე – იმ დიდი სამეცნიერო სკოლის შემქმნელია, რომელმაც საბჭოთა არმიას თავისი საქმის ღრმა ცოდნით აღჭურვილი მრავალი სამხედრო სპეციალისტი მისცა, რომელთა შორის ტექნიკურ მეცნიერებათა 12 კანდიდატი და დოქტორია. ის ყოველთვის იმყოფებოდა აკადემიის იმ წამყვან სპეციალისტთა შორის, რომლებიც განსაზღვრავდნენ ამ სასწავლებლის მსმენელთა მომზადების სტრატეგიას, უმაღლესი სამხედრო განათლების მეთოდიკას და სარაკეტო ჯარებისათვის სტრატეგიული დანიშნულების სწავლულთა მომზადების საქმეს. პროფესორი ბ. სულაქველიძე სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის უმნიშვნელოვანესი საკონტინენტაშორისო ბალისტიკური რაკეტების სათაო ნაწილების შექმნისა და სრულყოფის სამეცნიერო-პრაქტიკული ამოცანების გადარწმუნების საქმეს. ის ითვლება ბირთვული საბრძოლო მასალების აკადემიური სკოლის შექმნის მესაძირკვედ. გასული საუკუნის 70-იან წლებში ამ სკოლის ჩარჩოებში მან შექმნა ახალი სამეცნიერო მიმართულება, რომელიც დაკავშირებული იყო გაძლიერებული გამა-გამოსხივებისა ზემოდაღობის სიხშირის ტალღების ბირთვული მუხტების შექმნასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ გენერალი ბ. სულაქველიძე ასევე ხელმძღვანელობდა სამეცნიერო ჯგუფს, რომელიც ახორციელებდა კოსმონავტიკის თვითდაცლის ინდივიდუალური ლაზერული იარაღის შექმნის ურთულეს სამუშაოებს. ეს საოცარი იარაღი შეიქმნა 1984 წელს სამხედრო-კოსმოსური პროგრამის „ალმასის“ ჩარჩოებში და ემსახურებოდა საბჭოთა ორბიტული პილოტირებული და ხანგრძლივი ფრენის არაპილოტირებული სადგურების პოტენციალური მონინააღმდეგის „თანამგზავრ-ინსპექტორებისაგან“ თავდაცვის საქმეს. პროფესორმა ბიქტორ სულაქველიძემ და მისმა თანამშრომლებმა, მიზნად დაისახეს შეექმნათ ე.წ. ლაზერული პისტოლეტი, რომელიც წონითა და ზომებით არ განსხვავდებოდა საარმიო ცეცხლსასროლი ანალოგისგან. ამ იარაღის – ლაზერული პისტოლეტის დამაზიანებელი მოქმედების თეორიულ და ექსპერიმენტულ გამოკვლევებს ახორციელებდა ბატონ ბიქტორის მოსწავლე მისი საქმის ეფექტური გამგრძელებელი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბორის ნიკოლოზის ძე დუვანოვი. ამ პისტოლეტის სხვადასხვა მოდიფიკაციები სწორედ პროფესორ ნ. დუვანოვმა განახორციელა და ისინი არამარტო თავდაცვის, არამედ სამედიცინო დანიშნულების ინსტრუმენტადაც გამოიყენებოდა. შემდგომში ინდივიდუალური ლაზერული იარაღის შექმნის სამუშაოებს მიეძღვნა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს კინოსტუდიაში გადაღებული სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „საშიში სხივი“. დღეისათვის ეს იარაღი ინახება რუსეთის ფედერაციის პეტრე დიდის სახელობის სამხედრო აკადემიის ისტორიის მუზეუმში.

შეიარაღების სპეციალური სახეების შექმნაში შეტანილი დიდი წვლილისათვის გენერალი ბიქტორ სამსონის ძე სულაქველიძე დაჯილდოებული იყო ქვეყნის საპატიო წოდებით „რუსეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე“. რაც შეეხება ჩემს პირად კონტაქტებს გენერალი ბ. სულაქველიძესთან – ისინი თითქმის არ არსებობენ, თუმცა ასეთი კავშირები მის თანამშრომლებთან და კერძოდ, პროფესორ ბორის დიუვანოვთან საკმაოდ არსებითია. ეს კავშირები კი ასე დაიწყო.

სიცოცხლის ბოლო წლებში პროფესორმა ბიქტორ სულაქველიძემ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. ამისათვის შესანიშნავი ფინური სტილის სახლიც ჰქონდა აგებული სოფ. მთისძირში და სამუშაოდ ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამხედრო კათედრის გამგედ უნდა გადმოსულიყო, რომელიც ის იყო ყალიბდებოდა ინსტიტუტის რექტორის პროფესორ ნოდარ ვალიშვილის ხელმძღვანელობით. მე მაშინ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კოსმოფიზიკური ობსერვატორიის ჩამოყალიბებით ვიყავი დაკავებული. მაგრამ სახელგანთქმული გენერლის ამ ოცნებას თურმე აღსრულება არ ეწერა. ის მოულოდნელად გარდაიცვალა 1984 წ. 12 დეკემბერს, საკმაოდ ახალგაზრდა – 65 წლის ასაკში. ანდერძის თანახმად, ის მშობლიური რაიონის ცენტრში დაასაფლავეს დიდი სამხედრო პატივითა და ქართული ტრადიციების გათვალისწინებით. დაკრძალვის ცერემონიაში მეც ვიღებდი მონაწილეობას ინსტიტუტის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად. სწორედ ამ პერიოდში გავიცანი პოლკოვნიკი ბ. დუვანოვი და აქედან დაიწყო ჩვენი ურთიერთობებიც. მასთან რამდენჯერმე ვსტუმრობდი მოსკოვში, როგორც აკადემიაში, ისე ბინაში – უნივერსიტეტის ქუჩაზე. მრავალი წიგნი თუ სამეცნიერო შრომა მაქვს მისგან ნაჩუქარი. ძალიან ერუდირებული პიროვნება გახლდათ პროფესორი ბ. დუვანოვი. ამასობაში სოფ. ყუმურში ობსერვატორიაც გაიხსნა და საერთო მოსაზრებით გადაწყდა მისთვის სახელოვანი გენერლის ბიქტორ სულაქველიძის სახელი მიგვენიჭებინა.

ბატონმა ბორისმა ერთი ძალზე მნიშვნელოვანი დახმარება გაგვინია. იმ პერიოდში ვამზადებდი სამ არხიან საბორტო ფოტომეტრს, რომლის შემადგენელ ერთ-ერთ ოპტიკურ კომპონენტს, ძალიან ვიწრო ნახევარსიგანის (დაახლოებით 2-3 ანგსტრემი) ინტერფერენციული ფილტრი წარმოადგენდა. ასეთი მახასიათებლის მქონე ფილტრს მაშინ ჩვენი ქვეყანა სერიულად არ აწარმოებდა და მისი ცალკეული ეგზემპლარის დამზადება მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის სამხედრო დაკვეთით თუ შეიძლებოდა. სწორედ აქ დამჭირდა ბ. დუვანოვის მაღალი ავტორიტეტი. მან ძერჟინსკის აკადემიის სახელით დაუკვეთა ჩვენთვის ხსენებული ფილტრი და საკმაოდ დიდი საფასურიც (თითქმის ნახევარი მილიონი მანეთი) გადაიხადა და შემდეგ კი საჩუქრად გადმოგვცა. ალბათ ასეთი დიდი სხვადასხვა ტიპის დახმარებები პროფესორმა დუვანოვმა სწორედ ბატონი ბიქტორისადმი პატივისცემის გამო გააკეთა. თუმცა მას სხვა სახის მოგონებები და კავშირებიც ჰქონდა საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ.

ბატონ ბიქტორს ორი შვილი დარჩა. უფროსი – გურამ ბიქტორის ძე – დაბადებული 1950 წ., მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. წლების განმავლობაში მუშაობდა ძერჟინსკის სახელობის აკადემიაში დოცენტის თანამდებობაზე, ხოლო უმცროსი – ბორის ბიქტორის ძე – დაბადებული 1955 წ. ლენინგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემიის კურსდამთავრებული, ამჟამად თადარიგის პოლკოვნიკია და დამსახურებულ პენსიაზე იმყოფება.

ალბათ, მათაც ძალზე ენატრებათ მშობლიური სოფელი მთისძირი, თუმცა იშვიათად სტუმრობენ მას და საერთოდ, ვანის რაიონს.

ჩვენი ვალა მუდამ გვახსოვდეს ვანური წარმოშობის მქონე ისეთი სახელოვანი შვილები, როგორც იყო გენერალი ბიქტორ სულაქველიძე, რათა დროდადრო, თუნდაც ასეთი მოკლე მოგონებებით, პატივი მივაგოთ მათ ნათელ ხსოვნას.

რენიკო საკანდელიძე

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ღირსაული მამულიშვილი**ოჯახის მეცნიერთა დინასტია**

გაბუნიათა გვარი – ეპონიმური ტიპის გვარსახელია. მის ფუძეში დევს წინაპრის საკუთარი სახელი. ძველ საქართველოში გავრცელებული იყო კაცის სახელები: გაბა, გაბე, გაბუა, გაბუნა, გაბელა, გაბეჩა, გაბადა, გაბეცა და სხვა. შესაბამისად, გვაქვს „გაბუნისა“ მსგავსი დერივატული გვარსახელები: გაბაშვილი, გაბაძე, გაბური, გაბადაძე, გაბაიძე, გაბუაშვილი, გაბელია, გაბურია, გაბეცაძე და სხვა. მათ შორის მხოლოდ ფუძეთა მსგავსებაა და არა სისხლით ნათესაობა.

გაბუნიათა გვარსახელის დაბოლოება კოლხურია. ეს გვარი, საისტორიო საბუთების მიხედვით, ოდიშის სამთავროში XVII საუკუნიდან ჩანს. უფრო ადრე, XVI საუკუნეში, გაბუნიათა გვარი იმერეთის სამეფოში იხსენიება. კიდევ უფრო ადრე, XIV-XV საუკუნეების საბუთებში სვანეთში მცხოვრები გვარი „გაბუნიანი“ იხსენიება („გაბუნიანი ჩემო, მოურავი გაბუნიანი გამრეკელი“). ვერ ვიტყვით, რომ სვანი გაბუნიანი და იმერელ-მეგრელი გაბუნია ერთი და იგივეა. ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი წყაროების მიხედვით, ასეთი სურათი იხატება:

1578 წლის ქუთაისის საყდრის გამოსავლის მებეგრეთა დავთარში შეტანილია გეგუთს მცხოვრები გაბუნების ორი ოჯახი. „მართებს გეგუთს გაბუნისა ორს განაყოფსა იოვანეს და მისსა ძმასა თივა ზნაი ცხრაასი, თეთრი ექუსი, ქათამი ერთი და შინ ჩადგომით სმაი-ჭამა და ცხენით სამსახური ნიადაგ!“ როგორც ჩანს, ეს გეგუთელი ძმები გაბუნები ქუთაისის საყდრის მსახურნი იყვნენ. „სმაი-ჭამა და ცხენით სამსახური ნიადაგ“ ანუ „მასპინძლობა და ხლება“ იმხანად და შემდეგ საუკუნეებშიც საპატიო სამსახურად ითვლებოდა. შესაბამისად, მსახურთა სისხლის ფასიც სხვა იყო ქართული სამართლით.

1628 წელს ზემო სამეგრელოს სოფელ საქუჩულოროს მცხოვრები გაბუნები ბიჭვინთის საყდრის მსახურნი გამხდარან ლევან დადიანის შეწირულობის წიგნის მიხედვით.

1628-1638 წლების ლევან დადიანის განჩინების მიხედვით, მეგრელი გაბუნიათა კიდევ სამი ოჯახი ხონის მონასტრის ყმები გამხდარან. საბუთში გაბუნიათა გვარის 6 კაცის სახელი იხსენიება, მაგრამ ისინი იმხანად სამ კომლად ცხოვრობდნენ: კაცია, მამია და ჯაშუშია გაბუნები ერთი გაუყრელი სახლის შვილები ყოფილან. მათი „სახლის კაცი ბახეულა და გარჯლულელა“ მეორე კომლია, მესამე კომლი კი ყოფილა საბატონო გლეხი, ვინმე „ხახუს შვილის“ ყმა მწყაზარია გაბუნია.

XVII-XVIII საუკუნეების სოციალური შინაარსის დოკუმენტებზე დაყრდნობით, ო. სოსელიას ნარკვევების სამტომეულში ზუსტად არის განსაზღვრული გაბუნიათა სოციალური მდგომარეობა და განსახლების არეალი. ამ პერიოდის გაბუნები იმერეთსა და სამეგრელოში გლეხისა და აზნაურის ნოდებით ცხოვრობდნენ თავად ლორთქიფანიძეთა, თავად ჩიჯავაძეთა, თავად იაშვილთა, თავად ფალავათა და თავად ჩიქოვანთა მამულებში.

ყმის პატრონი, ალბათ აზნაური გაბუნია იხსენიება 1762 წლის იმერთა მეფის სოლომონ I – ის ხონის მონასტრისადმი შეწირულობის წიგნში: „...და მეორე გლეხი პაპავა დედულია ხუტულა გაბუნისა ყავდა. ამოვიყვანეთ და ისევ შემოგვიწირავს მათის მამულ-ალაგითა...“

ღმერთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძღვერებისათვის გაბუნიათა გვარის მეომრები გლეხნი – კომლზე კაცად და აზნაურნი – ქუდზე კაცად გამოდიოდნენ იმერეთის სამეფო ლაშქრის მონინავე და შუაგულ სადროშოებში, აგრეთვე მთავარ დადიანთა დროშის ქვეშ.

აზნაურ გაბუნებს ძველი დროიდან ჰქონდათ საგვარეულო დამლა: ცელი და ხმალი ვადაჯვრიანი.

სავარაუდოდ, აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდა 1807 წლის ერთ საბუთში მოწმედ დასახელებული ბერუკა გაბუნია. საბუთი წარმოადგენს სამეგრელოს თავად ფალავათა ანტონ ხონელი ეპისკოპოსისათვის მიცემულ წიგნს.

რუსულ საბუთებში აზნაურად იხსენიება ხახუნა გაბუნია, რომელიც 1824 წელს ირანში იმყოფება და იქ რუსეთის რწმუნებულს, ვინმე მაზაროვიჩს თხოვნით მიმართავს, რათა სამეგრელოში დაბრუნების ნებართვა მიიღოს. ამ მაზაროვიჩმა ხახუნა გაბუნიას თხოვნა ირანიდან კავკასიის მეფისნაცვალს, გენერალ ერმოლოვს გამოუგზავნა თბილისში.

ერმოლოვმა სასტიკი უარი შეუთვალა. მისი პასუხიდან ირკვევა, რომ ხახუნა გაბუნია 1819 წელს, რუსული სამხედრო სასამართლოს განაჩენით, ციმბირში ყოფილა გადასახლებული. იქვე იმუქრება გენერალი ერმოლოვი: თუ გაბუნია რუსეთის იმპერიის ფარგლებში მაინც შემოვა, მას სახრჩობელა არ ასცდება, როგორც ციმბირიდან გაქცეულს და ძებნილსო.

რუსთა ბატონობის ყამს რუსთაგან დევნილთა და ძებნილთა შორის კიდევ ერთი გაბუნია ჩანს: დადიანის აზნაური გუგუია გაბუნია. ეს მეგრელი აზნაურიც ციმბირში იყო გადასახლებული, ისიც გამოქცეულა და სამეგრელოში დადიანის კარზე სული მოუტანია. თბილისში რუს მეფისნაცვალთან დასმენა მოვიდა, ციმბირიდან გამოქცეული აზნაური გაბუნია დადიანმა შეიფარა და მერე ახალციხეში ვახტანგ ბატონიშვილთან გააგზავნაო რაღაც საიდუმლო წერილით. გენერალი ერმოლოვი 1826 წლის ოქტომბერში ავალებს სამეგრელოში რუსთა ჯარის მეთაურს პოლკოვნიკ ბებუთოვს, თვალყური ადევნოს დადიანის ქმედებას და დაადგინოს გაბუნიას სამყოფელი.

ბებუთოვის დასმენიდან ირკვევა, რომ ძებნილი აზნაური გუგუია გაბუნია 1826 წლის დეკემბერში უკვე ქობულეთშია, „მოღალატე“ ქაიხოსრო გურიელის ბანაკში. რუსები „მოღალატეებს“ ეძახდნენ იმ ქართველებს, რომლებიც საქართველოში რუსთა ბატონობას არ ეგუებოდნენ და იარაღით ებრძოდნენ.

რუსულმა მმართველობამ საქართველოში დამკვიდრებისთანავე აგენტურული ქსელი შექმნა. „ქაიხოსრო გურიელთან რომ ჩემი კაცი მყავს, – დასძენს პოლკოვნიკი ბებუთოვი თავის დასმენაში, – იმისგან გავიგე, რომ იქ მყოფ გაბუნიას ბანძაში თავისი სახლ-კარისა და თავისი ძმის მონახულების სურვილი აქვსო.“ აი, ასე, რუსულ ხელისუფლებას ყველა „არაკეთილსაიმედოს“ ოცნება და სურვილიც კი უნდა სცოდნოდა.

1827 წლის თებერვალში გენერალმა ერმოლოვმა მორიგი დასმენა მიიღო: ახალციხიდან აგენტი ატყობინებდა, რომ ვახტანგ ბატონიშვილმა აზნაურ გაბუნიას წერილები გამოატანა იმერეთის, გურიის და სამეგრელოს თავადებთან. ჩვენთვის უცნობია, რა ბედი ეწია გუგუია გაბუნიას იმერეთში ანუ რუსეთის იმპერიის საზღვრებში შემოსვლის შემდეგ, ერთი რამ კი ცხადია: ეს პიროვნება რუსულ კატორღას და რუსულ მმართველობას ვერ ეგუებოდა. საქართველოში იმ წარჩინებულ ქართველთა წრეში ტრიალებდა, რომლებიც რუსებს ებრძოდნენ.

საქართველოში რუსთა ბატონობის მრავალ უარყოფით შედეგთაგან ერთ-ერთი ისიც იყო, რომ ქართველებში თანდათან ვრცელდებოდა რუსული დაბოლოების გვარები. შემდეგ ორ საბუთში გაბუნიები უკვე რუსული ფორმის გვარებით იხსენიებიან.

1831 წლის ანდერძ-მინაწერი „ანდრია სალოსის ცხოვრების“ ხელნაწერ წიგნში: „მებრძანა მაღალღირსის სრულიად სამენღრელოისა არქიმანდრიტის გიორგის მიერ და მე, მოსურნემან მსახურებისა მისისა, აღვწერე წიგნი ესე ანდრია სალოსის იერო ნიკლავს გაბუნოვმა. 1831 წელსა აპრილის 2-სა ცაგერს.“

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ერთი გვიანდელი ანდერძ-მინაწერი: „... სრულ იქმნა წიგნი ესე სასამართლო წელს 1838-სა, ივნისის ლა-ს, 31. ღმერთო, წარმატებას მიეც და მწერი ამის და თუ რაიმე შეცდომა ჰპოოთ, ნუ ზრახავთ მისთვის, რომელ ორს დღესა შინა დაწერილა სიჩქარისა გამო და ნაწერიცა არასაძიებელ არს. მოიხსენებდეთ, ნამკითხველნო, დამწერსა ამას წიგნისასა კონსტანტინე ხახოს ძე გაბუნოვსა.“ ნიკოლოზ და კონსტანტინე გაბუნიები ხელნაწერ წიგნთა გადამწერები ყოფილან.

1855 წელს სოხუმისა და ანაკლიის ნაპირებს უცხო გემები მიადგნენ. ნაპირზე გადმოსხდა

ოსმალთა ჯარი ომარ ფაშას მეთაურობით. დაიწყო რამდენიმე თვიანი მიძიმე ბრძოლები კოლხეთის ქაობებში. 1856 წლის მარტში გენერალი მურავიოვი მოახსენებს თავად დოლგორუკოვს ფოთი-ხორგა-ხეთას მიდამოებში მომხდარი ბრძოლების შესახებ. უმძიმეს პირობებში, იქ, სადაც გაუჭირდა რუსის ჯარს, განსაკუთრებით უვაჟკაცია „მეგრულ მილიციას“ თავად ჯაიანისა და აზნაურ გაბუნიას მეთაურობით. ამ გაბუნიას „გუბერნსკის სეკრეტარის“ წოდებით იხსენიებს რუსი გენერალი.

XIX საუკუნის II ნახევარში მოღვაწეობდა გაბუნიათა გვარის კიდევ ორი სასულიერო პირი: საირმის მონასტრის წინამძღვარი ილუმენი კირილე გაბუნია და გარეჯის მონასტრის მღვდელმონაზონი გერასიმე გაბუნია.

ერის სამსახურში გამოჩნდნენ გაბუნიათა გვარიშვილნი: აკადემიკოსები: ლეონიდე და ნოდარ გაბუნები, პროფესორი გეოლოგიის დარგში კალისტრატე გაბუნია, პროფესორები მედიცინის დარგში: გივი გაბუნია, უჩა გაბუნია და ჯუმბერ გაბუნია, პროფესორი ისტორიის დარგში ვალერიან გაბუნია, პროფესორი ეკონომიკის დარგში კონსტანტინე გაბუნია, კონსერვატორი პროფესორი ნოდარ გაბუნია, კონსერვატორი პროფესორი და ოპერის სოლისტი მედეა გაბუნია, კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია, ისტორიკოსები: გურამ და გიორგი გაბუნები, ეთნოგრაფები: ალექსანდრე, ლევან და სალომე გაბუნები, ენათმეცნიერები: კახა და ქეთევან გაბუნები, არქეოლოგები: ლეონიდე და მანანა გაბუნები, მუსიკათმცოდნე ლალი გაბუნია, ხელოვნებათმცოდნე ცისანა გაბუნია, მხატვრები: მიხეილ, არტემ, ვახტანგ და ლევან გაბუნები, კრიტიკოსი გელა გაბუნია, მწერალი დავით გაბუნია, დრამატურგი გიორგი გაბუნია, მთარგმნელი ზურაბ გაბუნია, არქიტექტორი თეო გაბუნია, რეჟისორი გიორგი გაბუნია, მსახიობები ნატო და გურანდა გაბუნები და სხვანი.

სხვადასხვა ადგილს შემორჩა გაბუნიათა გვარის სახელი – იმერეთში: „გაბუნიასოული“ – ვენახი სოფელ ამალღებაში, „გაბუნების“ – უბანი სოფელ დიხაშხოში, „გაბუნების გორა“ – სახნავი ადგილი სოფელ სულორში, „გაბუნების ტყეები“ – ტყე სოფელ მუხიანში და სოფელ უკანეთში, „გაბუნების წყარო“ – წყარო სოფელ ციხისუბანში, „გაბუნების“ – უბანი სოფელ ფარცხანაყანევში, და სხვა; სამეგრელოში: „ლეგაბუნე“ – ტყე სოფელ ახუთში, „საგაბუნო“ – უბანი სოფელ ენენონეში და სოფელ ჩხირიაში და სხვა.

ამჟამად, გაბუნები ცხოვრობენ: ოდიშ-სამურზაყანოში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, რაჭაში, სამცხეში, ქართლში, კახეთსა და ჰერეთში. განსაკუთრებით მრავლად არიან: მარტვილის, აბაშის, ხობის, ზუგდიდის, წყალტუბოს, ვანის, ხონის, სამტრედიის რაიონებში, ქალაქებში: თბილისში, ფოთში, ზუგდიდსა და ქუთაისში. მრავლად იყვნენ აფხაზეთში. არიან საფრანგეთის ქართულ ემიგრაციაში.

საქართველოში გაბუნიათა საერთო რიცხვი 6500-ს აჭარბებს.

გაბუნების გვარის წარმომადგენლები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სამშობლოს დიდი სიყვარულით, მუყაითობით და შრომისმოყვარეობით. მათ შესაშური წარმატებები ჰქონდათ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეში. ამ მხრივ გამონაკლისი არც **ვანელი გაბუნები** გახლდათ. მათ დიდი ამაგი დასდეს ეროვნული მეცნიერების, კულტურის და ხელოვნების განვითარებას. მათ შექმნეს მეცნიერთა ოჯახური დინასტიები. გვარის ასეთ ფენომენს წარმოადგენდა სოფელ ამალღებაში, მდ. კვინისწყლის პირას მდებარე ესტატე გაბუნიასა და ანა მსხილაძის ოჯახი. სადაც დაიბადა და აღიზარდა **კალისტრატე გაბუნია**, მომავალი დიდი მეცნიერი, მეცნიერების დოქტორი, პროფესორი. მან შვილების სახით სამშობლოს აღუზარდა ცნობილი მეცნიერები – **ლევან (ლეო) გაბუნია**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **ნოდარ გაბუნია** – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის რექტორი, ცნობილი მუსიკათმცოდნე, მეცნიერების დოქტორი, პროფესორი; ქალიშვილი **მანანა გაბუნია** – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

კალისტრატე გაბუნია – პროფესორი

დაბადების თარიღი: 3 თებერვალი, 1888 წ., ვანი, სოფელი ამაღლება;
 გარდაც. თარიღი: 22 აგვისტო, 1937 წ. თბილისში (49 წლის ასაკში)
 სპეციალობა: **ინჟინერ-გეოლოგი, პროფესორი.**

მამა – ესტატე გაბუნია, XIX საუკუნის 40-იან წლებში სამეგრელოდან გადმოსახლებული ღარიბი აზნაურის სოფრომ გაბუნიას შვილი იყო. ესტატეს ცოლად შეურთავს ამაღლების მკვიდრი ანა მსხილაძე და დასახლებულა მდინარე კვინისწყლის ნაპირზე, სადაც საკმაოდ დიდი სახლი აუგია. ესტატესა და ანას ხუთი შვილი ჰყავდათ. პატარა კალისტრატემ სწავლა დაიწყო ამაღლების დაწყებით სკოლაში. 1900 წელს მან სწავლა განაგრძო ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. სოფლის სიდუხჭირეში აღზრდილ გონებამახვილ და მგრძობიარე სულის მქონე ახალგაზრდა კალისტრატეზე არსებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ დიდი გავლენა მოახდინა. მას თავიდანვე ჩამოუყალიბდა რევოლუციური სულისკვეთება, რამაც მალე აქტიური მოქმედებისაკენ უბიძგა და საბოლოოდ რეალური სასწავლებლიდან გარიცხვამდეც მიიყვანა. კალისტრატე გაბუნიას ორი წლით აეკრძალა ქუთაისში ცხოვრება, რის გამოც დაუგვიანდა სასწავლებლის დამთავრება. იგი სწავლის პერიოდში გამოიჩინა განსაკუთრებული ნიჭით და მათემატიკური საგნებისადმი მიდრეკილებით. სასწავლებელში სწავლის პერიოდში იგი რეპეტიტორობით ირჩენდა თავს, თანაც გადაწყვეტილი ჰქონდა უმაღლესი განათლების მიღება. ამიტომ მან რუსეთში გასამგზავრებლად ადრინადა დაიწყო ზრუნვა. განზრახული ჰქონდა დაუფლებოდა სამთო საქმეს.

1910 წელს კალისტრატე გაბუნია გაემგზავრა შორეული ციმბირის ერთ-ერთ საუნივერსიტეტო ცენტრში – ქალაქ ტომსკში, სადაც იმ დროს მოღვაწეობდნენ სახელმწიფო გეოლოგები, აკადემიკოსები ვ. ობრუჩევი და მ. უსოვი. კალისტრატე ჩაირიცხა ტექნოლოგიური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1919 წელს და თავისი ცხოვრება მრავალი წლით დაუკავშირა ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთს. ნიჭიერმა ახალგაზრდამ მალე მიიქცია პროფესორთა ყურადღება და სწორედ ამან განაპირობა მისდამი სიმპათია და პატივისცემა, რაც მის მასწავლებლებს არაერთხელ გამოუმჟღავნებიათ. კერძოდ: 1911 წელს, როდესაც სტუდენტთა გაფიცვის მოწყობისა და ორგანიზებისათვის ის გარიცხეს ინსტიტუტიდან, აკადემიკოსმა ვ. ობრუჩოვმა მას დაავალა ჰიდროტექნიკური გამოკვლევების წარმოება მდინარე ტომის აუზში. რამაც მას საშუალება მისცა უზრუნველყო თავი მატერიალურად და ამასთან დამოუკიდებლად შეესრულებინა კვლევითი სამუშაო. იმავე ბ. ობრუჩოვის, მ. უსოვის და სხვა პროფესორების შუამდგომლობით ერთი წლის შემდეგ იგი აღადგინეს სტუდენტად. ამ პერიოდიდან, ე.ი. სტუდენტობაშივე ჩაება იგი სამეცნიერო საქმიანობაში. 1911-1912 წლებში აკად. ობრუჩოვის ხელმძღვანელობით მან მონოგრაფიულად დაამუშავა სალაირის ნამარხი მარჯნები. ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა ჩერემხოვოს ქვანახშირიანი აუზის გეოლოგიურ აგებულებასა და საბადოების მარაგის დადგენას; შეისწავლა დასავლეთ ციმბირის არქეოციატიდები. სულ მოკლე დროში მან ციმბირის გეოლოგიურ კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, რაზეც მეტყველებს ის, რომ დღესაც ტომსკის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ვესტიბიულში გაკეთებულია კალისტრატე გაბუნიასადმი მიძღვნილი მემორიალური დაფა.

1913 წლის ზაფხულის არდადეგები კალისტრატემ გაატარა სამშობლოში. აქ ის მონაწილეობდა რაჭისა და სვანეთის საგზაო ტრასების გეოლოგიური პირობების შესწავლაში. 1915 წლის არდადეგები და სავსე პრაქტიკა მოანდომა ყირგიზეთში ეკიბასტუზის ქვანახშირის სბადოს კვლევას. 1916 წლის ზაფხულში კი ისევ სვანეთის გზის მშენებლობაში მონაწილეობდა. 1918 წელს ის იკვლევდა კუზნეცკის აუზის სალაირის ქედის გეოლოგიურ აგებულებას.

1919 წელს დაამთავრა ინსტიტუტი და იმავე წელს დაიწყო მუშაობა ციმბირის გეოლოგიურ

კომიტეტში, რომლის დავალებით 1919-1921 წლებში შეასრულა კუზნეცკის ქვანახშირიანი აუზის გეოლოგიური გამოკვლევა. 1919 წელს აირჩიეს პეტროგრადის გეოლოგიური კომიტეტის გეოლოგად.

1919 წელს კალისტრატე გაბუნია ერთ-ერთი ინიციატორი იყო ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ქართველ სათვისტომოთა წარმომდგენლების ყრილობისა, რომელიც მოეწყო ჩინეთის ქალაქ ხარბინში და რომელსაც თვითონვე თავმჯდომარეობდა. აქ მან გაიცნო ხარბინელი მეწარმის იულონ დუმბაძის ქალიშვილი — ნადეჟდა, რომელზეც იგი დაქორწინდა.

1921 წლის შემოდგომაზე ციმბირის გეოლოგიური კომიტეტის დავალებით და ოჯახური გარემოების გამო კალისტრატე მიემგზავრება ქალაქ ხარბინში. აქ ის სწავლობდა შორეული აღმოსავლეთისა და მანჯურიის გეოლოგიას. მონაწილეობას იღებდა მანჯურიის შემსწავლელი საზოგადოების დაარსებაში, მეცნიერულად იკვლევდა ერცენ-დიან-ცზის მინერალურ წყაროებს. პარარელურად ქალაქ ხარბინის პირველ გიმნაზიაში ასწავლიდა მათემატიკას და ქიმიას.

1923 წლის დასაწყისში კ. გაბუნია დაბრუნდა ტომსკში, სადაც ის კონკურსით აირჩიეს ტომსკის უნივერსიტეტში გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის უფროს მასწავლებლად, კითხულობდა ლექციების კურსს „პალეონტოლოგია და არამადნეული საბადოები.“ 1924 წლიდან პარალელურად მუშაობდა რუსეთის გეოლოგიური კომიტეტის ციმბირის განყოფილებაში, ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილებაში.

1924 წელს კალისტრატე გაბუნია სამშობლოში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა გამოყენებითი გეოლოგიის დარგებს (სასარგებლო წიაღისეულის ძიება, საინჟინრო და ჰიდროლოგია, კაუსტო-ბიოლითების გეოლოგია). იგი იყო ქართული გეოლოგიური სკოლის და საქართველოს გეოლოგიური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი. საფუძველი ჩაუყარა კვლევებს გამოყენებითი გეოლოგიის დარგში. 1925 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტის გამოყენებითი გეოლოგიის სექტორს; 1926 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე დააარსა გამოყენებითი გეოლოგიის კათედრა; აღნიშნულის გამო იგი ითვლებოდა გამოყენებითი გეოლოგიის ფუძემდებლად. 1928 წელს კალისტრატე ერთ-ერთი ინიციატორი იყო თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის ბაზაზე ახალი, დამოუკიდებელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსებისა, რომელიც განხორციელდა 30-იან წლებში. სადაც იგი მუშაობდა პროფესორის თანამდებობაზე. 1932 წლიდან იყო ამავე ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის დეკანი. იკვლევდა საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის საბადოებს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის გეოლოგიურ აგებულებას, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებს. დიდია მისი დამსახურება ქართველ გეოლოგთა კადრების მომზადების საქმეში და სასარგებლო ნამარხთა საბადოების გამოვლენა-შესწავლაში. 1924 წელს დაინიშნა და 1926 წელს დაამთავრა ქისათიბის დიატომიტის საბადოს შესწავლა, რასაც შემდეგ მოჰყვა შესაბამისი წარმოების აღმოცენება. 1925 წელს მან შეისწავლა და მნიშვნელოვანი დასკვნები გააკეთა ჩათახის (ფოლადაური) რკინის საბადოს შეფასების და მთელი რაიონის გეოლოგიური აღწავლის შესახებ. პროფესორი კ. გაბუნია არის საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების დამფუძნებელი და მისი პირველი თავმჯდომარე (1933-1937).

ქართველმა გეოლოგებმა თვალსაჩინო კვლევები მხოლოდ XX საუკუნეში მიიღეს. ამ პერიოდში საქართველოში მოღვაწეობდა მრავალი გამოჩენილი გეოლოგი, რომლებმაც საფუძვლიანად შეისწავლეს გეოლოგიის ყველა ძირითადი დარგი. საქართველოში მეცნიერული გეოლოგიის ფუძემდებლები არიან: ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე თვალჭრელიძე, კალისტრატე გაბუნია. მათ შექმნეს მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომები, ამასთანავე მათივე ინიციატივით დაარსდა გეოლოგიის ინსტიტუტი და გეოლოგიის საზოგადოება. მან შეისწავლა საქართველოს წიაღისეულის მრავალი საბადო ახალციხის დიატომიტი, ალგეთის ლითოგრაფიული ქვა, ჭიათურის მანგანუმი, ფოლადაურის რკინის საბადო, შრომის ცეცხლგამძლე თიხები. ასევე

იკვლევდა საქართველოს გეოგრაფიული აგებულების საკითხებს. 1927 წელს მან პირველად საქართველოში – სვანეთში, მდინარე ხდეს ხეობაში აღმოაჩინა „მთის ბროლის“ ორი საბადო, მოახდინა ამ საბადოების დეტალური აღწერა, განიხილა მათი გენეზისის საკითხები, შეაფასა რაიონში „მთის ბროლის“ მოპოვების პერსპექტივები, აიღო მათი სამუზეუმო ნიმუშები, რომლებიც დააგზავნა თბილისის, მოსკოვის და მაშინდელი ლენინგრადის მუზეუმში. 1932 წლიდან აწარმოებდა ტყიბულის საბადოების ჰიდროგეოლოგიურ გამოკვლევებს, 1934 წლიდან კი იკვლევდა ცურუნგალის დარიშხანის და ზემო სვანეთის ანტიმონიუმის საბადოებს.

1936 წელს მოხსენებით გამოვიდა ჭიათურის მანგანუმის საბადოების გეოლოგიის გენეზისის შესახებ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სესიაზე, ხოლო 1937 წელს მოსკოვის მსოფლიო გეოლოგიურ კონკურსზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტმა 2012 წელს წარჩინებული სტუდენტებისათვის დააარსა პროფესორ კალისტრატე გაბუნია სახელობის სტიპენდია.

1988 წელს საქართველოს გეოლოგიურმა საზოგადოებამ და სანარმოო გაერთიანება „საქგეოლოგიამ“ დაანესა კალისტრატე გაბუნია სახელობის პრემია.

ლეონიდე (ლეო) კალისტრატეს ძე გაბუნია

დაბადების თარიღი: 13 სექტემბერი, 1920 წ., ქ. ირკუტსკი

გარდაცვ. თარიღი: 2001 წ. (80 წლის ასაკში)

მეცნიერი, პალეონტოლოგი, აკადემიკოსი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1954), პროფესორი (1959). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969)

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი 1943 წელს. 1947-1950 წწ. მუშაობდა გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერთანამშრომლად, 1957-1976 წწ. პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ხერხემლიანთა პალეობიოლოგიის განყოფილების გამგედ, 1976-1988 წწ. პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორია, 1976-1988 წწ. მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, პალეობიოლოგიის ინსტიტუტის საპატიო დირექტორი. მისი გამოკვლევები გამოქვეყნებულია საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, აშშ-ს, გერმანიის, ჩინეთის პერიოდულ გამოცემებში. არის ავტორი წიგნებისა: „დინოზავრების ნაკვალევი“ (1958), „ჰიპარიონების ისტორია“ (1959), „ბენარის ოლიგოცენურ ხერხემლიანთა ფაუნა“ (1974), „ლუი დოლო“ (1976). მეცნიერულ-პოპულარული სერიის „ათინათის“ რედაქტორი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **საკანდიდატო დისერტაციის** თემა – „დასავლეთ საქართველოს პლიოცენურ-მოლუსკურ ფაუნათა პარალელიზაცია“, დაიცვა 1947 წელს; **სადოქტორო დისერტაციის** თემა – „ჰიპარიონების ისტორია“ (საბჭოთა კავშირის ნეოგენის მასალების მიხედვით), დაიცვა 1954 წელს. იგი ცნობილია როგორც ბენარის ფაუნის აღმომჩენი.

ბენარის ფაუნა – ოლიგოცენის ნამარხ ხერხემლიანთა ფაუნა, რომლის ადგილსამყოფელი სამხრეთ საქართველოა, კერძოდ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფ. ბენარის მიდამოები. ბენარის ფაუნაში შედის როგორც ევრაზიაში გავრცელებული სახეობები, რომელთა დიდი ნაწილი დასავლეთ ევროპაში უკვე შუა ოლიგოცენში ამოწყდა (ჰიენოდონი, თავისებური კენტრლიქოსანი სქიზოთერიუმი, ლორის მაგვარი ენტელოდონი და ანთრაკოთერიუმი, არქაული მცოხნელი ლოფიომერიქსი და სხვა), ისე საკუთრივ აზიური ელემენტი (გიგანტური მარტორქა ბენარათერიუმი, მორბენალი მარტორქა არდინია, ტაპირისნაირი კოლოდონი და სხვა). ბენარის ფაუნა წარმოდგენილია უმთავრესად ორი ეკოლოგიური დაჯგუფების – ფენიანი ტყისა და ჭაობის, აგრეთვე შედარებით მშრალი სავანის ცხოველებით. ბენარა არის ოლიგოცენის

ხერხემლიანთა ერთადერთი მნიშვნელოვანი ადგილსამყოფელი უზარმაზარ ტერიტორიაზე დასავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის. ბენარის ფაუნის შესწავლამ პირველად გვიჩვენა, თუ რა გზით შეიძლებოდა განხორციელებულიყო კავშირი ევროპისა და პალეოგენის ხმელეთის ძუძუმწოვართა შორის ...

ბენარის ოლიგოცენური ხერხემლიანების გამოკვლევისათვის (1964 წ.) მას მიენიჭა მოსკოვის ბუნებისმეტყველთა საზოგადოების საპატიო დიპლომი და ამავე საზოგადოების ლაურეატობა (1966წ.) 1997 წელს საქართველოში პალეონტოლოგიისა და გეოლოგიის მეცნიერებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. ხელმძღვანელობდა პალეონტოლოგიურ ექსპედიციებს ყუბანისპირეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში.

იგი იყო რიგი ორგანიზაციებისა და ასოციაციის წევრი:

აშშ-ს ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის სამეცნიერო საზოგადოება – წევრი; თბილისის „ალიანს ფრანსეზი“, – პრეზიდენტი; იუნესკოს საერთაშორისო პროგრამები ადამიანი და ბიოსფერო-ეროვნული პრეზიდენტი; პალეონტოლოგიური ჟურნალი (მოსკოვი), სარედაქციო კოლეგიის წევრი; ჟურნალ ევოლუციური მოძღვრება (ჩიკაგო)-სარედაქციო კოლეგიის წევრი; რუსეთის ტერიოლოგიური საზოგადოება-საპატიო წევრი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია-მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი (1969წ); ქართული ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიის წევრი; საფრანგეთის გეოლოგიური საზოგადოების ნამდვილი წევრი;

მიღებული ჰქონდა ჯილდოები, პრემიები და პრიზები:

1976წ. — საბჭოთა კავშირის საზოგადოება ცოდნის საპატიო დიპლომი;

1966წ — მოსკოვის საბუნებისმეტყველო საზოგადოების პრემია;

ბრძანებულება ლ. გაბუნიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში პალეონტოლოგიისა და გეოლოგიის მეცნიერებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლეონიდე გაბუნია დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. 1997წ.

ნოდარ კალისტრატეს ძე გაბუნია

დაბადების თარიღი: 9 ივლისი 1933 წ.

გარდაცვ. თარიღი: 31 აგვისტო, 2000 წ. (67 წლის ასაკში)

კომპოზიტორი, მუსიკოსი, პროფესორი

დაბადების ადგილი: ქ. თბილისი.

დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია (1957 წ.) და ასპირანტურა (1961 წ.) ფორტეპიანოს განხრით (ხელმძღვანელი ა. გოლდენვეიზერი), ხოლო 1962წ. კომპოზიციის განხრით (ხელმძღვანელი ა. ხაჩატურიანი).

ქართველი კომპოზიტორი, პიანისტი, პედაგოგი. საქართველოს სახალხო არტისტი (1982), ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი (1985) საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი (1973-1979) და თავმჯდომარე (1996-1997).

1962 წლიდან მოღვაწეობას იწყებს ქ. თბილისში. არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, 1965 წლიდან ფორტეპიანოს კათედრის გამგე, 1984-2000წწ. იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი. 1992-1993 წწ. მუშაობდა ნიუ-ორლეანის (აშშ) უნივერსიტეტის ფორტეპიანოს კათედრის პროფესორად; გამოდიოდა კონცერტებით

როგორც პიანისტი, 1970 წელს მან პირველმა საქართველოში შეასრულა ბეთჰოვენის ყველა საფორტეპიანო სონატა, იყო ბელა ბარტოკის საფორტეპიანო ნაწარმოებების აქტიური პროპაგანდისტი. მას ეკუთვნის შემდეგი ნაწარმოებები: სამი საფორტეპიანო სონატა, სონატა ორლანისათვის, საორლანო მუსიკა, ნ. გაბუნია ავტორია ორი მუსიკალური კომედიისა: „ყვარყვარე თუთაბერი“ (1973) და „ხე ქრიალებს“ (1979), დაიდგა თბილისის მუს.კომედიის თეატრში (1974,1979), ორი სიმფონიისა (1972,1984), სამი საფორტეპიანო კონცერტისა (1961,1976,1986), სავიოლინო კონცერტისა (1981); მასვე ეკუთვნის სონატა საყვირის, ფორტეპიანოსა და დასარტყმელი საკრავებისათვის (1980). პოემა – ელეგია სიმებიანი ორკესტრის, ჰობოისა და ლიტავრისათვის, იმპროვიზაცია და ტოკატა ფორტეპიანოსათვის, სონატები და პიესები ფორტეპიანოსათვის, ორლანისათვის, ორი სიმებიანი კვარტეტი, შესანიშნავი საფორტეპიანო ტრიო (1999), კამერულ-ვოკალური ნაწარმოებები, მათ შორის ფართოდ ცნობილი „იგავი“ (ს.ს. ორბელიანის მიხედვით, დაიმსახურა იუნესკოს საერთაშორისო პრემია, 1965), მუსიკა თეატრისა და კინო ფილმებისათვის („ვედრება“, „ნერგები“, „აურზაური სალხინეთში“) და სხვა. ნოდარ გაბუნია ამ აღზარდა ნიჭიერ პიანისტთა პლეადა.

იგი იყო: საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე (1996)

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი (1973-1979)

მიღებული ქონდა ჯილდოები, პრემიები და პრიზები :

1985 – ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია

1982 – საქართველოს სახალხო არტისტი

1965 – იუნესკოს საერთაშორისო პრემია

2011 წლის 13 ნოემბერს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმის თაოსნობით მცირე დარბაზში გაიმართა

ნოდარ გაბუნიას ხსოვნის საღამო. საღამოს უძღვებოდა **რევაზ თავაძე.**

ობარ კაბნიძე

პროფესორი, კრებულ „მატიანეს“ რედკოლეგიის წევრი, „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ თანადამფუძნებელი

ქ. კობულეთის საზოგადოებას განზრახული აქვს მიმდინარე წლის ნოემბერში, საზეიმო ვითარებაში აღნიშნოს 90 წლისთავი, გიორგი ნიკოლაძის (1888-1931) ხელმძღვანელობით, 1925 წლის 12 აგვისტოს განხორციელებული 19 წევრიანი ჯგუფის იალბუზზე ასვლიდან, რომელთა შორის 5 ქალი იყო!

ამ ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი შოთა (ალექსანდრე) ძაგნიძე (1903-1992), რომელიც ვანელია, ასევე ვანელია ექსპედიციის მონაწილე ქალბატონი ნინო ჯიჯავაძე (ჩიჯავაძე).

ბატონმა შოთამ ეს უნიკალური ექსპედიცია სრულად აღწერა 1975 წელს – 50 წლის დაგვიანებით-მოგონებების სახით. რედაქციამ ეს მოგონებები გაყო ორ ნაწილად: ნაწილი I – „იალბუზზე ასვლა“, რომელიც პირველად იბეჭდება ახლა ჟურნალ „მატიანეს“ ამავე ნომერში; ნაწილი II – „იალბუზიდან სოხუმამდე სვანეთის გავლით“ დაიბეჭდება სხვა ნომერში.

კრებულის რედაქციას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ბატონი შოთას აღნიშნულ მოგონებებს წარმძღვაროს თვით მოკლე ბიოგრაფია.

შოთა დაიბადა ქ. ბათუმში 1903 წელს. მისი მამა რომან (რომანოზ) ანტონის ძე ძაგნიძე იყო ვანის რაიონის სოფელ სალხინოს მკვიდრი, რომელსაც უმუშავია ბათუმში მანთაშევის ქარხანაში და დასახლებულა ბარცხანაში, ბათუმის მახლობლად. ჰყავდა სამი ვაჟი და სამი ქალი. ამათგან მეექვსე იყო შოთა, რომლის გაჩენასაც შეენირა დედამისი. 8 წლის შოთა მოუნათლავს მათ ოჯახთან დაახლოებული ერთი გენერლის მეუღლეს და მისთვის დურქმევია ალექსანდრე. ასეთი ნათლობა დაეხმარა შოთას იმით, რომ იგი გლეხის შვილი მიიღეს ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1921 წელს და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე მათემატიკის განხრით.

შოთა განსაკუთრებული მოწინებითა და პატივისცემით, უსაზღვრო სიყვარულით იხსენებდა პროფესორ გიორგი ნიკოლაძეს, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა სტუდენტების სწორად აღზრდასა და მათში მაღალი ადამიანური თვისებების ფორმირებაში.

გიორგი ნიკოლაძემ საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებასთან ჩამოაყალიბა მთავლა-მგზავროსნული ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ მეცნიერები და სტუდენტები¹. ამ ჯგუფის აქტიური წევრი იყო შოთა ძაგნიძეც, თავის მეგობარ ატო აღნიაშვილთან ერთად.

გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით 1925 წლის 12 აგვისტოს, 19 წევრის შემადგენლობით მოხდა პირველი ჯგუფური ასვლა იალბუზზე, რომლის მონაწილე იყო შოთა ძაგნიძე.

მოგონებები ამ უნიკალური ასვლის შესახებ, შოთამ დაწერა 1975 წელს თავის წიგნში „საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთავლა-მგზავროსნული განყოფილების ექსპედიცია იალბუზზე და სვანეთ-აფხაზეთში 1925 წელს.“

ამ წიგნის გამოქვეყნება დღემდე ვერ მოხერხდა და ახლა პირველად, იალბუზზე ასვლის 90 წლისთავის აღსანიშნავად, იბეჭდება კრებულ „მატიანეს“ ამავე ნომერში.

იალბუზზე ასვლასთან დაკავშირებით, შოთამ მოკლე წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „საბჭოთა აჭარას“ – 1975 წლის 12 აგვისტოს №158-ში.

შოთა იყო არა მხოლოდ ალპინისტი, არამედ კარგი ტანმოვარჯიშეც. გიმნაზიაში სწავლისას

¹ საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება შეიქმნა 1924 წლის 22 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიული კაბინეტისა და 1850 წელს თბილისში დაარსებული რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების (დაარსდა 1845 წელს პეტერბურგში) ბაზაზე.

იგი მონაწილეობდა ბათუმის ტანვარჯიშის ჯგუფში ატო აღნიაშვილთან ერთად. ამ ჯგუფს ერქვა „შევარდენი“ და მას ხელმძღვანელობდა დათა ჯავრიშვილი.

თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, შოთამ 1928 წელს მუშაობა დაიწყო ლაგოდების რაიონში ფიზიკის მასწავლებლად, ხოლო 1939 წლიდან ქობულეთის №1 საშუალო სკოლის მასწავლებელია. იგი გამოირჩეოდა თავისი საქმისადმი დიდი პრინციპულობითა და მრავალმხრივი ცოდნით. შოთა იყო რუსული ენის უბადლო მცოდნე. ეს კარგად ჩანს მის მიერ ნიკოლოზ ბარათაშვილის, „სული ბოროტის“, რუსულ ენაზე, 1968 წლის თარგმანიდან „Этот дух“ – ინახება შოთას პირად არქივში.

კარგად ცნობილია, რომ გიორგი ნიკოლაძე წარმატებით წერდა ლექსებსაც, რისთვისაც მას გამოყოფილი ჰქონდა კვირის გარკვეული დღეები და ამ გრაფიკს მკაცრად იცავდა! შესაძლოა, ბატონმა გიორგიმ ამ მხრივაც მოახდინა გავლენა ბატონ შოთაზე.

რუსული ენის კარგად ცოდნამ დიდი სამსახური გაუწია შოთა ძაგნიძეს სამამულო ომში მონაწილეობისას, იგი გაამწესეს საიდუმლო განყოფილებაში მწერლად და ამით აცდა ფრონტის ხაზს. დემობილიზაციის შემდეგ 1945 წელს მუშაობა დაიწყო ქობულეთის №1 საშუალო სკოლაში მასწავლებლად და განათლების განყოფილების ინსპექტორად. 1949-1962 წლებში იგი იყო ქობულეთის №2 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი და განათლების ინსპექტორი.

ხანგრძლივი, ნაყოფიერი და უმნიშვნელო მუშაობისთვის 1946 წელს შოთას მიენიჭა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

მის ღირსეულ მოსწავლეებს შორის იყო ცნობილი აკადემიკოს-ფიზიკოსი ნოდარ ამალლობელი (1930-2004), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი.

შოთა ძაგნიძე გარდაიცვალა 1992 წელს.

შოთა ქაბნიძე

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავროსნული განყოფილების ექსპედიცია იალბუზზე და სვანეთ-აფხაზეთში 1925 წელს (მოგონებები)

ნაწილი I – „იალბუზზე ასვლა“

შესავალი

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავროსნული განყოფილების ექსპედიცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, 1925 წლის 12 აგვისტოს ავიდა იალბუზზე 19 კაცის შემადგენლობით.

ეს იყო პირველი საბჭოური ასვლა იალბუზზე. პირველი იმპერიალისტური ომის შემდგომ არავინ ყოფილა იალბუზზე, ხოლო მანამდე თითო-ორიოჯი უცხოელი თუ იყო ასული. ასეთი მასობრივი ასვლა 19 კაცით და მეტადრე, მათ შორის, ხუთი ქალით, ალპინიზმის ისტორიას არ ახსოვს.

ქართველი ალპინისტების ასვლამ ჯერ მყინვარწვერზე 1923 წელს¹ და შემდეგ იალბუზზე 1925 წელს, საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ალპინიზმს, რის შემდეგ მათ 50-წლის მანძილზე მრავალი მწვერვალი დაიპყრეს, მათ შორის, უდიდესი 7 000 მეტრიანი მწვერვალები ცენტრალური აზიის მთებში².

1. იხ. გ. ნიკოლაძე. პირველი ქართული ასვლა „მყინვარწვერზე“, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მოამბე, 1924, №1, გვ.42-44.

2. ეს მოგონება დაინერა 1975 წელს 50 წლის თავზე, ხოლო 1982 წლის 5 მაისს ევერესტზე ავიდა 11 საბჭოთა ალპინისტი.

გიორგი ნიკოლაძე
(1888-1931)

1922 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზკულტურის წრეს ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ნიკოლაძე, გამოჩენილი ქართველი მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის (1843-1928) შვილი. ნიკო ნიკოლაძემ 1868 წელს ციურისში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „განიარაღება და მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგები.“

ფიზკულტურის წრეში უნივერსიტეტის თითქმის ყველა ფაკულტეტიდან იყვნენ სტუდენტები (მაშინ უნივერსიტეტში იყო პოლიტექნიკური და სამედიცინო ფაკულტეტებიც).

იმ დროს, სპორტული სახეებიდან გავრცელებული იყო იარაღებზე ვარჯიში. ამ წრეში საკმაოდ ძლიერი მოვარჯიშეები იყვნენ. თვითონ გიორგიმ მონაწილეობა მიიღო 1912 წელს პრაღაში გამართულ მე-16 საერთაშორისო მსოფლიო სპორტულ შეხვედრასა და ტანვარჯიშულ შეჯიბრში პეტერბურგის გუნდში.

ტანვარჯიშში 2000 მონაწილეს შორის გიორგი მე-15 ადგილზე გავიდა და მიიღო პრემია დიდი დიპლომით; მძლეოსნობაში 6000 მონაწილეს შორის მე-19 ადგილი დაიკავა ექვსჯიბში (მძლეოსნობის ექვს სხვადასხვა სახეობაში) და დაფნის გვირგვინითა და დიპლომით დააჯილდოვეს.¹ გიორგიმ განსაკუთრებით თავი ისახელა ბადროსა და შუბის სტყორცნაში. ბადროს სტყორცნის მომენტი ისე მოხდენილად იყო შესრულებული გიორგის მიერ, რომ მისი სურათი იმ საფოსტო ღია ბარათის სახით გავრცელდა (ეს სურათი ინახება ნიკოლაძის ოჯახში), რომელიც სპორტისა და პლასტიკის ამ უძველეს თემას მიეძღვნა.

გიორგი ნიკოლაძემ 1913 წელს ბრწყინვალედ დაამთავრა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ჯერ ქალაქ ტულაში, შემდეგ კი დონბასში და ქალაქ იუზოვკაში.

დონბასში გიორგისთან ერთად მუშაობდა სახელგანთქმული მეტალურგი ივანე ბარდინი – შემდგომში აკადემიკოსი. ბარდინი იხსენებს: „გიორგი თავის დასვენებას ანდომებდა ან ტანვარჯიშს, ან მათემატიკას, ანდა ლექსების წერასა და კითხვას. ამას ყველაფერს ავრცელებდა ჩვენს შორისაც და კარგადაც გამოსდიოდა.“

როცა ბარდინი მიიწვიეს ენაკიევოს ქარხნის ბრძმედების საამქროს უფროსად, მან თანაშემწედ გიორგი აიყვანა.

ოქტომბრის რევოლუციამ გიორგის ენაკიევოში მოუსწრო, სადაც გიორგი იყო ბრძმედის საამქროს უფროსი, ხოლო ბარდინი – ქარხნის მთავარი ინჟინერი. 1918 წელს მოხდა უკრაინის ოკუპაცია გერმანიის მიერ და გიორგი ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა.

გიორგი ცდილობდა საქართველოში მეტალურგიული წარმოების დანყებას, რასაც უარყოფითად შეხვდა მენშევიკური მთავრობა. ამის შემდეგ, გიორგი მთლიანად გადაერთო მეცნიერულ მოღვაწეობაზე.

გიორგი ნიკოლაძემ დიდი წვლილი შეიტანა ქართული ტანვარჯიშული ტერმინების შექმნა-დამუშავებაში, რითაც იგი დაინტერესებული იყო სტუდენტობის პერიოდიდანვე. მის მიერ შემოღებული ტერმინებია: ტანვარჯიში, მთავლელობა, წესმორჩილება, ფეხბურთი, უკუმკლავი, წინმკლავი, ზემკლავი, განმკლავი, უკუტრიალი, ხელყირა, ყირამალა, მართმბრჯენი და მრავალი სხვა.

გიორგის მიზანი იყო საქართველოს მეორე უმაღლესი სასწავლებლის დაარსება ტექნიკური კვალიფიკაციის კადრების მოსამზადებლად, რაზეც უარი მიიღო მთავრობისგან.

გიორგი ნიკოლაძემ 1928 წლის ივნისში საფრანგეთში უმაღლესი შეფასებით დაიცვა დისერტაცია და მიიღო დოქტორის უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი მათემატიკაში. 1929 წლის

¹ იხ. ალექსანდრე კაიშაური, მეცნიერი-სპორტსმენი, თბილისი, 1957.

ოქტომბერში კი იგი ბრუნდება საქართველოში. 1929-1930 წლებში თბილისში (დიდუბეში) გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით აშენდა ფეროშენადნობთა საცდელი ლუმელი, სადაც ჩატარებული ცდების შედეგები საფუძვლად დაედო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობას.

1931 წლის 20 იანვარს, ღამე, დიდუბის საცდელმა ქარხანამ დაიწყო მორიგი ცდები გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით. ამოვარდა ცივი ქარიშხალი, რომელმაც სახურავი ააგლიჯა ქარხანას. ამის გამო გიორგიმ 20 საათი გაატარა გახურებულ ლუმელთან. შინ გიორგი სრულიად გაციებული დაბრუნდა, მაგრამ 22 და 23 -ში ცუდი ამინდის მიუხედავად მაინც მიდის ქარხანაში. 23-ის შემდეგ იგი ლოგინიდან ველარ ადგა და 5 თებერვალს გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისში, დიდუბის პანთეონში.¹

შემდგომ, 1973 წელს დაარსდა გიორგი ნიკოლაძის პრემია ტექნიკის დარგში საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის.

გიორგი, როგორც უნივერსიტეტის პროფესორი ბევრ ჩვენგანს გვიკითხავდა ლექციებს დიფერენციალურ და მხაზველობით გეომეტრიებში და ამავე დროს იყო ჩვენი მწვრთნელ-მასწავლებელი და ფიზკულტურული წრის ხელმძღვანელი.

გარდა სისტემატური მუშაობისა ფიზკულტურულ წრეში, გიორგის ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით თითქმის ყოველკვირეულად ეწყობოდა გაფრენები (პატარა ექსკურსიები ფეხით) მახლობელ ადგილებში: კოჯორში, შავნაბადაზე, ბეთანიაში, ჯვრის მონასტრის ტერიტორიაზე, ზედაზენში, მარტყოფში და ბევრ სხვა ადგილას. ზაფხულობით კი იწყობოდა უფრო შორეული ექსკურსიები მთიულეთში, რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო ოსეთში, კახეთში და სხვა.

გიორგი ამზადებდა საფუძველს ისეთი ძლიერი კოლექტივის შექმნისათვის, რომელიც შეძლებდა კავკასიონის უმაღლეს მწვერვალებზე იერიშის მიტანას.

ფიზიკურ წვრთნასთან ერთად უნივერსიტეტის პროფესორები, გიორგის თხოვნით, გვიკითხავდნენ ლექციებს მინერალოგიაში, ეთნოგრაფიულ საკითხებზე, ალპინიზმის ისტორიიდან და სხვა.

ეს მზადება დაგვირგვინდა იმით, რომ 1923 წელს ამ წრის 18 მონაწილე ავიდა კავკასიონის ქედის მწვერვალ მყინვარწვერზე, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 5100 მეტრია. ამით საფუძველი ჩაეყარა ალპინიზმს არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირშიც.

ეს იყო დასაწყისი, რის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა მუშაობა ამ მხრივ და დაიწყო მზადება 1925 წლის ზაფხულში იალბუზ-სვანეთში ექსპედიციის მოსაწყობად.

როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენ, ფიზკულტურის წრის წევრები ვიყავით გიორგის სტუდენტები. ჩვენ ყველანი შეყვარებული ვიყავით გიორგიზე და ის ჩვენთვის იყო ურყევი ავტორიტეტი. გიორგი იყო ძალიან უბრალო ადამიანი. ის დიდ გულისხმიერებას იჩენდა ხელქვეითებისადმი და განსაკუთრებით, წრის წევრებისადმი. იცოდა მოთმინებით მოსმენა და ყველა შემთხვევაში იყო სამართლიანი!

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი უნივერსიტეტის პროფესორი იყო, იმ დროისათვის უკვე ცნობილი გეომეტრი, ინჟინერ-მეტალურგი, მოვარჯიშე და ალპინისტი და საერთოდ, ქართული კულტურისა და მეცნიერების დიდი მოამაგე², ჩვენთვის ის იმდენად ახლო და მეგობრული იყო, რომ ჩვენ, მისი სტუდენტები მას ამხანაგად ვთვლიდით, რაც ახლა ჩვენში დიდ გაკვირებას იწვევს, თუ რაოდენ შეგნებული დისციპლინა იყო დამყარებული გიორგის მიერ ექსპედიციის წევრებს შორის, ნათელყოფს შემდეგი მაგალითი.

იალბუზიდან ექსპედიცია დაბრუნდა სოხუმში და ადგილობრივმა საზოგადოებამ მათ გაუმართა ბანკეტი. ამ ბანკეტს ესწრებოდა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ნესტორ

1 იხ. ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე. მამულიშვილთა სავანე, თბილისი, 1994, გვ. 290-292

2 იხ. ქართული მეცნიერების და ტექნიკის სიამაყე გიორგი ნიკოლაძე -110, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1999.

3 იხ. გიორგი ნიკოლაძე 120, თბილისი, 2009.

ლაკობა. ყველა გააკვირვა იმ გარემოებამ, რომ გიორგიმ და ექსპედიციის სხვა წევრებმაც ღვინო არ დალიეს. მასპინძელთაგან ზოგიერთს ეს არ მოეწონა. გიორგიმ აუხსნა საზოგადოებას, რომ ჩვენი ექსპედიციის წევრების დისციპლინის აუცილებელი პირობაა არ მივიღოთ სპირტიანი სასმელი, როცა საქმეზე ვართ. სანამ ექსპედიციას თავისი საქმიანობა-მარშრუტი არ დაუმთავრებია, ღვინოს არავინ შესვამსო.

თავის სიტყვაში ლაკობამ მოგვილოცა იალბუზზე ასვლა, განსაკუთრებით, მოიწონა ჩვენი დისციპლინა და დაუმატა: „არ მეგონა რომ ამდენი ქართველი ახალგაზრდა იქნებოდა ასეთ სუფრასთან და არც ერთი მათგანი ერთ ჭიქასაც არ გამოცლიდა... ბარაქალა თქვენს პრინციპსა და საქმიანობასო!“

გამგზავრება

1925 წლის 26 ივლისს ექსპედიცია 27 კაცის შემადგენლობით გავიდა თბილისიდან. ექსპედიციის შემადგენლობა იყო შემდეგი:

გიორგი ნიკოლაძე-ექსპედიციის ხელმძღვანელი.

წევრები: ლევან ყანჩაველი, ნიკო კეცხოველი (შემდეგში თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი), ასმათ ნიკოლაიშვილი, ლიდუსი ჩხეიძე, მარო ბეჟანიშვილი, ელისო ლორთქიფანიძე, მარო ტყავაძე, სანდრო კილაძე, ვალიკო კეთილაძე, ატო აღნიშვილი, შოთა ძაგნიძე, ლადო ფხალაძე, დევი მიქელაძე, სიმონ ჯაფარიძე, მიტო მიქაბერიძე, ვანიჩკა კუკავაძე, დიმიტრი ლოლობერიძე, ბეჟან ლორთქიფანიძე, მაგდა კლიმიაშვილი, სონია სტრავინსკაია, ირმა ხატისოვა, ვერიკო ბეჟანიძე, თამარ ჯიჯავაძე,¹ კოსტია რაზუვავეი (თბილისის კომკავშირის კომიტეტის წარმომადგენელი).

ექსპედიციის გამყოლები იაგორ კაზალიკაშვილი და გახა ნიკლაური (მთიელები) უნდა შეგვხვედროდნენ კისლოვოდსკოში, სადაც ექსპედიციას დაემატა კიდევ ერთი ჯგუფი ფროლოვის ხელმძღვანელობით და გაზეთ „იზვესტიას“ კორესპოდენტი – ა. უსაგინი.

ექსპედიციის უმეტესობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა იყო 20-22 წლის ახალგაზრდები, რამდენიმე კაცი კი ამავე უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკი: ნიკო კეცხოველი და ლევან ყანჩაველი.

თბილისიდან პიატიგორსკამდე ვიმგზავრეთ მატარებლით. იმ დროს შავი ზღვის სანაპირო რკინიგზა არ არსებობდა და ბაქოს გავლით პიატიგორსკოში ვიყავით 29 ივლისს.

მზადება

როგორც კი გადაწყდა ექსპედიციის მოწყობა იალბუზზე და სვანეთში, დამტკიცდა მონაწილეთა სია და შევუდექით მზადებას. პირველ რიგში ჩამოყალიბდა სექციები: ეთნოგრაფიული, გეოლოგიური, ფოტოგრაფიული და სხვა. თითოეულ სექციაში სამი-ოთხი კაცი იყო.

დიდი მუშაობა ჩატარდა ექსპედიციის საჭირო მოწყობილობებით მომარაგებისათვის. შედგა ზუსტი სიები ტანისამოსის, ალპინისტური აღჭურვილობისა და პროდუქტების შესაძენად.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო 1925 წელი და აღჭურვილობის შოვნა არც ისე ადვილი საქმე იყო. მარტო ნაბდები, წერაყინები, წრიაპები, ფეხსაცმელები, ზურგჩანთები 27 კაცისათვის საკმაო თანხას მოითხოვდა, ხოლო გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავროსნულ განყოფილების რესურსები ძლიერ შეზღუდული იყო. ექსპედიციაზე ფიქრი ოცნებად დარჩებოდა, რომ საქართველოს მთავრობას დახმარება არ აღმოეჩინა. საქართველოს განათლების

¹ პროფესორ ოპარაქანის მინაწერი (10.IX.2016 წ). შეიძლება გაჩნდეს კითხვა: ჯიჯავაძე ხომ არ არის ჩიჯავაძე? ამასთან დაკავშირებით პროფესორი ოლა სოსელია თავის წიგნში „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1981. გვ. 7-ზე სქოლიო 2-ში წერს: უნდა აღინიშნოს, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევრის (პ. ინგოროყვას დათარიღებით) „მატიანე სუანეთისა კრებისაში“ მოხსენიებულია „ჯიჯავა“, „ჯიჯაიძე“, მაგრამ მათ ჩიჯავაძესთან რაიმე კავშირი არ უნდა ჰქონდეთ. ამასთან ერთად, იქვე გვერდ 8-ზე ნათქვამია: ჩიჯავაძე ზოგ წყაროში „ჯიჯავაძედა“ წოდებული.

კომისარმა (იმ დროს სამინისტროების ნაცვლად კომისარიატები იყო.) დ. კანდელაკმა, გიორგის პროექტი იალბუზ-სვანეთში ექსპედიციის მონყოფაზე მოიწონა და სათანადო დახმარება გაგვიწია. კომისარიატმა 1000 მანეთი, ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ – 1200 მანეთი, კომუნალურმა ბანკმა – 500 მანეთი, საზოგადოება „ჩემომ“ – 300 მანეთი, სახმედ ვაჭრობამ უფასოდ მისცა ექსპედიციას საჭირო მედიკამენტები, საქართველოს წარმოკავშირმა ექსპედიციის საჭირო სხვადასხვა მასალები გამოყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური კავკასიონი, რომელიც უშუალოდ ეკვრის სვანეთს, შემთხვევით და მარტო სპორტული მიზნით არ ყოფილა არჩეული. გიორგის, როგორც მეცნიერს და ინჟინერ-მეტალურგს, აინტერესებდა სვანეთის ბუნებრივი სიმდიდრე-წიაღისეული, არც საკმაოდ არასაკმარისად იყო მაშინ შესწავლილი. გიორგის აგრეთვე აინტერესებდა გაცნობოდა სვანეთის ისტორიულ ძეგლებს, ზნე-ჩვეულებებს და სვანეთ-აფხაზეთის ბუნებას. ამასთან, მომავალი მუშაობის გასაშლელად საჭირო იყო დაეზვერა კავკასიონის სხვა მაღალი მწვერვალები. მთავარი სპორტული მიზანი იყო იალბუზზე მასობრივი (ჯგუფური, გუნდური) ასვლა და მთელი გზის, კისლოვოდსკიდან სოხუმამდე სვანეთის მოვლით, თითქმის 500 კმ-ზე მეტი მანძილის ფეხით გავლა.

პიატიგორსკი და კისლოვოდსკი

პიატიგორსკში ერთ-ერთი სკოლის შენობაში მოგვცეს ბინა. შედარებით კარგად მოვეწყეთ. დიდი მხიარულება იყო ჩვენს დიდსა და ერთმანეთთან წლების მანძილზე დაკავშირებულ კოლექტივში. საუბრის მთავარი თემა, რასაკვირველია, იალბუზი იყო. იმ დღეს გავეცანით პიატიგორსკს. ძალზე მოგვეწონა ცხელი აბანოები. გავიცანით ადგილობრივი ახალგაზრდობა. არ სჯეროდათ, რომ მივალწვედით მწვერვალს. ერთ-ერთმა პიატიგორსკელმა თქვა: „ქართველებს დიდი გული გაქვთ, მაგრამ იალბუზი თქვენ შუამდეც არ მიგიშვებთ.“

ამაზე ვალიკომ უპასუხა: „ჩვენ პიატიგორსკიდან უკან დაბრუნებას არ ვაპირებთ და იალბუზზე ჩვენი ასვლის შესახებ თქვენ მალე გაიგებთ.“

პიატიგორსკიდან 31 ივლისს გავედით კისლოვოდსკისკენ და იმავე დღეს იქ ვიყავით. კარგია კისლოვოდსკი! ის პიატიგორსკთან ერთად საკავშირო მნიშვნელობის კურორტია. კისლოვოდსკში ვნახეთ თითქმის ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანია, მინერალური წყლები, ლერმონტოვის ადგილები და სხვა.

კისლოვოდსკში გიორგიმ ინახულა სერგო ორჯონიკიძე (რომელიც აქ დასასვენებლად იყო ჩამოსული), რომელმაც წერილი მისცა გიორგის სვანეთის აღმასკომის თავმჯდომარესთან, რომ ჩვენთვის გაენია მაქსიმალური დახმარება. აქვე გიორგიმ ინახულა რუსეთის გეოგრაფთა საზოგადოების საპატიო წევრი, პროფესორი ანისიმოვი, რომელმაც მთელი ჯგუფი თბილად მიგვიღო და გავვიმასპინძლდა კიდევაც. პროფესორ ანისიმოვის მიერ მოწყობილ საღამოზე გავიცანი ე.წ. „გორნოე ობშესტვოს“ წევრები: ი. ფროლოვი, მასლენიკოვი და კიდევ სამი მეცნიერ-მუშაკი, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი ჩვენთან ერთად იალბუზზე ასვლის. პროფესორ ანისიმოვმა ბევრი კარგი რჩევა-დარიგება მოგვცა და გვისურვა გამარჯვება.

კისლოვოდსკი – კარმოვო

2 აგვისტო 1925 წ.

კისლოვოდსკიდან იალბუზის მისადგომამდე საკმაოდ დიდი მანძილია. საჭიროა, ყოველდღიურად 30-32 კმ მანძილის გავლა, რომ აგვისტოს შუა რიცხვებში და კიდევ უფრო ადრეც ვიყოთ იალბუზის კალთებზე. კისლოვოდსკიდან იწყება ფეხით სასიარულო მარშრუტი იალბუზისაკენ. კისლოვოდსკიდან კარმოვომდე სხვა რომელიმე დასახლებული პუნქტი არ არის. ამიტომ, საჭიროა ყოველდღიურად 45 კმ-ის გავლა. თუმცა, ფეხით სიარულის პრაქტიკა დიდი

გვაქვს და ფიზიკურადაც ამისათვის მომზადებულები ვართ, მაინც მგზავრობის დანყების პირველ დღეს, ასეთი მანძილის გავლა არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა.

დილით ადრე ავდექით. მთელი ჩვენი ბარგი, საერთო და პირადიც, მოაქვს ორ ფურგონს. გზა გადის ყაბარდოს ზეგანზე. დილიდანვე სიცხე დაიჭირა. ჩვენ სიცხეში სიარულს მიჩვეულნი ვართ, მაგრამ წინ გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობა გადაგველობა. ეს ზეგანი დაფარულია ძლიერი ბალახით. გარშემო უამრავი მწერი ირევა და მათ შორის, დიდი ბუზანკალები, რომლებიც უმოწყალოდ იკბინებიან. სულ მალე ყველას ხელში აღმოგვჩნდა ფოთლიანი კონა, რომელსაც აქეთ-იქით ვიქნევთ ბუზანკალების მოსაგერიებლად. საქმე ისაა, რომ ჩვენ ყველას მოკლე შარვლები და მოკლესახელოებიანი ზედატანი გვაცვია. ამ ბუზანკალებმა ისე შეგვანუხეს ყველანი, რომ ბედი გვანყევლინა. ამ ზეგანს ბუზანკალის ველი თუ არ ერქვა, ჩვენ დავარქვით.

გავიარეთ საკმაოდ დიდი მანძილი, გადავედით მდინარე კინმალკაზე და შემდგომ მალკის ხეობით შევედით სოფელ კარმოვოში და კიდევაც მიიწურა დღე. რასაკვირველია, ყველანი დავიღალეთ. გიორგის ბიჯზომის მიხედვით გავგივლია 48 კმ. ზოგიერთები, რომელთაც საკმაო ფიზიკური მომზადება არ ჰქონდათ ზედმეტად გადაიღალნენ, ხოლო თამარ ჯიჯავაძე, რომელიც ჩვენთან შედარებით ხნიერია, ისე გადაიღალა და დაინვა მზისგან, რომ უკან დაბრუნებაც კი განიზრახა.

კარმოვო დიდი სოფელია, სუფთა, კირით შეთეთრებული სახლებით, ჩამჯდარია მწვანეში. თავისებურად ლამაზი პეიზაჟით. უკვე ღამდება. დავბინავდით სკოლის შენობის საკლასო ოთახებში. ერთმანეთზე შევდგით მერხები. იატაკზე გავშალეთ ნაბდები და მოვენყვეთ დასაძინებლად. ძლიერ დაღლილებს, ყველას მალე ჩაგვეძინა.

ფეხით მოგზაურობის ამ პირველმა დღემ 48 კმ-ით დაგვაახლოვა ჩვენ მიზანთან.

კარმოვო – გუნდელანი

3 აგვისტო

კარმოვოდან გუნდელანისკენ ისეთი სწორი გზა არ იყო, როგორც კისლოვოდსკიდან კარმოვომდე. ხშირია აღმართ-დაღმართი, ბუზანკალები თუმცა არის, მაგრამ მნიშვნელოვნად ნაკლები. ამავე დროს, ვისაც კი ჰქონდა გრძელი შარვალი და სახელოებიანი ზედა ტანსაცმელი – ჩაიცვა. ჩვენი ბარგი ფურგონებს მიაქვთ. ფურგონების გაჩერებაზეა დამოკიდებული ჩვენი შესვენება. როცა გაჩერდება ფურგონები, ყველანი ვიკრიბებით მის გარშემო და ვისვენებთ, ვუზიარებთ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს. რაიმე განსაკუთრებული არ მომხდარა. კიდევ ერთხელ შევისვენეთ და საღამოს 8 საათი იქნებოდა რომ შევედით სოფელ გუნდელანში.

გუნდელანიც თითქმის ისეთივე სოფელია, როგორიც კარმოვო. ჩვენი „ზავზოზი“ სანდრო კილაძე, დარბის ჩვენთვის ღამის გასათევ ბინისა და ვახშმის მოსაწყობად. ჩვენ გამოჩინაზე ხალხი თანდათან მატულობს და ინტერესით გვათვალიერებს. არ მოსწონთ ჩვენი ჩაცმულობა. განსაკუთრებით, ქალების და სულ „ამინს“ იძახიან. ერთმა მოხუცმა ჩვენს დანახვაზე გადააფურთხა კიდევ. ქალები ერთმანეთთან ჩურჩულებენ და თავს აქნევენ. ჩვენ უმრავლესობას მოკლე შარვლები და მოკლესახელოებიანი ხალათები გვაცვია და არცერთ მამაკაცს ქუდი არ გვახურავს. ნიკოს, ლევანს და სხვებსაც ასე ეცვათ, მაგრამ დღეს ბუზანკალების შიშით და მზის სუსხის გამო ჩაიცვეს გრძელი შარვლები. გუნდელანელებს კი ამ სიცხეში – მამაკაცებს ჩოხა-ახალუხი აცვიათ, ხოლო ქალებს ამ პაპანაქება სიცხეში გრძელსახელოებიანი და საყელოიანი გრძელი კაბები. ყოველ გათხოვილ ქალს გულზე ვერცხლის შესაკრავი აქვს ვერცხლის ძენკვით.

საერთოდ, ყაბარდოელი ქალები ღამაზებიც არიან, უფრო რომ ვთქვათ კოხტები, ტანადი და მოძრავი. გუნდელანში პირველად დავლიეთ აირანი, ძალიან გემრიელი გამაგრილებელი სასმელია. აირანი არის რძის ნაწარმი, ჩვენებური დოს მსგავსი და თავისებურად განსხვავდება დოსგან, როგორც სასიამოვნო გემოთი, ისე გამაგრილებელი თვისებებით.

ბინა სკოლაში მოგვცეს, მაგრამ სალამო ისეთი კარგი იყო, რომ არავინ შესულა ბინაში. სკოლის ეზოში, ბალახზე გავშალეთ ნაბდები. სანამ ბინას მოგვცემდნენ, გაიმართა ცეკვა-თამაში. ყაბარდოელები კარგად ცეკვავენ. განსაკუთრებით ვაჟები, ატომ სთქვა, რომ – „ჩემის აზრით მათი ცეკვა ზედმეტად სწრაფიაო.“ როგორც კი შელამდა, ერთბაშად გაქრნენ ყაბარდოელი ქალები, მამაკაცები კი გაცხარებით ცეკვავდნენ. ნიკომ კითხა ყაბარდოელებს, მამაკაცებმა აქა-იქ იციან რუსული, სად წავიდნენ თქვენი ქალებიო. უპასუხეს, რომ დაბნელებული არა ქალი სახლში უნდა იყოსო, კარ-მიდამოს არ უნდა მოშორდესო.

დღეს, 3 აგვისტოს 32 კმ გავიარეთ – იმ დროს მანძილს ვერსობით ზომავდნენ, ყოველი 16 კმ 15 ვერსია – ე.ი. გავიარეთ 30 ვერსი და დაუუახლოვდით ჩვენს მიზანს – იალბუზს.

გუნდელანი – ბაქსანის ხეობა

4 აგვისტო

დილით ადრინადად ავდექით და გამოვედით გუნდელანიდან. სულ მალე ბაქსანის ხეობაში ვიყავით, იმ ადგილას, სადაც მდინარე გუნდელანი უერთდება მდინარე ბაქსანს. ბაქსანი ძლიერი მდინარეა, მისი სათავე იალბუზის მყინვარიდან იწყება. ბუნება შესამჩნევად იცვლება, რაც უფრო ღრმად შევდივართ ხეობაში, მით უფრო გააფრთხილებია ბაქსანი. თოთუროიანის გამოსასვლელთან გავიარეთ ე. წ. „ალქაჯთა ხიდი“, სადაც წინ გამოშვერილი კლდეებია და ბაქსანი ეხეთქება ამ კლდეებს, ქუხს!

ამ ვიწროების შემდეგ, ხეობა კვლავ თანდათან ფართოვდება. ორივე მხარეს მოსჩანს თოვლიანი მთები: მთა ტიხენგერი და უფრო მაღალი და ლამაზი მთა — იუსენგი. მარჯვნივ კლდოვანი მთებია, ხელმარცხნივ მოსჩანს პატარა სოფელი (აული). გიორგიმ ნახა რუქაზე, ეს არის სოფელი ბელიბო. აქ ბაქსანელები ცხოვრობენ.

მივინვეთ წინ, მზე საკმაოდ გადაიხარა. ცხადია, ურუსბიევოში დღეს ვერ ჩავალთ. მოგვინვეს ამ ხეობაში ღამის გათევა. შევარჩიეთ ღამის სათევად შედარებით უკეთესი ადგილი. მეფურგონებმა ცხენები გამოხსნეს. ჩვენ გავეშურეთ შეშის მოსატანად და დიდი კოცონი გავაჩაღეთ. ანეროიდი უჩვენებს, რომ ზღვის დონიდან 1 300 მეტრზე ვართ.

გამოცხადდა ყარაულობის სია. ატოს და მე 12 საათის შემდეგ გვინვეს. 12 საათზე ვანიჩკა კუკავაძემ გაგვავლიცა და შევუდექით მორიგეობას. მთვარიანი ღამე იყო, ბაქსანი ღრიალებს, ხოლო შორიდან ისმის ტურების კრიმანჭული. ჩვენი საუბარი იალბუზის გარშემო ბრუნავს. საყარაულო დრო მალე გავიდა და შევეხვიეთ ნაბდებში.

დღეს ახალი ისაა, რომ ლიდუსი ავადაა. ის გუნდელანიდან იმ ფურგონს მოჰყავს, სადაც საერთო ბარგია. იმედი გვაქვს, რომ ლიდუსი ორ-სამ დღეში კარგად გახდება.

გიორგის ბიჯზომის მიხედვით დღეს გავიარეთ 27 კმ.

ბაქსანის ხეობა – ურუსბიევო

5 აგვისტო

ხეობა უფრო და უფრო ვიწროვდება. დღეს ცოტათი წამოწვიმა. ლიდუსი ფურგონით მოჰყავთ. ასმათი და სხვა ქალები ფეხდაფეხ მოჰყვებიან ფურგონს და ართობენ ლიდუსის. წვიმამ მოიმატა და ნაბდებში გავეხვიეთ. გზად პარატა სოფელი გავიარეთ. მოგვყიდეს სრულებით უმარილო ყველი. ჯერ ყველას მოგვეწონა, შემდეგ ძალიან უგემური აღმოჩნდა, მგონი მოხდილი იყო.

ავედით ურუსბიევოში. ავედით იმიტომ ვამბობ, რომ გზა სულ მაღლა და მაღლა იწევს. ურუსბიევო რაიონული ცენტრია. საკმაოდ დიდი სოფელია. „ზავზოზმა“ სალამოს მისცა სადილის შეკვეთა. ყველაფერი კეთდება ცხვრის ხორცისგან. ჩვენმა ქალებმა სადილი დაიწუნეს – ცხვრის სუნი აქვსო. რად უნდა ლაპარაკი, ცხვრის ხორცს ცხვრის სუნი ექნება, მაგრამ ისიც მართალია, რომ აქ ყველაფერს ცხვრის სუნი აქვს.

ეზოში, სადაც ჩვენ გავეჩერდით, ბევრი ხალხია. ძალიან უკვირთ, რომ იალბუზზე ვაპირებთ ასვლას. მინგიტაუზე არავინ ასულა და ვერც თქვენ ახვალთო. მინგიტაუ არ აგიშვებთო (აქ იალბუზს მინგიტაუს უწოდებენ – ორთავას).

უკვირთ ჩვენი ჩაცმულობა. შეამჩნიეს, რომ გიორგია უფროსი და მას აძლევენ შეკითხვებს. მოსწონთ გიორგის ვაჟკაცური აღნაგობა, მაგრამ ისიც რომ ასეთი გამიშვლებულია ვერ გაუგიათ. ასეთ ვაჟკაცს რატომ აცვია ჩოხა-ახალუხის ნაცვლად ეს „სამარცხვინო“ მოკლე შარვალიო. გიორგი მიუხვდა და ეუბნება, რომ მასაც აქვს ჩოხა-ახალუხი, მაგრამ გზაში (ზაფხულში) ასე სჯობია. თვალი რჩებათ ჩვენს იარღზე, ორი კარაბინი გვაქვს. ერთი რასაკვირველია, ჩვენს ზავხოზას აქვს გადაკიდებული მუდმივად. მას ტანზედაც ჩვენგან განსხვავებული ტანისამოსი აცვია და მას უფრო ნდობით ეპყრობიან და ეს გარემოებაც უადვილებს მოლაპარაკებას პროდუქტების შექენაში.

ექსპედიციის დაწყებიდან აქ პირველად ვნახეთ ქართველები – სვანები გადმოსულან სვანეთიდან სამუშაოდ, უმეტესად მთიბავეები არიან, ხოლო ორი რაჭველი მოხელეა. მათი ნახვა ძალიან გაგვიხარდა და არამარტო ჩვენ, იმათაც. სვანების ერთმა ნაწილმა ქართული არ იცის. სვანებსაც და რაჭველებსაც ყაბარდოელები შესრულებულ სამუშაოში მოზვერს ან ცხვარს აძლევენ. ორი კვირა თიბვა – ერთი მოზვერი. სახლის აგება (სამუშალო ზომის) ოციდან ოცდაათი მოზვერი. სვანები და რაჭველები გარს გვეხვევიან და უამრავ შეკითხვას გვაძლევენ. ერთმა სვანმა ასეთი კითხვა დაგვისვა: რა გინდათ იალბუზის მწვერვალზეო. ისეთი დამაჯერებელი პასუხი ვერ მოვუნახეთ, რაც მას დააკმაყოფილებდა. ელიკომ უთხრა ეს დიდი გასეირნებაა და ჩვენთვის საინტერესოა ახალი ადგილების ნახვაო. ვანიჩკა კუკავაძემ დაიწყო ახსნა-განმარტება. მე მათი საუბარი არ მესმოდა, მაგრამ სვანის სახის გამომეტყველება ამბობდა, რომ ის არ იყო პასუხით დაკმაყოფილებული.

გუშინ ბაქსანელებმა დაგვპატიჟეს არაყზე და ძალიან გაუკვირდათ, რომ არ დავლიეთ. ნიკომ უთხრა ჩვენ ასეთი წესი გვაქვს მოგზაურობის დროს სპირტიან სასმელებს არ ვსვამთო. გაეცინათ, მაშ როგორი ქართველები ხართო. სვანებმა მოიტანეს ანწლის არაყი და გულთბილად შემოგვთავაზეს, როცა არ დავლიეთ ერთმანეთს გადახედეს და სვანურად რაღაც თქვეს. ერთი სიტყვა კი გავიგეთ, რაც ალბათ სვანებსა და ქართველ ტომებს ერთნაირი გვაქვს – „საკვირველ“. რაჭველებმა ჩვენი უარი არყის დალევაზე ასე ახსნეს – ყვინი რომ ყოფილიყო დალევენო. ჩვენ კი მოგზაურობის დროს, საერთოდ, როცა საქმეზე ვართ, სპირტიან სასმელებს არ ვსვამთ. გიორგის მიაჩნია და ჩვენც ჩაგვინერგა, სპირტიანი სასმელის დალევა, როცა საქმეზე ვართ, დისციპლინის ყველაზე მეტი დარღვევაა და აბა გიორგის ღალატს ვინ იზამს?!

ურუსბიევოში შედარებით უკეთ მოვენყვეთ. ჩვენი მასპინძელი მახაი გახარებულია. ცხვრის წყვილ კატლეტში 50 კაპიკს გვახდევინებს და აბა იანგარიშე 27-ჯერ ორმოცდაათი კაპიკი რამდენია სამჯერ ჭამისას, რამდენი მანეთი ჩაიდო ჯიბეში, მაშინ როდესაც 1 კგ ცხვრის ხორცი მგონი ერთი მანეთიც არ ღირს.

ურუსბიევოში დამთავრდა საურმე გზა. ამის შემდეგ იალბუზის მისადგომებამდე (ბაქსანელთა უკანასკნელი სამწყემსურები) აზაუს კომკამდე (სამწყემსურ ადგილამდე) საცალფეხო ბილიკია. გავისტუმრეთ ფურგონები და ხვალისათვის ვიქირავეთ თვრამეტი ვირი. ყოველი სამი ვირი ერთი კაცის ყურადღების ქვეშ იყო.

ავადმყოფ ლიდუსიას ახლა მიტო ლოლობერიძეც მიემატა. ხვალ ისინი ცხენებით წამოვლენ.

სვანებისა და რაჭველების გარდა ურუსბიევოში ვნახეთ ქართველი ქალები, რომლებიც საქართველოდან გამოუტაცნიათ. ძალიან გაგვიკვირდა, ავსტრიელი ქალის ნახვა. ავსტრიელ ქალს განსაკუთრებით სათნო სახე ჰქონდა. არც ადგილობრივი ქალები იყვნენ ულამაზონი, მაგრამ სიკოხტავით და ტანადობით სჯობდნენ კიდევაც ავსტრიელ ქალს. მაგრამ ეს ქალი მეტად კეთილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. გამოირკვა რომ პირველი მსოფლიო ომის

დროს ტყვედ მომხდარა რუსებთან, გაუცვნია ყაბარდოელი ჯარისკაცი, გაყოლია ცოლად და იმ დროიდან აქ ცხოვრობს.

აქ ყაბარდოში, სვანი დადემქელიანი ყოფილა ჩამოსახლებული, რომელსაც აქაური ქალი შეურთავს და აქ დასახლებულა. გიორგის და ნიკოს ძალიან უნდოდათ დადემქელიანის ნახვა, მაგრამ დადემქელიანი ნასული აღმოჩნდა „ნალჩიკში“.

გავიარეთ 24 კილომეტრი.

ურუსბიევო — კოჩკარიოვი

6 აგვისტო

ვირების პატრონები მეტ ქირას თხოულობენ, ვიდრე გუშინ შეთანხმდნენ და ფეხს არ იცვლიან, სანამ არ მოუმატებენ ფასს. ვაჭრობა დიდხანს გაგრძელდა და ბოლოს, როგორც იქნა ჩვენი ქარავანი დაიძრა. გარდა ექვსი კაცისა, რომლებიც ვირებს უნდა გაყვნენ, წინ მიდიან დანარჩენები და შემცვლელებიც. დასაწყისში ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ შევედით თუ არა ტყეში (გარშემო სულ ნაძვნარია), ერთბაშად შეიცვალა მდგომარეობა. ალბათ მდინარე, რომლის ხრიალიც ისმის, ხშირად იცვლის კალაპოტს, ამიტომ მთელი ტყე მოზრდილი ქვებითაა დაფარული. ვირები ქვებზე ბორძიკობენ, ხეებს ეჯახებიან, ბარგი შემობრუნდება, ვირი უმეტესად წაიქცევა, ან თუ ნახა მისაყრდენი, ხეს მიეყრდნობა. საჭიროა ბარგის ჩამოსნა და ხელახლა აკიდვა, რაც საკმაოდ დიდ შრომას მოითხოვს. ეს რომ ერთი ან ორი შემთხვევა იყოს კაცი გაუძლებდა, მაგრამ შემთხვევები გახშირდა. ვირები ტყეში გაიფანტნენ. უმეტესობა, რომელთაც ბარგი დაჯახებების შედეგად შემობრუნდებოდა, გაჩერდა და ელოდება დახმარებას. ხალხი საკმაოდ წინ არის. მარქაფში მყოფნი ჩვენ გაჭირვებას ვერ ხედავენ და ვერ გვეხმარებიან. მე მგონია, ვირებმაც ისწავლეს ჭკუა, ზოგიერთი მათგანი გეგონება საგანგებოდ გაკრავს ხეს აკიდულ ბარგს, ბარგი გადაბრუნდება, ვირი ბარგს დაანევა და ისვენებს. ბარგი უნდა მოვხსნათ და ხელახლა უნდა ავკიდოთ, რასაც საკმაოდ დიდი ენერგია სჭირდება. წაქცეული ვირების რაოდენობა იზრდება.

[ამ დროის განმავლობაში ვირი არხეინად ისვენებს ბარგზე წამონოლილი]. როგორც იყო გამოჩნდნენ ჩვენები და დაგვეხმარნენ. მალე შეაფასეს ჩვენს მიერ განეული მუშაობა, როცა წაქცეული ვირების რაოდენობამ იმატა. ახლა უკვე ორჯერ მეტნი ვართ და ძლივს ვართმევთ თავს სამუშაოს. ბოლოს, როგორც იქნა გავიარეთ ამ ტყის ქვით დაფარული ადგილი და ტყეც საკმაოდ მეჩხერი გახდა.

ბაქსანელების მთავარი შემოსავლის წყარო მესაქონლეობაა და მესაქონლეობასთან ერთად თესვენ კარტოფილს, ცოტა ქერს. მთის ნაკადულებიდან გამოჰყავთ პატარ-პატარა არხები და რწყავენ მინდვრებს. მოურწყავად აქ არაფერი მოვა. სათიბიც სარწყავია (ორჯერ ითიბება).

ბაქსანელებს აცვიათ ჩითის კაბები და კაბის ქვეშ გრძელი შარვალი, ფეხზე მესტები, მკერდზე გაკეთებული ვერცხლის ღილი ნიშნავს, რომ ქალი ქმარიანია, თუ არა და გასათხოვარია.

კაცებს აცვიათ ჩოხა, არტყიათ ხანჯალი, თავზე ფაფახი, ან უფრო ხშირად მოთელილი ნაბადის ქუდი (განიერი). მამაკაცი ქვეითი იშვიათია – აუცილებლად ცხენზე ზის და საკმაოდ შეიარაღებულია. იშვიათია ბაქსანელი, რომ არ ასრულებდეს მაჰმადიანის რჯულის კანონებს.

ურუსბიევოდან გამოვედით თუ არა, გამოჩნდა თოვლიანი მთები, ხოლო შევედით რა ტყეში, ისევ გაუჩინარდნენ. მივალწიეთ იმ ადგილს, სადაც ადილსუ ერთვის ბაქსანს. სულ მალე გავიგონეთ წინმისავლების ხმები: „იალბუზი!, იალბუზი!“ მართლაც, ჩვენს წინ იალბუზია! მე სულ სხვა წარმოდგენა მქონდა იალბუზზე. ეს ის იალბუზი არ იყო კისლოვოდსკიდან რომ სჩანდა. ეს იყო რალაც უზარმაზარი ორთვალა გოლიათი, რომელიც წამონოლილიყო ვეებერთელა თოვნულა ველზე. „არ ჰგავს ჩვენი ხევის პატარძალს“, ამბობს იაგორა. უზარმაზარი გარემო, რომელზეც წამოჭიმულია იალბუზი, საიდუმლოებებით არის მოცული. დღე სიარულ-

ში და ვირების ქარავენის მართვაში დაილია. ცხადი გახდა, რომ აზაუს კომპამდე ვერ მივალთ. ვერდებით ღამის სათევად სოფელ კოჩკაროვის მახლობლად. სოფლიდან თითქმის ყველა ჩვენთან მოვიდა. როგორც სხვებს, მათაც უკვირთ ჩვენი მოსვლა, ჩაცმულობა, ვინ ვართ ან რატომ მოვედით. ჩვენმა „ზაფხომმა“ გამართა ვაჭრობა. უკვე მოიტანეს რძე, ყველი, აირანი, და სხვა პროდუქტები. ჩვენს მარაგს ვუფრთხილდებით, უფრო საჭირო დროს ვიხმართ, როცა ახლო-ახლო დასახლებული პუნქტები და არც სამწყემსური ადგილები არ იქნება. დავბანაკდით, ვინც ვირების ქარავენს მივყვებოდით მორიგეობა არ გვინევს. ბაქსანის ქუხილი უერთდება ჩვენების სიმღერას. დაღლილებს მალე დაგვეძინა. გავიარეთ 28 კილომეტრი.

კონჩაროვო – აზაუს კომპი – კრუგოზორი

7 აგვისტო

დილით გამოსვლა დაგვაგვიანდა. ვირებზე ტვირთის აკიდებამ დიდი დრო წაიღო. როგორც იქნა დავიდარით. გამეორდა გუშინდელი ამბავი. ვირები წამდაუნუმ იქცეოდნენ, ბარგი უბრუნდებოდათ და ჩვენც გავწვალდით ბარგის მოხსნა-აკიდებაში. ზოგიერთმა თავი აარიდა ამ სიძნელეებს. აი, სად იცნობა ადამიანის ხასიათი და ადამიანობა. თბილისში ყველა კარგი იყო, აქ კი ზოგიერთი მცირე გამონაკლისის გარდა, ვერ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე.

ტყე თანდათან თხელდება, ფიჭვი იშვიათად გვხვდება, ადგილს უთმობს არყის ხეს. ტყე მნიშვნელოვნად შეთხელდა და ბოლოს ალპური მცენარეულობით შეიცვალა. მივედით აზაუს კომპი. ახლა გავლილი მანძილის კილომეტრებში გაზომვას აზრი აღარ აქვს. ეს ადგილი უკანასკნელი სამწყემსური ადგილია. ეს არის ჩვენი პირველი ბაზა იალბუზის ძირში. ამ მიდამოებში იწყება მდინარე ბაქსანი, დიდი და პატარა აზაუს და თერსკოლის მყინვარებიდან. აზაუს მყინვარიდან დავიწყებთ სიმაღლის გაზომვას ზღვის დონიდან.

აქ, აზაუს კომპი დაგვხვდნენ რუსები. ისინი, კისლოვოდსკში რომ გვთხოვეს ჩვენთან ერთად წამოსვლა იალბუზზე ასასვლელად. ჩვენზე ერთი დღით ადრე მოსულან და აქ, აზაუს კომპი გვიცდიდნენ. რუსების ჯგუფს ხელმძღვანელობს ფროლოვი. ისინიც შემოგვიერთდნენ და ჩვენთან ერთად აპირებენ იალბუზზე ასვლას.

აზაუში დიდხანს არ დავრჩენილვართ. გიორგიმ დაგვარიგა, თუ როგორ უნდა მოვმზადებულიყავით. მოგვერგო ბანდულები, რა უნდა წამოგვეღო და რა უნდა დაგვეტოვებინა პირველ ბაზაში. მოვკრიფეთ ალპური ბალახი ბანდულებისთვის, მოვირგეთ ბანდულები. ზურგჩანთიდან ამოვიღეთ სათვალეები (ულტრაისფერი სხივების სანინალმდეგო). ხვალ ისინი უკვე დაგვჭირდება. ყველაფერი რაც ასვლისათვის საჭირო არ იყო, ამოვიღეთ ზურგჩანთებიდან.

ჯერ კიდევ თბილისში იყო გადანყვეტილი, ვინ დარჩებოდა აზაუს კომპი და ვინ წავიდოდა იალბუზზე ასასვლელად. ახლა მათ რიცხვს, ვინც უნდა დარჩეს აზაუს კომპი, ემატება ლიდუსი. ეს ყველასათვის სანყენია. განსაკუთრებით განიცდიან ქალები ლიდუსის დარჩენას. აზაუს კომპი რჩებიან: თამარ ჯიჯავაძე, ირმა ხატისოვა, ბეჟან ლორთქიფანიძე, სონია სტრავინსკაია, მიტო ლოლობერიძე, ვერიკო ბეჟანიძე და მიემატა ლიდუსი ჩხეიძე. რუსებიდან რჩება დრიაგინი.

გამომშვიდობებისას, ქალებმა ბევრი ცრემლი დაღვარეს. მართლაც, დასანანი იყო ლიდუსის დარჩენა. ვინც უნდა დარჩენილიყო ისინიც სთხოვენ გიორგის წაყვანას. აი, როგორ აღწერს გიორგი ამ ამბავს:

„მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ თბილისში იყო გადანყვეტილი ვინ უნდა დარჩენილიყო აზაუს კომპი, ყველა ცალ-ცალკე მეხვეწება მეც წამიყვანეო. მე საშინლად მეცოდებიან ისინი, მაგრამ ძლიერ მკაცრად მიჭირავს თავი, რათა სისუსტე არ ვაგრძნობინო. მე ვერაფერი ვუთხარი ლიდუსის. თითქოს ვერ ვამჩნევ. სანყალმა ლიდუსიმ თავი ვერ შეიკავა და ქვითინით ტიროდა. ცოტა გზა რომ გავიარეთ, დავინახე ლიდუსი უკვე დამშვიდებული მორბოდა ჩემსკენ. გამოვემშვიდობე... ამის შემდეგ უკან არ მომიხედია ისე გავწიეთ წინ.“

მივყვებით ბილიკს ზევით, „კრუგოზორისაკენ“. დაინყო აღმართი, ავდივართ „კრუგო-ზორზე“. ჩვენს წინ გადაიშალა იშვიათი სანახაობა. აი, როგორ აქვს აღწერილი ნიკო კეცხოველს ეს ადგილი: „ბევრჯერ მივლია ჩვენ მთებში, მაგრამ ამისთანა სილამაზე იშვიათად მინახავს. კავკასიონის მცირე ნაწილი მოსჩანს, მაგრამ რაც მოსჩანს, ის იშვიათი ლამაზია, ლამაზია მეტადრე ხოტიტაურ მყინვარებით. ლამაზია და ფრიალო, კოპნია, მარადი თოვლითა და ყინულით შემოსილი, შემკული, ჩამავალი მზის სხივებით ათასნაირად შეფერადებული.

„ჰაუ, კავკასიულის ქედო! რამდენი რამის მომსწრე ხარ, რამდენ გრიგალს გადაუვლია შენს თავზე! მაინც ასე ამაყად, მედგრად იმზირები და გინდა, სულით გინდა, შენც ასეთი ამაყი, ასეთი ბუმბერაზი იყო!“

ყველანი ერთ ადგილზე მოვგროვდით გიორგისა და ნიკოს გარშემო. აქ არიან ფროლოგი და მისი ჯგუფი. დიდხანს ვუყურეთ კავკასიონს, იალბუზი ჩვენს უკანაა და ჯერ არ ჩანს, ეფარება მისივე ფერდობებს.

დავდგით კარვები, ავადუღეთ ჩაი სპეციალურ ქურაზე და სიამოვნებით დავლიეთ. კარავში 5 კაცი ეტევა, მაგრამ ერთდროულად ხუთივეს შესვლა და დანოლა არ ხერხდება. თითოეული ცალ-ცალკე უნდა შევიდეს, ჩაიცვას თბილეულები (ნაცვლად გახდისა) ფეხზე ორი წინდა, რომ გაუძლოს ლამის ყინვას. ყველაფერს ამას საკმაო დრო სჭირდება.

რამდენიმე სიტყვა ჩვენ გამყოლებზე:

გახა ნიკლაური და იაგორა კაზალიკაშვილი მთიულებია. მათ საკმაო გამოცდილება აქვთ მთაში სიარულის. რამდენიმეჯერ არიან ასულები მყინვარებზე (ყაზბეგი), მაგრამ კავკასიონის გადაღმა არ ყოფილან და ეს ადგილები მათთვისაც ისევე უცნობია, როგორც ჩვენთვის. გიორგის უნდა, მესამე ადგილობრივი გამყოლის აყვანა, მაგრამ ადგილობრივი მცხოვრებლებიდან გამყოლად არავინ გვთანხმდება. ადგილობრივები დაგვეთანხმნენ მხოლოდ ბარგის მზიდავობაზე, ისიც მხოლოდ თერთმეტის თავშესაფრამდე. მათ უნდა აიტანონ საერთო ბარგი, ჯერ „კრუგოზორზე“, შემდეგ თერთმეტის თავშესაფარზე.

„კრუგოზორიდან“ თერთმეტის თავშესაფრისაკენ

8 აგვისტო

მშვენიერი დილა გათენდა. ბევრი ჩვენგანი ძალიან ადრე გამოვიდა კარავიდან. გიორგი, ნიკო, ლევანი, ატო, სიმონი, ლადო, ვანიჩკა, სანდრო, ვალიკო და მე ვდგავართ და ვტკბებით უჩვეულო სანახაობით. ყოველ წამს იცვლება კავკასიონის ხედის სურათი. ხალხი თანდათან მატულობს. აჰა, ჩვენი ქალებიც მოვიდნენ და როგორც ეს გუშინ საღამოს იყო, ვუყურებთ ბუნების ამ სიმშვენიერეს. ეხლა კი დაბეჯითებით ვიცი, რომ ეს იშვიათი სანახაობა, რაც ასე ძლიერ გვიზიდავს, ბუნებაა და ჩვენი მისი ნაწილი ვართ! ასეთი იშვიათი სანახაობა ადამიანში ქმნის სურვილს, პირველად დაადგას ფეხი იქ, სადაც ჯერ არავის დაუდგამს. გიორგიმ გასცა განკარგულება და ყველანი ავმოდრავდით თერთმეტის თავშესაფრისკენ.

არ იქნება ზედმეტი, განვმარტოთ თუ რატომ ჰქვია იმ ადგილს თერთმეტის თავშესაფარი, ხოლო „კრუგოზორი“ ეს რუსული სიტყვა თავისთავად ხსნის ამ ადგილის სახელს. მართლაც ამ ადგილებიდან, „კრუგომ“, ყველაფერი გარშემო დიდებულიად ჩანს. თერთმეტის თავშესაფარი იალბუზის ფერდობზეა 4 100 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. აქ, რუს მოგზაურებს, რომელთაც უცდიათ იალბუზზე ასვლა და ცუდი ამინდის გამო ვერ ასულან, თავი შეუფარებიათ ამ ადგილზე, კლდეების ძირში. ისინი თერთმეტნი ყოფილან და ამ ადგილს თერთმეტის თავშესაფარი ეწოდა.

მივდივართ აუჩქარებლივ. შევუდექით აზაუს მყინვარის მორენას. ერთმანეთს მივსდევთ რიგში. ჩვენ ბანდულები გვაცვია. ბანდულს აკეთებენ გამოყვანილი ტყავისაგან, როგორც ქალამანს, რომელსაც ძირი ბადისებურად ისეთივე ტყავისაგან აქვს დაბანდული. შიგ ჩაგებულია ალპური ბალახი. ძალზე მსუბუქია და ნაყარ ქვებზე ადვილი სასიარულოა. ეს ფეხსაცმელი

მთიელი მონადირეების მოგონილია. რუსებს აქვთ მძიმე, ალპური ნალები ან კბილიანი ფეხსაცმელი. მათი მთავარი ნაკლი – თუ თოვლი მშრალი არ არის და თოვლზე გვიხდება სიარული, ფეხი ადვილად სველდება. თუ მზიანი ამინდია და თოვლმა დნობა დაიწყო, მაშინ ალპური ფეხსაცმელი მიუხედავად სიმძიმისა, უკეთესია.

თბილი ტანისამოსი, რომელიც ღამით გვეცვა, დილით გავიხადეთ და ზურგჩანთაში ჩავალაგეთ. შედარებით მსუბუქად გვაცვია, დრო კარგია! მზე წვავს სახეს. მცინვარის ერთი მორენიდან მეორეზე გადავდივართ, თოვლზე სიარულს ვერიდებით, რადგან შესაძლოა თოვლით დაფარული ნაპრალები იყოს. სიფრთხილეა საჭირო! ბოლოს ქვის ნაყარი გათავდა და გადავედით თვალუნვდენელ, ზღვასავით გაშლილ, დაფერდებულ ე. წ. ფირნის ველზე, რომელიც თოვლით დაფარულ ყინულის ზედაპირს წარმოადგენს. თოვლი აქ ძალიან წვრილი ნაწილებისგან შედგება. ყველამ გაიკეთა შავი სათვალე ულტრაიისფერი სხივების სანინალმდეგოდ. სიარულში კარგად დაგვცხა. მზე საშინლად წვავს. ფირნის ველზე პირველად შევისვენეთ თითქმის 15 წუთი და განვვადრეთ გზა, კარგა ხანს ვიარეთ.

ერთმანეთს მივსდევთ რიგში. რატომღაც ყველა ჩუმდაა, როცა ბაქსნის ხეობაში მოვდიოდით ვმღეროდით, ვიცინოდით, ვხმაურობდით, აქ კი ჩუმად მივდივართ. რასაკვირველია, ბაქსნის ხეობისგან განსხვავებით აქ დიდი სიმაღლეა და ამასთან ერთად მაშინ ჩვენი ზურგჩანთები ფურგონებს მოჰქონდათ. ეხლა კი ზურგჩანთა საკმაოდ დატვირთულია და მხრებზე გვანვება.

კარგა მანძილი გავიარეთ. გამოჩნდა თერთმეტის თავშესაფარი. ის საკმაოდ შორსაა, მაგრამ თერთმეტის თავშესაფრის გამოჩენამ ყველანი გამოგვაცოცხლა, ძალა მოგვმატა და გავგახალისა, ყველა აგვალაპარაკა, სანდრო წინაა და ყვირის „აი, ხედავთ იმ კლდეებს? ის არის თერთმეტის თავშესაფარი. აუ, რა ლამაზია! აუ, რა შორსაა!“ თანდათან ვუახლოვდებით. თუმცა, დარი კარგია, იალბუზი ჯერ არ ჩანს. ყველანი ძალიან დაღლილები ვართ, ფირნის ველზე სიარული საკმაოდ ძნელი ყოფილა და რაც მთავარია, ფეხები დაგვისველდა. როგორც იყო მივედით. პირველ რიგში მოვიხსენით ჩანთები და იქვე დავეყარეთ, რომლებიც ასე გვამძიმებდა. გავიხადეთ ბანდულები და ჩავიცვით მშრალი წინდები, რაც ძალიან გვესიამოვნა.

გავიხედე ფირნის ველზე – ჯერ კიდევ ბევრნი არიან ფირნის ველზე. ზოგნი საკმაოდ შორსაც, ნელ-ნელა გვემატებიან ფირნის ველიდან ამოსულები. ფრილოვის ჯგუფიდან ორნი თოვლზე სხედან, ერთი მათგანი მზიდავებს უკან გაჰყავა აზაუში, როცა ცოტა სული მოვითქვით, ზევით ავხობდით კლდეებზე და ჩვენ წინ გადაიშალა კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილი. აუღწერელი სილამაზით! თავისი მწვერვალებითა და მცინვარებით! რომელსაც იალბუზი თავისი კალთების გაგრძელებით უზარმაზარი ყინულოვანი ველით უერთდება კავკასიონის მთვარ ქედს. თუ „კრუგოზორიდან“ ჩანდა კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილის გარკვეული ხედი, თერთმეტის თავშესაფრიდან ხედის პანორამა გადაიშალა, როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ, თვალწარმტაცია ეს სანახაობა! თან ისე მგონია უკნიდან იალბუზი გვიყურებს. როცა უკან გავიხედე იალბუზისაკენ, ორთვალა გოლიათი ზედ მთელ კავკასიონის ქედს დაჰყურებს. როდესაც ფირნის ველზე მოვდიოდით, იალბუზი არ სჩანდა, ღრუბლებში იყო გახვეული, ხოლო ბაქსანის ხეობიდან პირველად რომ დავინახეთ, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორც ეს თერთმეტის თავშესაფრიდან.

კავკასიონის მთავარი ქედის სანინალმდეგოდ, ქედიდან 12 კილომეტრის დაშორებით აღმართულია ორთვალა ბუმბერაზი. განცალკავებით, თავისი უზარმაზარი თოვლიანი ველეებით და მრავალი მცინვარით. ექვსი დღე განუწყვეტელი სიარულისა კოსლოვოდსკიდან 4 100 მეტრ სიმაღლეზე ვართ ზღვის დონიდან, ჩვენ საიერიშო ბაზაში თერთმეტის თავშესაფარში. აქედან შვეული სიმაღლე 1 530 მეტრია კიდევ იალბუზამდე. (ე.ი. რომ დავდგათ შვეულად კიბე – ეს კიბე კილომეტრ ნახევარზე მეტი იქნება).

გიორგიმ გასცა განკარგულება, მოვმზადებულიყავით საიერიშოდ. ბანაკიდან გასვლა დაინ-

იშნა დილის 5 საათისთვის. საჭირო იყო მომზადება და რაც მთავარია გამოძინება, რომ იერი-შისათვის საკმაო ძალ-ღონე გვექონოდა. პირველ რიგში, ბანდულებში ახალი ბალახი ჩავაფინეთ, რომელიც წამოღებული გვექონდა ახალს კომპიდან. გავამზადეთ წრიაპები. ჩავიცვით თბილი ტანისამოსი, გავამზადეთ დილისათვის სახელდახელო საუზმე. ჯიბეში ჩავიდეთ შიკოლადის ულუფა. გავამზადეთ სათვალეები. შევედით კარავში და დავწექით. ჩვენი ფიქრები იალბუზს და ხვალინდელ დღეს უტრიალებს – როგორი დარი იქნება? გავიდა თითქმის ერთი საათი, არ გვეძინა. „არ გძინავს?“ ვეკითხებით ერთმანეთს. საჭიროა დაძინება, როდის როდის ჩავვეძინა. ძლიერმა ქარმა გამოგვალვია. „ნახდა საქმე“! თუ ამინდი არ დადგა, ვერ ავალთ. გვექნება თუ არა დრო და საშუალება, რომ გამოდარებას დავუცადოთ?... პროდუქტები სამ თუ ოთხ დღეზეა გათვალისწინებული. გიორგიმ გადაწყვიტა „უნდა დავძლიოთ ყოველგვარი წინააღმდეგობა და ხვალ უნდა ავიდეთ იალბუზზე“!

ციტათი ქარი შეწყნარდა და არც კი ვიცი, როგორ ჩამეძინა.

პირველი შეტევა

9 აგვისტო

დიდი ხნის გამოღვიძებული ვიყავი, მაგრამ წასვლის განკარგულება ჯერ არ იყო გაცემული. მალე გამოირკვა, რომ მივდივართ და ატყდა ჟრიაბული. ყველანი გამოვედით კარებიდან, გავისწორეთ ბანდულები, წრიაპები. მზად ვართ გასასვლელად. აი, გავიდა ჩვენი გამყოლი გახა ნიკლაური და გაჰყვა მას 4 ქალი: ასმათი, მარო ბეჟანიშვილი, მარო ტყავაძე და ელიკო. ქალებს რიგში მივსდევთ ვაჟები. მსვლელობის რიგს კეტავს მეორე გამყოლი იაგორ კაზალიკაშვილი. ექვსის წუთებია.

მივდივართ ნელა. განწყობა კარგია. ქარი ცოტათი უბერავს. თანდათანობით მივინვეთ წინ და ქარიც ცოტათი მატულობს. ჯერ კიდევ 15 წუთი არ იყო გასული ჩვენი გამოსვლიდან, რომ ფროლოვის ჯგუფის ერთი წევრი ცუდად გახდა და უკან, თერთმეტის თავშესაფარში ბრუნდება. არ გასულა კიდევ 10 წუთი და ვალიკო კეთილად თანდათან უკან რჩება. რამდენიმეჯერ ჩაჯდა კიდევაც თოვლში. ამ ამბავმა შეგვანუხა. ეს კაჟივით მაგარი კაცი სხვებზე უფრო მეტად დაჩაგრა მთის ავადმყოფობამ. გიორგიმ უბრძანა ვალიკოს დაბრუნებულიყო უკან, სანამ დიდი მანძილით არ ვიყავით დაცილებულნი თერთმეტის თავშესაფარს. ვალიკო მერყეობს, მაგრამ ბოლოს მაინც ბრუნდება. დავიძარით. ქარი უფრო გაძლიერდა და ქარბუქად გადაიქცა. ამინდი ძალზედ გაფუჭდა. ქარს თოვლი იქით-აქეთ დააქვს და საშინლად ღმუის, სტვენს (როგორც შემდგომში გამოირკვა, ქარის ზმუილის, სტვენის მიზეზი ყოფილა ბამბუკის ჯოხების ზედა ნაწილის სიცარიელები, რომლებშიაც როგორც სტვირში, ქარი უბერავდა და სტვენდა. ხოლო ბამბუკის ჯოხები, ნაცვლად წერაყინებისა, ფროლოვის ჯგუფის წევრებს ჰქონიათ). შესვენებისას მოეწყო სახელდახელო თათბირი. გიორგიმ, იაგორამ და გახამ გამოიტანეს დასკვნა, რომ კიდევ ნახევარი საათი ევლოთ, იმ იმედით, რომ შეიძლება ქარი ჩადგესო. მოულოდნელად, ატომ, რომელიც თავს კარგად გრძნობს, განაცხადა უკან დაბრუნებაზე, რადგან დედას შეპირებია – თუ ცუდი ამინდი იქნება, იალბუზზე ასვლას არ ვცდიო. ამდენად, ატო დაბრუნდა უკან და მას გაჰყვა მიტროც. ამ შეჩერებაზე გიორგი შეეკითხა გახას: „საქმე რომ ნახდეს და ბურუსმა და ქარმა იმატოს, შეძლებ თუ არა ბანაკისკენ გზის გაგნებასო“ – „არხეინად“ – უპასუხა გახამ და დაუმატა – „შეიძლება ქარბუქი ჩადგეს და ცოტა კიდევ ვიძინოთო“ – ე.ი. წავიდეთო.

მაგრამ იალბუზმა არ გაგვიშვა. ახლა უკვე ქარბუქი გარშემო თოვლს დიდი სისწრაფით ატრიალებს, – ხან წინ გაისროდა თოვლის ფარდას და გზას უჩინარს ხდიდა, ხან გვერდით და ხან უკან. ექსპედიციის წევრები ერთ ნაბიჯზედაც კი არ სჩანან. ასეთი დიდი წინააღმდეგობის გამო, 4600 მეტრი სიმაღლიდან (ზღვის დონიდან) იძულებული შევიქენით დაგვეწყო უკან დახევა. აღმოჩნდა, რომ „პასტუხოვის ნაბინავარზე“ მივსულვართ, სწორედ აქ დასრიალებია

ფეხი სანდრო კილაძეს ყინულზე და ბედზე, წინ მდგომებს უცდიათ მისი შეჩერება. რადგან ქარბუქი დიდი ყოფილა, ხოლო ხილვადობა – ძალიან ცუდი, მათ ვერ მოუხერხებიათ თოკის მიწოდება. კიდევ კარგი, თვითონ სანდროს უმარჯვია, ჩაუსვია წერაყინი თოვლყინულაში და შეუჩერებია სრიალი. წინმიმავალის გარდა, არავის დაუნახავს. გავიგეთ მხოლოდ ყვირილი. დაბრუნების საკითხი გადანყდა. ნელ-ნელა ჩამოვედით პასტუხოვის ნაბინავარიდან“ და დავინწყეთ უკან დაბრუნება, რაც არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ფროლოვის ჯგუფის რამდენიმე წევრი და მათთან სიმონ ჯაფარიძეც შეეცადნენ გზის გაგრძელებას, მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ, ფროლოვის ჯგუფიც უკან დაბრუნდა. „პასტუხოვის ნაბინავარამდე“ ვერტიკალით 500 მეტრია. ზევით ასვლას 2,5 საათი მოვანდომეთ, უკან კი 1,5 საათიც არ დაგვჭირვებია ისე მიგვიყვანა გახამ თერთმეტის თავშესაფარში, – ამ ბურუსს და ქარბუქში, ყოველგვარი ხიფათის გარეშე.

მოვედით თუ არა თერთმეტის თავშესაფარში, დაგვხვდნენ ცხელი ჩაით და ყავით. შევედით კარვებში და შევუდექით საუზმეს. გიორგიმ გამოაცხადა „დაველოდებით კარგ ამინდს და სანამ არ ავალთ იალბუზზე, აქედან ფეხს არ დავძრავთო.“

ამისათვის საჭირო გახდა, რომელიმე ჩვენგანი ჩასულიყო აზაუში, დაეჭირა მზიდავები და ამოეტანა საჭირო რაოდენობით პროდუქტი – 4-5 დღის სამყოფი მაინც. ყველა საშინლად დაღლილია და ერთმანეთს ვუყურებთ. ატომ გამოაცხადა, რომ ნავა აზაუში და ამოიტანს პროდუქტს. ეს დიდი ვაჟკაცობაა, მართლაც ატოს საქციელს გიორგიმ შემდგომში რაინდობა უწოდა. ატოსთან ერთად, ფროლოვის ჯგუფმაც გადანყვიტა აზაუში ჩასვლა. ისინი გვემშვიდობებიან საბოლოოდ. მათი იალბუზზე ასვლის ცდა დამთავრდა.

ამჯერად, იალბუზზე ასვლას კარგი ამინდის ლოდინი ესაჭიროება. ახლა, გარდა ვაჟკაცობისა, გამძლეობისა და ნებისყოფისა, თურმე უფრო მთავარი ყოფილა პროდუქტები. საჭირო პური, ყველი, შაქარი, ჩაი, ყავა, დაყურსული რძე, ცხიმები და ბევრი სხვა რამ. თუ დიდხანს დაგვჭირდა ცდა? ჩვენ ხომ ორი-სამი კაცი არ ვართ? ახლა როცა ზოგიერთი გამოგვაკლდა, კიდევ 19 კაცი ვართ. საკმაოდ ბევრი პროდუქტია საჭირო, რომ 19-მა კაცმა, აღსავსე ძაღლით, სურვილით, პირველი დამარცხების გემოთი და სიჯიუტით, ავიდეთ იალბუზზე. როგორც გიორგიმ თქვა, მანამდე ფეხს არ გავდგამთ აქედან, სანამ არ ავალთ. ახლა ატოზეა დამოკიდებული, არ დაყოვნდეს. ხვალ თუ არა ზეგ მაინც, ამიტომ უნდა ამოიტანოს პროდუქტები.

ამრიგად, დავრჩით თერთმეტის თავშესაფარში, 4100 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, უკანასკნელ ბანაკში იალბუზის დასალაშქარავად. დაიწყო ამინდის ლოდინი, რათა ერთი გასვლით ავიდეთ იალბუზზე და იმავე დღეს მოვასწროთ უკან დაბრუნება. მაგრამ ერთი კვირა რომ არ გამოიძაროს?. ახლა, პირველ რიგში, უნდა გვექონდეს ლოდინის ნებისყოფა და რასაკვირველია, პროდუქტიც.

ანეროიდის ჩვენება სულ დაბლა და დაბლა იწევს. საიმედო არაფერია. რამდენჯერმე გამოვედი კარავიდან ანეროიდზე დასახედავად. გარშემო ქარის, თოვლისა და ნისლის გარდა, არაფერია. აუტანელი, ძვალ-რბილში გამტანი სიცივეა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან თბილად გვაცვია. ვიძინებთ ამინდის მოლოდინში. უკვე ორი დღე-ღამე შესრულდა, რაც თერთმეტის თავშესაფარში ვართ 4100 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

შეტევის მეორე დღე – ლოდინი

10 აგვისტო

გათენდა. ისეთი დარი არ არის, რომ ასვლა შეიძლებოდეს. კავკასიონის ქედზე ღრუბლები სქელ ფენად არის დალაგებული. მაინც ლამაზი სურათია. ქედი მთლიანად ღრუბლებშია, მხოლოდ ის მწვერვალები სჩანს, რომელთა სიმაღლეც დიდია. ისეთი შთაბეჭდილებაა, ვითომცდა ზევით ჩამოდგმულია მწვერვალის ნაწილები, გადაჭრილი კონუსის მსგავსად. ქვევით ყველგან ღრუბელია. იალბუზი უნაგირამდე გახვეულია ღრუბლებში, ხოლო მისი ორივე მწვერვალი,

უკეთ რომ ვთქვათ, ორივე კუზი — კარგად ჩანს. ეტყობა 5000-5200 მეტრზე ღრუბელი არაა, მაგრამ ჩვენ საქმეს ეს ფაქტი არ შველის. ანეროიდის ისარი სულ ქვევით და ქვევით ინევს. დაიწყო სეტყვა. სეტყვა მალე შეიცვალა თოვლით. თოვლი აქ ძალიან წვრილი მოდის, ამ სიმაღლეზე ბარდნა არ იცის.

ყველას თვალი ფიენის ველისკენ გვიჭირავს. ატო თუ არ ამოვიდა პროდუქტებით, ჩვენი საქმე ცუდადაა. პირველ რიგში პური გვაკლია. გათავდა შაქარიც. დარჩენილია ცოტა პასტილა და შოკოლადი. ცოტა-ცოტა სხვა პროდუქტების ნარჩენებიც მოიპოვება, მაგრამ 19 კაცი ვართ და ნარჩენების იმედით შორს ვერ წავალთ. საჭიროა, ჰორიზონტზე ატო გამოჩნდეს, პროდუქტებით. უკვე ოთხი საათი დაიწყო, მაგრამ არავინ ჩანს. სრულდება 4 საათი. ფრინის ველზე შორს გამოჩნდა შავი წერტილები, რომლებიც თანდათან იზრდებიან. ბოლოს, ამოვიდნენ მზიდავები, ამოიტანეს პროდუქტები. ერთ-ერთმა რომელმაც რუსული იცოდა, სთქვა, რომ უკან ორნი მოდიან. მართლაც, გამოჩნდა კიდევ 2 წერტილი, რომელიც დურბინდით იცნეს. ერთი იყო ატო, ხოლო მეორე ... როცა ამოვიდნენ, მეორე ლიდუსი აღმოჩნდა. ყველას ძალიან გაგვიხარდა.

ამინდი კიდევ უფრო გაუარესდა. ღრუბლებსა და თოვას, ქარიც დაემატა. ჩვენ ყველანი კარგ გუნებაზე დავდექით. პროდუქტები გვაქვს და კარგი დარის ლოდინი შეიძლება. ბანაკში უსაქმოდ არავინ არის. ნესრიგში მოსაყვანია საჭურველი, გასარემონტებელია ბანდულები და სხვა. ჩვენ ბანაკში გამოცხადებულია შეჯიბრი ჭადრაკში. გამარჯვებული, იალბუზზე ეთამაშება გიორგის. თამაში ბევრია ჩაბმული, მაგრამ უკვე ბევრიც გამოვიდა თამაშიდან. წარმოებს გადამწყვეტი პარტიების გათამაშება. ჩქარობენ. თუ ხვალ კარგი დარი იქნა, უნდა ვიცოდეთ, ვინ ითამაშებს გიორგისთან.

ლოდინის მეორე დღე

11 აგვისტო

კვლავ ცუდი ამინდია. კავკასიონის ქედიდან ქრის ქარი და მთელი მიდამო, იალბუზის გარშემო დაფარულია ღრუბლებით. ღრუბლები ძალიან დაბლაა და ყველა ერთი მიმართულებით — იალბუზისაკენ მოძრაობს. ასვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მოვიდა სეტყვა. დაიწყო ჭექა-ქუხილი. ამ სიმაღლეზე, ღრუბლებთან ახლოს, ამდენი წერაქვი, წრიაპი და სხვა რკინეულობა საშიშია, არ გახდეს ეს მეხის დაცემის პირობად. გაიცა განკარგულება — „ბანაკის გარეთ, რაც რკინეულობაა!“ წერაქვები, წრიაპები, რკინის პალოები კარვებისათვის, რკინის სამაგრები, და ბოლოს, ქალებმა „შპილკებითაც“ გაადიდეს რკინეულობის გროვა და გავიტანეთ ყველაფერი ფრინის ველზე, ბანაკის გარეთ. ჭექა-ქუხილმა კარგა ხანს გასტანა და ძალზე ძლიერი იყო. მეხი შეიძლება დაეცეს სრულებით მოულოდნელ ადგილას. მოკლას კიდევ ადამიანი. ასეთი შემთხვევები ცოტა არ ყოფილა.

ჭექა-ქუხილი შეწყდა, მაგრამ თოვს ძალიან წვრილად. დროდადრო სეტყვაც მოდის. კარვებში ვართ და ვსაუბრობთ. ნუთუ არ გამოიძარებს და დიდხანს დაგვჭირდება ლოდინი? გამოითქვა აზრი — სამ დღეზე მეტია რაც ვართ ამ სიმაღლეზე, ხომ არ იმოქმედებს ეს ჩვენზე და ხომ არ შეგვიშლის იალბუზზე ხელს? გიორგის აზრით, რაც უფრო შევეჩვევით გათხელებულ ჰაერს, მით უფრო უკეთესია. მართლაც, 9 აგვისტოს პირველი იერიშიდან დაბრუნების შემდეგ, მთის ავადმყოფობა არავის დამართნია. ყველანი უკეთესად ვგრძნობთ თავს. მათ შორის მეც: პირველად, როცა თერთმეტის თავშესაფარში ამოვედი, გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, ეხლა კი თუმცა ცოტა აჩქარებულად მუშაობს, მაგრამ თავს კარგად ვგრძნობ.

თანდათან კარვებში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ქალების კარვიდან ისმის სიმღერები მარო ბეჟანიშვილის ხელმძღვანელობით. გიორგის მიერ გაფრთხილებული ვართ, ვიყოთ ნომერ პირველ მზადყოფნაში იალბუზის საიერიშოდ.

„მივდივართ! მივდივართ! ჩქარა ადექით! „გაისმა დილით ძახილი და შეიძრა ბანაკი. ვცდილობთ, სწრაფად მოვემზადოთ. 5 საათია... მზად ვართ გასასვლელად. ცოტა შევნაყრდით და გავედით.

ნინ პირველი გამყოლი – გახა ნიკლაურია. მას მისდევს რიგში ხუთი ქალი, შემდეგ ვაჟებია და ჩამკეტად – იაგორა კაზალიკაშვილი. ქარი უმნიშვნელოა და რაც მთავარია, ყველა თავს გაცილებით კარგად (უკეთ) გრძნობს, ვიდრე 9 აგვისტოს. ეტყობა, ამ ოთხი დღის განმავლობაში ორგანიზმი შეეჩვია გათხელებულ ჰაერს.

მწვერვალი ნისლშია გახვეული. კავკასიონის ქედისკენ ცა მოწმენდილია. თოვლ-ყინულა ველი ღამე გაყინულა და კარგი სასიარულოა. პასტუხოვის ნაბინადრამდე სრულებით თავისუფლად მივედით, ყოველგვარი ჩამორჩენისა და მთის ავადმყოფობის გარეშე. თუ 9 აგვისტოს ამ გზას 2 საათნახევარი მოვანდომეთ, ახლა ერთი საათნახევარიც არ დასჭირდა. პასტუხოვის ნაბინავარზე კარგად დავისვენეთ და განვაგრძეთ გზა.

დაიწყო ნაპრალები, რომელსაც გახა გვერდს უვლის, ამიტომ დიდხვეულებს აკეთებს. ყოველ 10 წუთში და ხანდახან 5 წუთშიაც ვისვენებთ. ამ დასვენებებზე უნდა მოვასწროთ ძალღონის მოკრეფა, რაც უნდა გვეყოს შემდეგ დასვენებამდე. თავს ჯერჯერობით კარგად ვგრძნობ. გახამ თოკი გაშალა და თოკის ყულფში მხარი გაუყარა, რადგან გზად თოვლით გადაფარებული ნაპრალებია. ზოგიერთი არ არის დიდი სიგანის და დამლელი შემოვლის ნაცვლად გადავდივართ ნაპრალებზე.

აქ თოკის გამოყენება აუცილებელია. ყველას თოკზე გვიჭირავს ხელი. მალე უხიფათოდ მივადექით ვულკანური კლდეების ნატეხებს. აქ ქარმა იწყო გაძლიერება. გახამ ორი დასვენების შემდეგ თოკი აკრიფა და პიდაპირ მწვერვალისაკენ გასწია.

დასვენება მნიშვნელოვნად გაიზარდა, ყოველ 5 წუთში ვისვენებთ. აქ თოვლი თავისებურად აძნელებს მოძრაობას, ფეხი ცურდება. გავიხედე ქვევით, ფერდობიდან ველამდე ნისლია ჩანოლილი და ზევით მოიწვეს. არც მწვერვალი ჩანს. აღმართზე სიარული გაძნელდა. დაქანებაზე თრთვილისმაგვარი დაყინული თოვლია მარცვლის სახით. ფეხს რომ ადგამ, იშლება. ფეხი სრიალებს.

მე წრიაპი შემობრუნდა, საჭიროა გასწორება. ეს ადვილი საქმე არ არის. ნავიძვრე ხელთათმანები, მაგრამ წრიაპის შემობრუნება ვერ შევძელი. ვფიქრობ, მოვისხნა და ხელახლა გავიკეთო, ვაითუ ვერ შევძლო. ატომ დამიძახა – „რატომ დაჯექიო?“ ვუჩვენე ხელით რაც დამემართა. ატო და ლადო დამეხმარნენ და როგორც იქნა შემოვებრუნე წრიაპი. უწრიაპოდ კი აქ სიარული არ შეიძლება, ვერცერთ ნაბიჯს ვერ გადადგამ. თოვლი დიდი სიღრმით ფხვიერია და წრიაპიანი ბადური ძლივს გვიჭერს დასრიალებისგან.

ნინ ნელ-ნელა მივიწვევთ. მარო ბეჟანიშვილსაც შეუბრუნდა წრიაპი და ეხმარებიან. ამის გამო დასვენება ცოტა უფრო გრძელი გამოდგა და უკეთ შევისვენეთ, მაგრამ რატომღაც სიცივემ ერთბაშად მნიშვნელოვნად იმატა. გზაც არ თავდება. ანეროიდი უჩვენებს 5 450 მეტრს. დარჩენილია 80 მეტრი. შევეული მიმართულებით ეს საკმაოდ დიდი სიმაღლეა და მანძილი ხო – მეტად უფრო. გახა ხშირ-ხშირად გვასვენებს. რიგი ძალიან გაიჭიმა. ვალიკო კეთილადვე ვერ არის კარგად და ჩაჯდა. გიორგიმ დაავალა იაგორას – არ მოშორდეს ვალიკოს და კარგად დაასვენოს და თუ შეძლებენ მასთან ერთად ამოვიდეს. ატოს ვეკითხები: „როგორ ხარ?“ – რაზედაც საპასუხოდ გამართულ დიდ თითს მიჩვენებს.

სანდრო და კოსტიაც ზედმეტად მოღუნულები მოდიან, ეტყობათ დაღლილები არიან და თავს ძალას ატანენ. მივდივართ ნინ. რაღაც 10-15 ნაბიჯს გადავდგამთ და გული დასვენებას თხოულობს. გაჩერებისას ვგრძნობთ, რამდენად ძლიერია ყინვა. ა. იუსაგინი ჩვენსავით თბილად არ არის ჩაცმული და საშინლად იყინება. გაჩუმებულია, გაჩერებას სიარული ურჩევნია,

მაგრამ ვაი რომ დაუსვენებლად სიარული არ შეიძლება და ურჩევნია გაჩერდეს ასეთ ყინვაში. კიდევ სამჯერ შევისვენეთ. ანეროიდი ახლა უკან გადაუციათ და არ ვიცით რამდენი დარჩა კიდევ.

უკანა რიგიდან შეგვატყობინეს, რომ კიდევ 10-12 მეტრია დარჩენილი. გასაკვირია ჩვენი ქალების ვაჟკაცობა. არც ერთს მთის ავადმყოფობა არ მოკიდებია და ჩვენზე ნაკლებად არ მოდიან. მე უზომოდ დაღლილი ვარ, მაგრამ თავს ცუდად არ ვგრძნობ. რაციონალურად ვიყენებთ ყოველ დასვენებას, რომ ძალა შევინარჩუნო.

გასაკვირია ატო ფიზიკურად ბევრზე უფრო სუსტად ჩანს. მე მგონია ლადო ყველაზე უკეთ არის. ჩემს უკან მოდის. ვუთხარი – „არა გიშავს, კარგად გამოიყურები-თქო“; მიპასუხა: „სხვამ სხვისი გაჭირვებისა რა იცისო“.

კიდევ ერთხელ რომ დავისვენეთ, წინა რიგში ხმაური ატყდა. დავინახე გახა ხელებს იქნევს, ნაბიჯს უმატა, ხოლო ასმათი ყვირის. შემეშინდა ვინმე ხომ არ ჩამოსრილდა თქო. მაგრამ აი სიხარულის ხმები ისმის. ჩემმა წინადგომმა ნაბიჯს უმატა. მეც შეძლებისდაგვარად ავჩქარდი, თუმცა გულს ბაგა-ბუგი გააქვს და შესვენებას მოითხოვს. უეცრად (გარშემო ბურუსი დგას და ხილვადობა სუსტია) ქარი უფრო გაძლიერდა, ვიგრძენი ფეხით, რომ სწორ ადგილზე ვდგავარ. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. ქარბუქში და ნისლში დავინახე, როგორ ეხვევიან ჩვენები ერთმანეთს. სწორ ადგილზე ერთი წუთით შევჩერდი, გული დამინწყნარდა და შვება ვიგრძენი. დაღლილს უდიდესი დატვირთვა უეცრად, სიხარულმა მომიხსნა და ერთი კარგა მაგრად ვიღრიალე! გადავხვიე ჩვენებს.

მწვერვალზე ვართ. ანეროიდი 5 630 მეტრს გვიჩვენებს. გიორგიმ სურათი გადაიღო. რა მოხდა, ვნახეთ და შევაფასეთ თუ რა ძლიერი ქარბუქია თოვლთან ერთად, სურათზე კი არც ქარი და არც სიცივე არ გამოვიდა, ხოლო ჩვენი სიხარული და ხვევნა-კოცნა, თუმცა ცუდად, მაგრამ მაინც ჩანს.

გახას სიხარული უსაზღვროა! რლაცას ამბობს, მაგრამ აბა ასეთ ქარში და ყინვაში რას გაიგებ?! ვანიჩკამ ჩვენი სურათები, რომლებიც წინასწარ გვქონდა მომზადებული სპეციალურ ალუმინის ყუთში, კლდოვან შვერილის ძირში საგანგებოდ ჩაფლო და ზემოდან კლდის ნატეხი დაადგა.

ცოტა ხანი და ყველანი იალბუზზე ვართ, მათ შორის – ვალიკო და იაგორაც. ყველანი ერთმანეთს ვულოცავთ. ჭადრაკის თამაშზე ლაპარაკიც ზედმეტია, რომ ამბობენ ქარი გლეჯს ყველაფერს, უკეთესად იალბუზზე მქროლავ ქარზე ვერ იტყვი.

იალბუზის მწვერვალს, ჩვენს ოცნებასა და მიზანს მივალწიეთ. იალბუზის მწვერვალზე ამდენი ალპინისტი ერთად არასოდეს ყოფილა – 19 კაცი, მათ შორის, 5 ქალი. პირველი ქალები მსოფლიოში, რომლებმაც იალბუზზე დადგეს ფეხი. იალბუზზე არასოდეს, არცერთი ქალი არ ასულა.

აი, რას წერს ჩვენი ხელმძღვანელი გიორგი ნიკოლაძე ამის შესახებ: „იალბუზის მწვერვალს ამდენი ერთად ჯერ არ უნახავს. ამ მწვერვალზე აცერთი ქალი არ ასულა. ამით არის ეს გამარჯვება უფრო საამაყო. თერთმეტის თავშესაფარში დამტკიცდა, რომ მთაზე ასვლის წინ კი არ უნდა გაექცე თხელ ჰაერს, არამედ უნდა ეცადო, რომ შეეჩვიო მას და ყოველგვარი სიძნელე ადვილად გადაილახება. ამიტომ იყო რომ ისინიც კი, ვინც პირველად ასვლისას ძალიან სუსტად გრძნობდნენ თავს, დღეს ასე აფრინდნენ მწვერვალზე.“

12 აგვისტო ქართული ალპინიზმის ბრწყინვალე გამარჯვებაა. სიტყვით გადმოცემა არ შეიძლება იმ სიხარულისა და აღტაცების, რაც ჩვენ განვიცადეთ. ჩვენს სიხარულს ოდნავ ის ჩრდილავს რომ საშინელი ქარბუქის გამო, თვით მწვერვალზე არაფერი ჩანდა გარშემო. წარმოსადგენია რა დიდებული ხედი იქნებოდა ამ სიმაღლიდან კარგ ამინდში.“

მწვერვალზე 15 წუთი დავრჩით და პირველის ნახევარზე დავიწყეთ ჩამოსვლა. გიორგიმ გაგვაფრთხილა, გვევლო რაც შეიძლება ფრთხილად, რომ არ დავცურებულებიყავით, რაც დიდ

საშიშროებასთან არის დაკავშირებული. შეიძლება თავი ვერ შეიკავო, ჩაგორდე ქვევით, სადაც მრავალი ნაპრალია.

გახამ ყველა გაგვაჩერა, გავისწორეთ ბადურები და წრიაპები. ფრთხილად დავიწყეთ ჩასვლა დაქანებაზე. მალე უხიფათოდ გავიარეთ დაქანება და მივუახლოვდით იმ ადგილს, სადაც ინყებოდა ნაპრალები. დილით ამ ადგილას თოვლი გაყინული იყო, ახლა კი დარბილებულია. გახა, რომელიც წინ მიდის და ჩვენ გვაფრთხილებს, მოულოდნელად ჩავარდა ნაპრალში. გიორგიმ და სიმონმა, რომელთაც გახაზე გადაბმული თოკი ეჭირათ, ძლივს შეაჩერეს გახა, რომელიც უფსკრულში ჩაეკიდა. სანდრო, რომელიც სიმონის უკან იყო, გადადგა, უნდოდა გახას დახმარება და წელამდე ჩავარდა გვერდით ნაპრალში. ეს გვერდითი ნაპრალი დიდი არ იყო და სანდრო სულ ადვილად ამოიყვანეს ლევანმა და ასმათიმ. გიორგი და სიმონი გახას ეწვეიან (ამოჰყავთ) და მაგრად უჭირავთ თოკი. გახა უკვე სამშვიდობოს არის. ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა გახა რომ ნაპრალიდან ამოიყვანეს, ამ ნაპრალის მოვლას საკმაოდ დრო დასჭირდა. წინ მეტისმეტი სიფრთხილით მივდივართ.

უხიფათოდ მივალწიეთ პასტუხოვამდე. კარგად შევისვენეთ. გიორგიმ შორიდან სურათი გადაგვიღო იალბუზის ფონზე, რომელიც ახლა „უნაგირას“ ქვევით ჩანს, ხოლო მწვერვალი ქარბუქშია. ჩამოვედით თუ არა ნაპრალების ზონაში, ქარბუქმა იკლო და ნისლიც ჩანვა უნაგირას უკან, ნაწილი ღრუბლებისა გაიხსნა.

პასტუხოვის ნაბინავრიდან გადავედით ფირნის ველზე და თანდათან სიარულს ვუმატეთ. თავისთავად გავიყავით ორ ჯგუფად. ერთი ჯგუფი დიდად დაწინაურდა. მას გახა მიჰყვება, მეორეს – იაგორა ხელმძღვანელობს. ესენი შედარებით უფრო ნელა მოდიან. ნაპრალები ფირნის ველზედაცაა, გახა გვაფრთხილებს, რომ საჭიროა ნაპრალების შემოვლა და არა გადასვლაო. მალე მზემ გამოანათა და სულ რაღაც 15-20 წუთში ფირნის ველის ზედაპირზე თოვლმა იწყო ინტენსიურად დნობა. თოვლი წყლიანი გახდა, ბანდულები, რომლებიც ასე გვეხმარებოდა ასვლაში, თავისი სიმსუბუქით და სითბოთი, დასველდა. წინდები წყლით გაიჟლინთა და ბანდულებიც დამძიმდა, მაგრამ სიარულის ტემპი არ შეგვიანებია. მალე სიარულში და მზის ცხუნვარების გამო დაგვცხა, მეტადრე რომ თბილად ვართ ჩაცმულები. თერთმეტის თავშესაფრამდე ჯერ კიდევ შორსაა.

ძალიან დავილაღეთ, მეორე ჯგუფი ძლივს ჩანს, საკმაოდ შორს არიან. უკან გახედვით შევაფასე, თუ რა უზარმაზარია ფირნის ველი. სიარულის ტემპი მნიშვნელოვნად შემცირდა და უკვე ნელა მივდივართ. ბოლოს ყველაფერს აქვს დასასრული და ჩვენც უხიფათოდ მივედით თერთმეტის თავშესაფრამდე. პირველ რიგში გავიხადეთ ბანდულები, გამოვიცვალეთ წინდები, შევედით კარვებში და ვუზიარებთ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს. ბანაკში მყოფებმა გაგვიჩიეს მასპინძლობა. უზომოდ დაღლილებს გაგვიმასპინძლდნენ ყავით, კონიაკით, პასტილით და დაყურსული რძით.

გიორგის დავალებით, სანდრო და იაგორა 2 საათის დასვენების შემდეგ, გაუდგნენ გზას აზაუსკენ. მათ უნდა მოამზადონ პირობები ექსპედიციის გასაგრძელებლად, სვანეთში გადასასვლელად დონგუზ-ორუნის გადასავლით. მათ გაყვა ა. იუსაგინი, რომელსაც უთავდება მივლინება და ჩქარობს.

ხვალ ჩვენი ჯგუფი ჩავა აზაუში, დღეს კი ვისვენებთ.

თერთმეტის თავშესაფარი

იალბუზზე ასვლის მეორე დღე, 13 აგვისტო

აზაუდან უნდა ამოვიდეს ექსპედიციის ზოგიერთი წევრი, რომელთა ასვლა იალბუზზე არ იყო გათვალისწინებული. ველოდებით მათ. დაგვიანებით, ფირნის ველზე როგორც ზღვაში გამოჩნდა ორი წერტილი, შემდეგ წერტილების რაოდენობამ იმატა. პირველად ამოვიდნენ მზი-

დავები, რომლებმაც ამოიტანეს დამატებითი პროდუქტი. შემდეგ ამოვიდნენ ვერიკო და ბე-
ჟიკო. ისინი, მიუხედავად დიდი დაღლილობისა, ყოჩაღად გამოიყურებოდნენ. მოგვილოცეს იალ-
ბუზზე ასვლა და გიორგის დაბადების დღე, რომელიც დაემთხვა იალბუზზე ასვლის დღეს.

გიორგიმ რამდენიმეჯერ გადაიღო ცენტრალური კავკასიონის ხედი და თერთმეტის
თავშესაფრის კედელთან, იალბუზის ფონზე ყველა ჩვენგანი ცალ-ცალკე, იმ ტანისამოსში,
რომელშიაც ვიყავით იალბუზზე. კედელზე გააკეთა წარწერა: „საქართველოს გეოგრაფიული
საზოგადოების წევრები – 19 კაცი, მათ შორის 5 ქალი, 1925 წლის 12 აგვისტოს ავედით იალ-
ბუზზე“.

16 საათსა და 30 წუთზე ყველანი გამოვედით „თერთმეტის თავშესაფრიდან“, სადაც 4 100
მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან 8 აგვისტოს 4 საათამდე დავყავით.

დიდხანს ვიარეთ ფირნის ველზე საკმაოდ ფრთხილად, რომ ამდენი სიხარული არ წაგვმ-
წარებოდა. გიორგი და გახა სულ გაიძახოდნენ – „ფრთხილად, ფრთხილად!“

აზაუს მყინვარი დაიწყო თუ არა, გავედით მორენაზე¹ და მორენით ჩავედით „კრუგო-
ზორამდე“. გავიხადეთ ბანდულები, გამოვიცვალეთ წინდები და ჩავიცვით ფეხსაცმელები. სულ
ქვევით და ქვევით მივიღვართ ჯგუფ-ჯგუფად, დავტოვეთ „კრუგოზორის“ ფერდობები და
ბალახიან ფერდობზე გადავედით. ისმის თოფის სროლა, ჩვენები არიან, აზაუს კოშკიდან გამო-
სულან შესახვედრად. უკვე ბნელდება, ჯგუფს, რომელიც ჩვენზე ადრე ჩავიდა, დიდი კოცონი
დაუნთია. სამწყემსურებში ყველას გაუგია ჩვენი ასვლა იალბუზზე და თუ ვინმე იყო ახლო-
მახლო მოვიდა აზაუს კოშკში. გაუშვეს რამდენიმე შუშხუნა. თითოეულ ჯგუფს ხვდებიან ცალ-
ცალკე და ულოცავენ ასვლას. არის კარაბინის სროლა და შუშხუნების გაშვება.

ბოლოს, სულ ყველანი აზაუს კოშკში ვართ: მოსულნიც და დამხდურნიც. შემოვუსხედით
უზარმაზარ კოცონს და გაიმართა სიმღერები. ცეცხლზე დიდი ქვაბია შემოკიდებული, შიგ
მთელი თხა იხარშება. ჩვენი გამყოლები გახა და იაგორა, ახლა უკვე მზარეულების როლს ას-
რულებენ. კარგად ვივახშმეთ სტუმრებმაც და მასპინძლებმაც. შემდეგ ვიმღერეთ და ვიცეკვეთ.
ყაბარდოელებს არ მოეწონათ, რომ ანწლის არაყი არ დავლიეთ. მათ ეგონათ, რომ არ გვიყვარს
არაყი და ღვინო რომ ყოფილიყო დავლევდით. ვერაფრით ვერ გავაგებინეთ, რა მიზეზით არ
დავლიეთ არაყი. კიდევ დიდხანს გაგრძელდა ცეკვა-თამაში და სიმღერები, ბოლოს გავეხვიეთ
ნაბდებში და დავიძინეთ.

¹ მორენა (ფრანგ. Moraine) — ნატეხი ქანების დაუხარისხებელი გროვა, რომელიც გადააქვს ან დალექილია მყინვარის მიერ. არსე-
ბობს მოძრავი და დანალექი მორენები. მოძრავი მორენა შეიძლება იყოს ზედაპირული, შიგა და ფსკერის. ზედაპირული მორენა წარ-
მოიქმნება მყინვარის ზედაპირზე ხეობის ფერდობებიდან ჩამოშლილი ნატეხი მასალის დავროვებით ან მყინვარის მასიდან მისი
გამოლხობის შედეგად. მასალის მდებარეობის მიხედვით განარჩევენ აგრეთვე გვერდით (ნაპირს) და შუა მორენებს.

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის „კვლევის ცენტრი“

მადლობას უხდის:

- „მატიანეში“ გამოქვეყნებული ყველა სტატიის, კვლევისა და წერილის ავტორს.
- კვლევის ცენტრის მეცნიერ-კონსულტანტებს გვერდით დგომისა და დახმარებისათვის.
- ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექციას.
- გულწრფელი მადლობა ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ **ზაზა ხურციძეს**, წინამდებარე ნომრის გამოცემაზე დახმარებისათვის.
- მადლობას ვუხდით „მბმ პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და მათ თანამშრომლებს „მატიანეს“ ხარისხიანად გამოცემისათვის.

რედაქტორი **ომარ კაპანაძე** (კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი)

სარედაქციო კოლეგია:

- გურამ ყიფიანი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.
- თემურ სურგულაძე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი.
- ავთანდილ ნიკოლეიშვილი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.
- თეიმურაზ ადეიშვილი** – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე.
- ურია დვალისხილი** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
- ოლეგ ალავიძე** – ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი.
- ომარ ძაგნიძე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
- ქრისტინე მეძველია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. ქუთაისის ცენტრალური არქივის უფროსი სპეციალისტი
- ომარ გაბუნია** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.
- ზაურ თათვიძე** – ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.
- ბეჟან ნაქაძე** – რედაქტორ-გამომცემელი.

პასუხისმგებელი მდივნები: **აკაკი თევზაძე, თამილა მჟავანაძე**

კორექტორები: **ბელა ცაბაძე, ინდირა გოგოძე**

კომპიუტერული ვერსია – **ბელა ცაბაძე**

„მატიანეს“ გარე ყდაზე – ვანის ნაქალაქარის კარიბჭე

ფოტოილუსტრაცია – **სალომე ტოხვაძის**

Редактор **Омар Капанадзе** - Руководитель научно-исследовательского центра

Редколлегия:

Гурам Кипиани - Доктор исторических наук, Профессор, Руководитель палеоурбанистической археологической лаборатории в Илия уни, Руководитель археологической экспедиции в село Цихесулори.

Теимураз Сургуладзе - Доктор физика-математических наук, Профессор математического департамента Государственного Университета им. Акакия Церетели, Руководитель отдела докторантуры.

Автандил Николеишвили - Доктор филологических наук, Руководитель отдела Грузинской филологии Государственного Университета Акакия Церетели, Профессор, Академик.

Теимураз Адеишвили – Профессор, Вице- президент экологической научной академии Грузии Руководитель западно Грузинского отдела.

Уча двалишвили - Доктор наук искусствоведения, Профессор.

Олег Алавидзе – Доктор наук искусствоведения, Доктор педагогических наук.

Омар Дзагнидзе - Доктор физика математических наук, Профессор.

Кристине Медзвелиа - Доктор филологических наук, старший специалист Кутаисского Центрального Архива.

Омар Габуниа - Директор Ванского археологического музея заповедника.

Заур Татвидзе - Кандидат экономических наук.

Бежан Цакадзе - Редактор издатель.

Ответственный Секретарь: **Акаки Тевзадзе, Тамила Мжаванадзе.**

Корректоры: **Бела Цабадзе, Индира Гогодзе.**

Компьютерная версия: **Бела Цабадзе.**

Фото-иллюстрация: - **Саломе Тохвадзе.**



დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „მბმ-პოლიგრაფის“ მიერ
ქ. ქუთაისი, წერეთლის 186
ტელ.: 0 431 23 45 54